



მერე რა, რომ უხვად მასვეს
ფიალებით სამსალა,
ეველა ჭირმა მიშვილა და
გრძნობისგან ვერ დამცალა,
მერე რა, რომ არ მაღიროსეს
სინარული ედემი,
სინარულით მეყვანებით
ვიდრე დავიფერფლები...

მანანა თაჩაშვილი

მანანა თაჩაშვილი • კალმის წვერზე დატეული

მანანა
თაჩაშვილი

კალმის წვერზე
დატეული

ვუძღვნი ჩემი გამწრდელის
ნოდარ ტყუნაძის
ხსოვნას



მანანა
თარგმანი

კალმის წვერზე
დატეულნი

2017 წ.

რედაქტორი:
ალექო ივერიელი

სტილი-კორექტურა:
ხათუნა ბალიაშვილი

დაკაბადონება:
შალვა მურადაშვილი

ავგორისაგან

გორში დავიბადე და გავიზარდე, ამიტომ გასაკვირი არ არის თავზე მეტად მიყვარდეს მშობლიური ქალაქი და მისი მკვიდრნი. ბავშვობის ყველაზე ნათელი წერტილი ჩემი გამზრდელია – იმერელმა კაცმა დამატკბო მამობის სურნელით. ძალიან სტუმართმოყვარე და მოსიყვარულე ადამიანი იყო. მისგან ვისწავლე, რომ სიძულვილით სული არ უნდა გაისვარო, რომ ადამიანი მეორე ადამიანის მოსაფერებლად არის მოსული ამქვეყნად.

პროფესიით პედაგოგი თავიდან არც ვფიქრობდი ჟურნალისტობაზე, მაგრამ... გასული საუკუნის ბოლოს მეც შემეხო მაშინდელ საქართველოში „უ“-ზე დაწყებული ყველანაირი უბედურება: უშუქობა, უგაზობა, უპურობა, უფულობა, მავანთა უგულობა, უმუშევრობა, ანუ ჩემთვის ყველაზე საშინელი უ ს კ ო ლ ო ბ ა.

ყოველ ღამე მესიზმრებოდნენ ჩემი მოსწავლეები... იმ კრუხს ვგავდი, წიწილების გარეშე რომ დატოვეს... სასოწარკვეთა მომეძალა... როდესაც მივხვდი, რომ სკოლას მოწყვეტილს უსაქმურობა აუარებელ პრობლემაზე დამაფიქრებდა და ჭკუიდან შემშლიდა, თვითგადარჩენის მიზნით გადავწყვიტე ჩემი ფიქრებისთვის უფრო სასარგებლო მიმართულება მიმეცა. კალამი „ავლესე“ და გარშემო მიმოვიხედე. ვეძებდი ადამიანებს, ვისი ცხოვრებაც მისაბამი უნდა ყოფილიყო დანარჩენებისთვის, ვინც ღირსეულად უმკლავდებოდა სიძნელებებს, ძალიან უჭირდათ, მაგრამ არსებობის მძიმე წუთებშიც არ კარგავდნენ ყველაზე მთავარს – ადამიანის სახეს. პარალელურად, შეძლებისდაგვარად დავდიოდი და ვაშუქებდი გორში გამართულ საქმიან შეხვედრებს და კულტურულ ღონისძიებებს.

ცოტამ თუ იცის, რომ 25 წელი უშტატოდ და უხელფასოდ, მართლა უანგაროდ „ვიჟურნალისტე“. გულწრფელად გეტყვით, ეს არ იყო უბრალოდ დროის მოკვლა: ჩემთვის ყველაფერია ქართული – „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“, მიყვარს ადამიანებიც და დიდ სიამოვნებას მანიჭებს მათთან ურთიერთობა. შემოქმედებითი მუშაობისას ერთი ფრაზაც არ დამიწერია გრძნობის გარეშე. სიტყვებს შუა ღუღაბად გულისგულში გატარებულ სიყვარულს ვიყენებდი და ასე ფერებ-

ფერებით შეიქმნა ათასამდე წერილი, რომლებიც წლების მანძილზე იბეჭდებოდა ადგილობრივ პრესაში: „გორელ ფეიქარში“ (რედაქტორი ნუნუ ხითარიშვილი), „გორის მოამბეში“ (რედაქტორი ზაურ წაქაძე), „ხალხის გაზეთში“ (რედაქტორი რეზო ოქრუაშვილი).

ამ წერილების დიდი უმეტესობა მცირე მოცულობისაა. ადგილობრივი გაზეთის ფორმატი ძნელად იძლეოდა ფრთების გამლის საშუალებას, ვერ ხერხდებოდა დიდი ნარკვევების მომზადება და ჟურნალისტური ჟინის სრულად დაკმაყოფილება. შეზღუდულ მოცულობაში სათქმელისთვის რამე დამიკვლია კი არა, პირიქით, უფრო მეტად ვცდილობდი მაქსიმალურად ყველა რაკურსით დანახული რესპონდენტი მერვენებინა მკითხველისთვის.

რატომ გადავწყვიტე წერილების წიგნად გამოცემა?

რესპონდენტების დიდი უმეტესობა გორის კოლორიტები იყვნენ, ან არიან. ისინი გორის ისტორიას ქმნიდნენ და გამორჩეულნი იყვნენ პროფესიული საქმიანობით და ცხოვრების წესით. ყველამ დამსახურებულად მოიხვეჭა სახელი, დიდება, ხალხის სიყვარული და პატივისცემა. მინდა მომავალი თაობის გორელებმა ამ წიგნითაც დაიმახსოვრონ მათი სახელები, შეიყვარონ ისინი და იამაყონ, რომ იმ ქალაქში ცხოვრობენ, სადაც ეს ადამიანები დააბიჯებდნენ.

ცხადია, ერთ პატარა წიგნში შეუძლებელია ყველა დაბეჭდილი წერილის თავმოყრა. შევეცადე მკითხველისთვის მიმეწოდებინა საუკეთესოთა შორის საუკეთესო „მტევენები“ საკუთარი ჟურნალისტური „რთველიდან“. რა თქმა უნდა, ღირსეული გორელების რიცხვი ბევრად აღემატება ჩემი წერილების რაოდენობას. ყველას ვერ გავწვდი და მოვეფერე, რისთვისაც გულწრფელი ბოდიში მინდა მოვიხადო დანარჩენი თანაქალაქელების წინაშე:

მაპატიეთ, ჩემო ძვირფასებო, მე ერთი ვარ, თქვენ – ძალიან ბევრნი.

ღმერთმა მეტად გამრავლოთ, ჩემო გორელებო!

სიტბოთი სავსე წიგნი

(რედაქტორის წინასიტყვაობა)

ვისაც თვალი მიუდევნებია ქალაქ გორში გამოძვალაი პრესის ფურცლებისთვის გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე, მას ყურადღებიდან არ გამორჩებოდა ერთი ნიჭიერი და დახვეწილი გემოვნების მქონე ჟურნალისტის საინტერესო პუბლიკაციები...

ეს გახლავთ ყველასთვის საყვარელი და დასაფასებელი ადამიანი, მრავალი ასეული საგაზეთო წერილის ავტორი, ქალბატონი მანანა თარაშვილი.

დაიბადა 1965 წელს ქ. გორში. 1991 წელს დაამთავრა ცხინვალის პედაგოგური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მსახურობდა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად.

1994 წლიდან ეწევა ინტენსიურ ჟურნალისტურ საქმიანობას.

2000 წლიდან მსახურობდა ქალაქ გორის გამგეობაში, საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის წამყვან სპეციალისტად. აქტიურადაა ჩაბმული არასამთავრობო სექტორის მუშაობაშიც. იტაცებს პოეზიას, კლასიკური მუსიკას, სახვითი ხელოვნებას, ხელსაქმე...

ძნელია, წიგნის პატარა წინასიტყვაობაში სრულყოფილად შეაფასო მისი მრავალწლიანი ნამოღვაწარი. ავტორმა ჩვენი ქალაქის ღვაწლმოსილ და კოლორიტულ პიროვნებათა მთელი გაღერა წარმოადგინა: მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები, ქორეოგრაფები, მეცნიერები, პედაგოგები, მედიცინის მუშაკები, სპორტსმენები... აი, ვინ არიან ამ მშვენიერი წიგნის პერსონაჟები.

ლიტერატურის დარგში: მეუფე თადეოზი (იორამაშვილი), ვანო ჩხიკვაძე, ნოდარ ტაბიძე, ზაურ წაქაძე, ვაჟა დადიანიძე, გიორგი მახარობლიძე, დავით ახლოური, მანანა შუბითიძე, ინესა მერაბიშვილი, ოლია ბრავვაძე, მერი მარწყვიშვილი, სოფიკო მექვაბიშვილი, შერგილ სუნიტაშვილი. **თეატრალური ხელოვნების მოღვაწენი:** გიგა ლორთქიფანიძე, ოთარ ქუთათელაძე, ანზორ გვამაბია, ლევან ოზგებაშვილი, კობა გაბეშია. **მუსიკის სფეროდან:** ჯემალ ბეგლარიშვილი, მაცვალა

ხორბალაძე, სამუსიკო კოლეჯის ქალთა გუნდი, ნინო წიკლაური, მიშიკო კოშკაძე. **სახვითი ხელოვნებიდან:** ავთანდილ ლუღუშაური. **ქორეოგრაფები:** დიდი მაესტრო ილიკო სუხიშვილი, გამოჩენილი ხელოვანი ომარ ხუბაევი, ნუკრი დვალი, ია თავაძე. **მეცნიერებიდან:** ისტორიკოსი, პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილი. **ლექტორ-პედაგოგები:** ლიანა ბახტაძე, ვალერი სუხიშვილი, ნინო ტატიაშვილი, თამარ უთნელიშვილი, ლელა კაკაშვილი, თინა ღვინიაშვილი. **მედიცინის მუშაკები:** ტრიფონ გამსახურდია, სერგო ჯაფიაშვილი, ჯუშბერ გოგიაშვილი, ალექო ჩოჩია, ზაალ გაბაშვილი, ალექო ხუროშვილი. **სპორტსმენები:** საამაყო ფალავანი შოთა ჩოჩიშვილი, ედუარდ კოშკაძე, გელა პავლიაშვილი. **საზოგადო მოღვაწენი, ქალაქის კოლორიტული პიროვნებანი:** ჩერმენ დუდაითი, ვასილ საბანაძე, ლამარა შაყულაშვილი... წიგნში შესულია ავტორის ორ-ორი ჩანახატი და ფელეტონი.

ქალბატონ მანანა თარაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის წერილებში ყველა ცნობილი პიროვნება წარმოჩენილია სრულყოფილად, როგორც დამსახურებით, ასევე მათთვის დამახასიათებელი ადამიანური თვისებებით.

ავტორი შესანიშნავი მოქართულეა, აქვს წერის საკუთარი სტილი, საინტერესო მთხრობელია. ეს ყველაფერი მეტყველებს ჟურნალისტის ნიჭიერებაზე და იმედს იძლევა, რომ მისი შესანიშნავი წიგნი სათანადოდ იქნება დაფასებული და არასდროს მოაკლდება ერთგული მკითხველი...

ალექო ივერიელი

შიდა ქართლის მსოფლიო კულტურის
შემსწავლელი ცენტრის პრეზიდენტი

ასეა, სიცოცხლე მოკლეა, ხელოვნება – მარადიული...

მამულიშვილის ამბავი



ყველაფერი ითქვა, ყველაფერი დაიწერა, სათქმელი თითქოს აღარაფერია... მის ქება-დიდებაში მოიღალნენ ქართველი ჟურნალისტები, სიტყვებს დაუნანებლად ხარჯავდნენ მაქებარნი. ჰო, ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ არის კიდევ რაღაც, ლამაზი და ამალღებული, სიამაყის გრძნობა რომ ჰქვია. გეამაყება, რომ ეს უდიდესი ხელოვანი შენი მიწა-წყლის შვილია და დაუსრულებლად გინდა ისმინო ლეგენდები მეჯვრისხევიდან აფრენილ მოცეკვავე ბიჭზე, მსოფლიო რომ გააოცა არწივადქცეულმა.

იოსებ სტალინი, კლიმენტ გოტვალდი, ლუქსემბურგის ჰერცოგინია შარლოტა, შვეციის მონარქი გუსტავ ადოლფ VII, ჯავაჰარლალ ნერუ, ჯონ კენედი, ჩერჩილის ქერივი, ბელგიის მეფე ბოლუენი, კვიპროსის პრეზიდენტი მაკარიოსი და მრავალი სხვა – აი, არასრული სია იმ ადამიანებისა, რომლებიც მოიხიბლნენ ილიკო სუხიშვილის ქართული ბალეტის ხელოვნებით და სიყვარულის ნიშნად ხელი ჩამოართვეს დიდ ხელოვანს.

დღეს ილიკო სუხიშვილი 95 წლის იქნებოდა, ჩვენთან ერთად გაიხარებდა, ჩვენთან ერთად იზეიმებდა ლამის ერთი საუკუნის იუბილეს.

მიზანი

ილიკოს ცეკვის სანახავად სუხიანთ უბანს აწყდებოდნენ მეჯვრისხეველები. ბიჭს რიტმის ისეთი გრძნობა ჰქონდა, ყველა ხვდებოდა, რომ იგი ცეკვისთვის იყო გაჩენილი. ერთი წლის დაობლდა, დედამ – ანა კაზანოვამ სახლ-კარი გაყიდა და თბილისში გადასახლდა. ოჯახს

უჭირდა, ამიტომ პატარა ილიკო ხან მიხაილოვის პროსპექტზე ყიდდა წაბლს, ხანაც სასწრაფო დეპეშები დაჰქონდა.

ობოლ ბიჭს მამობილად მოეგვინა ლექსო ალექსიძე, რომლის საცეკვაო სტუდია-სასწავლებელში ეუფლებოდა ილიკო ცეკვის დროს მუხლებზე დაცემის საიდუმლოებას და ცერებზე სირბილის ტექნიკას. ღრუბელივით ისრუტავდა ყველაფერს. თან განაცვიფრა აღმზრდელი ცეკვის ათვისების უნარით, სწრაფი ფანტაზიით, ნიჭითა და დაკვირვებით.

მალე ილიკო სუხიშვილი ქართული ცეკვების უბადლო შემსრულებლად აღიარეს.

1937 წელს მოსკოვში საქართველოს ხელოვნების პირველ დეკადაზე ილიკოს ცეკვის შემხედვარე იოსებ სტალინს უთქვამს: „რაც განათლებულია შობელძაღლი ფეხებშიო“.

ყმაწვილ კაცს არ აკმაყოფილებდა მიღწეული, სხვა საფიქრალი გასჩენოდა, სხვა მიზანი ამოძრავებდა, უფრო დიდი საქმისთვის ერობოდა გული და...

ერთ მშვენიერ დღეს ანსამბლის შექმნა გადაწყვიტა.

დიდება შრომის ხელშია

მოცეკვავის გამჭრიახმა გონებამ თავიდანვე განჭვრიტა, რომ ანსამბლის მომავალი, ადრე თუ გვიან, საქართველოს კულტურის პრესტიჟის საქმე უნდა გამხდარიყო, ამიტომ დიდი მონდომებით შეუდგა მის ჩამოყალიბებას.

ომი ჯერ არ იყო დამთავრებული. ერთი წლის განმავლობაში ნახევრად მშვიერ-მწყურვალნი, ყოველგვარი ხელოვნებისა და მატერიალური მხარდაჭერის გარეშე ილიკო მსახიობებთან ერთად აკეთებდა დიდ ეროვნულ საქმეს. რაღა თქმა უნდა, მეუღლეს გვერდიდან არ იშორებდა, ქართული ცეკვის საკურთხეველთან ერთად მივიდნენ ნინო და ილიკო.

ორივე დაუნდობელი და მკაცრი იყო ანსამბლის ინტერესების საკითხებში. სარეპეტიციო წვრთნა ტარდებოდა ნერვების დაძაბვით, ხანგრძლივი პაუზების გარეშე, ფოლადისებური დისციპლინის დევიზით: „ყველაფერი წინსვლისთვის.“ ანსამბლში „კეთილი“ დასვენება არავის ეწერა. ნინოს რეპეტიციებში გურული სიცხარე ჭარბად იფრქვეოდა. ილიკო უკომპრომისო იყო, ანსამბლში წყლის მნაყველს და ზარმაცს არ გააჩერებდა.

ყოველი გამარჯვების შემდეგ კვლავ ბრძოლას იწყებდა შემდეგი გამარჯვებისთვის. დაუფასდა ტიტანური შრომა – შემოქმედის ბედის ეტლს ვარსკვლავთა თანავარსკვლავედი გაუძღვა ცისკენ.

ოქროს დღეების კრიალოსანი

ნინოს ქორეოგრაფიულ მოზაიკებში ილიკოს ცეცხლოვანი ფერები შეჰქონდა. თანდათანობით ანსამბლი ზღაპრული ამირანივით დავაჟკაცდა და მზიური საქართველოს სურნელი მთელ მსოფლიოს მოჰფინა...

ანსამბლის წევრებმა ფენის ცერებზე ანშლავით შემოუარეს დედამიწას. ცეკვით გაცვითეს მსოფლიოს უდიდესი საკონცერტო დარბაზები. ენა ვერ აღწერს იმ აღტაცებას, რასაც უცხოელი მაყურებელი განიცდიდა, მათთვის ხომ ჩვენი ცეკვები რომანტიკული განცდების წყარო იყო. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, ნახევარ საათზე მეტ ხანს უკრავდნენ ტაშს. კონცერტის შემდეგ მიდიოდნენ მოცეკვავეებთან და კითხულობდნენ: „მუხლები მთელი გაქვთ?“, „თქვენი ჩექმების ნახვა შეგვიძლია?“, „როგორ ყრის ნაპერწკალს ქართული ხმალი?“

რამდენჯერმე ანსამბლმა უფასოდაც ჩაატარა დამატებითი კონცერტი, რაც კაპიტალისტური სამყაროს მოქალაქეთათვის სენსაციური ამბავი იყო.

ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით ანსამბლმა მსოფლიოს უჩვენა „მომხიბლავი“, „გასაოცარი“, „ელექტრონული“, „რომანტიკული“, „ფანტასტიკური“, „წარმტაცი“, „გონების შემარყველი“, „ანდამატური“, „ზღაპრული“, „ცეცხლოვანი“ დიდი ქართული ბალეტი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო საკაცობრიო კულტურის ოქროს ფონდში.

ზედ წამწამზე მიზიხარ

მთელი ცხოვრება „წამწამზე“ უჯდა ილიკოს ნინო. ძალიან უყვარდა მეუღლე, ეთაყვანებოდა მის ნიჭს. კარგად იცოდა, რომ იგი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. ქალი – საოცრება, რომლის ღირსებები აუწონავია.

ილიკო რომ გაიცნო, ნინო რამიშვილს ახალი დამთავრებული ჰქონდა მარია პერინის საბალეტო სტუდია. ზედმიწევნით იცოდა კლასიკური ბალეტი, ბრწყინვალე ბალერინად ითვლებოდა, რომელსაც საკუთარი ტანის ღერძის გარშემო 32-ჯერ შეედლო შეტრიალება.

სწორედ მისმა პროფესიონალიზმმა მოხიბლა „სუხიანთ“ ბიჭი, რომელიც დიდხანს ვერ ახერხებდა ნინოსთან მიახლოებას მისი მკაცრი მშობლების და აღმზრდელების გამო. გამბედაობა მაშინ მოიკრიბა, როცა ქართული ცეკვების ბალეტმეისტერი და წამყვანი სოლისტი გახდა.

პაემანი შედგა. ახალგაზრდები მიხვდნენ, რომ ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილნი, მაგრამ... ნინოს ყველამ დაუწუნა არჩევანი, მოცეკვავეა და რად გინდაო. მარტო მამამ უთხრა: თუ გინდა გაჰყევი ცოლად, არა და სახლი გაქვს და უკან მოხვალო. ილიკოს ზურგდაკემსილი პერანგი ეცვა. ყველას ჯიბრზე იმ ზურგდაკემსილ პერანგიან ბიჭს გაჰყვა ნინო.

არც უნანია არასოდეს.

ცხოვრების დასაწყისში სიძნელებიც ჰქონდათ, მაგრამ ყოვლისშემძლე ყოფილა სიყვარული. შეუძლებელი შეძლეს და ჩამოაყალიბეს ანსამბლი, რომელიც მსოფლიოს „მერვე საოცრებად“ მონათლეს მრავალ ქვეყანაში. მათი ცეკვები ყოველთვის და ყველგან ქორეოგრაფიული დღესასწაული იყო. დიდმა ბალეტმეისტერმა კასიანე გალეიზოვსკიმ ილიკოს და ნინოს უწოდა „ხელოვნების ღმერთები“, რომლებმაც შესვეს უკვდავების წყარო, ხელოვნების ნექტარი.

...ერთმანეთზე ზრუნვაში შემოაცვდათ წლები. ილიკო უზომო პატივს სცემდა მეუღლეს. ყოფითი წვრილმანებისთვის არასოდეს მოაცდენდა. ის კი არა, ყავასაც თვითონ უღუღებდა და ყოველ დილით საწოლში მიჰქონდა მისთვის. ნინოს მარტო სარეპეტიციო დარბაზში ყოფნა ევალებოდა.

როცა სიკვდილმა მოაკითხა, მაშინაც სულ ნინოზე წუხდა, სევდით შეხვდა უფლის განაჩენს, რადგან დასაკენტებლად არ ემეტებოდა ცხოვრების მეგობარი...

ხერხი სჯობია ღონესა...

ყველაზე დასამახსოვრებელი და „საზეიმო“ შეხვედრა ანსამბლს ახალ ზელანდიაში მოუწყეს. თვითმფრინავის წინ ჩამწკრივებულმა მორის ტომის 60-მა წარმომადგენელმა, რომელთაც ხელში დოლები და შხამიანი მშვილდ-ისრები ეჭირათ, ყურისწამლები ღრიალი და მუქარის ღმუილი ატეხეს. მათ სახეზე საზარელი ნიღბები აეფარებინათ.

მწკრივს გამოეყო ნადირის ტყავით შემოსილი ტომის ბელადი

– უზარმაზარი ტანის და საშინლად დაღრეჯილი ნიღბიანი მამაკაცი. იგი ველური ცეკვით და ნახტომით უახლოვდებოდა თვითმფრინავს, ისევე უკან იხევდა, თან შხამიან შუბს ილიკოს უღერებდა. დანარჩენი ველურებიც კაჟიანი შუბებით იმუქრებოდნენ. ბელადი გატეხილი ტაშტის ხმით ყიოდა საბრძოლო დევიზებს, ყველას აქეზებდა სტუმრების წინააღმდეგ.

ქართველი მოცეკვავეები შეფიქრიანდნენ. სამი მათგანი თვითმფრინავში შევარდა და რეკვიზიტიდან რამდენიმე ხანჯალი და ხმალი გამოიტანეს. მდგომარეობა კრიტიკული გახდა. ბოლოს ბელადმა ილიკოს წინ ყვავილი დააგლო. ილიკოს გამჭრიახმა გონებამ უსწრაფესად მიიღო სწორი გადაწყვეტილება, ყვავილი აიღო და გულზე დაიბნია, რითაც მეგობრობა გამოხატა. მისმა საქციელმა მოწონების დამუილი გამოიწვია მასპინძელთა შორის.

გაუგებრობის ბურუსი გაიფანტა და სტუმარ-მასპინძელთა შორის ნდობა გაღრმავდა.

* * *

ინგლისის ქალაქ სანდერლენდის მერმა კონცერტის შემდეგ კულისებშივე გამოსათხოვარი სუფრა გაუმალა ქართველ მოცეკვავეებს. მაგიდასთან მიიტანა საგანგებოდ ჩამოსხმული ერთმეტრიანი სქელი ბროლის სასმისი, შეავსო საუკეთესო ბრიტანული ღვინით და ქართველი ვაჟკაცების გამოცდა მოინდომა: ვინც ამას დაცლის, ქალაქ სანდერლენდის საპატიო წევრი გახდებაო. ილიკომ ხერხი იხმარა:

– ბატონო მერო, ვინაიდან ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასია ქალაქ სანდერლენდის საპატიო წევრის წოდება, ახლა ყველა შევსვამთ და ისე დავცლით სასმისს.

სიცილ-ხუმრობაში 70-მა კაცმა მოსვა ღვინო და... დაცლილი ბროლის სასმისი ანსამბლის მუხეუმს შეემატა.

მოსაგონარს რა გამოლევს

თავისუფალ ღროს გამონახავდა თუ არა, ილიკო ქართლის შუაგულისკენ, ბიძაშვილებისკენ მოიჩქაროდა. გორში ვალერი და ომარ სუნიშვილები ეიმედებოდნენ, მეჯვრისხევში – ჟორა, ანდრო და ტარიელი. სხვა მოკეთე და მეგობარიც ბლომად ჰყავდა.

გოგი დალაქიშვილი (ახლოებული): „როგორც ადამიანი, ილიკო უაღრესად კეთილი და პატიოსანი იყო, როგორც ხელოვანი – შეუდარებელი“.

მაყვალა აბღუშელიშვილი (მოცეკვავე): „სუხიშვილების ანსამბლში 8 წელი გავატარე. უმკაცრესი რეპეტიციების მიუხედავად, ეს იყო უბედნიერესი წლები ჩემს ცხოვრებაში. ბატონმა ილიკომ დამხვეწა, როგორც მოცეკვავე. მისი სიკვდილი ძალიან განვიცადე და ჩემი წუხილი ლექსითაც გამოვხატე“.

ყველაზე მეტი მოსაგონარი დარჩა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატს, ევროპისა და მსოფლიოს ფესტივალების არაერთგზის ლაურეატს ომარ ხუბაევს, რომელმაც 20 წელი დაჰყო სუხიშვილების ანსამბლში:

– ილიკო სუხიშვილი იყო კარგი მოსაუბრე, სწრაფად მოაზროვნე და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი. მისთვის არ არსებობდა გამოუვალი მდგომარეობა. იგი ანსამბლის პატრონი და დასაყრდენი იყო. საჭიროების შემთხვევაში პირველ დარტყმასაც ყოველთვის თვითონ იღებდა. გვეამაყებოდა ხელმძღვანელი, რომელიც ყველას უყვარდა და ყველა აფასებდა. ამ სიყვარულს თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე ვგრძნობდით.

...სომხეთში ჩვენი კულტურის დღეები იყო, რომელსაც მთავრობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ვერავინ გარისკა სცენაზე სიტყვით გამოსვლა. ბოლოს ილიკო გავიდა, დაიწყო უბრალოდ და მოკლე სიტყვაში იმდენი სიყვარული ჩააქსოვა, ტაშის გრიალით გააცილეს სცენიდან.

...ანსამბლში მიღების დროს პროტექცია გამორიცხული იყო. ახალ-მოსული „გამოცდას“ აბარებდა ანსამბლის წინ და ყველას უჩვენებდა თავის შესაძლებლობებს. ვერანაირი ზარი „ზემოდან“ ვერ აიძულებდა ილიკოს სუსტი მოცეკვავე მიეღო. ამდენად, სუხიშვილებთან მოხვედრა ყველა ჯილდოზე მეტი იყო.

ქართული ცეკვის რაციონალიზატორმა ბევრი სიანხლე შემოიტანა ქართულ ქორეოგრაფიაში, ერთ-ერთი იყო კანკალა გასმა ქართულ ცეკვაში (ერთის მაგივრად ფეხს ორჯერ იქნევდნენ). ეს არის ურთულესი ილეთი, რომელსაც ბევრი ცნობილი მოცეკვავეც ვერ ასრულებს. ილიკოსეული კანკალა გასმა ქართულმა ფილმმა „ქეთო და კოტემ“ შემოგვინახა.

ეპილოგის მაგიერ

სიცოცხლის მთელი სიხარული შემოქმედებაშია, ქმნიდე – ნიშნავს მოკლა სიკვდილი.

ილიკო სუხიშვილმა დაამარცხა სიკვდილი – ქართული ცეკვის ქარიშხალით მთელ მსოფლიოს შემოუარა.


დაამარცხა სიკვდილი – ყველა ცეკვაში თავისებური ლოცვა ჩააქსოვა, თავისებური სიუჟეტი.

დაამარცხა სიკვდილი – ქართულ ქორეოგრაფიას ზურაბივით ჩაედუღა და, ვიდრე საქართველოში თუნდაც ერთი ქართველი იცეკვებს, მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ასეა, სიცოცხლე მოკლეა, ჭემმარიტი ხელოვნება მარადიული!

2002 წ.

ლოცვასავით საკითხავი ლექსები



„დიდებულად გალობს და ლოცულობს მეუფე თადეოზის ლექსი! მან სასახელოდ გააგრძელა დიდ ქართველთა ღვაწლი და სტრიქონები, სტროფები ისე ამღერა, ააღულა, რომ ძნელია თავი დააღწიო მათ მაგიურ ძალას. ათას სტრიქონში ადვილად გამოარჩევ მეუფის ლექსს, ამოიცნობ მის რიტმსა და რითმას. ეს იმიტომ, რომ მისი გონებიდან

ანკარა წყაროსავით მოედინება სიდიადე, სიწორფელე და ალაღმართლობა. მისი ლექსები ლოცვასავით უნდა იკითხო, რათა კიდევ უფრო მიუახლოვდე უფალს. პოეზია კი არა, უფრო ამომავალი ცისკრის ვარსკვლავია, საოცრად მოციმციმე და გზის გამაბრღვეიალებელი“, – ასე ახასიათებს თიანეთის და ფშავ-ხევსურეთის მოძღვრის შემოქმედებას მისი ძველისძველი მეგობარი, მწერალი ზაურ წაქაძე.

სწორედ ამ პოეზიის მოსასმენად შეიკრიბა გორის საზოგადოება გორის სასწავლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. შეხვედრა

გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ინიციატივით და მეუფე ანდრიას ლოცვა-კურთხევით. დარბაზმა ვერ დაიტია ყველა მსურველი. ხალხის დიდი ნაწილი გარეთ ელოდებოდა სასურველ სტუმარს.

მეუფის მოლოდინში პოეზიის დიდ მოყვარულ ზვიად ზუბულურს გავესაუბრე:

– სულიერების ზეიმი გვექნება დღეს. არ არის პატარა ამბავი, როცა მღვდელმთავარი, სასულიერო პირი ერის თვალწინ წარმოჩინდება არა მხოლოდ როგორც წარჩინებული და ღირსეული მოძღვართუხუცესი, არამედ როგორც სხვა ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. თუ დავუკვირდებით მეუფის ლექსების ვერსიფიკაციას, რითმებს, დავინახავთ ნამდვილ პოეტს. მის პოეზიაში ისეთი სისუფთავეა, ვერ იფიქრებ, რადგან მეუფე და სასულიერო პირია, იმიტომ საუბრობს ღმერთზე, სულიერ სიწმინდეზე. მორწმუნე საერო პირსაც შეიძლება დაეწერა ასეთი ლექსები, მაგრამ დიდი სარწმუნოებრივი ცეცხლი მართლაც გამორჩეულს ხდის მღვდელმთავრის შემოქმედებას. ცოტა მოუთმენლად ველოდები ღონისძიების დაწყებას, იმიტომაც, რომ ლექსებს კითხულობენ ჩემი მოსწავლეებიც ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის სკოლა-გიმნაზიდან.

დადგა ნანატრი წუთი, დარბაზი ფეხზე ამდგარი შეეგება მეუფე თადეოზს, რომელმაც დალოცა შეკრებილნი და დიდება უსურვა გორს საქართველოს დიდებასთან ერთად.

„მრავალჟამიერი“ დაავუგუნეს ანსამბლ „გორის“ ჩოხოსანმა მომღერლებმა. ღონისძიების წამყვანმა – სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თემურ კაპანაძემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ ერთი წლის წინ რიგითმა გორელმა ქეთევან ხადურმა მას ათხოვა მეუფის ლექსების კრებული „ალთქმული გაზაფხული“, რომელიც მისი სამაგიდო წიგნი გახდა. უდიდესი შთაბეჭდილება მოსვენებას არ აძლევდა, სწორედ მაშინ დაიბადა ამ საღამოს ჩატარების იდეა. თანამოაზრეც მალე იპოვა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ღირექტორის თინა სოსანიძის სახით და ჩანაფიქრი საქმედ აქცეის – ქართლის გულში მოიწვიეს ქართული პოეზიის დიდი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, უწმინდესის უერთგულესი

თანამებრძოლი, სამშობლოსთვის გულანთებული, სათნო და თავმდაბალი მიტროპოლიტი თადეოზი.

თემურ კაპანაძემ ძვირფასი სტუმრის ბიოგრაფია გადაუფურცლა შეკრებულ საზოგადოებას. მეუფე თადეოზი – ერისკაცობაში მირიან იორამაშვილი დაიბადა 1946 წლის 12 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ ფლავეში მრავალშვილიან ოჯახში. ღვთის სიყვარული მორწმუნე მშობლებისგან გადმოეცა, რომლებიც ხშირად დაატარებდნენ მას გერის წმინდა გიორგის და იკორთის მთავარანგელოზის სალოცავეებში. ნაწყვეტი მეუფის დის – ქალბატონ ნანულის მოგონებინდან: „ოჯახში 10 ბავშვი ვიზრდებოდით, იყო გაჭირვებაც, მაგრამ დედა მარიამ ტერაშვილი განსაკუთრებით გამოირჩეოდა უფლისადმი რწმენით. „თუ არა ღვთის დიდი წყალობა, 10 ბავშვს როგორ გავზრდიდით“, – ხშირად იცოდა თურმე თქმა. მირიანი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა დაძმებში ნიჭით, სიკეთით, უდიდესი სიყვარულით. ყოველთვის გაჭირვებულთა შემწე იყო“.

პატარა მირიანმა სწავლა ფლავეის რვაწლიან სკოლაში დაიწყო. პირველი ლექსი 5-6 კლასში დაუწერია. სკოლა ქვეშში დაამთავრა და ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს მიაშურა. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ქვეშის საშუალო სკოლას დაუბრუნდა ისტორიის მასწავლებლად. ერთი წელი გაატარა იქ, მალევე მიხვდა, რომ სხვა იყო მისი გზა-სავალი და მცხეთის სასულიერო სემინარიას მიაშურა სასწავლებლად. ბევრს ემუდარნენ ქვეშელები, მაგრამ არჩევანისთვის აღარ გადაუხვევია.

მომავალი მეუფის სასულიერო გზა ალავერდის საკათედრო ტაძარში დაიწყო, სადაც ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლ ცერცვაძემ ჯერ დიაკვნად, შემდეგ ბერად აღკვეცა და სახელად თადეოზი უწოდა.

1978 წლის 2 აგვისტოს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიონის საკათედრო ტაძარში ეპისკოპოსად აკურთხა იგი. ოთხი ათეული წელია ურთულეს და მძიმე გზას გადის, უფალს და ქართულ სიტყვას ერთად ემსახურება. მისი ღვაწლი კარგად იცოდა მამა გაბრიელმაც, მასვე ეკუთვნის სიტყვები: „თქვენ არც კი იცით, ვინ არის მეუფე თადეოზი“.

ღონისძიებაზე ბევრმა გამოხატა სიყვარული და პატივისცემა მეუფის მისამართით. ვანო ჩხიკვაძემ შეახსენა საზოგადოებას, რომ მეუფე

თადეოზი გორის საპატრიო მოქალაქეა, „ჩემთვის კი საქართველოსი და მსოფლიოსიც. გაუზნარავი სულის პატრონი ნებას არ აძლევდა საქართველოს, რომ საღათას ძილით დაეძინა“, – დასძინა მწერალმა.

X საჯარო სკოლის დირექტორმა გელა ჯაფარიძემ გაიხსენა სტუდენტობის წლები, საერთო საცხოვრებლის 25-ე ოთახი, სადაც მაშინ ერში მყოფ სათნო და გულისხმიერ მირიან იორამაშვილთან ერთად ცხოვრობდა და მისი ბევრი კარგი ლექსის შექმნის თანადამსწრე გახდა. მან ყმაწვილკაცობაში დაწერილი და უკვე დაკარგულად მიჩნეული ლექსები შეახსენა თანაოთახელსა და მეგობარს, რითაც ძალიან გაახარა.

ლექსის „ვალი“ დაუბრუნა მიტროპოლიტს ლექსის ოსტატმა გიორგი მახარობლიძემ.

„ქრისტეს ასაკში ორ თანამდებობაზე მუშაობდა მეუფე თადეოზი – მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი იმავდროულად საპატრიარქოს ქორეპისკოპოსიც იყო“, – აღნიშნა „ბანოვანის“ წევრმა მერი მარწყვიშვილმა და საკუთარი სტრიქონები უძღვნა „გულმართალ და ალალ კაცს“, რომელსაც „ღმერთთან საუბრის და ლექსის გარდა არაფერი აქვს დანაშაული“.

„უფალი ღირსეულებს ირჩევს,“ – ამ სიტყვებით დაიწყო მოგონებათა გახსენება ნუნუ ოთარაშვილმა. მას საკუთარი ლექსებით ჩაენაცვლნენ ბანოვანელი სოფიკო მექვაბიშვილი, პოეტი ნოდარ მდინარიძე და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ჯემალ ინჯია.

„რა იქნებოდა წუთისოფელი, თქვენნაირი კაცები ხანდახან მაინც რომ არ გამოანათებდნენ, – მიმართა პოეტ-მეუფეს სპეციალურად ამ დღისთვის ჩამობრძანებულმა მეგობარმა პოეტმა ტარიელ ხარხელაურმა.

„მიხარია, რომ მაღლიანი საღამოთი ახშიანდა ჩვენი უნივერსიტეტის კედლები და გვესტუმრა ადამიანი, ვისაც ჩვენი დედა-სამშობლოს სულიერ ბურჯად ყოფნა და ქართული სიტყვის მსახურება ერთმანეთთან ხმაშეწყობით შეუხამებია“, – კმაყოფილებას ვერ მალავდა გორის უნივერსიტეტის რექტორი გიორგი სოსიაშვილი.

წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა გედეონმა მრევლისა და ეპარქიის სახელით მადლობა გადაუხნა მეუფე თადეოზს მობრძანებისთვის და იმ სამსახურისთვის, რაც მან გასწია ქართველი ხალხის სულიერების გზაზე კალმითა და ჯვრით

ხელში. მისი ღვაწლი მართლაც რომ დიდი გაკვეთილია თითოეული მართლმადიდებლისთვის.

ლონისძიებაზე მეუფე თადეოზის ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: ელინა გოზალოვამ (XII საჯარო სკოლა), მარიამ სორდიამ (№1 სკოლა-ლიცეუმი), ლექსო მარიამიძემ (ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გიმნაზია), ქეთევან ტიტვინიძემ (IV საჯარო სკოლა), შალვა გაგნიძემ (XII საჯარო სკოლა), ალექსანდრე ცოტნიაშვილმა (XI საჯარო სკოლა), X საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ ირმა ცილიკაშვილმა... დარბაზში ისმოდა კეთილხმოვანი, სიყვარულით გამთბარი, მართალი, ბრძნული სტრიქონები: „შენი სიცოცხლე ერს უხარია, მრავალჟამიერ კათალიკოსო“, „საუკუნეებს აპკურებს / სურნელი შენი ვაზისა“ (წმინდა ნინოს), „ზოგჯერ ძველსაც ემინოდეს გაბრაზებულ ცხვარისაო, / მართალს ღმერთი შეეწევა, გასწევს ქედი ხარისაო“, „ბრძენი მამულზე ლოცულობს, მტერმა არ დაუზიანოს“, „მამულო შენი გადამჩენი მხოლოდ ჯვარია, / მამულო შენთვის თავდადება ზეცის კარია“, „სულის სიმტკიცით ქართულით / სულის მტერს ბრძოდა მარად“ (მამა გაბრიელს), „საკარგემოს თავში მჯდომარევ, ხარ ქრისტეს წმინდა მხედარი“ (ვაჟა-ფშაველას), „თვალგასახელად მოჩიბულ კვირტებს / ნანად ჩაესმით ჩურჩული ხეთა, / ყველაფერს ამბობს ყველაფერს იტევს / ეს უნაზესი სახელი – დედა“...

დარბაზში ღვთიური ხმებიც გაისმა – მეუფე თადეოზის ლექსზე შექმნილი ვალობა „ნეტარ არიან მორწმუნენი“ შეასრულა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდმა (რეგენტი ეთერ იაშვილი), მათვე იგალობეს „იავნანა“, რომლის ფონზეც ლექსი წაიკითხა VIII საჯარო სკოლის მოსწავლემ ალექსანდრე ჭავჭავაძემ. გორის ქალთა კამერულმა გუნდმა (დირიჟორი თეონა ცირაძე) ააჟღერა „მამაო ჩვენო“, „ქუთაისური სერენადა“ და „კირიე ელეისონ“. მუსიკალური ნომრებით გაალამაზეს საღამო სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის III კურსის სტუდენტმა თამარ ხუციშვილმა (პროფესორ ანზორ შომახიას კლასი, კონცერტმაისტერი თამაზ აბრამიძე), მოძღერალმა ემზარ იორამაშვილმა, II საჯარო სკოლის მოსწავლემ ლიკა ვანიშვილმა, ვ. მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლემ ციცი ჯოლობორდმა (პედაგოგ ლამარა ბარამიას კლასი), წმინდა გიორგის სახელობის

სკოლა-ლიცეუმის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ონავრებმა“, III საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ქეთი ლაზარაშვილმა და თაკო კაკა-ლაშვილმა, VI საჯარო სკოლის ანსამბლმა „გორელებმა“, რომელიც სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის შეიქმნა.

თემურ კაპანაძემ მადლობა გადაუხადა გორის გამგებელს პაპუნა კობერიძეს, საკრებულოს თავმჯდომარეს დავით რაზმაძეს, გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი სოსიაშვილს და რესტორან „იმპერიალის“ მეპატრონეს მერაბ ქუჩუკაშვილს გაწეული დახმარებისთვის და დიდი გრძნობით წაიკითხა მეუფე თადეოზის ლექსი „ციდან უფლის წყალობა მალე მოგვევლინება“.

ეკრანზე მეუფე თადეოზის მოღვაწეობის ამსახველი ფოტოკოლაჟი გამოჩნდა, ბოლო სიტყვითაც მან მიმართა მრევლს:

– ყველაზე საშინელ დროში ვცხოვრობთ, როგორც არასდროს ისე გვჭირდება სულიერი სიძლიერე. ჩვენ განსაკუთრებული მრწამსის მატარებელი ერი ვართ. ჩვენი სარწმუნოების ჭეშმარიტებაზე ღაღადებს სააღდგომოდ ცეცხლის გადმოდინებაც წმინდა მიწაზე. მერე როგორი „მომფერებელია“ სააღდგომო ცეცხლი, თავიდან 15 წუთი არაფერს წვავს. ადამიანმა გულით უნდა იწამო ღმერთი და რწმენით ყოველთვის დაფარული იქნები, ბოროტი ახლოს ვერ მოგეკარება. უღმერთობა ძნელია და მიკვირს, როგორ არსებობენ ისინი, ვისაც ღმერთის არ სწამთ. ღმერთი გვაძლიერებს და გვაძლევს ძალას. ღმერთი პირველ რიგში დიდი სიყვარულია და ამ სიყვარულით ჩვენ ძლიერები ვართ. დალოცვილები იყავით, ტკბილ საქართველოს ღმერთი სწყალობდეს, კარგად გახსოვდეთ, ჯვარია ჩვენი გადამრჩენი.

ჭეშმარიტად, მეუფეო!

2014 წ.

სიცოცხლის ფხიბელი დარაჯი



პატარა ღმერთივით დადიოდა პატარა ქალაქში... გამორჩეულად სხვანაირი იყო: უზადლო ინტელიგენტი და რაინდად დაბადებული, უანგარო, დაუზარელი, ადამიანთა სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული, მუდამ სხვის საშველად მომართული.... სააფთიაქო სასწორზე აიწონებოდა მისი პატიოსნება – ერთი მისხალიც არ დააკლდებოდა... არ კითხულობდა ვის ეხმარებოდა: მდიდარსაც და ღარიბსაც, ნაცნობსაც და უცნობსაც ერთნაირად უწვდიდა დახმარების ხელს, ამიტომაც უყვარდათ გორში პროვიზორი ტრიფონ გამსახურდია, ყველა თავის

ახლობლად თვლიდა, ერთი გასაუბრებით იგი „შენიანი“ ხდებოდა. ოჯახი არ დარჩენილა, ვისაც არ მოემსახურა მაღლიანი მკურნალი.

მისი ქალიშვილი – დამსახურებული ექიმი, ამჟამად 90 წელს მიტანებული ნათელა გამსახურდია ხალისიანად იგონებს მამას, ამაყად მიფურცლავს მისი ცხოვრების ეპიზოდებს.

...სენაკის მაზრის სოფელ ნოსირში დაიბადა XIX საუკუნის მიწურულს. მშობლებს მის გარდა ცხრა შვილი ჰყავდათ. მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელმა ჯერ სენაკის ოთხკლასიანი სკოლა დაამთავრა, შემდეგ ქუთაისის ქართული გიმნაზია. სამი წელი იმუშავა ბაქოში, ვიტუშინსკის აფთიაქში. 1915 წელს მოეწყო ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სპეციალურ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ მეაფთიაქის თანაშემწის დიპლომით დაბრუნდა იმავე აფთიაქში რეცეპტორად. ბაქოში სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება ელენე ადამიძეს, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა.

1917 წლიდან საქართველოშია. სხვადასხვა ადგილას მოუწია მუშაობამ. მისი მოღვაწეობის მარშრუტი ასე გამოიყურება: ფოთი – რეცეპტორ-კონტროლიორი კერძო აფთიაქში, ზუგდიდის რაიონის სოფელი დარჩელი – აფთიაქის გამგე, კასპის რაიონის სოფელი წითელქალაქი – აფთიაქის გამგე, ბოლოს გორი – მისი საბოლოო ნავსაყუდელი.

მისი ხელმძღვანელობით გორში ფუნქციონირება დაიწყო ტუბ-დისპანსერმა, რომელიც აღიჭურვა რენტგენის და ფიზიოთერაპიის კაბინეტებით, ბიოქიმიური ლაბორატორიით; გარემონტდა და გაიზარდა საწოლების რიცხვი ქალაქის საავადმყოფოში, მუშაობის უკეთესი პირობები შეექმნათ მოზარდთა პოლიკლინიკას, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციას, სამალარიო სადგურს, ვენდაავადებისა და კანის სნეულებათა დისპანსერს, აფთიაქსა და სხვა. აშენდა საექიმო პუნქტები ქვეშის, ზეღლეულის, კარალეთის, ვარიანისა და სკრის სასოფლო საბჭოებში, ხოლო სადაც არ იყო სამკურნალო ქსელი, საექიმო და საფერშლო პუნქტები გახსნა. მეფევრისხევის, ტყვიავის, შინდისისა და კარალეთის საექიმო შტატს დაამატა გინეკოლოგის, პედიატრისა და სტომატოლოგის სამშტატო ერთეულები. აშენდა საბავშვო ბაგა, სარძევე სამზარეულო და სხვა. იმ პერიოდში გორის სამედიცინო სამსახური ყოველთვის მაღალ დონეზე იყო თავისი მაჩვენებლებით.

სუსხიანი 37 წელი მასაც შეეხო... 23 აგვისტოს დააპატიმრეს, მაგრამ „ქვაზე დადებულმა მადლმა“ თავისი ქნა – ვილაცამ იცნო და ხელი ვერ მოიბრუნეს დასახვრეტად.

1940 წელს ბრალი მოუხსნეს და გაათავისუფლეს.

უფრო მეტი ენთუზიაზმით შეუდგა საქმიანობას. პაციენტებისთვის პირველი წამალი მისი თბილი მხერა და მომწუსხავი ღიმილი იყო. შემდეგ ყურადღებით მოუსმენდა გაჭირვებულს და არაფრისდიდებით უარს არ ეტყოდა დახმარებაზე. თუ სააფთიაქო ქსელში საჭირო მედიკამენტი არ მოიძებნებოდა, თავისი მეთვალყურეობის ქვეშ იქვე დაამზადებინებდა უებარ საშუალებას. თან თავზე ადგა თანამშრომლებს, ამბობდა: მარტო შენაერთი არაფერია, თუ დამზადების წესი დაირღვევაო...

ქალბატონმა ნათელამ გაიხსენა: „ერთხელ ჩემი და ოპერაციას იკეთებდა თბილისში. მამა არ ჩავიდა მის სანახავად. როცა ამის გამო ვუსაყვედურე, აღშფოთდა: „ჩემს შვილს რა ჭირდა, საუკეთესო პროფესორები დასტრიალებდნენ, მე კიდევ რამდენიმე გაჭირვებული ადამიანი იმედით მელოდებოდა, ღამის 4 საათამდე ვმუშაობდი, რომ მეორე დღით მათთვის წამლები დამეხვედრებინაო“.

ასეთი თავდადებული იყო. ძეხორციელი არ არსებობდა მისი მომღურავი. შემოქმედებითად უდგებოდა საყვარელ საქმეს და უმაღ-

ლეს რანგში აყვანილი პროფესიონალიზმის წყალობით უშეცდომოდ კურნავდა სნეულთ.

დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ „ძია ტრიფონს“ მისი მშობლიური №1 აფთიაქის თანამშრომლები: ნელი ჩინჩრიკი, ნანა კეკაური, ბელა კასრაძე, ლუიზა მამუკაშვილი. ახსოვთ უშუალო, კონტაქტური, იუმორით სავსე, ავადმყოფთათვის დაბადებული პროვიზორი, თავაულებლად რომ ამუშავებდა მათ პაციენტის დროული მომსახურებისთვის. თუ რომელიმე თანამშრომელში ეჭვი შეეპარებოდა, აღარ ანდობდა რთული რეცეპტით წამლის დამზადებას. განსაკუთრებით ჰყვარებია ახალგაზრდები. დღემდე ახსოვთ მისი მოფერებით ნათქვამი „გენაცვალებთ სულშიო“.

სიკვდილის ჟამსაც მოემსახურა პაციენტებს. ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი. მასტიტით გაწამებული მეტუძური დედა მივაღექი მის საცხოვრებელს. ოდნავ შეღებული კარიდან მომასხენეს, ბატონი ტრიფონი ძალიან ცუდად არისო. გამობრუნება დავაპირე, მაგრამ ოთახის სიღრმიდან მომესმა მისი დასუსტებული ხმა: „ვინ არისო“ – კითხულობდა. მოახსენეს ჩემი პრობლემის შესახებ. რამდენიმე წუთში ხელთ მქონდა ნანატრი რეცეპტი, რომელსაც დღემდე სათუთად ვინახავ და რომელმაც ოპერაციისგან მიხსნა მეც და ჩემგან დაკვალიანებული სხვა პაციენტებიც.

ჩემს შემდეგ ვიღაც თბილისელი მისულა. კითხვა-კითხვით მიუვნია განსწავლული აფთიაქარისთვის. ისიც დააკვალიანა, მაღლიერი გაისტუმრა და ერთი საათის შემდეგ დაადგა მარადისობის გზას.

აღსანიშნავია მისი დაწერილი მრწამსი, რომელიც ჰიპოკრატეს ფიცის შემდეგ სამაგიდო უნდა იყოს ყველა მედიკოსისთვის:

„უნდა იყო პატრიოტი, შემოქმედი, გიყვარდეს შენი პროფესია, ყოველდღიურად ისწავლე, იკითხე შენი ცოდნის ასამაღლებელი ლიტერატურა.

ავადმყოფებისათვის რჩევა-დარიგებების მიცემისას სამედიცინო ლიტერატურის გადახედვას სირცხვილად ნუ მიიჩნევ. ნუ აჩქარდები, თუ ვერ გაერკვიე, შენზე მცოდნეს მიმართე. არ დაივიწყო წინაპართა დარიგება – „ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი“. ყოველდღიურად იზრუნე შენი ცოდნა-გამოცდილება გადასცე ყველას, განსაკუთრებით მედმუშაებს. გახსოვდეს, რომ მედმუშაკის მიერ მიღებული ცოდნა-

გამოცდილება აუცილებელია შენი თანამემამულის, ადამიანის გაჯანსაღებისთვის.

შენი მოვალეობაა ხალხს ემსახურო. გიყვარდეს ავადმყოფი, ნუ დაიშურებ მისთვის ცოდნის, ენერჯის დახარჯვას. პირადი საქმე გადადე, მას დაეხმარე. სამკურნალო საშუალებებზე უარის თქმა ბოროტებად მიიჩნე.

იყავი თავმოყვარე, უნგარო. ავადმყოფზე გაწეული დახმარებისთვის გასამრჯელოს აღება შეურაცხყოფად, დამცირებად, დანაშაულად ჩათვალე.

არავინ მოატყუო, შენს მიმართ გაწეულ ბოროტებას სიკეთით უპასუხე. ნუ გაარჩევ ადამიანებს მეგობრობით, ნათესაობით, თანამდებობით, პირველად იმას დაეხმარე, ვისაც შენი დახმარება პირველ რიგში ესაჭიროება, თუნდაც შენთან ცუდ განწყობილებაში იყოს. გახსოვდეს, შენი მოქმედება-მოღვაწეობის მაგალითზე მთელი თაობა იზრდება.

ჩემი მიზანი იყო, ზემოთ აღნიშნული მრწამსით მემუშავა, თუ რამდენად შევძელი, ეს ხალხმა განსაჯოს.“

ღიას, სიტყვა-სიტყვით ასე იცხოვრა... ღირსეულად ატარა თეთრი ხალათი, თავისი პატიოსნებით შეაყვარა თავი გორელებს ისე, რომ ყველას გულში ძეგლადაა მისი სახელი. რაღა თქმა უნდა, გრძნობდა ხალხის დიდ სიყვარულს და ეს იყო მისი სიცოცხლის ელექსირი.

მოდე და, ნუ დაეთანხმები გოეთეს, რომ ყველაზე ღიდი ბედნიერება პატიოსნებაა...

2017 წ.

ვასთრჯი იყოს ჩვენი მეგობარი



ცხოვრება ხელოვნებას მიუძღვნა, ხელოვნებით ხალხს ემსახურა. აოცებდა მხანველს „მუსიკალური“ ფეხით. ცერებით მოვლილმა მსოფლიომ მეტი სისადავე და უბრალოება შესძინა. არ უყვარს საკუთარი წარმატებებით თავის მოწონება, არც კი იცის ალაღლად მოპოვებული სიგელების და მედლების ზუსტი რაოდენობა. მიაჩნია, რომ მთავარი ჩინ-მედალი კაცური კაცის სახელის ღირსეულად ტარებაა.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ომარ ხუბაევი სცენაზე, ყველა აღიარებს, რომ იგი ცეკვისთვისაა დაბადებული. სკოლიდან მოსდევს

ცეკვისა და სიმღერის სიყვარული, დღემდე თბილად იხსენებს სიმღერის მასწავლებელს სევერიან ლაზარაშვილს. ბავშვობაში წარმატებით გამოდიოდა სასკოლო ოლიმპიადებზე, უკრავდა, მღეროდა, ცეკვავდა. ბოლოს ამ უკანასკნელმა აჯობა დანარჩენს.

მისი პირველი ნაბიჯები გორის თვითმოქმედ შემსრულებელთა ცეკვის ანსამბლს უკავშირდება, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხეილ შუბაშიკელი ხელმძღვანელობდა. ამ ანსამბლის ძირითად ბირთვის შეადგენდნენ შესანიშნავი მოცეკვავეები: ავთო ლობჯანიძე, ანზორ კუპრაძე, ვალტერ ასაშვილი, მურად ერისთავი, გურამ დედანაშვილი, მორის გელაშვილი, ვართო აბაზოვი. თითოეული მათგანი მისაბაძი იყო დამწყები მოცეკვავისთვის. მათ ხელში გაიზარდა, დაიხვეწა და ასაფრენად მოემზადა.

„ჩვენს ანსამბლში ომარი სრულიად პატარა მოვიდა, – იგონებს მისი უფროსი კოლეგა, გორის კოლორიტი ავთო ლობჯანიძე, – ულამაზესი ბიჭი იყო, თვალშისაცემი, ტანადი. არაჩვეულებრივად ფლობდა ცეკვის ტექნიკას, მასავით ვერავინ ცეკვავდა „სიმღს“, რაც მთავარია, კარგი ყმაწვილი იყო ყველა პლუსით, რაც კი შეიძლება გააჩნდეს ადამიანს. არ ეშლებოდა არც ქვეყნის და არც ხალხის სიყვარული. სადაც არ უნდა წასულიყო, ყოველთვის ახსოვდა, რომ გორელი იყო. ხელოვნების მოტრფიალემ მთელი თავისი შემოქმედება ხალხს მიუძღვნა“.

მოხდენილი ახალგაზრდის ოსტატური ილეთები შეუმჩნეველი არ დარჩენია ჯანო ბაგრატიონს, რომელმაც სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში (დღევანდელი „ერისიონი“) მიიწვია გორელი მოცეკვავე. ანსამბლის ბალეტმაისტერი თავად ჯანო იყო, ლოტბარი – ანზორ კავსაძე.

თურმე ეს მხოლოდ დიდი გზის დასაწყისი იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რას უმზადებდა ფორტუნა. და აი, ის უჩვეულო დღეც გაუთენდა.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი მიმდინარეობდა. ჟიურის თავმჯდომარეობდა ქართული ცეკვის ჯადოქარი ილიკო სუხიშვილი. ოქროს მედლები სამი ნომინაციისთვის იყო დაწესებული: ცეკვა „ქართული“, „ხონგა ქაფთ“ ანუ „მიპატიჟება“ (ოსური დუეტი ცერზე შესრულებით) და „მთიულური“.

იმ დღეს ვერიკო ლანჩავასთან ერთად შეასრულა ოსური დუეტი. გამოჩნდა თუ არა სცენაზე ცერებზე ლაღად მავალი ახალგაზრდა, ილიკო გუმანით მიხვდა, რომ სუხიშვილების ანსამბლს ახალი სოლისტი მოეგვინა.

ოქროს მედლით ხელდამშვენებული ესტუმრა ომარ ზუბაევი ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს და... დაიწყო „ოქროს ხანა“.

გამართლა ილიკოს ნდობა, ორგანულად შეერწყა ახალ კოლექტივს, ფეხი არ შეუნელებია მისი რიტმისთვის. თავდაუზოგავი მუშაობა ილიკოს და ნინოს ცხოვრების სტილი იყო, ყოველდღიური 4-5 საათი ვარჯიში – ჩვეულებრივი მოვლენა. უფრო მეტიც, კონცერტის წინ მთელი დღე სარეპეტიციო დარბაზში ატარებდნენ. არავითარი შეღავათი და დასვენება, ვარჯიშობდნენ სრული დატვირთვით. შედეგი ყველამ კარგად ვიცით: ანშლაგით შემოვლილი დედამიწა, უცხოელებისთვის სცენაზე აღმოჩენილი საოცარი და ეგზოტიკური ქვეყანა „საქართველო“, ერთმანეთს ჩანაცვლებული ნარნარი თუ შოკის მომგვრელი, ცეცხლოვანი ცეკვებით გაბრუებული, აღფრთოვანებული, ტამითა და ოვაციით დაღლილი მაყურებელი მსოფლიოს ხუთ კონტინენტზე.

მეტი რაღაა ბედნიერება, იყო საყვარელი ანსამბლის ყველა დიდებისა და წარმატების თვითმხილველი და მთავარი მონაწილე.

ოცი დაუვიწყარი წელი შემოაცვდა სუხიშვილების ანსამბლში. არაჩვეულებრივი პარტნიორები ჰყავდა: ინგა თევზაძე, სოფიკო იაშვილი, ცისანა გელოვანი... სამ თვეზე ნაკლები არასოდეს ჰქონიათ ტურნე. რვა თვე არგენტინაში იყვნენ, თითო წელი – საბერძნეთში, იტალიაში, ინგლისში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ავსტრალიაში... ყველა ქვეყანას თავისებური ხიბლი აქვს, მაგრამ ესპანეთმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ალბათ იმიტომ, რომ ესპანური ცეკვებიც განსაკუთრებით უყვარს.

საზღვარგარეთ მაშინაც ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ქართველები. ბევრი ატირებული ქართველი ემიგრანტი დაუშვინდება კონცერტის შემდეგ, ნოსტალგიამორეულებს სულიერ შვებას ჰპვრიდათ მასთან საუბარი და სიახლოვე.

გადის დრო და სუხიშვილების გამორჩეული შეგირდი თავად იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. ვლადიკავკაზის აგრარულ უნივერსიტეტში სწავლისას სათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტის ხალხური ცეკვის ანსამბლ „გორეცს“, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია მისი ხელმძღვანელობით – სამჯერ გახდა ევროპის ლაურეატი: ორჯერ ჩეხოსლოვაკიაში, ერთხელ იუგოსლავიაში, 1989 წელს „გორეცმა“ სამზრეთ-დასავლეთ რუსეთის ლაურეატობა მოიპოვა, მის ხელმძღვანელს კი საუკეთესო ბალეტმამისტერის პრიზი გადაეცა, რომელიც დღემდე ინახება უნივერსიტეტის მუზეუმში.

„გორეციდან“ ჩრდილო ოსეთის სახელმწიფო ანსამბლ „ნართში“ გადაინაცვლა. შემდეგ ძირძველი, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ჩრდილო ოსეთის სახელმწიფო აკადემიური ცეკვის ანსამბლის „ალანის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი იყო. ორივე ანსამბლმა ტრიუმფით მოიარა მსოფლიო. სად აღარ უკრავდნენ ტაშს „ნართისა“ და „ალანის“ უზადო შემოქმედებას.

1998 წლიდან ომარ ხუბაევი გორში ჩამოდის და დღემდე ქართული ცეკვის სახალხო ანსამბლის „შავლეგოს“ ხელმძღვანელია. „შავლეგოც“ გაიცნეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. რაც მთავარია, იგი ქართველმა მაყურებელმა შეიყვარა, რომელიც ყველაზე გემოვნებიანი და მკაცრი შემფასებელია. „შავლეგო“ თავისი რანგის ანსამბლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდა საქართველოში. ამჟამად ანსამბლი კვლავ აღმავლობის პროცესშია, იხვეწება ახალი ცეკვები. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა ბრძანა, „შავ-

ლეგოს“ დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს კულტურის სამინისტრო და ფოლკლორის ცენტრი.

...ძუღამ მოძრაობაში მყოფი დაღლას ვერა გრძნობს. საკუთარი თავით არასოდეს ყოფილა კმაყოფილი, უფრო მეტის კეთების სურვილი აქვს. უყვარს ყველაფერი, რაც კარგია და კარგადაა შესრულებული: კარგი ნათქვამი, მოქცევა, ცხოვრება. მისი აზრით, მოცეკვავეს ნიჭთან ერთად ფიზიკური ძალაც უნდა ჰქონდეს. თავად რომ ძლიერი არ ყოფილიყო, ამდენ წარმატებას ვერც მიაღწევდა. კარგად ფლობს კარატეს, უძლიერესია მკლავჭიდიში, ახალგაზრდობაში წარმატებები ჰქონდა ჭიდაობაში, ჯვარში ყოფნის დროს პირველი ადგილი აიღო სამბოში ამიერკავკასიის მასშტაბით, ზედიზედ 6 მოწინააღმდეგე დაამარცხა, მათ შორის სპორტის ოსტატებიც.

მისი ოჯახი ხელოვნების დიდი მოყვარულია. მეუღლე თამარ ანდლულაძე ფორტეპიანოს პედაგოგია. მათ ერთმანეთი კონცერტის დროს გაიცნეს გორში. ვაჟი ცეკვაავდა, ქალი გუნდში მღეროდა. ოთხი წელი ხვდებოდნენ ერთამენთს. როცა თამარის მამამ სასიძოს გაცნობა მოინდომა, მან ვერ გაუბედა, რომ მეორე დღეს დიდი ხნით მიდიოდა გასტროლებზე, ამის შესახებ მოსკოვიდან ამცნო ტელეფონით.

სასიძემროსთან ჩაშლილ პაემანს სხვა „დანაშაულიც“ დაუმატა – გასტროლებიდან დაბრუნებულმა გულისწორი დაუკითხავად წაჰკვარა მამას და ჩინებული ოჯახი შექმნა. იყო ტკივილიც, მაგრამ ერთმანეთის თანადგომით დასძლიეს და გაძლიერდნენ.

სამი ქალიშვილით ხარობენ. ისინი დედის ნაკვალევს გაჰყვნენ. ლალიმ და ნინიკომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრეს. ამჟამად ლალი ბელგიაშია მეუღლესთან ერთად, რომელიც სამხედრო ატაშეა „ნატოში“. ლალის წლინახვერის ვაჟი ალექსანდრე ჯერ კარგად არც იცნობს სახელოვან ბაბუას.

შუათანა ქალიშვილია დიანამ გორის მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა და გორელ პატარებს ემსახურება. იგი დაბადების დღის ცენტრის „არლეკინოს“ დიჯეია. ჰყავს ქალ-ვაჟი, 11 წლის მარი და 9 წლის ნიკა, რომლებიც უზომოდ არიან შეყვარებულნი და ცილაობა მოსდით ბაბუაზე. ნიკა რომ პატარა იყო, ყველაზე მეტი „ანა-ბანა“ (ანუ ბანანი) ომარ ბაბუას მოჰქონდა მისთვის. და-ძმას უყვარს ცეკვა, თუძკა, უფრო მეტად მუსიკა. ნიკა კარგად მღერის ქართულ ხალხურ სიმღერებს. შვილიშვილები ბაბუას სიცოცხლეზე მეტად უყვარს. იგი

ვერ ეგუება წლების მატებას და ხშირად ხუმრობს რუსულად, რომ ის არ არის „დედუშკა“, ის არის „მუჟ ბაბუშკი“.

ქალბატონი თამარი „საშინაო საქმეთა მინისტრია“, მაგრამ საბოლოო სიტყვა ოჯახის მამას ეკუთვნის. შესაბამისად, „ამინდსაც“ ის ქმნის ოჯახში, რასაც იტყვის, კანონია, ყველა უგებს და უძღვებს მის დატვირთულ რეჟიმს.

– თავისი საქმის ფანატიკოსია, ხშირად თავად უკეთებს ინტერპრეტაციას ხალხურ მუსიკას და მერე ღამეები არ სძინავს ახალ მუსიკაზე და ცეკვაზე ფიქრით, სანამ არ დახვეწს და საბოლოო სახეს არ მისცემს, – გამანდო თამარმა, – მოუცლელია, თორემ საოჯახო საქმეები კარგად გამოუდის, ყველაფრის კეთებას ახერხებს, ჩვენი სახლის წინ, მდინარე მეჯუდის სანაპიროზეც საკუთარი ხელით მოაწყო პატარა ფანჩატური.

ბოლო ჟამს ბატონი ომარის საჯილდაო ქვა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირება გახდა. სამხრეთ ოსეთის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, ტურიზმის და სპორტის მინისტრი ენერგიას არ იშურებს ურთიერთობების დასათბობად: ქურთაში უკვე შექმნა ქართული და ოსური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი, კიდევ მრავალი სასიკეთო საქმე აქვს დაგეგმილი.

– როდესაც მინისტრობა შემომთავაზეს, დიდხანს ვფიქრობდი ამ წინადადებაზე და გადავწყვიტე: თუკი შემიძლია სიკეთის მოტანა ორი ერის შერიგების პროცესში და უარს ვიტყვი, ეს იქნება ჩემი მხრიდან არასწორი ნაბიჯი და დანაშაული. ამიტომ ავიღე თავზე ამ ურთულესი მისიის შესრულება. მე მომწონს სანაკოვეის პოლიტიკა, რომელიც ემსახურება ორი ერის კვლავ დაახლოებას, ხალხის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას და გალამაზებას. ძალიან ბევრი ადამიანი შემოგვეყურებს იმედის თვალთ, ნდობას კი გამართლება სჭირდება. ამ ურთულეს მისიას სიამოვნებით ვასრულებთ. აბა, ჩვენი დატვირთვა რა მოსატანია იმ სიხარულთან, რაც ორი ხალხის ურთიერთნდობის აღდგენას და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას მოჰყვება, – გულწრფელად გამანდო მინისტრმა.

საუბრის ბოლოს სირჩას მოჰკიდა ხელი.

– ვასთრჯი ოსების სალოცავია. დაე, ვასთრჯი იყოს ქართველი და ოსი ხალხის ნათელი მომავლის მეგზური!

ღმერთმა გისმინოთ, ბატონო ომარ!

მაყურებელს ენაგრება სცენის კორიფე



„წიწამურიდან“ დაიწყო მისი აღზევება წამყვანი როლებისკენ. წარმოდგენელია, მაგრამ ცხრამეტი წლისამ დამაჯერებლად ითამაშა ამ სპექტაკლში ხანდაზმული პოლიცმაისტერი. მას შემდეგ 50 წელი აღამაზებდა ქართულ სცენას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ალექსანდრე პოპოვის, კოტე მარჯანიშვილის და შმაგი სამნიაშვილის პრემიების ლაურეატი ოთარ ქუთათელაძე. 200-მდე კოლორიტული სახე გამოძერწა და დამსახურებულად მიიღო ხალხის სიყვარული.

სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სასკულტურის, მოზარდ მაყურებელთა და რუსთავის სახელმწიფო თეატრებში. ლილი იოსელიანის ნამოწაფარს შეეძლო დიდ სცენებზე ემოლვაწა, მაგრამ დედის სიყვარულმა დააბრუნა გორში და იმ დღიდან თავი გორელებს მიუძღვნა. როგორც პოეტმა და პროზაიკოსმა ზეინაბ მეტრეველმა აღნიშნა, მას არასოდეს მოუხსნია სინდისიერების ტვირთი, ყოველთვის იყო ნიჭიერების, კაცობის და ჭეშმარიტი მამულიშვილობის ბარომეტრი.

70 წლის იუბილე გასული წლის სექტემბერში უნდა ეზეიმა, მაგრამ აგვისტოს მრისხანე ცამ თავდაყირა დააყენა ყველაფერი. საბედნიეროდ ომმა მალე გადაიქუხა და მაყურებელთან დაგვიანებული „პაემანი“ გორის სამუსიკო სასწავლებელში 2009 წლის მარტში შედგა. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად იმ დროს გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში სპექტაკლი იყო დანიშნული, ოთარ ქუთათელაძის ნიჭის უამრავი თავყვანისმცემელი მოვიდა სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში. უადგილოდ დარჩენილები დერეფნიდან ადევნებდნენ თვალს ღონისძიებას. საღამოს უძღვებოდა გორის უნივერსიტეტის პროფესორი თამილა გოგოლაძე.

დიდ ხელოვანს იუბილე მიულოცეს მეგობრებმა და მისი ნიჭის თავყვანისმცემლებმა: გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გივი აბალაკმა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა, ღირსების ორდენის კავალერმა, რეჟისორმა

ანზორ გვაძაბიამ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა დარეჯან ჭამაურმა, პოეტებმა ვაჟა შიუკაშვილმა და მერი მარწყვიშვილმა, ახალგაზრდა იურისტმა შალვა ტლაშაძემ, ყოფილმა მოსწავლეებმა სანდრო და თიკო ონიაშვილებმა. ყველას უნდოდა გამოეხატა საყვარელი ხელოვანისადმი სიყვარული და პატივისცემა.

– დიდი მადლობა, რომ ის მსახიობად გაჩნდა ამქვეყანაზე, გორის თეატრი ვერ იტევდა მის ხმასა და ენერგიას. პატივი უნდა ვცეთ უდიდეს მსახიობს, რომელმაც ეპოქა შექმნა მშობლიურ თეატრში, – აღნიშნა ჟურნალისტმა ვასილ მამულაშვილმა.

– რა გეჩქარებოდა 70 წლის რომ გახდი, – „უსაყვედურა“ მეგობარს კომპოზიტორმა ჯემალ ბეგლარიშვილმა, – დაგეცადა 20-30 წელი, თეატრს გაარემონტებდნენ და ღირსეულ იუბილეს მოგიწყობდით.

– ოთარ ქუთათელაძე ჩვენი ქალაქის და ქვეყნის სიამაყეა. გარდა იმისა, რომ დიდი მსახიობია, წლების მანძილზე ქართული სიტყვის მადლს ასწავლიდა, მხატვრულ კითხვაში წაფავდა მოწაფეებს, თანაც უანგაროდ, ყოველგვარი ჰონორარის გარეშე. გვიყვარხარ და გვეყვარები, ბატონო ოთარ, ჩვენო სასიქადულო მამულიშვილო! – მიმართა ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა რობერტ მალაქელიძემ.

– დღეს მაქვს უფლება, რომ ავლელდე. კიდევ მომეცა საშუალება, რომ 30 წლის შემდეგ, თუნდაც ამ ამპლუაში, სცენაზე ვიდგე იმ ბუმბერაზ მსახიობთან ერთად, რომელსაც ოთარ ქუთათელაძე ჰქვია, – სიამაყით განაცხადა პოეტმა და მსახიობმა ნოდარ მდინარიძემ, – მართალია ეს იუბილე თეატრში არ გაიმართა, მაგრამ გული არ დაგწყდეთ, ბატონო ოთარ, ის სცენაც ძალიან პატარაა თქვენთვის.

– ოთარმა ორი ცხოვრებით იცხოვრა: ჩვეულებრივი ადამიანის და დიდი მსახიობის. საოცრად კეთილშობილი, მაღალი კულტურის მატარებელი და თავმდაბალი დღემდე დიდი ბავშვია, – ასე დაასახისათა მეგობარი პოეტმა ვახტანგ ჭანკოტაძემ.

ღონისძიება გაალამაზეს მომღერალმა თამუნა ოქროპირიძემ, გორის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გორის“ (ხელმძღვანელი ზურა ბერიძე) მოცეკვავეებმა, იუბილარის შვილიშვილებმა – ლალი და ოთარ ქუთათელაძეებმა, პატარა მომღერალმა შალვა ჯავახიშვილმა.

უნჩამოდ ისმენდა იუბილარი სოტბა-დიდებას. სადღაც შორს იმზირებოდა ნალველმორეული თვალებით, თითქოს ეს ყველაფერი მას არ ეხებოდა. არც არის გასაკვირი. მავანთაგან ომამდეც „ნაომარი“ და თეატრს მოშორებული სული კიდევ უფრო დაუძძიმა აგვისტოს მოვლენებმა და ფიქრად აქცია დამოკლებული სამშობლოს ბედით დანალვლიანებული ხელოვანი. მის კაემანს გასაღები მოუძებნა გორელების საყვარელმა ლოტბარმა გიორგი საძაგლიშვილმა, თბილი მისალმების შემდეგ „დუელში“ გამოიწვია იუბილარი და მომაჯადოებელი ხმით სიმღერა წამოიწყო. „ურმულის“ ფონზე ლექსად დაიღვარა სიტყვის მეხობტე, ძველებური რიხითა და ჩვეული ოსტატობით მოხიბლა და ააცრემლა მის შემოქმედებას დანატრებული გორელები.

იუბილეზე შეკრებილებს ერთი სიურპრიზიც ელოდათ. ხელოვანის მეუღლემ, თავადაც ხელოვანმა, ქალბატონმა ოლია ბრავაკიმე წიგნად ჩამოქნა წლების მანძილზე მეუღლეზე თქმული და დაბეჭდილი, დულაბად ქართლ-კახური იუმორით გაჯერებული ლალი სტრიქონები დაამატა მათი ოჯახური ყოფა-ცხოვრებიდან და ოთარ ქუთათელაძის ერთეულ მაყურებელს მიუძღვნა. არაჩვეულებრივ წიგნში „თეატრში ქუხდა ქუთათელაძე“ ყველა ჭრილშია დანახული საყვარელი მსახიობი, ხაზგასმულია სცენის დიდოსტატის ნაღდქართველობა, კაცურკაცობა, რაინდობა და უდიდესი თავმდაბლობა.

– ჩვენ ვეცნობით თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულ არტისტს, რომელიც უშურველად იხარჯება. მას არ შეუძლია ზერელედ მოეკიდოს პატარა როლსაც კი. უზომოდ იხარჯება, ცდილობს ღრმად ჩასწვდეს პერსონაჟის ბუნება-ხასიათს, თავისებურად გაიაზროს იგი და ორიგინალური შტრიხებით წარმოაჩინოს, – ამბობს წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი ნოდარ ტაბიძე და იქვე დასძენს, – ბატონი ოთარი ახლაც შემართულია, შემოქმედებითი ცეცხლით აღსავსე, თეატრის კარი კი მისთვის დახშულია (ხანდაზმული ბრძანდებით). საზოგადოებას სურს, რომ კვლავ იხილოს სცენაზე ოთარ ქუთათელაძე, კვლავ დატკბეს მისი ოსტატობით. ამიტომაც მოითხოვენ შეცდომის გამოსწორებას.

გორელი მაყურებელიც უერთდება ნოდარ ტაბიძის სურვილს, მოუთმენლად დაველოდებით იმ დღეს, როცა სცენაზე მისი უზადო ოსტატობით შესრულებული როლის შემდეგ ოვაციებით დავიღლებით.

მარად ახალგაზრდა ხელოვანი



საოცრად უხდება გორის ქუჩებს. მხარზე ჩანთააკიდებული ახალგაზრდული შემართებით დაიარება და მუდამ მზად არის სხვის დასახმარებლად. თავაზიანი ღიმილი და გულიანი მოკითხვა მისი სავიზიტო ბარათია. მრავალწახნაგონად ნიჭიერი შემოქმედი და მზრუნველი პედაგოგი ყველგან წარუშლელ კვალს ტოვებს. ქველმოქმედებით განთქმულს „პაპა ტერეზაც“ შეარქვეს.

ხუთი ათეული წელი გაატარა სცენაზე და აი, თხემით ტერფამდე თეატრალმა 75-ე წელი ჩამომარცვლა ცხოვრების კრიალოსანზე. იუბილე „არტ-კაფეში“ მოუწყო გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირმა. დარბაზი ვერ იტევდა მეგობრებსა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს. შეხვედრა გახსნა გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის პრეზიდენტმა დათო ახლოურმა, რომელმაც მიულოცა სახელოვან და ღვაწლმოსილ შემოქმედს იუბილე.

შეკრებილი საზოგადოება გაამხიარულა ანზორ გვაძაბიას რეპლიკამ – „75 წლის“ ხსენებაზე ახალგაზრდული სულის „თინეიჯერმა“ რეჟისორმა მყისიერად მოითხოვა, „ციფრები შეატრიალით“.

სალამოს წამყვანმა ლიტერატურათმცოდნე მანანა მგალობლიშვილმა სიყვარულით ისაუბრა ხელოვანზე. სალამოზე გაიხსენეს მისი ბიოგრაფია და შემოქმედება.

თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა. ბებიისგან ქცევის მანერები ისწავლა, დედისგან „ვეფხისტყაოსანი“. 1954 წელს თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის თეატრალური განყოფილების სტუდენტი გახდა. სადიპლომო სამსახიობო სპექტაკლში მიუსოვის მძაფრი სახასიათო როლი ითამაშა (ვ. კატაევის „დასვენების დღე“), ხოლო სარეჟისორო სპექტაკლში – ფილოსოფოსი ქსანტე (ფიგეირედოს „მელა და ყურძენი“).

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიწვევით გაემგზავრა ფოთის თეატრში სამუშაოდ. საპატიო სიგელითაც დაჯილდოვდა ახალგაზრდა ინჟინრის როლისთვის სპექტაკლში „ჩამოდით ჩვენთან“. კეთილსინ-

დისიერი მუშაობისთვის ფოთის მოწინავე ადამიანების შემადგენლობაში ჩაირიცხა, მისი სურათი კი საქალაქო სტენდზე გააკრეს.

შემდეგ გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრში გაიბრწყინა მისმა ნიჭმა. გორში ლენინის როლით გაიცნეს (პოპოვის „ოჯახი“). იმდენად შეუყვარდა ეს ქალაქი, აღარც უფიქრია მისი მიტოვება, საკუთარ თავს „გაგორებულ“ მეგრელს უწოდებს. თუმცა, რამდენიმე წელს მაინც მოუწია ზუგდიდის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობამ, საბოლოოდ ისევ გორს დაუბრუნდა. სახასიათო როლების ბრწყინვალედ შესრულების შემდეგ უსაყვარლესმა პედაგოგმა ლილი იოსელიანმა ასეთი შეფასება მისცა მოსწავლეს: „ანზორ გვაძაბია უარტიტულესი მსახიობია, სიხარულის, სილამაზის მომნიჭებელი შემოქმედი“.

36 წლის ასაკში სახმო სიმების დაზიანების გამო გადაწყვიტა რეჟისურაში ეცადა ბედი. არ იღებდნენ ასაკის გამო. საბედნიეროდ, პროტექტორობამ გაჭრა, თორემ, ხომ ვერ შექმნიდა შესანიშნავ სპექტაკლებს. ერთ-ერთი მათგანი შარლ პიეროს „წითელქუდა“ ორი ათეული წელი აღაფრთოვანებდა მაყურებელს.

თეატრის პარალელურად ბატონი ანზორი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა და ეწევა დღემდე. სტუდენტების გარდა მეგობრობს გორის ინვალიდთა კლუბის უნარშეზღუდულ პატარებთან, რომლებთანაც მუდამ სიხარულით მიიჩქარის. უანგაროდ დაენმარა მათ ორი სპექტაკლის დადგმაში, პატარა მსახიობების ფორმებზეც თვითონ ზრუნავდა.

იუბილეზე სიტყვით გამოსულმა სტუმრებმა სახელდახელოდ „დახატეს“ მისი პორტრეტი.

ვანო ჩხიკვაძე: „ისეთ დროს მოვიდა ანზორი თეატრში, როცა საქართველოს თეატრალური ცა გადაჭედილი იყო ვარსკვლავებით. ფენდაფენ მოჰყვა მისი თაობა დიდ კორიფეებს და ღირსეული მემკვიდრეობაც გაუწიეს მათ. დიდი ამაგი აქვს გორის თეატრზე. მომავალ თაობას ხომ გვერდიდან არ იშორებს, დიდი ხდია ახალგაზრდობასთან. არ გირჩევთ ანზორის ასაკზე საუბარს, ეს კაცი ცალკე ცხოვრობს და წლები ცალკე“.

ნანა თავზარაშვილი: „უზომოდ უყვარდა ჩემს თაობას თეატრი, მთელი კვირა საგანგებოდ ვემზადებოდით წარმოდგენაზე დასასწრებად, ვიპრანჭებოდით, კაბებს ვარჩევდით. ბილეთებს წინასწარ თუ არ დაჯავშნიდი, სპექტაკლის დღეს შეიძლება ვეღარც გემოვა. თეატრში შესული დედო-

ფლად გრძნობდი თავს. არაჩვეულებრივი მსახიობები გვყავდა, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ანზორ გვამბიას. მისი შესრულებული როლებიც მოგვწონდა და დადებული სპექტაკლებიც“.

მერი მარწყვიშვილი: „ყველამ ვიცით, რომ ხელოვნება აკაიკაცებს და აკეთილშობილებს ადამიანს. ბატონი ანზორის შემთხვევაში, ხელოვნება კი არ ალამაზებს მას, პირიქით, იგი თავად ალამაზებს ხელოვნებას.“

კახი ფაჩოშვილი: „ანზორის ნაკლი ის გახლავთ, რომ ნაკლი არა აქვს“.

ვაჟა შიუკაშვილი: „რაც გორელი გახდა, იმის მერე ვიცნობ. მაცოცებს მისი კონტაქტურობა ადამიანებთან, მისი „მრავალდარგოსნობა“. დვილი არ არის, იყო ერთდროულად წარმატებული რეჟისორი, მსახიობი და ქორეოგრაფი“.

სოფო მეჭეპიშვილი: „ჯემალ მელქაძე მას ფიგაროს უწოდებდა – ყველგან იყო და არსად დაუგვიანია. ფეხით შემოიარა და მოძებნა უღელმამო ბავშვები და მეურვეობას უწევდა მათ“.

ჯერი ახალგაზრდებზე მიდგა. საყვარელ პედაგოგს იუბილე მიულოცეს შეგირდებმა. ლექსთა თქმაში ევზიბრობდნენ ერთმანეთს გორის უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრის წევრები: გიორგი ბერუაშვილი, ლევან ლომიძე, თამარ ოქროშიაშვილი, სოფო მუზაშვილი, დათო ჩრდილელი, ლალი გიგაური, ავთო ტიტვინიძე, ბაჩო ქორქაშვილი, თეონა რუსიტაშვილი, თეონა პაპუაშვილი, გიორგი სტეფანიშვილი, ლიკა ბუთურიშვილი, შალვა ჩოხელი.

საიუბილეო საღამო დაამშვენა ულამაზესმა ქართულმა სიმღერებმა გიორგი საძაგლიშვილისა და ლალი ტონიას ღუეჭის, ომარ გრიგალაშვილის, ლალი ჯავახიშვილის და მარიკა კვალაიაშვილის შესრულებით.

საღამოს დასასრულს იუბილარმა წაიკითხა ლექსები, სხარტი და ენერგიული მოძრაობით შეასრულა ქორეოგრაფიული ნომერი, ნიშნად იმისა, რომ წლებმა ვერაფერი დააკლო და ძველებურად კვლავაც ფორმაშია.

– გვიყვარდეს ახალგაზრდები, როგორებიც არ უნდა იყვნენ, – მოუწოდა იუბილარმა შეკრებილ საზოგადოებას.

თავად ასე უყვარს, გვერდიდან არ იცილებს და თავს ევლება სტუდენტ გოგო-ბიჭებს.

სწორედ ეს არის მისი ახალგაზრდობის საიდუმლო გასაღები.

გვეამაყებით, ბაგონო ჯემალ!



უცნაურად დაიწყო მისი მუსიკალური ცხოვრების გზა... მუსიკას არსად არ სწავლობდა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა მაშინ, როცა მამილამ პიანინო იყიდა. თარიღი კი ახსოვს – 1953 წელი იდგა. მეზობლის გოგომ დაიწყო სიარული მათ ოჯახში ფორტეპიანოზე სამეცადინოდ და ისეთ გულში ჩამწვდომ მელოდიებს აჟღერებდა, თვითონაც გაუჩნდა მუსიკისადმი ინტერესი. მაშინ 13 წლის იყო.

14 წლისამ სმენით დაიწყო მელოდიის მიმსგავსება, უსმენდა საესტრადო სიმღერებს და ასე ერთობოდა. ერთხელაც თითები პროფესიონალივით ათამაშდა კლავიშებზე და... მიხვდა, რომ ეს მელოდია არსად მოუსმენია, რომ იგი მისეული იყო. ამ მიგნებამ ჟრუანტელივით დაუარა მთელ სხეულში და სისხლი აუჩქროლა. ამის შემდეგ ძიების ფორიაქით შეპყრობილი აღარ აჩერებდა თითებს, თავისებური ნოტებიც მოიგონა, რომ მუზად მოსული მელოდია როგორმე დაემასსოვრებინა. შემდეგ ხუთნახიანი ნოტები იშოვა და აგრძელებდა „გულის ჭიის“ გაზარებას. 15 წლისამ გიტარის თვითმასწავლებლის დახმარებით ვიოლინოს გასაღები ისწავლა და, როგორც თვითონ ამბობს, ნოტების „ცოტა აზრზე მოვიდა“.

16 წლისამ მარტოლმარტომ თავიდან ბოლომდე გააჩნია ბეთჰოვენის ოცდახუთივე სონატა. ეს შეიტყო მისმა მეზობელმა და „დაასმინა“ იგი ერთ-ერთ მუსიკის მასწავლებელთან. უნაკლოდ შესრულებული 25 სონატის მოსმენის შემდეგ გადაირია ის პედაგოგი, № 1 სამუსიკო სკოლის დირექტორთან – ნიკოლოზ ბახტაძესთან გადაამისამართა ნიჭიერი ყმაწვილი. დირექტორიც გადაირია, მაგრამ სკოლაში ვეღარ მიიღო – უკვე დიდი ბიჭი ხარო.

გავიდა კიდევ ერთი წელი... უკვე ხვდებოდა, რომ მუსიკის გარეშე სიცოცხლე აღარ შეეძლო. კატეგორიულად განუცხადა მამას, რომ სკოლაში აღარ ივლიდა, თუ მუსიკის მასწავლებელთან არ ატარებდა. მამა არ იყო ამის წინააღმდეგი, მაგრამ ფინანსური პრობლემების

გამო ვერ უსრულებდა სურვილს. ისევ მამიდამ იყოჩაღა. დახმარება ალუთქვა საყვარელ ძმისშვილს.

მისი პირველი მასწავლებელი ვოკალისტი თინა ჩაჩიბაია იყო. პატარა ვუნდერკინდმა სამუსიკო სკოლა ექსტერნად დაამთავრა, შვიდი წლის მასალა წელიწადსა და ოთხ თვეში გაიარა. გამოცდაზე ამაყად უყურებდა თინა მასწავლებელი მისი მოსწავლით მოხიბლული პედაგოგების გაცეხულ სახეებს.

ნიჭიერ მოსწავლეს პარალელურად პატარა-პატარა მუსიკალური ნაწარმოებებიც „ეწერებოდა“, გაერკვა თუ არა ნოტებში, დღეში ერთ-ორ ნაწარმოებს მაინც წერდა. 1958 წლის იანვარში საბავშვო ოპერა „ნიშნების გასაუბრება“ დაწერა, რითაც ძალიან მოიხიბლა ცნობილი კომპოზიტორი ალექსანდრე შავერდაშვილი. სწორედ მისი ხელშეწყობით გააგრძელა სწავლა თბილისის IV მუსიკალურ სასწავლებელში. ფაკულტეტის არჩევის უფლება მისცეს, რატომღაც კონტრაბასი აირჩია. პარალელურად კომპოზიციაში შავერდაშვილი ამეცადინებდა. სადიპლომო კომპოზიციით დაამთავრა სასწავლებელი, მაგრამ წითელ დიპლომში ცარიელი დაუტოვეს სპეციალობისთვის განკუთვნილი გრაფა (მაშინ დიპლომში არ იწერებოდა სპეციალობა „კომპოზიტორი“).

1962 წლიდან ალექსანდრე მაჭავარიანის კლასში სწავლობს კონსერვატორიაში, რომლის დამთავრებისთანავე სიღნაღში გაანაწილეს. პირველი წელი ძალიან დატვირთული ჰქონდა: თბილისში ცხოვრობდა, სიღნაღსა და გორში მუშაობდა, განაწილებული ჰქონდა კვირის დღეები: სამი დღე სიღნაღისა იყო, ორი დღე გორის სამუსიკო სასწავლებელში ასწავლიდა თეორიულ საგნებს. და აი, მის ცხოვრებაში სიყვარულის დროც დადგა.

ულამაზესი, თაფლისფერთვალეა გოგონა მოეწონა. პირველი დანახვისთანავე შოკი მიიღო, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ გაუბედა. გოგონას ბეჭედი ეკეთა ხელზე და გათხოვილად ჩათვალა. მოგვიანებით შეიტყო, თურმე ბეჭდის ტარება ხრიკი ყოფილა აბეზარი თაყვანისმცემლების თავიდან მოსაშორებლად.

ახლობლები ჩაერივნენ მათ ურთიერთობაში, უშუამდგომლეს ქალიშვილის მშობლებთან, მათაც უარი არ უთხრეს სასურველ სასიძოს და მალევე იქორწინეს ჯემალ ბეგლარიშვილმა და ლალი გრძელიშვილმა.

44 წელი ლაბა ხარებივით ჭაპანწყვეტაში გაატარეს. ადვილი არ იყო ოჯახის რჩენა მუსიკოსისთვის. მძიმე წლებში კომპოზიტორის ნატიფი თითებით საღურგლო სამუშაოსაც ეწეოდა ოჯახის გამოსაკვებად. ლალიც სამუსიკო სკოლის პედაგოგი იყო მცირე ხელფასით. ცოლ-ქმარი გაჭირვებას იუმორით და სიკეთით ებრძოდა. დღემდე სიყვარულით ანთებული თვალებით ლაპარაკობს ბატონი ჯემალი აწ გარდაცვლილ მეუღლეზე, რომლის გადიდებული სურათიდან წარმტაცი სილამაზე დღესაც ვფინება ბეგლარიშვილების სახლს.

სიკეთის განსახიერება ყოფილა ლალი. იგი იყო მისი ნაწარმოებების პირველი შემფასებელი. მეუღლის ყოველი ხუმრობა ახსოვს, ისიც, როგორ გამოაკრა ლალიმ დიდი ასოებით დაწერილი წარწერა სამუსიკო სასწავლებლის ფოიეში: „ვეცვლი კომპოზიტორ ქმარს ბიზნესმენში“. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, თორემ ერთმანეთზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. საოცრად ხალისიანსა და იუმორით სავსე ლალის ლატარიის ბილეთების ყიდვა ჰყვარებია, ბოლოს მართლა გაუმართლა და მოიგო კიდევ ავტომობილი.

მეუღლისგან ყველაზე ძვირფასი სამახსოვრო ქალ-ვაჟი დარჩა. ქალიშვილი №1 მუსიკალური სკოლის პედაგოგია. ვაჟმა არ ისურვა მამის ნაკვალევზე სიარული და სხვა პროფესია აირჩია. ბატონმა ჯემალმა შეიღვივით მიიღო ოჯახში რძალი. მისი სამი შვილიშვილიდან ყველაზე პატარა ქეთათო ბეგლარიშვილია. საერთოდ, ძალიან უყვარს ბავშვები, ქუჩაში გავლილ პატარასაც კი მოუფერებლად არ უშვებს და საკუთარს რას უზამდა. ქეთათოს გაზრდაში ძალიან ეხმარებოდა რძალს, ლალის სანაცვლოდ დაუდგა მხარში და უდღეამთილობა არ აგრძნობინა.

50 წელი უანგაროდ ემსახურა მუსიკალური კულტურის განვითარებას, მაგრამ რად გინდა? დიდი ფული არასდროს ჰქონია, მაგრამ ახლა მუშაობის სტაჟი უფრო მეტი აქვს, ვიდრე ხელფასი – 45 ლარად აზიარებს მუსიკის სიყვარულს მოსწავლეებს. იმაზეც ძალიან წუხს, რომ ერთ დროს აჟრიაძეებულ მუსიკალურ სასწავლებელში თანდათან სიწყნარე ისადგურებს.

ბატონი ჯემალი საგუნდო ჟანრშიც მუშაობს და ვოკალურშიც. გაფორმებული აქვს რეჟისორ იური კაკულიას სპექტაკლები: „მთას

დაუბრუნდა მთიელი“, „კიკვიძე“, „კახაკები“, „ახალგაზრდა გვარ-
დია“. ბოლო ორი სპექტაკლი სოხუმის თეატრშიც დაიდგა. საგუნდო
კონკურსებში მიღებული აქვს ორი პირველი, ორი მეორე და ერთიც
მესამე პრემია.

გორის ჰიმნზე ჩამოვუდგე სიტყვა, მის ერთ-ერთ საუკეთესო სიმღე-
რაზე, რომელიც პოეტ ბეგლარ ნოძაზის ლექსზე დაწერა. „ჩემი გორი
გულის თანასწორია“ – ეს ტექსტი თავისი ჟრუანტელისმომგვრელი
მუსიკით იმთავითვე აიტაცა გორის მოსახლეობამ.

„ჰიმნომანია არ მიყვარს, მაგრამ ეს სიმღერა ჩემს თავს დაუეკვეთე,
ბევრი ვიფიქრე, მინდოდა იგი ყველას სიმღერა ყოფილიყო, ამიტომ
მოვუნდი დიდხანს მის შექმნას. 11 წელი ელოდა დაწერილი სიმ-
ღერა შესრულებას. პირველად სამამულო ომის დამთავრების 45-ე
წლისთავზე შესრულდა ლომკაცის ძეგლთან“, – ამბობს სიმღერის
ავტორი. წლების შემდეგ ჰიტად ქცეული სიმღერა ფოლკლორის
სარდაფმა ჩაწერა ზურა ჩხეიძის ხელმძღვანელობით.

ნიჭი და ღვაწლი არასოდეს რჩება შეუმჩნეველი. ტიტულებმაც
„მოაკითხეს“ რჩეულს – გახდა გორის საპატიო მოქალაქე, მიენიჭა
ვანო მურადელის სახელობის პრემია. 2015 წლის 23 აპრილს გო-
რის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში გაიმართა გორელების
საყვარელი და აღიარებული კომპოზიტორის 75 წლის იუბილე. სა-
გუნდო მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დამსახუ-
რებისთვის ჯემალ ბეგლარიშვილს „ქართული საგუნდო მუსიკის
ამაგდარის“ მედალი და საპატიო სიგელი გადასცა საქართველოს
საგუნდო საზოგადოების ხელმძღვანელმა ლია ჭონიშვილმა. გარდა
ამისა, თავადაზნაურთა შიდა ქართლის სადროშომ „ხელოვნების რაინ-
დის“ წოდება მიანიჭა, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციამ „გორის
დარბაზი“ გორის ოქროს ფონდის სიგელი გადასცა. ქალაქ გორის
მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის სახელით კომპოზიტორს
იუბილე მიულოცა და „ვეფხისტყაოსანი“ უსახსოვრა საკრებულოს
თავმჯდომარემ პაპუნა კობერიძემ.

საოცრად უყვართ ბატონი ჯემალი მეგობრებსა და სტუდენტებს.
ამ სიყვარულზე მესაუბრა მისი ერთ-ერთი მეგობარი, მუსიკათმცოდნე
მანანა ზუციშვილი: „ჩვენ ორმოცდაათწლოვანი მეგობრობა გვაკავში-
რებს და ჯერ არავისგან მახსოვს მასზე ცუდად თქმული. როგორც

პიროვნება, ჯემალი არაჩვეულებრივად გულისხმიერი, უანგარო და თბილია, ადამიანური დამოკიდებულებით გამოირჩევა როგორც კოლეგების, ასევე სხვების მიმართაც. შესანიშნავი საგუნდო ნაწარმოებების ავტორია, მსოფლიო დონის ნაშუშევრები აქვს. როგორც პედაგოგი, იგი ძალიან მცოდნე და გადმოცემის უნარით დაჯილდოებულია. სტუდენტებთან გულისხმიერებით და გულთბილობით გამოირჩევა, ასევე პასუხობენ ისინიც. დღემდე აქვს კონტაქტი თავის ყოფილ მოსწავლეებთან, რომლებიც წარმატებულ პედაგოგებად ჩამოყალიბდნენ მისი დამსახურებით. ერთ-ერთი ყოფილი მოსწავლეა ლია ჭონიშვილიც – კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის პროფესორი, რომლის ხელმძღვანელობით პირველად გამოვიდა ჯემალ ბეგლარიშვილის რჩეული საგუნდო ქმნილებების ორტომეული“.

აღსანიშნავია, რომ მანამდე ამ ნაწარმოებების უმრავლესობა ხელნაწერის სახით არსებობდა და მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი. ორტომეულის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს ჯემალ ბეგლარიშვილის საგუნდო შემოქმედება.

თავმდაბალმა ხელოვანმა მოკრძობებით აღნიშნა: „ადრე თუ ჩემს სიმღერებს მარტო გორში მღეროდნენ, ახლა რიგაში და სანკტ-პეტერბურგშიც მღერიან“. სინამდვილეში მისი ნაწარმოებების შესრულების გეოგრაფიული არეალი საკმაოდ გაიზარდა. ცნობილი დირიჟორისა და ლოტბარის გიორგი საძაგლიშვილის სიტყვები მინდა გავაჟღერო: „საამაყო, რომ მსოფლიოს ყველა კლასიკური კაპელა და გუნდი ასრულებს მის ნაწარმოებებს.“

გვეამაყებით კიდევ, ბატონო ჯემალ!

2016 წ.

ვაკა ღაღიანიძის ორი პროგრეტი



– პრობლემა და შემოქმედი... მარტოობა და შემოქმედი...

– კითხვა საკმაოდ ტევადია და საგაზე-
თო ინტერვიუში გაჭირდება პრობლემის ყვე-
ლა ასპექტის წარმოჩენა და მათზე პასუხის
გაცემა. ამიტომ მხოლოდ ზოგიერთ მათგან-
ზე გავამახვილებ ყურადღებას და ძალიან
მოკლედ მოგახსენებთ. ჭეშმარიტი შემოქმედი
მარტო არასოდეს არ არის, რადგან შემოქ-
მელება ერთჯერადი აქტი არ გახლავთ – იგი
უწყვეტი პროცესია. მთავრდება ერთი ნაწარმოები და იწყება მეორეზე
ფიქრი და ა.შ. ასე რომ, „მარტოობისათვის“ შემოქმედი ვერასოდეს
ვერ იცლის, იგი მუდამ განხორციელებული თუ განუხორციელებელი
იდეების ტყვეობაშია. რაც შეეხება „მარტოდ ყოფნას“, ეს შემოქმედის-
თვის ხშირად აუცილებელია, თუმცა, ზოგჯერ ხალხმრავალ ადგილე-
ბშიც, ვთქვათ თვითმფრინავში, მატარებელში და ა.შ. შესაძლებელია
ნაყოფიერი მუშაობა.

– წარსულში რედაქტორობდით „მხედრიონის“ ჟურნალს, რა კავ-
შირი გაქვთ „მხედრიონთან“?

– აქედანვე მინდა განვაცხადო, რომ „მხედრიონის“ წვერი არა-
სოდეს ვყოფილვარ; არც სხვა რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ
ორგანიზაციისა, რადგან, მიმაჩნია, რომ მწერალი მხოლოდ თავისი
ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. „მხედრი-
ონთან“ დამოკიდებულების შესახებ კი გეტყვით, რომ ყოველთვის
მჯეროდა და ახლაც მჯერა მათი პატრიოტული შემართებისა. კარგად
ვიცნობ მათ თავკაცებს, რომელთაგან ერთი ჩემი დისშვილი გახლავთ,
ვისი თავდადება და ვაჟკაცობაც აფხაზეთის ომში საქვეყნოდაა ცნო-
ბილი. იგი აქ, გორში მამაჩემის ოჯახში გაიზარდა, იმ ოჯახში, სადაც
ადამიანისთვის ცხოვრების მთავარ პრინციპად მხოლოდ პატიოსნება
ითვლებოდა. ახლა კი გაიხსენეთ 1993 წელი. წაგებული ომიდან დაბ-
რუნებული „მხედრიონელების“ სულიერი მდგომარეობა, რომლებმაც
დაქირავებულ ბანდიტთა და რუსეთის სპეციალური დანიშნულების

კაციჭამია რაზმელებთან ბრძოლაში შვიდასი თანამებრძოლი და-კარგეს. ამას დაუმატეთ ოფიციალური სააგენტო მანქანის თანდათან მზარდი ბრალდებები მათი მოროდობის, ბანდიტობის, მძარცველობის და ა.შ. შესახებ, რასაც საკუთარი სილაჩრისა და მომხვეჭელობის დასაფარავად ავრცელებდა სწორედ ის ხალხი, ვინც თავისი შვილები და ახლობლები უცხოეთში გადაძალა და იმ ომში ყველაზე მეტად მოითხო ხელი.

მე დღესაც მრცხვენია იმ ბინძური კამპანიისა.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა პროპაგანდამ ბევრი კრიმინალი გმირად შერაცხა. ჩვენ კი ნამდვილი გმირები კრიმინალებად ვაქციეთ. ბარაქალა ჩვენს ქართველობას!

აი, ასეთ პირობებში დაიბადა ჟურნალის დაარსების იდეა, რასაც „მხედრონის“ თავგაცემმა მაშინვე დაუჭირეს მხარი. მთავარი რედაქტორის მოადგილეობაზე თანხმობა განაცხადა გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა ანზორ აბულაშვილმა. ჟურნალის დაარსებას მიესალმნენ მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი თამაზ წივწივაძე, „ადამოუკიდებელი მწერალთა კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე ხუტა ბერულავა. ჟურნალს დავარქვით „სილაში ვარდი“. მისი გარეკანის მხატვრობა შეასრულა გამოჩენილმა ქართველმა მხატვარმა რუსუდან ფეტვიაშვილმა. ჟურნალთან აქტიურად თანამშრომლობდნენ: დიდი ქართველი მწერლის – ჭაბუა ამირეჯიბის თითქმის მთელი ოჯახი, გრიგოლ აბაშიძე, აკაკი ბაქრაძე, რეზო მიშველაძე, ნუგზარ შატაიძე, ლერი ჩანტლაძე, გრანი ქავთარია, კობა იმედაშვილი და სხვა. მოვამზადეთ სამი ნომერი, მაგრამ მხოლოდ პირველი ნომრის გამოცემა მოვასწარიტ, რის შემდეგაც ჟურნალმა გასაგები მიზეზების გამო შეწყვიტა არსებობა. არადა, ნამდვილად კეთილშობილური მიზნები გვაიმძრავებდა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ერის გამთლიანებისთვის ბრძოლით გვინდოდა გავგენელებინა. სხვაც ბევრი რამ გვსურდა, მაგრამ... ჟურნალში დაბეჭდილი ინტერვიუდან მინდა ერთი პატარა ამონარიდი გაგაცნოთ: ჩვენი კორესპონდენტის მანანა ამირეჯიბის კითხვაზე – „იდეურ საქართველოში თუ ხედავთ მამველთა კორპუსის ადგილს?“ – მაშინდელი იუსტიციის მინისტრი ასეთ პასუხს იძლევა: „ბევრ სახელმწიფოში არსებობს ოფიციალური

ორგანიზაციები, რომლებიც ისეთ ფუნქციებს ასრულებენ, რაც გათვალისწინებულია მაშველთა კორპუსის წესდებით... სტიქიური უბედურების დროს შველიან ადამიანებს და მათ ქონებას. ბუნებრივია, ჟურნალმაც დადებითი როლი უნდა შეასრულოს ამ საქმეებისთვის მებრძოლი ადამიანების სულის ჩამოყალიბებაში, მათი სასიკეთო საქმეების წარმოსაჩენად. სხვაგვარად ვერც მაშველთა კორპუსს და ვერც „სილაში ვარდს“ გამართლებულად ვერ მივიჩნევ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვალის დასანახავად მძულს იარაღიანი კაცი“. ყურადღება მიაქციეთ ბოლო სიტყვებს და ეს იბეჭდება „მხედრონის“ ჟურნალში!

– რა ადვილი უჭირავს ქალს თქვენს ცხოვრებაში?

– თავისი, ანუ... საკმაოდ მნიშვნელოვანი.

– დაუდგმელი პიესებიდან რომლის დადგმას ისურვებდით?

– იმ პიესისას, რომელიც ჯერ არ დამიწერია... მანამდე კი – ყველა პიესის.

– თვლით თუ არა მამობას ხელოვნებად და როგორი მამა ბრძანდებით შვილებისთვის?

– კითხვის კორექტულობაში ცოტა ეჭვი მეპარება, მაგრამ მაინც გიპასუხებთ. დასკვნა კი მკითხველისთვის მიმინდვია. ჩემს შვილებს, მათი ასაკის მიუხედავად, ყოველთვის ველაპარაკებოდი როგორც ტოლი – ტოლს. ყველა თაობას თავისი განსაკუთრებული რაღაც მოაქვს, რისი ბოლომდე ვაგებაც სხვა თაობის ადამიანებს უჭირთ. ამიტომ ბავშვებზე საკუთარი აზრის და ნების ძალდატანებით თავზე მოხვევამ შეიძლება უარესი შედეგი გამოიღოს, ვიდრე მათ მიერ დაშვებულმა შეცდომებმა. მშობლების მოვალეობაა შვილებს თავისი აზრი გაუზიარონ, შვილების უფლებაა მიიღონ ან არ მიიღონ იგი.

– წუთისოფლის სევდა...

– ამაზე ჩემი ერთ-ერთი ლექსის სტრიქონებით გიპასუხებთ:

„ტყუილად გაკრთობს შიში არყოფნის, –
სიკვდილი თვითონ გასწავლის სიკვდილს!“

– ყმაწვილკაცობის აუნდნელი ოცნება...

– დაკავებული ვყოფილიყავი მხოლოდ საყვარელი საქმიანობით. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას დღემდე ვერ ვახერხებ.

– ყველაზე კურიოზული კურიოზი?

– მთელი ჩვენი ცხოვრება კურიოზებითაა აღსავსე, თუმცა, მეხსიერებას მხოლოდ ზოგიერთი შემორჩება ხოლმე. „კურიოზთა კურიოზობისა“ რა მოგასხენოთ, მაგრამ ერთ თავშესაქცევ ამბავს მოგიყვებით. ეს ხუთი-ექვსი წლის წინ მოხდა: ზამთრის ღამეა. იაპონურ გასათბობ ნავთქურას პატრუქი გამოვუცვალე, ნავთით გავალიპლიპე და ავანთე. თურმე პატრუქი სწორად არ დამიყენებია და ცეცხლის ალი მეტრზე მეტ სიმაღლეზე ავარდა. ვეღარც ჩავწიე უკან. არადა, შეიძლება ნავთქურა აფეთქებულიყო. აფორიაქებული ჩემი მეუღლე მაგული მაშინვე ტელეფონს ეცა და „გაჭირვების ტალკეისს“, გორის თეატრის მაშინდელ სამხატვრო ხელმძღვანელს ალექსი ჯაყელს დაურეკა, რომელმაც „ღირექტივა“ მოგვცა, რომ არაფერი გველონა და მის მოსვლას დავლოდებოდით. ალექსი თავისი „ვილისით“ სამ-ოთხ წუთში შემოგრიალდა ეზოში და ეს ასორმოცდაათკილოგრამიანი კაცი ჩიტივით ამოფრინდა მეოთხე სართულზე, ხელში თეატრიდან წამოღებული ცეცხლმაქრობი ეჭირა. სწრაფად შეხსნა ლუქი, გატენა დამცავი მინა და... ცეცხლჩამქრობმა ოდნავ ამოიქშინა და გაყურდა. რა გვექნა, სახანძროს დაგურეკეთ. იქიდან გვირჩიეს, რომ ნავთქურა სასწრაფოდ გადაგვეგდო ეზოში, მაგრამ ეს „კომპეტენტური“ რჩევა ჭკუაში არ დაგვიჯდა – მეზობლებს ვერ გავწირავდით. ბედზე მაგიდაზე პატარა ჭიქით წყალი იდგა. ალექსიმ უნებურად წაავლო ხელი და ნავთქურას შეასხა, რომელიც, ჩვენდა გასაკვირად, მაშინვე ჩაქრა. როგორც შემდეგ გავაცნობიერე, მთელი ამ გაწამაწიის დროს ვიჯექი და მშვიდად გაზეთს ვკითხულობდი. ამ მდგომარეობიდან ალექსის სიტყვებმა გამომარკვეიეს: სხვა დროს რომ ასეთ რამეზე დამირეკავთ, შენ აღმეზნებ საშუალებას წამოგიღებ, მაგულის კი – დამამშვიდებელსაო.

– **საკუთარი ლექსებიდან რომელს წაუკითხავდით მკითხველს?**

– მართალი გითხრათ, არ მიყვარს საკუთარი ლექსების კითხვა, განსაკუთრებით ფართო აუდიტორიის წინაშე. თუმცა, ასეთ შემთხვევებს ბევრჯერ ვერ ავარიდე თავი. მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეში, სამი-ოთხი ჭიქის შემდეგ მეხსნება ხოლმე „საღერღელი“.

– **ყურადღებას იქცევს სათაურები: „სილაში ვარდი“ (ყურნალი), „ხე ალვად ამოდიოდა“ (პიესა), „ნათლის ყვავილები“ (ლექსების კრებული), ეს ბუნების განსაკუთრებული სიყვარულით არის გამოწვეული თუ...**

– ადამიანის სამივე სხეული მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებასთან. ფიზიკური სხეული – მინერალურ სამყაროსთან, ეთერული – მცენარეულთან, ხოლო ასტრალური – ცხოველურთან. ასე რომ, ადამიანი ბუნების ნაწილია, რომელიც „ბუნებრივად“ იკავებს თავის კუთვნილ ადგილს შემოქმედის ნაღვაწში.

– **რას ნანობთ განვლილი ცხოვრებიდან?**

– დროის უქმად ფლანგვას.

– **პოეტი, დრამატურგი, კიდევ როგორ ვაჟა დადიანიძეს არ ვიცნობთ?**

– ძალიან მიყვარს ჭადრაკი და, რადგან დროის სიმცირის გამო ტურნირში ვეღარ ვმონაწილეობდი, საჭადრაკო კომპოზიციას შევეხიზნე. ამას ბიძგი მისცა დიდ ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორ, საერთაშორისო დიდოსტატ იოსებ კრიხელთან მეგობრობამაც. სულ მოკლე ხანში რამდენიმე საერთაშორისო კონკურსშიც გავიმარჯვე და ისე ჩამითრია, რომ სხვა ყველაფერი გადამავიწყა. ეს იყო რაღაც ბანგი, რომლისგანაც ძლივს გავთავისუფლდი, თუმცა, ამ დროისთვის უკვე ოცზე მეტი საერთაშორისო მნიშვნელობის პრიზი მქონდა მოგებული. დროდადრო მაინც „გამაბრიყვებენ“ ხოლმე, რადგანაც დღემდე საქართველოს ნაკრების წევრი ვარ და გუნდის ინტერესების გამო ხანდახან ისევ მივუჯდები ხოლმე საჭადრაკო მაგიდას.

– **ტიციანი თუ ვალაკტიონი?**

– არ შეიძლება შემოქმედ ადამიანებს ისე მივუდგეთ, როგორც სპორტსმენებს და მაინცდამაინც სხვადასხვა სიმაღლის კვარცხლბეკზე განვალაგოთ... ასე რომ – ტიციანიც და ვალაკტიონიც!

2001 წ.

გეხბართ, გორელეფი!



პირისპირ ვსხელვართ ცივ ოთახში. ვყვებით უთავბოლო წუთისოფლის ავ-კარგზე. მასპინძელი გაუთავებლად მებოდიშება სიცივის გამო. რაც შემიძლია ვარუგეშებ. მერამდენელ ვუხსნი, რომ მეც ამ ქვეყნის შვილი ვარ და არაფერი მიკვირს, მით უფრო ინტელიგენტის ოჯახში. ფიქრის გორგალს წარსულისკენ ვუგორებ, „ფესვებში“ ვეძებ მისი ხასიათის გასაღებს და ასე თანმიმდევრულად კვინძავ მონათხრობს, მსახიობის ცხოვრება რომ ჰქვია. ჩვენი სტუმარია გორის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, მინიატურების თეატრის დირექტორი კობა გაბეშია.

ომი ჯერ არ იყო დამთავრებული ქვეყანას რომ მოვევლინა. მაინც სიხარულით შეხვდნენ მის დაბადებას. სახელი შეურჩიეს, ქვევრი მოხადეს და მარტვილის რაიონის სოფელ ნალეფსავოს ახალი მკვიდრი აღლევრძელეს მეზობლებმა. ორ კვირაში საბჭოთა არმიამ გამარჯვება იხეიმა, მაგრამ ომის „სურნელი“ დიდხანს უდიოდა სოფელს. ტყავის ბურთის მაგივრად ჭინჭის ბურთს დასდევდა პატარა კობა, სკოლაშიც ნაჩუქარი ფეხსაცმლით მივიდა, იმასაც მაშინ იცვამდა, შენობას რომ მიუახლოვდებოდა. გაჭირვების მიუხედავად, უზომო სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა მისი ოჯახი. ყველაზე სასიამოვნოდ ეს დაამახსოვრდა იმ წლებიდან.

უკვე წამოზრდილს მამიდა მიეპატრონა, რომელმაც თბილისში წამოიყვანა ძმისწული. ბავშვობაში მარტვილის თეატრალური დასის ხელმძღვანელმა ოთარ გრივალავამ შეჰყარა თეატრის სიყვარულის უკურნებელი „სენი“, ამიტომ პროფესიის არჩევაზე ბევრი არ უფიქრია. სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელს მიაშურა. მის დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვით პედაგოგებს ლევან შატბერაშვილს, ესმა ახალკაცს, კოწო ბადრიძეს, შოთა სხირტლაძეს, მირიან დედანაშვილს, შალვა კაპანაძეს, შალვა მაჭავარიანს, ირაკლი ანუაშვილს.

გორის თეატრში განაწილებით ჩამოვიდა. პირველი დღეებიდანვე ყურადღება მიიქცია ნიჭიერებით, რასაც თან ერთვოდა თვალშისაცემი გარეგნობაც. რეჟისორები თამამად ანდობდნენ სახასიათო როლებს.

მოკლე ხანში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა გორის თეატრის კოლექტივში. სხვადასხვა დროს 50-ზე მეტი სცენური სახე აქვს გამოძერწილი. მათგან განსაკუთრებით უყვარს შიოლა ნაზლაიძე (კ. ლორთქიფანიძის „მთას დაუბრუნდა მთიელი“, დადგმა ი. კაკულიასი), მარკოზი (დ. კლდიაშვილის „მსხვერპლი“, დადგმა ი. კაკულიასი), ლაზარე (ი. სამსონაძის „ლაზარეს აღდგინება“, დადგმა ალ. ჯაყელისა), ცოცხის გამყიდველი (გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“, დადგმა გ. აბრამიშვილისა). ბედნიერია, რომ ურთიერთობა ჰქონდა ისეთ რეჟისორებთან და მსახიობებთან, როგორებიც იყვნენ ლილი იოსელიანი, იური კაკულია, ქეთევან ხარშილაძე, შოთა კობიძე, გიორგი აბრამიშვილი, დათო ცისკარიშვილი, ალექსი ჯაყელი, შალვა ხერხეულიძე, ვასო კახნიაშვილი, ვალერიან მარსაგიშვილი. ერვანდ არაქელოვი.

– **ცხოვრებაში თუ გითამაშიათ?** – თხრობას ვაწყვეტინებ.

– არასოდეს. მოვიხსნი თუ არა გრიმს, იქვე ვამთავრებ თამაშს. მოკლედ, სპექტაკლიდან სპექტაკლამდე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ.

– **როლი, რომელმაც შეგძრათ...**

– ლეო ოზგებაშვილის „მძევალში“ პიტერას როლი შევასრულე. ეს იყო განცდა, რომელიც ცხოვრებაშიც შეიძლებოდა მქონოდა. როლის მიხედვით როგორც მამას გავემებული შვილისთვის თოფი უნდა გამომეტაცა. ძალიან განვიცადე, ვაჟის მამა გახლავართ, თანაც იმ პერიოდში ჩემი კახა გუმისთასთან იბრძოდა, ამდენად, შინაგანად ადვილი არ იყო ჩემთვის ამის გაკეთება.

– **თეატრის დღევანდელ სატკივარზე რას გვეტყობით?**

– ხელფასი პურის ფულად არ გვყოფნის, მაინც ყველაფერს ვუძღვებთ, იმიტომ, რომ გვიყვარს თეატრი, რომელსაც მოფერება და თანადგომა სჭირდება, ისევე როგორც ჩვენს მსახიობებს

– **არასოდეს გიფიქრიათ თეატრის მიტოვება? ნუთუ ასე მაგიურია სცენის მტვერი?**

– არ დაგიმაღლავთ, დავაპირე ეკონომიური პრობლემების გამო. იმის გამოც, რომ ჩვენი „კაკალი“ აღარ ჩხრიალებდა, თურმე მსახიობს პატრონიც სჭირდება. დავაპირე, მაგრამ ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის – ზაზა წაქაძის მოსვლამ შემაჩერა, იგი ანთებულია თეატრისთვის. ძალიან მჯერა მისი და ჩვენი თეატრის მომავლისაც.

ოთახში ბატონი კობას მეუღლე, მსახიობი იაშვი ცინაძე შემოდის. მათ ერთმანეთი სასწავლებელში გაიცნეს. ლამაზი ბიჭი... ლამაზი

გოგო... მეტი რაღა უნდა სიყვარულს. აგიზგიზდა კოცონი, რომელსაც წლებმა ვერაფერი დააკლო. უკვე მოზრდილი შვილების პატრონი მეუღლეები თვლიან, რომ ნამდვილი სიყვარული არასოდეს არ კვდება.

– **ორი ხელოვანი ერთ ოჯახში... ბევრია თუ ცოტა?**

– ოჯახის ყველა წევრი შეიძლება ხელოვანი იყოს, თუ მათი პროფესია საზოგადოებას სჭირდება, – ერთხმად მპასუხობენ.

მეუღლე მსახიობთა დახასიათებისთვის კი რეჟისორების აზრს შემოგთავაზებთ.

ანზორ გვაძაბია: „კობა და იამზე საინტერესო მსახიობები არიან. კარგად მღერიან და მოძრაობენ. მისაბაძია მათი კოლეგიალობა. ერთგულები არიან მუშაობაში. ვთვლი, რომ მათი შესაძლებლობები ამოუწურავია“.

ზაზა წაქაძე: „უზომოდ შრომისმოყვარეები არიან, თვითონვე ითხოვენ მუშაობას. ბატონი კობა თავიდან ბოლომდე ქართული სისხლის, ქართული ჩოხის მატარებელია. ახალ როლზე მუშაობის დროს „გმირს“ კანში შეუძვრა და მისი ცხოვრებით ცხოვრობს“.

– **ახალ სპექტაკლში რა როლით გაგვანარებთ?** – ბატონ კობასთან ვაგრძელებ დიალოგს.

– ჩემი გმირი აფხაზეთის რეკომის თავმჯდომარე ნარიქ ეშბაა. ვცდილობ, მაქსიმალურად დავინარჯო, ვნახოთ, რა გამოვა.

ბოლო შტრიხები პორტრეტისთვის: 32 წელია სცენაზე ტრიალებს. სანაცვლოდ არაფერს ითხოვს, მაგრამ თვლის, რომ დაუნახაობაც ძნელია. იმედი აქვს, რომ მისი „კვერიც“ გამოცხვება. წუხს, რომ მინიატურების თეატრს შენობა აღარ აქვს. საკუთარი ხასიათი არ მოსწონს, სამაგიეროდ, ზომაზე მეტად გულკეთილია. უამური ჟამიდან გამოსავალს მოთმინებასა და ერთიანობაში ხედავს. გორი მისი საყვარელი ქალაქია, მისი გამშვენებისთვის, მწეჭაბუკის ძეგლის მოპირკეთების დროს დიდი მონღომებით ეზიდებოდა ორთვალით მასალას.

წერტილის დასასმელად რაღაცას ვეძებ, არ ვეშვები.

– **სამეგრელოში დაბადებული მსახიობი რას ეტყოდა გორელ მაყურებელს?**

– როგორ მიყვარხართ, რომ იცოდეთ, გაინხარეთ გორელებო!

– **მეგრულად, თუ შეიძლება...**

– მეჭო მიორთ გიჩქუდანი, გვეხართ გორელებო!

მადლობა აღმაფრენისთვის



ნიჭიერება ვალია უფლის წინაშე, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა იხადო... ადვილი არ არის ამ ტვირთის ღირსეულად ზიდვა, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის – ლევან ოზგე-ბაშვილისთვის არაფერია შეუძლებელი. ამიტომაც გამორჩეულად უყვარს გორელ მაცურებელს, ტაშის თანხლებით შემოდის და გადის ბატონი ლეო სცენაზე, „უტაშო გორში ტაშით განებვიერებული მსახიობიაო“, – ხუმრობენ მასზე კოლეგები.

...ყველაფერი წერეთლის ჩიხიდან დაიწყო. აქ იყო ერთი სარდაფი, სადაც თეატრზე უზომოდ შეყვარებული 15-16 წლის ბიჭი მართავდა წარმოდგენებს. თვითონ იყო დრამატურგიც, რეჟისორიც, მთავარი როლის შემსრულებელიც. ჩვენს სასიქადულო მსახიობს, დაუეცოყვარ შალვა ხერხეულიძეს შეუძნეველი არ დარჩენია ეს ამბავი. პატარა ბიჭის არტისტიზმით მოხიბლულმა ბატონმა შალვამ თეატრის მაშინდელ მთავარ რეჟისორს – სიკო ვაჩნაძეს ამცნო ლეოს გატაცების შესახებ.

ერთ დღესაც გორის ქუჩებში გამოჩნდა რვეულის ფურცელზე დაწერილი აფიშები – „ნაცარქექია“, რომელიც დადგა პატარა რეჟისორმა (რა იცოდა მაშინ ბიჭმა, რომ ამ სპექტაკლით მისი ბედი გადაწყდებოდა). შალვა ხერხეულიძის დაჟინებული მოთხოვნით სპექტაკლს სიკო ვაჩნაძე და მსახიობი ლადო ცხვარიაშვილი დაესწრნენ. ბატონი სიკო მაშინვე მიხვდა, რომ ნიჭთან ჰქონდა საქმე და ბევრი აღარ უფიქრია – დიდ სცენაზე მიიწვია ნიჭიერი ახალგაზრდა.

მას შემდეგ მსახიობი ერთგულად ემსახურება საყვარელ თეატრს. მისი ჩვეული იუმორით შეზავებული არტისტიზმი ხიბლავს და ატყევევებს მაცურებელს. ბატონი ლეო კი არ თამაშობს, ცხოვრობს სცენაზე, ისე ოსტატურად ირგებს და ითავისებს როლს, სხვა ამ როლში წარმოუდგენელიც კია. იგი ერთადერთი და განუყოფელია, როგორც მასზე ამბობენ: „ორი ლეო თეატრში არ არსებობს“.

– ლეო საოცრებაა პირდაპირ, – აღტაცებას ვერ მალავს რეჟისორი ანზორ გვაძაბია, – სრული სერიოზულობით ვაცხადებ: ჩვენ, ქართველებს ისევე შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი ლევან ოზგებაშვილით, როგორც საფრანგეთი ამაყოფს თავისი ლუი დე ფიუნესით.

ბატონი ლეო არაერთხელ მიიწვიეს სხვა თეატრში საქუმაოდ, სადაც, ეჭვს გარეშეა, უფრო დიდ მომავალს ელოდა, მაგრამ მან, ნაღმა გორელმა კაცმა, ვერ დათმო საფიცარი ქალაქი და საყვარელი მაყურებელი, ვერ დათმო სცენა, რომელმაც ჯერ კიდევ ბავშვი ჩაიხუტა გულში და მას შემდეგ განუყრელად ერთად არიან.

მსახიობს 200-მდე როლი აქვს ნათამაშები. სულ ბოლოს ცაგარელის „ხანუმაში“ მოგვევლინა. მისი აკოფა მაღალი ოსტატობის კიდევ ერთი დადასტურებაა...

ამბობენ, თეატრი ცხოვრების სარკეაო. მსახიობს მხოლოდ მაშინ გამოსდის როლი კარგად, როცა ის გვერდით მდგომ პარტნიორზე ფიქრობსო. ლევან ოზგებაშვილი ამ მხრივაც გამორჩეულია. სიყვარულით საუბრობენ მასზე თეატრში: დიდებული პარტნიორი, ყურადღებაანი მეგობარი, ოჯახის დიდი მოტრფიალე, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი და, რაც მთავარია, კაცური კაციაო.

კაცური კაცი... ამაზე დიდი შეფასება ადამიანისთვის, ალბათ, არც არსებობს!

კაცურკაცობა ეს არის საუკეთესო ადამიანურ თვისებათა ფლობის ხელოვნება, ნიჭი მოყვასის უსაზღვრო სიყვარულისა, რაც ბევრს არ ძალუძს. ეს არის წოდება, რომელსაც ხალხი მხოლოდ თავის რჩეულებს ანიჭებს, ხალხი ბრძენია... ამიტომ ყველა წოდებაზე მაღალი მჩვენება ეს წოდება.

რაც შეეხება ბატონი ლეოს კაცურკაცობას, მართლაცადა, თვალში-საცემია მისი სისადავე და უბრალოება, ვაჟკაცობა და პატიოსნება. ამ სიკეთედ ქცეულ ადამიანს თითქოს აღარც კი ახსოვს თავისი არსებობა და სხვის ბედნიერებაზე ფიქრში ათენ-ალამებს. განსაკუთრებით ახალგაზრდები უყვარს, დამწყებ მსახიობთათვის ხომ პირდაპირ გზის მანათობელი სანთელია. მასთან უშიშრად გრძნობენ თავს ახალგაზრდები, თან ისიც კარგად ახსოვთ, რომ მის გვერდით უბრალოდ არ შეიძლება ცუდად თამაშობდე.

წლებმა ვერაფერი დააკლო ბატონ ლეოს. ეგ არის, გულმაღვიწყვი

გახდა, ამ ბოლო დროს მაკარონის წვნიანის გარდა სხვა საჭმელების სახელები „აღარ ახსოვს“. ალბათ, მიხვდით – ეს ლევან ოზგებაშვილის მორიგი ხუმრობაა. იუმორი მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია. იგი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში ინარჩუნებს იუმორის გრძნობას. მაშინ, როცა ზოგისთვის მწვავედ დგას პურის პრობლემა, ბატონი ლეო რიხიანად აცხადებს: „პურის რიგში დგომა ჩემი ჰობიაო“. ესეც თავისებური ნიჭია, ალბათ, – ღიმილი მოჰკვარო ადამიანს და გაულამაზო გატანჯული ცხოვრება.

გასაკვირი არ არის, რომ ასეთი იუმორის პატრონი ჩინებულ იუმორისტულ ლექსებსაც წერდეს. ამ ლექსებში იუმორის გარდა იგრძნობა ფაქიზი სული ავტორისა, სათუთად რომ ესიყვარულება თითოეულ ადრესატს.


მისმა მრავალმხრივმა ნიჭმა დრამატურგიაშიც პოვა ასახვა: უკვე ორი პიესის ავტორია, რომელთაგან ერთი – „მძევალი“ წარმატებით დაიდგა გორის თეატრში და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

შეუძლებელია საგაზეთო წერილში ყველაფრის თქმა ლევან ოზგებაშვილზე, არც მქონია ამის პრეტენზია, უბრალოდ, მინდოდა მიმელოცა ახალი წელი, მაღლობა მეთქვა საყვარელი მსახიობისთვის იმ უდიდესი სიხარულისა და აღმაფრენისთვის, რომელსაც ის თავისი შემოქმედებით გვანიჭებს.

წერილი ანზორ გვამაბიას სიტყვებით მინდა დავამთავრო: „ბატონმა ლეომ ასი წელი უნდა იცოცხლოს მაყურებლისთვის, სხვანაირად მას უფლება არა აქვს!“

1995 წ.

რეპორტაჟი შემოქმედის რთველიდან



ათეული წლებია გვივსებს და გვილამაზებს ცხოვრებას თავისი შემოქმედებით, ათეული წლებია ვეფიცებით ჩვენი თანაქალაქელი მწერლის სულის გამონაშუქს, არაერთხელ გაგვაზარა სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვებით და ამასობაში ოქროს შემოდგომაც მოსულა...

გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრის მცირე დარბაზში შეიკრიბნენ მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, თუმცა, დარბაზმა სრულად ვერ დაიჭია ყველა მსურველი. ბევრი ფეხზედგომი დაესწრო შემოქმედის „რთველს“.

პირველი მიმლოცველი **სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსი, მეუფე ანდრია:**

– თქვენი სიტყვა ემსახურება ჩვენს ერს და თანაზიარია ჩვენი ცხოვრების, თავადაც თანამოზიარე ხართ ეროვნული ტკივილის, თქვენი მხნეობის სულისკვეთება ეტყობა თქვენს ადრეულ ლექსებს, თქვენი წლოვანების სიბრძნე იქნება მასწავლებელი ჭეშმარიტი სიბრძნის მომავალი თაობებისთვის.

– მაინცდამაინც საშიში ასაკი არაა 60 წელი, ერთ-ორ ყაბალასზე გადახტომას კიდევ მოახერხებ, – ასე „დაამშვიდა“ იუბილარი **პროფესორმა შოთა ქურდაძემ** და შემდეგ ვრცლად ისაუბრა მის შემოქმედებაზე, – ყველაზე დიდი ბედნიერება კაცისთვის მოყვანია. ვანო ჩხიკვაძეს მკითხველთა დიდი აუდიტორია ჰყავს, ამაზე მეტი ბედნიერება რაღა უნდა იყოს. რითაა მისი მწერლობა დაფასებული? ჩვენს მწერლობაში, ლიტერატურის ყველა ჟანრში ასე ხალვათად და შემოქმედებითად წერდეს კაცი, იშვიათია. მისი პროზა ილია ჭავჭავაძის და მიხეილ ჯავახიშვილის სტილს მაგონებს, კი არ იმეორებს მათ, უბრალოდ ჰგავს. მას თავისი შემოქმედებითი კრედი და შეხედულებები აქვს. კარგად იცის, ცხოვრება უნდა დაინახო ისეთი, როგორიც არის და უნდა იზრუნო მისი გაკეთილშობილებისთვის. აი, რისთვის უყვარს იგი ხალხს. მის შემოქმედებას ლიბოდ უდევს ქართული სოფლის ყოფა, ქართველი გლეხის სიბრძნე. თავის ნაწარმოებებში ცდილობს, გვირავის ბოლოს სინათლე დაანახოს გზასაცდენილ

გმირებს, მათ გულშემატკივრადაც გვევლინება, ვინც უსიყვარულოდ ტოვებს წუთისოფელს. ვანოს მხილების პათოსი აქვს, არაფერს მაღავს და არაფრის ემინია, ნამდვილად ჩვენი ღრვის მწერალია.

ბოლო არ უჩანდა მწერლის შემოქმედების დამფასებლებს.

გელევან ხელაია (აკადემიკოსი): „მწერლის იუბილე რთველია და ეს რთველი ხვაგ-ბარაქიანი გამოდგა ვანო ჩხიკვაძისთვის... იგი გვხიბლავს კაცურად ძლიერი შემოქმედებით, ქართლური სიღარბაისლით, ტრადიციების სიყვარულით. მისი მოთხრობები საუკეთესო შენაძენია ჩვენთვის...“.

თამილა გოგოლაძე (პროფესორი): „წლების მომატება მას უხარია, ვისაც აქვს სარჩო, შენ კი, ჭირნახული ბევრი დაამზადე, მწერალო, ზვინებად დადგი, მშობლიურ ქალაქს პატარა გულისგულა ძეგლიც დაუდგი შენი ნაწარმოებით... ბევრი სითბო გაეცი, მწერალო, და ახლა, რაც არ უნდა ძვირი ღირდეს გადაციებულ ხალხში თუნდაც ერთი გრამი სითბო, ჩვენი თანამოქალაქეების სახელით თქვენთვის მოგვიძღვინა, რამეთუ საუკუნეზე ნახევარი წლით მეტ ხანს ღირსეულად ატარებთ შემოქმედის საპატიო სახელს. გჩუქნი ცხინვალის ბროლის ქარხანაში დამზადებულ ორ სირჩას, რომლითაც, იმედია, სამაჩაბლოს დაბრუნების სადღეგრძელო დაილევა“.

მელა სუხაშვილი (პედაგოგი): „უამრავი წიგნით ღიღი სიხარული მიანიჭეთ მკითხველს... აღმზრდელობითი და განმწმენდი დანიშნულება გააჩნია თქვენს ნაწარმოებებს, გვაცნობინებს საკუთარ თავს, გვახსენებს, ვინ ვიყავით და როგორ უნდა გადავრჩეთ... შემოქმედებითი სიმწიფის ხანას გილოცავთ, ზეციური დედოფლის – დედაღვთისმშობლის მეოხება არ მოგკლებოდეთ თქვენ და ჩვენს საქართველოს“.

ჯემალ მონიავა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი): „ბედნიერი ვარ, რომ ეს კაცი არსებობს. საზედაშე რთველი იყო მისი უკანასკნელი წიგნი, რომელმაც შემძრა და ცრემლები მადენინა. ან იმას რა დამავიწყებს, როგორი ანშლაგი იყო ამერიკაში, როცა მისი პიესა „ორი მდინარის შესართავთან“ ვითამაშე. ქართულ სიტყვასა და ქართულ მწერლობას მონატრებული 650 ქართველი ცრემლებად დაიღვარა და აღარ გვმორდებოდნენ... ვანო საოცარი ნარკვევისტია, რაც ყველა მწერალს არ შეუძლია. მისნაირი შემოქმედი თბილისშიც არ ღადის ბევრი. მას შეეძლო, მაგრამ არ ისურვა დედაქალაქში ცხოვრება, აქ უნდოდა, გორში, რომ კარგად მიეყურადებინა ქართლური ხმისთვის. ღიღი მადლობა გორელებს, რომ იცით მწერლის ფასი“.

ჯემალ ინჯია (პოეტი): „მავანმა გორელმა ჩინონიკმა დაიჩვილა, გორში ინტელიგენცია არ არისო, მაშ ვინ არიან ის სულით ლამაზი ადამიანები, თქვენს შემოქმედებას ხარბად რომ დაწაფებიან და დღეს ამ დარბაზს ამშვენებენ?! მადლობა, ჩემო ვანო, რომ გული გტკივა გორზე. იების სურნელის შეგრძნებაა შენს ლექსებში, სიტყვადარღვიანი და ბარაქ-იანია შენი პროზა, ვანო პოეტი და ვანო პროზაიკოსი ერთი მთელია და ორივე ქართული მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატია.“

ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი, მეუფე ისაია: „საოცრად თბილი საღამოა, სიხარულით ივსება გული, მადლობა ჩვენს იუბილარს მისი განვლილი ცხოვრებისთვის, წესიერებისთვის. გაცნობის გარეშეც უსაყვარლესი იქნებოდა იგი ჩემთვის თავისი შემოქმედებით. ჩვენი ხალხისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრეა ასეთი ადამიანის არსებობა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ „კოხტა თამროები“ და მისი დამფასებლები გამოილიოს ჩვენს ქვეყანაში“.

ოლია ბრავაკაძე (ჟურნალისტი): „ყველას გილოცავთ ამ ლამაზ დღეს, რადგან ვანო ჩვენი, ყველასია, რომელიც ქართულ ჩუქურთმა-სიტყვას ელაციცება მთელი ცხოვრება. არ შეგაშინოს, ჩემო ვანო, 60-მა წელმა, რადგან 60 წელს ზემოთ ბიჭები გორში კაცურად დადიან... ახლა ჩემს ნაქარგს „რამზეს მეორეს“ ვიძღვნი, 10 წლის შემდეგ კი დავით აღმაშენებელს მოგართმევ ამავე სცენაზე“.

სხვა საჩუქრებიც მიიღო იუბილარმა, მათ შორის „ბანოვანელების-გან“ ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მერი მარწვეიშვილმა გადასცა, ლიზი მამულაშვილისგან კაკლის ხეზე ნაკვეთი კომპოზიცია (ნამუშევარი იმ კაკლის ხისგანაა დამზადებული, რომლის ქვეშაც გიორგი სააკაძემ ნადიმი გადაიხადა გამარჯვების შემდეგ).

მწერლისადმი სიყვარული და პატივისცემა გამოხატეს სიტყვით გამომსვლელებმა: პროფესორმა ზაზა ცოტნიაშვილმა და ნოდარ დალაქიშვილმა. საკუთარი ლექსები წაიკითხა პოეტმა ნოდარ მდინარიძემ, რომელმაც ომხიანად მიმართა 60 წლის შემოქმედს: „დღეს ხალხს სჭირდება თქვენისთანები, სამაგალითოდ და სათაყვანოდ“.

ორი მუსიკალური ნომერი მიუძღვნეს მამას ლექსო და ვანიკო ჩხიკვაძეებმა. ძმებმა ჯერ ერთად შეასრულეს კაროს ანსამბლი, შემდეგ ლექსომ ააჟღერა აზარაშვილის სენტიმენტალური ტანგო.

საღამო გააღამაზეს გორელმა შემსრულებლებმა: სოფო ქებაძემ, თამაზ აბრამიძემ, ზარიკა ჭარუაშვილის ტრიომ, „ფოლკლორის

სარდაფთან“ არსებულმა ვაჟთა გუნდმა (ხელმძღვანელი არსენ აზა-ლაძე) და გოგონათა გუნდმა „მახარობლები“ (ხელმძღვანელი ლელა მერაბიშვილი), გიორგი საძაგლიშვილის და ლალი ტონიას დუეტმა, მეშვიდე სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა მარიკა კვალიაშვილმა, მზია იასაშვილმა და მარინა ზეინკლიშვილმა.

საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა (თავადაზნაურთა) და მათ თანამდგომთა საკრებულოს შიდა ქართლის სამხარეო ორგანიზაციის წინამძღოლი ნუგზარ მაჭავარიანი ჩოხა-ახალუხით დამშვენებული წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე.

– ვანო ჩხიკვაძე სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანია და დღეს თავის დათესილს იძკის. არამართო აღიარებული პოეტი და პროზაიკოსია, სამოქალაქო თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაშიც შეიტანა წვლილი – ეს არის ჩვენს ქალაქში პირველი ღონისძიება, რომელიც ოფიციალური გარეშე ტარდება და ჩინოვნიკების კაბინეტებში არ დაგეგმილა, რაც მეტად მნიშვნელოვანია. ხალხმა თავისი სურვილით გაუკეთა საღამო საყვარელ მწერალს. ასეც უნდა იყოს, საზოგადოებამ უნდა აკეთოს ის, რაც მას სიამოვნებს და მოსწონს. დიდი მადლობა ყველას, ვინც სული შთაბერა ამ საღამოს: გორის სამუსიკო სტუდიების კოორდინატორს მაია ჯაფიაშვილს და გორის უნივერსიტეტის ლექტორს მანანა მგალობლიშვილს, გაზეთ „ხალხის გაზეთის“ რედაქტორს რეზო ოქრუაშვილს, გამომცემლობა „ფარნავაზის“ დირექტორს რუსუდან გარდაფხაძეს, – დაასრულა მან და ასპარეზი იუბილარს დაუთმო.

დინჯად წამოდგა 60 წლის სიტყვის ოსტატი, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით „წყალი გადაასხა“ ყველა მომლოცველის მონდომებას. სახეზე ეწერა და თავადაც აღიარა, რომ ყველა საქებად სიტყვას არ იღებდა, რომ მთავარი საქმე ისევ წინა აქვს.

დიან, რთველია, რთველი, მაგრამ ბარაქიანი რთველის შემდეგაც რა გამოუღვევს ხელოვანს საწერ-საფიქრალს... ესეც არ იყოს, შემოდგომას ზამთარი მოსდევს, ქართველ მკითხველს კი არ ეზამთრება! ატკივებული სულის გადასარჩენად ახლა მეტად გვჭირდება თქვენი მართალი და მაღლიანი სიტყვა, ჯერ კიდევ ბევრჯერ უნდა დავაგემოვნოთ ნაღდი ქართული სულით ნაავადარი თქვენი საგანძურის სურნელი.

დეკემბრამდე ჯერ შორია, ბატონო ვანო!

ქვეყნად ერთია გალაკტიონი



ნოდარ ტაბიძე ბიძინასთან

გასულ საუკუნეს გალაკტიონის საუკუნედაც მოიხსენიებენ საქართველოში... ვერავინ გაბედა ქართველ ნიჭიერ პოეტთა შორის მის სიახლოვეს მისვლა. გალაკტიონი შორეული მნათობივითაა – მის სიდიადეს თვალს ვერ უსწორებ, მაგრამ შორიდანაც გათბობს და გასაზრდოებს. ლამაზად

ბრძანა რევაზ მიშველაძემ: „როგორც XX საუკუნის პოეტური სიტყვის მისიამ, მან ერთბაშად მოიტანა მხატვრული შემოქმედების ოქროს ზოდები და თავისი ჯიუტი ნებით არა მარტო აიძულა ლიტერატურული აზრი, დაენახა და დაეფასებინა ეს ზოდები, გამოჩინისთანავე დადგა ეროვნული პოეზიის საჭესთან და სიცოცხლის ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან წინამძღოლის ჩირაღდანი. დღესაც თითქოს გალაკტიონის მისწერი ხელი მართავს თანამედროვე ქართულ პოეზიას“.

გალაკტიონი უყვართ, გალაკტიონს აფასებენ, გალაკტიონს ხშირად იგონებენ, სხვანაირად წარმოუდგენელიცაა...

2004 წლის დეკემბრის წყნარი საღამო... გორის განათლების მუშაკთა სახლის დირექტორი ნანა გიგაშვილი და გორის მწერალთა კავშირთან არსებული ქალთა სალონი „ბანოვანი“ პოეზიის მოყვარულებს მასპინძლობდნენ.

„ჩემი გალაკტიონი“ – ასე ერქვა გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელსაც ბუმბერაზი პოეტის არანაკლებ სახელოვანი ძმისშვილი ნოდარ ტაბიძე ესწრებოდა.

– ამ საღამოს გვინდა წარმოვანიხოთ, თუ როგორ გვეყვარს გორელებს გალაკტიონი, – აღნიშნა შეხვედრის წამყვანმა, „ბანოვანის“ ხელმძღვანელმა ლეილა ქავთარაძემ.

მისი გამოსვლის შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ბანოვანელები: მარინა კაპეტევაძე, ციალა საათაშვილი, ლეილა ქავთარაძე, მერი მარწყვიშვილი... ყველა კრძალვით საუბრობდა პოეტზე, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.

შემდეგ დაიძრა ლექსის ჩანჩქერი, გალაკტიონს საკუთარი ლექსებით გაესაუბრნენ ირმა შუბითიძე და სოფიკო მექვაბიშვილი.

„ერთის მაგივრად დღეს ორი მზეა,

ციური მზე და გალაკტიონი“, – ეს ციტატა ამონარიდია ზვიად მაღალაშვილის ლექსიდან „დაბადებულია გალაკტიონი“, რომელიც მისმა დედამ – ქალბატონმა ლალი ტონიამ გააცნო დამსწრე საზოგადოებას. ანალოგიურად, მამის – სულიკო როსტომაშვილის ლექსი წაიკითხა მისმა ქალიშვილმა დიანა როსტომაშვილმა.

საღამო ლამაზი ქართული სიმღერებით დაამშვენეს ხალხური სიმღერის ლოტბარმა გიორგი სამაგლიშვილმა და მომღერლებმა: ნინელი ჭონიშვილმა, ლალი ტონიამ, მარინა ბუზალაძემ, ლალი ჯავახიშვილმა.

გორელების შემდეგ ჯერი გალაკტიონის ძმისშვილზე მიდგა.

– ნოდარ ტაბიძე თვითონაც დიდია, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, მასთან ხუთი წუთის ურთიერთობაც კი დიდხანს მიჰყვება საგზლად ადამიანს, – სიამაყით განაცხადა ლეილა ქავთარაძემ.

ზეალიმართა ნოდარ ტაბიძე, დინჯად ალაპარაკდა, მის ბაგეთაგან თითოეულ სიტყვას ინტერესით ელოდა სულშეგუბებული მსმენელი. ბატონ ნოდარს ხუთი წიგნი აქვს დაწერილი გალაკტიონზე. 15 წელი გაატარა ბიძასთან ერთად, როგორც თავად გაუსვა ხაზი, მისი „აბჯართმტვირთველი“ იყო, თავიდანვე გაიცნობიერა ბიძის სიღიადე, ამიტომ დღიურებს აწარმოებდა და ბევრი მნიშვნელოვანი ეპიზოდი შემოინახა პოეტის ცხოვრებიდან.

– სამი მწვერვალი აქვს ქართულ პოეზიას, ჩემი გაგებით, რა თქმა უნდა: რუსთაველი, ვაჟა და გალაკტიონი. ამ უკანასკნელს ლირიკით ვერავენ შეედრება. ყოველდღე რომ წაიკითხო გალაკტიონი, ახალ ნიუანსებს, ახალ პლასტებს აღმოაჩენ მის პოეზიაში. იგი არ არის ჩვეულებრივი ადამიანი, სხვა ვარსკვლავზეა დაბადებული, როცა მწვერვალზეა, შეუდარებელია, როცა ძირს ეშვება ბავშვს ემსგავსება, – გულახდლიად ჰყვებოდა ნოდარ ტაბიძე.

„უსახლო სულს“ (ასე უწოდა პოეტმა თავს ერთ-ერთ ლექსში) ერთი დღეც არ ჰქონია „მშვიდი, უსატყვივარო“. გალაკტიონს უყვარდა შრომა, ყოფილა შემთხვევა ოთხი ბრწყინვალე ლექსი ერთად დაუწერია, თუმცა, ტიტანური ჯაფის კვალი არ ეტყობოდა მის ლექსებს. ბევრს კითხულობდა, „კარგი ლექსი მაშინ იწერება, როცა კარგად, ანუ ბევრს კითხულობ“, – უყვარდა თურმე თქმა.

არასოდეს შეჰპარვია ეჭვი თავის თავში, თავიდანვე გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ერთადერთი იყო, უზარმაზარი და განუმეორებელი.

ამას ყველა მოკვდავი გრძნობდა. ქურდმაც კი იცოდა გალაკტიონის ფასი.

ზღაპრული ინტუიციის პატრონმა არაჩვეულებრივი მეძველდროება დაგვიტოვა. მისი შემოქმედების მწვერვალია „არტისტული ყვავილები“. ეს წიგნი წყალგამყოფი ხილია პოეტის „აქეთა“ და „იქითა“ შემოქმედებაში.

მერი იყო მისი პოეტური იდეალი. მასთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია, მაგრამ გალაკტიონისთვის იგი იყო ქალის ხატება – ყველა ქალის საუკეთესო თვისებებით გაბრწყინებული.

საოცრად გულუხვი ყოფილა რესტორანში. როდესაც ფული სჭირდებოდა, „ფლური მასესხეო“, – ეტყოდა ძმისშვილს და ნასესხს აუცილებლად დააბრუნებდა, თანაც პუნქტუალურად.

არასოდეს არავის არ უშვებდა კაბინეტში (ანუ თავის სამყაროში), თვითონ გამოუტანდა წიგნს საკუთარ ძმისშვილსაც კი.

მწერლებთან რთული ურთიერთობა ჰქონდა, ხვდებოდა, რომ მისი ტოლი და სწორი არავინ იყო, ამიტომ უჭირდა მათთან მეგობრობა.


გალაკტიონის მეორე მეუღლე – ოლგა დარიუსი ულამაზესი და უგანათლებულესი ქალბატონი იყო, უზარმაზარი პოეტური ენერჯის მატარებელი, კარგი გაგებით „შემოილი“, სხვანაირად, ჩვეულებრივი ქალი მას ვერც გაუძლებდა. ოლგამაც, რაც შეეძლო, ზიდა ტვირთი, ზღაპრული ურთიერთობა ჰქონდათ შვიდი წლის განმავლობაში. მეტი მანაც ვეღარ გაუძლო.

მიზეზთა და მიზეზთა გამო მაშინ არ შეიძლებოდა რელიგიაზე ხმამაღალი საუბარი, მაგრამ გალაკტიონი სულით იყო ქრისტიანი. მას ღმერთთან შეეძლო საუბარი, ამიტომაც იყო გამორჩეული, უფლის გარეშე იგი დიდი ვერ იქნებოდა.

...მაღლებული განწყობით დატოვეს პოეზიის მოყვარულებმა გალაკტიონის საუფლო. გარეთ ულამაზესი სურათის მოწმენი გახდნენ: გრძნობამორეული ზეცა თითქოს სიყვარულს სთხოვდა დედამიწას, შუამავლად გალაკტიონისეულ იისფერ ფიფქებს აგზავნიდა, რომლებიც ნარნარად აღნებოდა მონატრებულ ბაგეებს.

საოცარი სანახავი იყო ცისა და მიწის სველი ამბორი...

ზაურ წაქაბე – 65



თითქოს პირველად მიჭირავს ხელში, ვერ ვიმორჩილებ კალამს... სიტყვებსაც ფრთხილად ვარჩევ, რა უნდა ვუთხრა საამებელი ადამიანს, რომელსაც დითირამებს ურჩევნია საქმით დაუმტკიცო ერთგულება. ვერც ლამაზი სიტყვებით გავაკვირვებ მხატვრული სიტყვის ოსტატს, რომლის მოჩუქურთმებული ქართულით შექმნილი რომანები სათუთად არხევს მკითხველის სულის სიმებს, საგაზეთო სტატიები კი – საჭირო სიტყვით საჭირო ადგილზე ყოველ-

თვის დროული და აქტუალურია.

მწერლის პორტრეტის დახატვა რთულიც არის და ადვილიც. მან კარგად იცის, რომ საწუთრო სახელოსნოა, სადაც უნდა ირვებოდეს და ბოლომდე იხარჯებოდეს. არამიწიერი თვალთ იმზირება საკუთარი სამყაროდან, წაქადისეული მოქნილი სიტყვით ებრძვის მტერს და ეფერება მოყვარეს. „გორის მოამბეზე“ გადაგებულ რედაქტორს ბევრჯერ თავგანწირვით დაუცავს გაზეთის სიცოცხლეს და ღირსებას. საშინლად ვერ იტანს ღალატს. უზომო შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობის გრძნობით და შინაგანი დისციპლინით მაგალითის მიმცემია თანამშრომლებისთვის და არა მარტო მათთვის.

შუადღე წამოეპარა, თუმცა ჯერ ადრეა სიბერე და მშვილდის დაღება შემოქმედი ადამიანისთვის, რომლისგანაც ბევრს ელოდება მკითხველი.

ფრენსის ბეკონმა წიგნები აზრის ხომალდებს შეადარა, ჟამთა ტალღებში რომ მოცურავენ და ზრუნვით გადასცემენ ძვირფას ტვირთს თაობიდან თაობას.

დიდხანს სიცოცხლეს და აზრის ხომალდთა სიმრავლეს გისურვებთ, ბატონო ზაურ!

„ისიც საქმეა, ფშაველობა თუკი შევბელი“



...ბუნება გადაირია დიდი ქართველი მეფის – დავით IV-ის ხსენების დღეს. ყინვანარევი ქარა-შოტი გზას არ აძლევდა მიწისკენ საალერსოდ დაშვებულ ფიფქებს. შეყვარებული ფანტელები არ ეპუებოდნენ გავემბებულ ქართა მბრძანებელს, ჯიუტად მოფარფატებდნენ სატრფოსთან შესახვედრად, წამით ახერხებდნენ კიდეც შეხებას, მაგრამ პირზე ეყინებოდა მიწას მათი ვენებიანი ამბორი.

8 თებერვლის ამ სუსხიან საღამოს სტუმრების ნაკლებობას არ უჩიოდა გორში არსებული ლიტერატურული სალონი „არტ-კაფე“, სადაც პოეზიის მოყვარულებს მოეყარათ თავი. პოეტმა დათო ახლოურმა მკითხველს შესთავაზა ახალი კრებული, რომლის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ორიათასთერთმეტი“ – ასე ჰქვია ჩემს მეცხრამეტე წიგნს. ლექსების უმრავლესობა ხომ ორიათასთერთმეტი წლის სახსოვარია... ვცდილობ, ვწერო ძალიან უბრალოდ, თანაც ისე, რომ ამ უბრალოებაში მშვენიერებამ ფასი არ დაკარგოს. ვწერ ისე, როგორც მეწერება...“

ღონისძიების წამყვანმა ლიტერატურათმცოდნე მანანა მგალობლი-შვილმა მისაღმების შემდეგ მოკლედ ისაუბრა გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის საქმიანობაზე, რომელიც სამი წელია გორის კულტურულ ცხოვრებას მნიშვნელოვანი ღონისძიებებით აცოცხლებს და ალამაზებს.

კავშირის საქმიანობის სული და გული, ცხადია, უპირველესად მისი პრეზიდენტი დათო ახლოურია, რომელიც თავისი აქტიურობით და შრომისმოყვარეობით მაგალითის მიმცემია სხვებისთვის. ნიკო სამადაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირისა და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ისტორიის აკადემიური დოქტორი ერთნაირი პასუხისმგებლობით და წარმატებით რედაქტორობს გაზეთებს: „უფლისციხე“, „გორის უნივერსიტეტი“, „ლიტერატურული ქართლი“ და ჟურნალს „ჩვენი უნივერსიტეტი“. იგი ბავშვების უსაყვარლესი რედაქტორიცაა და საბავშვო გაზეთ „ყაყაჩოს“ ფურცლებით სამშობლოს სიყვარულსა

და სიკეთეს აბრიალებს მოზარდთა გულებში.

გარდა ამისა, იგი 18 წიგნის ავტორი (მათ შორის 6 მონოგრაფიის და რამდენიმე ათეული ისტორიული ნარკვევის), ლიტერატურული და სამეცნიერო წიგნების რედაქტორი და რეცენზენტიცაა. ადგილობრივ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 800-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი. საზოგადო საქმიანობით ძალიან დატვირთული ხელოვანი მანც ახერხებს მუხასთან განმარტობას, რითმებთან ჭიდლით საზრდოობს მისი სული.

– საქართველო პოეზიისა და სიყვარულის ქვეყანაა, ბევრი კარგი პოეტი გვყავს და მათ რიგებშია ჩვენი დათო ახლოურიც, – აღნიშნა ქალბატონმა მანანა მგალობლიშვილმა, – მთის კილო-კავით გაჯერებულ მის ლექსებში მოუდუნებელი ეროვნული მარღვია. მისი შემოქმედება რეალისტური ნაკადით არის გამსჭვალული, რომანტიკოსიც არის, თუმცა, პროგრესულად მოაზროვნე რომანტიკოსია, იოლი გზით არ უვლია, ჰქონდა რთული პერიოდებიც, მაგრამ ნიჭითა და შრომის-მოყვარეობით სძლია. სჯერა მომავლის.

პოეტს მისივე ლექსებით მიესალმა გორის კოლორიტი, ყველა-სათვის ცნობილი და საყვარელი რეჟისორი ანზორ გვაძაბია, გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის მდივანი მერი მარწყვიშვილი, მწერალი გერონტი გოგინაშვილი, გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორი ნოდარ მდინარიძე, პოეტები ვჟმალ ინჯია და გიორგი მახარობლიძე.

ცნობილმა მხატვარმა გიორგი კუსრაშვილმა პოეტს საჩუქრად გადასცა გორის ციხის ლევენდის მიხედვით შესრულებული ქმნილება „გორის ციხის სიმბოლური გასაღები“, ხოლო მისმა შვილიშვილმა სოფო ჩუხრუკიძე-კუსრაშვილმა წაიკითხა დათო ახლოურის და აკაკი ბიძინაშვილის ლექსები.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ გორის რაიონის სოფლების – ბერშუეთის და ყელქვეულის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც წაიკითხეს კრებულის ავტორის ლექსები და შეასრულეს მისივე ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

აღსანიშნავია, რომ ახლოურის ლექსებზე არაერთი სიმღერაა შექმნილი, ზოგიერთი მათგანი კრებულის პრეზენტაციაზეც აჟღერდა. ამ ლექსებზე შექმნილი საკუთარი სიმღერები შეასრულა ვახტანგ ცეცხლაძემ, ხოლო ომარ გრიგალაშვილმა და ინა ლომოურმა მსმენელს

შესთავაზეს გორელი მუსიკოსის ელიკო ალექსიძის სიმღერა.

ავტორმა თავადაც წაიკითხა საკუთარი ლექსები, რომლის მამოძრავებელი ძალა სიყვარულია. პოეტს ნაზად და ამაღელვებლად უყვარს, სატრფოს აჩრდილივით ასდევნებია და მისი არსებობით სულდემულობს, საყვარელ ქალთან ყოველი შეხვედრა მისთვის ზეიმია, ამბორყოფის დროს სულ არ ენაღვლება, „ვის რა ეზედმეტება“.

სხვა პოეტების მსგავსად მასაც აღელვებს სამშობლოს ბედ-იღბალი, უფალს შესთხოვს შემწეობას, დედა ღვთისას ავედრებს თავის ხალხს, ტკივილიანი ხმით გოდებს: „რა გამახარებს, როცა ხალხი ცრემლიანი“, თუმცა, სჯერა, რომ „მწუხრის ჟამი მალე ჩაივლის“, მზად არის მამულისთვის ისეთი რამე გააკეთოს, „სხვას კი არა და, გაუკვირდეს ცოტნე დადიანს“.

პოეტი წარმოშობით ფხოველია, მისი წინაპრები გაბიდაურები იყვნენ, იმ თემიდან, საიდანაც გაზღდათ ვაჟა-ფშაველას დედა გულქან ფხიკელაშვილი. ლექსში „ვაჟა-ფშაველას“ პოეტი ამბობს:

„ვაჟა მთა იყო,
მთასთან ჯიბრი
სად გავონილა?!
ისიც საქმეა
ფშაველობა
თუკი შევძელი“.

შეძლო, ნამდვილად შეძლო, ფშაველი კაცის გამძლეობით მიუყვება შარას, საქმიანობა მუნღჩაუდრეკელი აქვს, შემოქმედება — საინტერესო...

„რა გზა გამომივლია, გითხრან ჩემმა ლექსებმა...“



ყოველი დიდი თუ მცირე ხელოვანი თავის ტაძარს აგებს, რომლის კედლებსაც საკუთარი შედეგებით ასურათნატებს. რაც უფრო ღმერთთან ახლოსაა ხელოვანი, უფრო ლამაზია ტაძარი და მლოცველიც მოჭარბებულად ჰყავს. გიორგი მახარობლიძის პოეზიის ტაძარი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია

გორში, რომელსაც „მრევლი“ ნამდვილად არ აკლია. თავად შემოქმედი ჩუმად, ფენაკრეფით დაიარება ქალაქში, არ უნდა ვინმე შეაწუნოს თავისი არსებობით, მაგრამ, როგორ დარჩება შეუმჩნეველი სულმადლიანი პოეტი, მისი „პეპლების ფრთებზე“ დაწერილი ღირიული სტრიქონები ნოტებად ქცეული დაფარფატებს ხალხში, ხშირად გიტარის თანხლებით.

შეუმჩნეველად გაფრინდა წლები... ნახევარსაუკუნოვან შემოქმედს გორის მწერალთა სახლის ინიციატივით შეხვედრა მოუწყვეს გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. მცირე დარბაზი ვერ იტევდა გიორგი მახარობლიძის ნიჭის თავყანისმცემელთ. ღონისძიებას უძღვებოდა თეატრის დასის ხელმძღვანელი მანანა მგალობლიშვილი. იმ ლამაზ საღამოს იყო ბევრი მილოცვა, ლექსი და სიმღერა.

„გორელების გალაკტიონი“ უწოდა იუბილარს ბანოვანელმა მერი მარწყვიშვილმა, მწერალმა ვანო ჩხიკვაძემ მხრებჩამოყრილ ბელურას შეადარა იგი, არა იმიტომ, რომ სუსტი და უმწეოა, პირიქით, ზომაზე მეტად თავმდაბალია, როგორც დიდ ადამიანებს სჩვევიათ, რომლებიც სულს გვიყვავილებენ უნაპირო შემოქმედებით. იუბილარს მიესალმნენ გორის მწერალთა სახლის დირექტორი, პოეტი ჯემალ ინჯია, მწერალი ზაურ წაქაძე, პოეტი ჟუჟუნა ვაშაგაშვილი.

„სულმდიდარ და ჯიბეიაფ“ მეგობარს მიფერა პოეტი გიორგი ხორბალაძე, მსახიობი ნოდარ მდინარიძე, უფროს კოლეგას საკუთარი ლექსი მიუძღვნა ახალგაზრდა პოეტმა ვიკა ქალღანმა, თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა თიკო და სანდრო ონიაშვილებმა იუბილარის ლექსზე შექმნილი სლაიდ-შოუ წარმოადგინეს.

ღონისძიება გაალამაზა გორელების საყვარელმა მუსიკოსმა მიშიკო კოშკაძემ, რომლის რეპერტუარშიც ჭარბობდა გიორგი მახარობლიძის ლექსებზე დაწერილი სიმღერები. ბოლოს სცენაზე გამოჩნდა იუბილარი, რომელმაც მაყურებლისთვის ახლობელი და საყვარელი ლექსები წაიკითხა.

... საღამო დამთავრდა, მაგრამ არ მთავრდება ხალხის სიყვარული სიტყვის კირითხუროსადმი, რომელიც ალალი და ცხელი გულით დაიარება გრძნობაგაცივებულ ადამიანთა შორის.

დიდხანს სიცოცხლე და მუშების სიმრავლე ვუსურვოთ საყვარელ პოეტს!

2010 წ.

ბაირონის ნაკვალევზე



სცენა მხიარულმა მოკარნავალებმა გადასერეს, ვალსიც ჩათავდა და სამარისებურ სიჩუმეში ბაირონის აჩრდილმა გაირონინა. დიდი ინგლისელი პოეტის შესახებ ამბავს შთამბეჭდავად მოგვითხრობდნენ წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის პედაგოგები: ვალერი ცერაძე, ნაირა ჯეირანაშვილი, ინგა ხარშილაძე, ლეილა ნამორაძე, მარინა ჯირკველიშვილი, ხათუნა ჯინიყაშვილი, ქეთი ძამაშვილი, ნანა კაჭკაჭიშვილი, რომლებმაც

მოსწავლეებთან ერთად წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „სიმართლე ბაირონის შესახებ“.

ლორდ ბაირონი ერთადერთი ინგლისელი პოეტია, რომელმაც უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია ევროპის კულტურის და პოლიტიკის განვითარებაზე.

რთულ ბავშვობაგამოვლილი ბაირონი თავიდანვე გამოირჩეოდა ძლიერი ხასიათით და სიამაყით. მან ბრწყინვალე ლექსები დავგიტოვა, მაგრამ „მარადიული სულის ბორკილგაყრილი გონი“ ლექსზე მალლა

საქმეს აყენებდა – ცხოვრების მიზნად სამართლიანობისადმი ბრძოლა ჰქონდა დასახული.

ბაირონის ჰუმანურობა და სიფაქიზე გამოვლინდა ქართველი გოგონას – თირზას მიმართაც, რომელიც მან ალექსანდრიაში მონათა ბაზარზე შეიძინა. მისი ხანგრძლივი და გულწრფელი მცდელობა, სამშობლოში მოეხვედრებინა ტყვე გოგონა, უშედეგო აღმოჩნდა. თირზა დაიღუპა, მისმა სიკვდილმა ძალიან იმოქმედა მგრძობიარე პოეტზე, რომელმაც ლექსების ციკლი უძღვნა უდროოდ გარდაცვლილ ქალიშვილს.

დამთავრდა თეატრალიზებული სანახაობა, რომელიც ინესა მერაბიშვილის წიგნის – „ბაირონი ქართულად“ პრეზენტაციას მიეძღვნა. ხილულად მოსმენილმა ბაირონმა უდიდესი სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს, რისთვისაც ძალ-ღონე არ დაიშურეს შეხვედრის ინიციატორებმა მანანა ჩუხრუკიძემ და მაგული გარდაფხაძემ ქალაქ გორის საკრებულოს და გამგეობის თანადგომით.

სიტყვა ეძლევა ქალაქის გამგებელს პაატა ჩხეიძეს, რომელმაც საზოგადოებას წარუდგინა საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი, ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი წევრი, თბილისის ბაირონის სკოლის დირექტორი ინესა მერაბიშვილი.

– „ბაირონი ქართულად“ მშვენიერი, ნიჭიერი ქალბატონის ცხოვრების ნაწილია, რომელიც გორშია დაბადებული და გაზრდილი. მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია მოსკოვში, სადაც დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია ფილოლოგიაში აღმოჩენის გაკეთება, მან ეს შეძლო. იგი წავიდა ბაირონის ნაკვალევზე და დღესაც დიდი სიყვარულით ემსახურება ბაირონის საქმეს საქართველოში, – აღნიშნა პაატა ჩხეიძემ.

ქალბატონმა ინესამ მაღლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისთვის. აღტაცებული დარჩა ლიცეუმის პედაგოგთა ოსტატობით, მიესიყვარულა პატარა ბაირონს (ლამა შუბითიძე) და თირზას (თათია ოდიშვილი).

ქალბატონი ინესა ბაირონების ოჯახამდე ბახტაძეების ოჯახიდან „მივიდა“. ცნობილმა პედაგოგმა ლიანა ბახტაძემ უდიდესი როლი ითამაშა მისი პროფესიის განსაზღვრაში. დღეების ქარავანმა თან გაი-

ყოლა მოსწავლის და მასწავლებლის შეუპოვარი შრომა. იმ საღამოს ქალბატონი ლიანა გულაჩუყებული ჰყვებოდა „ელვარე ვარსკვლავით ცაზე გაჭრილი“ შეგირდის წარმატებულ ნაბიჯებზე, რომელმაც მთელი მსოფლიო შემოიარა.

ინესა მერაბიშვილის პიროვნებაზე და მის შემოქმედებაზე ისაუბრეს სკოლა-ლიცეუმის დირექტორმა მანანა ჩუხრუკიძემ, წიგნის რედაქტორმა მედეა ზაალიშვილმა, გალაკტიონის შვილობილმა ნუნუ ებანოიძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რამაზ ქურდაძემ, გერმანიის დალი ფანჯიკიძემ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა მანანა მგალობლიშვილმა.

დიდხანს გაგრძელდა სიყვარულით აფერადებული საღამო. სწორად შენიშნა მაგული გარდაფხაძემ: „ინესა შეხვდა მონატრებულ გორელებს, გორელები კი მონატრებულ ინესას“.

...და აღარ ეთმობოდათ ერთმანეთი.

2003 წ.

ელდარ მამისთვალიშვილი – 60



ელდარ მამისთვალიშვილს დიდი წარდგინება არ სჭირდება მკითხველთა წინაშე – ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი, პარლამენტარი 70-მდე სამეცნიერო სტატიისა და 8 წიგნის ავტორია. მისი ფიქრი ნიადაგ ჩვენს მშობლიურ ქალაქს დასტრიალებს, გორის ისტორიის დაუღალავი მემკვიდრეა. ამ ქალაქის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. მის გამო თავის ღრობზე ბევრ „სარფიან“ და „მაცღურ“ წინადადებაზე თქვა უარი. მისი წიგნიც „გორის ისტორია“ გაცხადებული დიდი სიყვარულის დასტურია.

– ბატონო ელდარ, მკითხველს აინტერესებს თქვენი პიროვნება. გვიამბეთ რაზე თქვენს შესახებ...

– გორში დავიბადე და გავიზარდე. მამა არ მახსოვს, ომიდან არ დაბრუნებულა. დავამთავრე მეხუთე საშუალო სკოლა. გორის პედაგო-

გიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. წელიწად-ნახევარი გორის I საშუალო სკოლაში ვიმუშავე ისტორიის მასწავლებლად. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მივაშურე. დავამთავრე ასპირანტურა შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალობით. მაშინვე დავიცავი ხარისხი, ხოლო სადოქტორო დისერტაცია – 1983 წელს. სხვათა შორის, ჩემი ისტორიკოსობა იმანაც განაპირობა, რომ ციხისუბანში გავიზარდე. გორის ციხე ყოველთვის იყო ჩემი ფიქრის წყარო. მყავს ორი ქალიშვილი და სამი შვილიშვილი.

– თქვენს ბავშვობას ზომ არ გაიხსენებდით?

– ოო, ჩემი თაობის წარმომადგენლებს ცოტა უცნაური ბავშვობა გვქონდა, ვერ ვიტყვი ცუდი, მაგრამ დღევანდელი ბავშვებისგან სრულიად განსხვავებული. დღეს რომ ჩემი შვილიშვილი კომპიუტერით თამაშობს, ჩვენ უბრალო სათამაშოებიც კი არ გვქონდა. ჩვენს დროს „მოდაში“ იყო ლახტი, გრძელიჯორი, ფეხბურთი. იცით ფეხბურთს როგორ ვთამაშობდით? ნამდვილი ბურთი ფუფუნებად ითვლებოდა და იშვიათად გვქონდა. ჩვენი ბურთი კენჭებითა და სიმინდით გავსებული წინდა იყო. თუ ვინმე ღორს დაკლავდა, ბუშტში ვათავსებდით „საფეხბურთო მასალას“.

– როგორი ხასიათი აქვს პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილს?

– ვფიქრობ, რბილი. მხოლოდ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩემი პრინციპები მაქვს და მათი ღალატი არ შემიძლია.

– გადმოცემით ვიცი, რომ ახალგაზრდობის მფარველი ბრძანდებით. ზრუნვასა და სიყვარულს არ აკლებთ მათ.

– არ ვიცი, რას ლაპარაკობენ. ნიჭიერი ახალგაზრდები კი მართლა ძალიან მიყვარს.

– მკითხველს ზომ არ შეახსენებდით თქვენს წიგნებს?

– ბოლო დროს გამოცემულებს დავასახელებ: „გორის ისტორია“ (I ტომი), „ქართველ ებრაელთა ისტორია“, „ამილახვრები“, „ქართველები და ბიბლიური სამყარო“. მალე გამოვა „გორის ისტორიის“ II ტომი.

– სპონსორობას ვინ გიწევთ?

– ძირითადად მეგობრები. „ქართველები და ბიბლიური სამყარო“ გამოცემაში შოთა ჩოჩიშვილი დამეხმარა. ქალაქის ხელისუფლებაც მხარში მიდგას. „გორის ისტორიის“ II ტომი ჩვენი გუბერნატორის და მისი მოადგილის – ირაკლი ბოჭორიძის და დავით ქობლიანიძის უშუალო ხელშეწყობით გამოდის.

– **თქვენი სამომავლო გეგმები?**

– გეგმები ბევრი მაქვს. ისევ გორის ისტორიას მინდა დავუბრუნდე და ერისთავებზე გამოვცე წიგნი.

– **თუ გრჩებათ თავისუფალი დრო და როგორ ატარებთ მას?**

– თავისუფალ დროს მეგობრებში ვატარებ. მიყვარს მათთან ერთად ვარჯიში და სუფრასთან ყოფნა. კიდევ ბალში მუშაობა მიყვარს. შემიძლია ვიდგე და საათობით ვუყურო ერთ ხეს.

– **როგორც პარლამენტარი რას გვეტყვით?**

– ჩვენ სწორი კურსი გვაქვს არჩეული, ოღონდ დიდი მოთმინება და დრო გვჭირდება მიზნის მისაღწევად. ძალიან მინდა გორმა სწრაფად აღიდგინოს თავისი პეწი, ვნახო ისეთი ლამაზი, ბავშვობაში რომ მიყვარდა. ამისთვის ხალხმაც და ხელმძღვანელობამაც უნდა გაითავისოს, რომ ჩვენი ქალაქი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საზრუნავია.

მინდა ყველას სიამაყე გვქონდეს ლამაზი და მოწყობილი ქალაქისა, სადაც აღარ იქნებიან მათხოვარი ბავშვები და გასაცოდავებული ხალხი.

* * *

ბატონო ელდარ!

60 წელი დიდი ვერაფერი ასაკია ისეთი კაცისთვის, რომლის ცხოვრებისეული რიტმი ზამბარასავით არის დაჭიმული. გაზეთის კოლექტივის სახელით გილოცავთ დაბადების დღეს და მინდა ორ ენაზე დაგლოცოთ:

ლენაიმ, ბატონო ელდარ, დიდხანს იცოცხლეთ, ქართველი და ებრაელი ხალხის სადიდებლად.

1999 წ.

ორი ერის ერთობის საღარაჯოზე



„სამაჩაბლოელთა ცოცხალი მემპტიანი“ – ასე უწოდა პოეტმა დათო ახლოურმა ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს ვასილ საბანაძეს. ძირძველი ცხინვალელი დღემდე შეყვარებულია თავის ქალაქზე, რომელიც 1991 წელს იძულებით დატოვა და გორის „მდგმური“ გახდა. იმ პერიოდში ცხინვალში გამოძვავალი ერთადერთი ქართულენოვანი გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორი, ცხადია, გულხელდაკრეფილი ვერ დაჯდებოდა, შემოიკრიბა

დევნილი ჟურნალისტები და სულიერი საზრდო გაუჩინა იძულებით გადაადგილებულებს – გამოსცა ახალი გაზეთი „შიდა ქართლი“, რომელშიც იბეჭდებოდა ყველა სახის ინფორმაცია ცხინვალსა და ცხინვალელებზე. გაზეთის მთავარი მიზანი მაინც ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენა და დევნილთა დაბრუნება იყო.

მისი ნოსტალგია ცხინვალისადმი ამით არ დამთავრებულა და გამოსცა არაერთი წიგნი, რომელთა სათაურების დასახელებაც კი საკმარისია იმის დასტურად, რომ მწერლისთვის არ არსებობს სხვა საფიქრალი მშობლიური ცხინვალის გარდა: „ცხინვალი და ცხინვალელები“, „ცხინვალელი მანდილოსნები“, „ჩემი მშობლიური ცხინვალის ინსტიტუტი“, „ლიახვის ხეობის ცნობარი ენციკლოპედია“ (მედიცინა).

მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო ვასილ საბანაძის წიგნზე „ქართულ-ოსური ოჯახები“, რომლისთვისაც ავტორი ექვს წელზე მეტი აგროვებდა მასალებს. წინასიტყვაობიდან ვიგებთ, რომ წიგნის მიზანია ერთგვარი წვლილი შეიტანოს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში, ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენაში. ცხადია, ერთი წიგნი ამ თემაზე სრულად ვერ დაიტევდა სათქმელს, ამიტომ წიგნზე დადებითი გამოხმაურების შემთხვევაში ავტორი მზადაა გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით.

წიგნი სულმოუთქმელად იკითხება. პირველ წერილში „ღვაწლმოსილი რედაქტორი“ დათო ახლოური დაწვრილებით მოგვითხრობს ვასილ საბანაძის მოღვაწეობაზე, მას მოჰყვება თამარ ფარეხელაშვი-

ლის ნარკვევი „ბედი კაცისა“. მასში მხატვრულად არის დასურათ-ნატებული კაცი, რომელსაც „ღირსეულად მიეკუთვნა ღირსების ორდენი დიდი ეროვნული ღვაწლისათვის“. იგი „ამაყად მოუყვება თავის წილ ბილიკს, იმ ბილიკს, რომელსაც ბედისწერის ბოძებული მძიმე ჯვარი უნაპირო სიკეთემ და სიყვარულმა მსუბუქად აზიდვინა“.

წერილი „რას მეტყვი, ჩემო ცხინვალო“ წიგნის ავტორის გულისტკივილით არის გაჯერებული. მართლაც, ვერავინ გაიგებს ედემ-ქალაქის ყოფილი ბინადრების სატკივარს. ცხინვალს ზომ „ქალაქი-ბაღი“ შეარქვეს ჩამოსულმა სტუმრებმა. მართო სამასი ხე ვასილ საბანაძეს აქვს დარგული სხვადასხვა დროს ცხინვალის პარკებსა თუ სკვერებში. გუშინდელ დღესავით ახსოვს, როგორ აშენდა მის თვალ-წინ ცხინვალის საკონცერტო დარბაზი, ბავშვთა უნივერსალი, კინოთე-ატრი „ჩერმენი“, ქარხნები: „ემალსადენი“, „ელექტროვიბრომანქანა“, სამკერვალო და ტრიკოტაჟის ფაბრიკები, საცხოვრებელი კორპუსები მამსუროვის მასივში, „მანზაიში“ და ა.შ.

„არასოდეს ცეცხლსასროლი იარაღი არ ამიღია ამ ქალაქის და-საცავად, მე ხელში სხვა იარაღი მეჭირა მუდამ, ეს იყო საწერ-კალამი და ამ კალმით ყველას მოვუწოდებდი, ერთმანეთს გაჯიბრებოდნენ ცხინვალის სიყვარულში“, – აცხადებს ავტორი.

საინტერესოა ექსკურსია საქართველოს წარსულში. „ქართულ-ოსური ურთიერთობები – მეზობლობა, მეგობრობა, ქორწინებები, ნათესაობები იწყება ფარნავაზ მეფიდან, ე.ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნიდან და მოდის დღემდე. ეს ურთიერთობები რომ იცოდნენ ქართველებმა და ოსებმა, ვფიქრობ, ქართულ-ოსურ კონფლიქტზე საუბარი აღარ იქნებოდა“, – მიაჩნია ვასილ საბანაძეს.

წიგნში მოთხრობილია იმ ქართველ მეფეებზე, რომლებსაც ოსი მეუღლეები ჰყავდათ, აღწერილია მათი ურთიერთობები, რომელიც სხვებისთვის სანიშნო იყო.

ბაგრატიონ მეფეთა შემდეგ თხრობის ჯერი რიგით ადამიანებზე დგება. წიგნში 85 შერეული ოჯახია შესული, ინდივიდუალური ცხოვრებით და ისტორიებით. თუმცაღა, ყველა მათგანს აქვს ერთი საერთო: თითოეული შერეული ოჯახი მტკიცედ დგას ორი ერის ერთობის სადარაჯოზე.

მზიანი მარადისობისკენ



მოკლეა ცხოვრების გზა, რადგან გაჩენის-თანავე იბადება დასასრულიც. აღამიანმა ყველაფერი უნდა მოასწროს ამ გზაზე. ყველამ თავისი საკეთებლით უნდა დაკეცოს წუთისოფლის შარა, რომლის ბოლო ზოგისთვის წყვლიაღია, ზოგისთვის მარადისობა.

... გორში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ ბავშვობის წლების საუკეთესო მოგონებები ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოსთან არის დაკავშირებული. ბევრი ურბენია ქარ-ნიავის სათარეშო გორაკებზე, დღემდე ასსოვს ხატულა ყვავილების სურნელი და მზედაფენილი მიწის ონშივარი. ამ ქორბულა სოფელში ეგულებოდა დედის ძმა იორამ ლულუშაური – ბავშვივით სუფთა, უკეთილშობილესი პიროვნება, მონადირე, მელექსე, მეფუტკრე. მან შეაყვარა ჭიუხებში ნადირობა, ასწავლა ბადის სროლა და თევზაობა, დააახლოვა პოეზიასთან.

დამთავრდა ბავშვობის ხანა და სამხატვრო აკადემიას მიაშურა. ბედმა ამჯერადაც გაუმართლა და დიდებულ პედაგოგ თენგიზ ცხონდიას შეასვენდრა. ბაძავდა, მოსწონდა მისი შრომისმოყვარეობა, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება, მოსწონდა, როგორც მხატვარი და პიროვნება. გული დაწყვიტა ახალგაზრდა ოსტატის უღროო გარდაცვალებამ.

ფუნჯთან დამეგობრებული 25 წელია გაუთავებლად ხატავს და ხატავს. მერე რა, რომ სახელოსნო არა აქვს, თურმე ოროთახიანი ბინის საძინებელ ოთახშიც შეიძლება შექმნა და კარადის თავზე შემოდო ხელოვნების ნიმუშები, ზოგიერთი მათგანი ერთი ამოსუნთქვითაა შესრულებული, ზოგის შექმნას რამდენიმე თვე დასჭირდა.

ტევა აღარ იყო მისი ბინის პატარა ოთახებში. მეგობრები დაჟინებით თხოვდნენ თანხმობას გამოფენის მოწყობაზე, ის კი ღუძდა. ბოლოს ვეღარ გაუძლო მოძალებულ შემოტევას, წიწილებივით მითვალა წლების ნაამაგარი და საოცარი დამთხვევა აღმოაჩინა – გაჩუქებულ-გაყიდულის გარდა 50 ნამუშევარი შეუგებებია თავისი დაბადების 50 წლისთავისთვის. კარგად ენიშნა 50/50-ზე და დამორჩილდა მეგობრების ნებას.

19 მაისს გორის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში

მოეწყო მხატვარ ავთო ლუღუშაურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. სტუმართა შორის იმყოფებოდნენ გორის რაიონის გამგებელი ნუკრი პაპუნაშვილი და მისი მოადგილე გურამ აბრამიძე.

სიტყვით გამომსვლელებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ირაკლი მჭედლიშვილმა, დოცენტმა თამილა გოგოლაძემ და „გორის მოამბის“ რედაქტორმა ზაურ წაქაძემ მოკლედ მიმოიხილეს ნიჭიერი მხატვრის შემოქმედება. როგორც თამილა გოგოლაძემ აღნიშნა, ავთო ლუღუშაურის ნახატებზე მისი სულის და გულის ცეცხლია გადმოფრქვეული, შემოქმედი ხელისგულზე დადებულ სულს სთავაზობდა დამსწრე საზოგადოებას.

ამაღლებული განწყობა დამეუფლა ავთო ლუღუშაურის ნახატების ხილვისას. გამიჭირდა ემოციებისთვის სიტყვიერი სამოსის შერჩევა. ხელის ერთი მოსმით დაუვიწყარი სურათები შეუქმნია მხატვრის ფუნჯს, თვალს იტაცებს ფერთა ლივლივი, უბრალო, ყოფით სურათებში შთამბეჭდავად აქვს გადმოცემული ადამიანური ხასიათის შტრიხები, თუშეთის პეიზაჟები კი სულისმძიერი ძაფებით მიგაქსელავს სამშობლოს ხატზე.

აღფრთოვანებას სხვებიც ვერ ფარავდნენ.

ჯაბა შატაკიშვილი (სამხატვრო სკოლის დირექტორი): „ბრწყინვალე ფერმწერია, მისი გამოფენა აქამდეც უნდა მოწყობილიყო“.

ზენაბ მეტრეველი (მწერალი): „ავთოს ფერები ბედნიერად იმყოფებოდა თან დაგვეცხვება, სადაც სული ისურვებს, რომ ამქვეყნიური უსასოობა და უბედურება სულის ფსკერზე ჩაკირულ ხელოვნებად აქციოს. ავთო მამაკაცური სადარდელის მხატვარია. მისი შემოქმედება ყველამ ისე ვაჟკაცურად უნდა ზიდოს, როგორც თავად ატარებს დიდი ნიჭიერებით სავსე მარტოსულობას“.

ზარიკა ჭარუაშვილი (მუსიკოსი): „ძალიან მომეწონა ლამაზ ფერებში გადაწყვეტილი პეიზაჟები. მის ნახატებში პოეზიაც ჩანს და მუსიკაც. კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ხელოვნება სიცოცხლეა, სიცოცხლე კი – ხელოვნება“.

გიორგი კუსრაშვილი (მხატვარი): „ლავი მონასმები აქვს, არ ენანება საღებავი და კიდევ, ყველაზე მთავარი, თითოეულ ნახატში გაერთიანებული აქვს 4-5 კომპოზიცია, რომლებიც შეიძლება ცალკე დაეხატა“.

ვალერი ცერაძე (პედაგოგი): „ავთოს საკუთარი, განსხვავებული ხელწერა აქვს. არ ემინია ფერების. ნებისმიერი ფერი თამამად აქვს

ტილოზე დადებული. ნახეთ „ოქროს შემოდგომაში“ ფერთა როგორი თამაშია? თანაც ისეთი ჰარმონიული, რომელიმე ფერის გამოკლება წარმოუდგენელია. ანდა მისი დასატული ცა, როგორი გაბრაზებულია, თითქოს ინგრევა, მისი ნახატები დიდხანს რჩება ადამიანის მეხსიერებაში“.

თამარ კასრაძე (სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებული): „სუნთქვა მიჭირს, იმდენად დიდი ენერგია და მოძრაობა მოდის ამ სურათებიდან. მათ ავტორს სულისშემხუთველი სიყვარულით გაუთბია სევდიანი და ცივი წუთისოფელი“.

სათქმელი ითქვა, საძიებელი კვლავაც ბევრია, რთული და ეკლიანია შემოქმედის შარავზე მზიანი მარადისობისკენ.

2005 წ.

სასარგებლო საქმიანობა სასიამოვნო დასვენებასთან ერთად

ოთხი ათეული წელია გორის ქალთა კამერული გუნდი მსოფლიო მუსიკალური საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ოთხი ათეული წელია მას უცვლელად ხელმძღვანელობს საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო და ზაქარია ფალიაშვილის პრემიების ლაურეატი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი შალვა მოსიძე.

მუსიკათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ შალვა მოსიძის სკოლას ანალოგი არა აქვს მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა-



ში საგუნდო ხელოვნების დიდი კულტურაა, ევროპული კლასიკური გუნდები ერთ მანერაში მღერიან და ხშირად მათ ვერც კი გაარჩევ ერთმანეთისგან. მათგან განსხვავებით ქართველი მაესტრო საკუთარი განუმეორებელი ხელწერით ახდენს მსმენელზე ზეგავლენას და ასე გაგრძელდება მომავალშიც.

ამის წინაპირობა უკვე არსებობს – ქალთა კამერულ გუნდთან შეიქმნა ბავშვთა საგუნდო სტუდია, რომელიც 70-მდე მოზარდს აერთიანებს. იმედისმომცემი პატარა ქორისტები პედაგოგების ნინო წიკლაურის, თამუნა ოქროპირიძისა და ზვიად ბლიაძის დიდი მცდელობითა და თავდაუზოგავი მეცადინეობის შემდეგ წარმატებით წარსდგნენ გორულ მსმენელთა წინაშე ივნისში, სექტემბერში კი გორის რაიონის სოფელ ბობნევს მიაშურეს, სადაც ქალთა კამერული გუნდის საზაფხულო შეკრების ბანაკია განთავსებული. პატარა სტუდიელების გამგზავრების მიზანი იყო აქტიურ დასვენებასთან შერწყმით სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მათი პროფესიული ზრდის თვალსაზრისით.

ბობნევში ჩასული ბავშვები მოიხიბლნენ იქაური ბუნებით. ზღვის ღონიდან ცხრაას მეტრზე მდებარე სოფელი ჯანსაღი ჰაერით იყო გაჯღენითილი, სამყაროს შემქმნელს არ დაუშურებია საღებავები ამ დალოცვილი კუთხის მოსახატად, გულმოდგინედ გამოუკვეთია კლდეები, სამოთხესავით აუბიბინებია მინდორ-ველი.

გუნდის მენეჯერმა მზია გურგენიძემ ბანაკში ჩასვლისთანავე გააცნო ბავშვებს დღის რეჟიმი. ყოველი დღე დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყებოდა. საუზმის შემდეგ საინტერესო ვიქტორინა-კონკურსი იმართებოდა, სადაც ყველას ჰქონდა საშუალება გამოეკვლინა თავისი გონებრივი და ინტელექტუალური პოტენციალი. უცხო ენის პედაგოგი თამარ ფუტკარაძე ინგლისური ენის გაკვეთილებს უტარებდა მოზარდებს.

რეპეტიციისთვის სამი საათი ჰქონდათ გამოყოფილი, რომელსაც ქორმაისტერი ნინო წიკლაური უძღვებოდა კონცერტმაისტერ მთვარისა ბერძნიშვილის აკომპანიმენტით.

პატარა ქორისტებს გვერდიდან არ სცილდებოდა გორის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი სანდრო კაჭარავა, რომელიც ვრცლად გვესაუბრა ბავშვთა გუნდის შექმნის აუცილებლობაზე და მათ სამომავლო გეგმებზე:

– საბავშვო სტუდიის ჩამოყალიბების იდეა მრავალი წლის წინ დაგვებადა მე და შალვა მოსიძეს. მოგეხსენებათ, რომ მან შექმნა გუნდი, რომლის მსგავსი, დამერწმუნეთ, მსოფლიოში არ არსებობს. ამას თამამად ვამბობ იმიტომ, რომ მოსმენილი გვყავს თითქმის ყველა საუკეთესო კოლექტივი, რომელთაგანაც მოსიძის გუნდი სიმღერის მანერით განსხვავდება. გუნდის გოგონებმა შემოიარეს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა და იაპონია, ორჯერ გაიმარჯვეს საერთაშორისო კონკურსში გერმანიასა და უნგრეთში. ბატონი შალვას ფენომენი ის არის, რომ სულ სხვა უღერადობას მიაღწია. ბგერაზე ისე მუშაობს, ისე ითხოვს მომღერლისგან, რომ ყველასთვის ადვილი არ არის. შეიძლება სმენიან და ნიჭიერ ახალგაზრდასაც გაუჭირდეს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამიტომ ჩავთვალეთ, რომ პატარაობიდანვე უნდა აღიზარდოს გუნდის მომღერალი.

არანაკლები პრობლემა იყო ჩვენთვის პედაგოგის შერჩევა. ბავშვთა სტუდია უნდა მიგვენდო იმ ახალგაზრდა ქორმაისტერისთვის, რომელიც მოსიძის სკოლას გაივლიდა, მისი აღზრდილი იქნებოდა და გააგრძელებდა მუშაობის იმ მანერას, რაც ბატონმა შალვამ შექმნა. ჩვენდა სასიხარულოდ, მკაფიოდ გამოიკვეთა ორი ასეთი ახალგაზრდა – ნინო წიკლაური და თეონა ცირაძე. თეონა მეორე წელია სასწავლებლის სტუდენტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს, ნინო კი – ბავშვთა გუნდს დღიდან დაარსებისა. ჩვენმა ექსპერიმენტმა გაამართლა და წარმატებულად გრძელდება. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ ივნისის დასაწყისში წარმატებით ჩატარდა ბავშვთა გუნდის საჯარო გამოსვლა ჩვენი სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში.

რა თქმა უნდა, მთავარი შედეგისთვის ჯერ არ მიგვიღწევია, მაგრამ ყველა წინაპირობაა საიმისოდ, რომ ეს გუნდი არა მარტო საქართველოში იქნება ცნობილი, არამედ აღიარებას მოიპოვებს მთელს ევროპაში, მსგავსად მისი წინამორბედი ქალთა გუნდისა. ახლო მომავალში პატარები ქალთა გუნდთან ერთად ჩაატარებენ ერთგვარ საანგარიშო კონცერტს კონსერვატორიის მცირე ან დიდ დარბაზში. ჩვენ ურთიერთობა გვაქვს კოლეგებთან, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ იმპრესარიოებთან და გარკვეული რეპერტუარის შექმნის შემდეგ პატარების ხელოვნებას საფრანგეთში ან ჰოლანდიაში წარმოვაჩენთ.

საგუნდო სტუდიაში წელსაც გვექნება მიღება. სწავლების ოთხი წლის შემდეგ სტუდიის კურსდამთავრებულები მიიღებენ სერთიფი-

კატს და უმტკივნეულოდ მოხდება ღირსეულთა გადაყვანა ქალთა დიდ გუნდში.

ბობნევის საზაფხულო შეკრების ბანაკში თავს ევლებოდნენ მოზარდებს. მათ ყველა პირობა შეუქმნეს შინაარსიანი დასვენებისა და პროდუქტიული მეცადინეობისთვის. მზარეულები ნარგიზა გაზაშვილი, ნანო შატაკიშვილი და ია სურამელი უგემრიელესი კერძებით ანებივრებდნენ ბავშვებს, არანაკლებ მადისაღმძვრელი იყო ბანაკის ტერიტორიაზე არსებულ თონეში ნინო მშვიდლობაძის გამოცხვარი დედას პურის სურნელი.

კვების საკითხის ორგანიზებას წარმატებით ართმევდა თავს ქალთა კამერული გუნდის მოძღვრალი, საქართველოს სახალხო არტისტი მანანა გოგინაშვილი, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებდა ყველა ბავშვის გემოვნებას.

ბანაკიდან წამოსვლის წინა დღეს სევდამ დაისადგურა. ბავშვებს ეძნელებოდათ ბობნევის დატოვება. მშობლების სახელით მადლობა გადაიხადა ერთ-ერთი აღსაზრდელის ბებია მამარ ფუტკარაძემ:

– დიდი მადლობა ქალბატონ მზია გურგენიძეს, ნინო წიკლაურს, მთვარისა ბერძნიშვილს და ბატონ სანდრო კაჭარავას იმისთვის, რომ ძალას და ენერჯიას არ იშურებდნენ ჩვენი შვილების შემოქმედებითი წინსვლისთვის. ჩემი შეხედულებით, ბავშვთა გუნდის შექმნით უდიდეს საქმეს ჩაეყარა საფუძველი. ვფიქრობ, ასეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დაულაღავი შრომით, ჩვენი გოგონებისა და ბიჭუნების სიბეჯითით ეს გუნდი გახდება ღირსეული ცვლა გორის ქალთა კამერული გუნდის, დიდი მაცხტროს შალვა მოსიძის ხელმძღვანელობით“.

– ბანაკში ჩვენი ჩამოსვლის უპირველესი მიზანი იყო ყოველდღიური მეცადინეობა იმისთვის, რომ საქმე წინ წაგვეწვია ბავშვთა მომზადების თვალსაზრისით. აქ მოხდა შერწყმა – სასარგებლო საქმიანობა სასიამოვნო დასვენებასთან. ახლოს გავიცანით თითოეული ბავშვი განათლების, ეთიკის, წესრიგისა და აღზრდის თვალსაზრისით. შევეცადეთ მეტად შეგვეკავშირებინა და დაგვემგობრებინა ისინი, – განაცხადა გუნდის მენეჯერმა მზია გურგენიძემ.


...საზაფხულო შეკრების ბანაკში ქალთა კამერული გუნდის გოგონებიც ისვენებდნენ და გადიოდნენ ურთულეს რეპეტიციებს, თავის დროზე ეს ბანაკი სწორედ მათთვის შეიქმნა, რათა მუდმივად ფორმაში ყოფილიყვნენ, ზაფხულშიც ემუშავათ და მუშაობაში წყვეტილობა არ ჰქონოდათ.

პატარა მომღერლებისთვის სამაგალითო იყო დიდების ტიტანური შრომა, მათი ურთიერთსიყვარული და გუნდის ხელმძღვანელებისადმი უდიდესი პატივისცემა. რეპეტიციებზე მკაცრი და შეუვალი მანქანის მამასავით თბილად ეპყრობოდა გოგონებს.

სწორედ ეს ოჯახური ატმოსფეროა ქალთა კამერული გუნდის წარმატების გასაღები და იგი განდება მომავალი თაობის დამაფრთიანებელი.

2007 წ.

კაცი დახუნძლული საჭადრაკო და შაშის ამოცანებით, ლექსებითა და კროსვორდებით



შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, ნათქვამია, თუმცა, „გორის მოამბეს“ არც შინაური ავიწყდება და არც „გარეული“.

გაზეთის დაარსებიდანვე რედაქციაში მუშაობს მისი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და „სწრაფ-მაგალი“ თანამშრომელი შერგილ სუხიტაშვილი. წლების სიმძიმე მხოლოდ დათოვლილ თმებს შესტყობია. თავად ახალგაზრდული შემართებითა და ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს. მისი

პუბლიკაციები თუ სპორტული წერილები ყოველთვის მიმზიდველი და საინტერესოა. შეუძლებელია არ მოგეწონოს პოეტური სულით ნასაზრდოები მისეული ცეცხლოვანი სტრიქონები. მუდამ სხვებზე ზრუნვას, სხვების „გამომზეურებას“ ემსახურება. ურიგო არ იქნება თავადაც „გამოვამზეუროთ“ და ახლოს გავაცნოთ მკითხველს.

მისი ცხოვრება სადა და უბრალო, ერთი რიგითი ინტელიგენტის გზაა, თავდადებული შრომითა და გაცემული სიბოთითი სავსე დღეებით აკინძული. დაიბადა თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვერცხლის მედლით ხელდამშვენებული წამოვიდა თელავიდან პირტიტველა ბიჭი. ბედის ბორბალმა ჩვენს ქალაქამდე მოაცილა და მას შემდეგ გორს აღარ გასცილდება. აქ, პედაგოგიურ ინსტიტუტში დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის

ფაკულტეტი, აქვე დაოჯახდა და ცხოვრების ორომტრიალში ჩაება.

შერგილ სუხიტაშვილს ჭადრაკის სამყაროშიც კარგად იცნობენ. იგი ხომ ეროვნული ოსტატია საჭადრაკო კომპოზიციაში. მიღებული აქვს 35 პირველი პრიზი რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, მისი 6 ამოცანა შეტანილია მსოფლიო საჭადრაკო ხელოვნების ოქროს ფონდში, არის საქართველოში რეტროამოცანის ფუძემდებელი, საქართველოს ჩემპიონი 1970 წლიდან დღემდე სამსვლიანი ამოცანების განყოფილებაში, მუშაობს კომპოზიციის ყველა ჟანრში.

ჯერ კიდევ IV კლასიდან თამაშობდა ჭადრაკს. მასწავლებელი არ ჰყოლია, თავად შეისწავლა ამ ბრძნული თამაშის ანა-ბანა. შემდგომ კომპოზიციამ გაიტაცა. 1953 წელს „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ოთხსვლიანი ამოცანა. იმავე წელს შერგილის ამოცანები დაიბეჭდა რუმინეთის საჭადრაკო ჟურნალ „რევისტა დე შახ“-ში, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს 1200 ამოცანა, აქედან 1000-ზე მეტი უცხოეთში.

1975 წელს თბილისში გაიმართა საჭადრაკო კომპოზიტორთა მსოფლიო კონგრესი. ბატონმა შერგილმა იქ გამართულ თემატურ კონკურსში V პრიზი მოიპოვა სამსვლიანი ამოცანების განყოფილებაში.

1990 წელს მიწვეული იყო რუმინეთის პირველობის მსაჯად საჭადრაკო კომპოზიციაში ამოცანების ჟანრში (თვითშამათი და კოლპერაციული ამოცანები). მისი მსაჯობა შეფასდა 9 ქულით (შეფასების კრიტერიუმი 10 ქულაა).

1967 წლიდან საქართველოს ნაკრების წევრია საჭადრაკო კომპოზიციაში. 1970 წელს ამ ნაკრებმა მოიპოვა II ადგილი საკავშირო გუნდურ პირველობაში, ხოლო 1986-90 წლებში ორჯერ დაიკავა IV ადგილი. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში 10 პრობლემისტი იყო, 104 ქულა დააგროვა, აქედან 26 ქულა შერგილის ანგარიშზე მოდიოდა.

ბატონი შერგილი კროსვორდებითაც არის გატაცებული. გარდა ამისა, სიკეთისა და სილამაზის მოტრფიალე კაცი შესანიშნავი ლექსებით გამოხატავს თავის გრძნობებს.

60 წელი მოიტოვა უკან.

უამრავი სიძნელის მიუხედავად, დღემდე უბოროტო ბავშვივით სუფთა გულითა და სინდისით აგრძელებს ცხოვრებას.

არადა, ცხოვრება რარიგ ძნელი და ჭრელია.

ზღვით მონაბერი ნოსტალგია



ზღვის სანაპირო ეფერებოდა მის ბავშვობას... არაერთხელ დამტკბარა შზის ამოსვლით ტალღების ნებიერა ასული... ამიტომაც უყვარს ზღვა და ეტრფის მშვენიერებას. უკვე მოზრდილი ქართლის შუაგულში იკეთებს ბუღეს და ახლა გორელებს აყვარებს თავს სიალალით, გულკეთილობით, ნიჭიერებით.

დღემდე ახსოვს ყვავილნარში ჩაფლული მამისეული სახლი ოჩამჩირეში. ცრემლიან წლებში იქ შტაბს გახსნიან აფხაზები, მისთვის კი შორეული გახდება მშობლიური კუთხე... და იწყება მტანჯველი მოლოდინი. მას შემდეგ არ შეშრობია „ფურცელს მელანი“, მას შემდეგ „სულის ოაზისს“ ლექსებით იფერადებს.

„აპრილის ღამის ფრაგმენტებიდან“ მანანა შუბითიძის მესამე კრებულა, რომელიც თავად გვიყვება პოეტი ქალის იდუმალ თუ გახსნილ გრძნობებზე. კრებულის დიასახლისი მკითხველს პოეზიის უკიდევანო ტრამალებში ეპატიჟება, გრძნობით უმღერის „ქართლის ღამეებს“, ჩურჩულით ებასება საყვარელ ქალაქს.

ის „მთვარეული მთვარის“ არჩეული დედოფალია, მნათობთ მოუკირწყლავთ მისი „სულის ვარსკვლავეთი“, სიყვარულის ზვრები უშლის „ჟრუანტელის ბუსუსებს“, კვლავ და კვლავ ეტანება „სხივებშემობლანდულ, ათროლოებულ ფანდურს“, გაზაფხულის ფერთა უსაზღვრო მოზღვავებით აღტაცებული „გაფიცხებულ ქარებს“ ეცეკვება, ფრთხილად აღებს „გორის ციხეზე ჩამოწოლილი ნისლების სარკმელს“, კრძალვით ეთაყვანება გორელების სალოცავს – გორიჯვარს.

„გორიჯვარო, აწვართულო ცათამდე,
გორის ციხე – საკმეველო ჩემო,
სიყვარულის ცეცხლი როგორ გადამდეტ
ცას და მიწას ერთნაირად ვჩემობ“.

სად არ აღწევს მისი სიფრიფანა სული, მახვილი მხერით მხოლოდ მას ძალუძს შეამჩნიოს „დარდით მკვდარი ნაცრისფერი შემოდგომა“, „ცის ვარცლში ვნებით გადაწოლილი მთვარე“, „ცისარტყელით მო-

არტახებული ზეცა“, მხოლოდ მას ძალუძს ამოკრიფოს

„ფრთაფართქალა ზღაპარი,
ნამცეცებად თოვლში მიმონაფალი“,

მისი თვალთ,

„ბაგე გადახსნიათ ბროწეულებს,
ჰგვანან მასკარადზე მოწვეულებს“.

არც მნათობნი რჩება შეუმჩნეველი:

„ცაზე ვარსკვლავნი კრთიან,
ცას ჟრუანტელი უვლის“.

მგრძნობიარე პოეტი ქალისთვის სამშობლო უპირველესია სიყვარულის კრიალოსანში:

„ფიქრი ჩემი, ხატი ჩემი, იმერი და ამერია“, – აცხადებს იგი და მკითხველი იჯერებს მის გულწრფელობას. ამ საფიქრალში აფხაზეთი ყველაზე წინ მოდის.

„მე შენი მიწისა ვარ – სულ ციდა და ნარჩენი,
შენ ჩემი სიცოცხლე ხარ, ტკივილი, განაჩენი.
შენს ფესვში ჩაკვირულვარ ტრფიალით ანანთები,
ცის კარიც ქართულია აქ, იმად ვთამამდები“, –

მიმართავს სათაყვანო მხარეს და ასეთი პირმოუკრავი იარის ფეთქვა მის არაერთ ლექსში იგრძნობა.

სულისშემძვრელია მისი მონატრება, ნოსტალგია მშობლიური მიწის და „ზღვის თეთრი სასთუმლის“, რომელსაც ვერ შორდება ოცნების ცისფერი ათინათი.

„თოლიებს ვეფერები თვალებით მალი-მალე
ტალღათა გადმოსროლილ ქამანდს ვერ დავემალე!“ –

ვარამს გვიზიარებს და გრძნობ, როგორ წვეთ-წვეთად მოედინება პოეტის დაჭრილი გულიდან სისხლი, რომელსაც ოღრო-ჩოღრო გზებით გეზი მშობლიური კერისკენ აულია და მანამდე იდენს, სანამ აფხაზეთის მიწაზე არ გაივაკებს.

„მამული მტკივა, ციცქნა ქართველო“, – მიმართავს შვილს და გადის „დარდში ჩაწურული წლები“. ჟამ-ჟამად რწმენის ქარბორბალა წამოუვლის, იცის, რომ აფხაზეთი „თმენით ელოდება შვილთა თვისთა-ამაყ მერცხლებს“. აშვებული აქვს იმედის იალქნები:

„იმედის კოშკზე ვალაგებ აგურს,
ეს კოშკი მძლეა და... ქართულია“.

მისი კრებულები კართული სულის მატარებელია. ჩასხედით ამ „მატარებელში“, რომელიც სასიამოვნო მოგზაურობას გპირდებათ პოეტი ქალის ლირიულ სამყაროში.

ბოლო გაჩერება აუცილებლად აფხაზეთი იქნება, მას ხომ „ყრმობის ბილიკები“ ჩუმად მოელიან...

2008 წ.

ქალაქის პირველი ქალბატონი



წიგნზე მუშაობის პერიოდში ქალბატონმა იზო კარიჭაშვილმა აწ გარდაცვლილი ბელა მაყაშვილის არსებობა შემახსენა, რომლის შვიდწლიანმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დააჩინა ჩვენს ქალაქს. მეგობრებმა მისი ხსოვნის საპატივსაცემოდ გამოუშვეს გაზეთი, რომელშიც გილდა გუდაძე, თინა ჩუბინიძე, ნანა გელაშვილი, ნელი ჯოჯიშვილი, ამირან კირვალიძე, მანანა და იზო კარიჭაშვილები, რობერტ მალლაკელიძე, ვახტანგ ჭანკოტაძე,

გივი გაგნიძე, ნუნუ მალლაკელიძე-ბურჯანაძისა და ნატა ამბოკაძე თბილად იხსენებენ გორისთვის ამაგდარ ქალბატონს. მათი მოგონებების ანარეკლია ეს ნაჩქარევი წერილი.

„ქალის ცხოვრების გზა – ეს არის გზა სიცოცხლის მარადიული არსებობისთვის. ჭეშმარიტად ბედნიერია ის ქალი, ვინც ამ გზას ღირსებით გაივლის, ქალს გარდა ოჯახური ცხოვრებისა, სხვა ცხოვრებაც აქვს – „საზოგადოებრივი საქმიანობა“, – ამ სიტყვების ავტორია ქალბატონი ბელა მაყაშვილი, რომლის განვლილი გზა სამაგალითო უნდა იყოს ყველა საჯარო მოხელისთვის. მან გვიჩვენა, რომ მხოლოდ ხალხისა და საქმის სიყვარული შეგაძლებინებს შეუძლებელს, მიგვახვედრა, რომ ამ სიყვარულის გარეშე ვერაფერი აშენდება ვერასოდეს.

ჩინებული გვარის ჩინებულმა წარმომადგენელმა უკეთესობის დასანახად სხვა რაკურსით აუხილა „ჩინი“ გორელებს და განვითარების სხვა სიმაღლეებს აზიარა ძირძველი ქალაქი. მანამდე თელავში

სკოლას ამთავრებს ოქროს მედალზე, თბილისში – პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტს და შრომით ფერხულში ებმება. სხვადასხვა დროს მუშაობდა ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მთავარ ინჟინრად, 26 კომისრის რაიკომში მრეწველობა-ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, შემდეგ კომპარტიის რაიკომის მეორე მდივნად.

1977 წელს დაინიშნა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. მაშინ ძალიან იშვიათობა იყო ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქალის გამოჩენა. ქალაქი მოლოდინით იყო დაძაბული, მაგრამ ბელამ მალევე დაამტკიცა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია...“

ქალური სუსტი მხრებით იტვირთა ვაჟკაცური საქმე – დაიწყო ქალაქის აღმშენებლობა. არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას ასვენებდა. არ გამორჩენია არც ერთი დარგი, სადაც მისი პირადი მონაწილეობისა და ინიციატივის გარეშე ხდებოდა სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ბაბუელის სამრეწველო გაერთიანების რეკონსტრუქცია, გაფართობა, ახალი ტექნიკის დანერგვა; სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანება „დილას“ შექმნა ახალიზური ხელსაწყოების ქარხნის და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზებზე ხომ ახალი პროგრესული სიტყვა იყო ქალაქის ეკონომიკის მართვაში.

გორის 25-ზე მეტ სამრეწველო ორგანიზაციაში ჩატარდა რეკონსტრუქცია-განვითარების სამუშაოები, რა თქმა უნდა, შესაბამის უწყებრივ სამინისტროსთან ერთობლივი, ეფექტური მუშაობით. მისი მოღვაწეობის დროს უამრავი აგური დაიდო აგურზე და აშენდა ქალაქის შემოსასვლელი, გორის ციხესთან ულამაზესი „მზეჭაბუკის“ მემორიალი, „ვერხვების“, „ძნელადის“, „ჭვალის“, „წმინდაწყლის“ დასახლებები, კომბინატის დასახლებასაც მიემატა ახალი კეთილმოწყობილი კორპუსები, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მშრომელი ხალხის საყოფაცხოვრებო პირობები. სახელმწიფო თეატრის შენობას ჩაუტარდა კაპიტალური რეკონსტრუქცია. დაიწყო ახალი კინოთეატრის – „გამარჯვების“ მშენებლობა. პროფილი შეეცვალა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს, რაც საკმაოდ რთული ამოცანა იყო.

1984 წელს ქალბატონი ბელა გადაიყვანეს საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების, ერთი წლის შემდეგ კი მსუბუქი მრეწველობის მინისტრად. გორიდან წასულიც არ წყვეტდა კავშირს

ნამაგარ ქალაქთან, მისი პირადი „საჩუქარი“ იყო გორელებისთვის ჰიგიენის სახლი, არც ბამბეულის სამრეწველო გაერთიანებას აკლებდა ყურადღებას.

დაუღალავი მოღვაწეობით ძალიან შეაყვარა თავი გორელებს. მართლა იშვიათი ხელმძღვანელი იყო – ფენომენალური, მრავალმხრივ განვითარებული. ძალიან მომთხოვნიც იყო, პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ. მან კარგად იცოდა, რას და როგორ აკეთებდა, ჰქონდა საქმის გადანაწილებისა და პრობლემების გადაწყვეტის იშვიათი უნარი. ვერ იტანდა ზარმაცებს და მოუქნელებს. უყვარდა გამოთქმა: „მიზეზს ნუ ეძებთ, გამოიხატეთ გზები და საშუალებებიო“. როტულ პერიოდში უწევდა მოღვაწეობა, მაგრამ მისი მტკიცე ხასიათი მაღალ ინტელექტთან ერთად ყოველთვის იყო წარმატების საწინდარი. თავმდაბალი და თბილი გულის პატრონი ყველას ჭირს იზიარებდა, ყველასთან პოულობდა საერთო ენას. გორელებმა გულწრფელად შეიყვარეს კეთილი საქმეების, ყურადღების, გვერდზე დგომისა და სამართლიანობის გამო.

ეს სიყვარულია მარადიული ხსოვნის შუქურა.

2017 წ.

კეთილი ჯაღოქარი



იყო დრო ჩვენს ქალაქს ამშვენებდა კაცი, რომლის ოქროს მარჯვენას ახლაც ლოცავენ გორელები. ლოცავენ ისინი, ვინც განიცადა ამ მარჯვენის ჯადოსნური ძალა. ადამიანების სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ქირურგი უპრეტენზიოდ მიჰყვებოდა დროის ეტლს. უყვარდა თავისი საქმე და სჯეროდა რასაც აკეთებდა. ალლოსა და უნარს უქებდნენ, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა იცოდა.

სულთი ხორცამდე ინტელიგენტი არასოდეს კარგავდა წონასწორობას. არავის უნახავს იგი აყვირებული, თუნდაც აღელვებული, ყველანაირ ქარიშხალს საკუთარი სულის ქურაში გამოატარებდა და გარეგნულად კი არაფერს შეიმჩნევდა.

მერე როგორი თბილი იყო, როგორი ყურადღებიანი. უანგარო და დაუზარელი ღამეებს ათენებდა მძიმე ავადმყოფების სასთუმალთან. ყველას სატკივარი სტკიოდა და ყოველივე პირადულს ივიწყებდა, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხებოდა. და იყო გაუთავებელი ოპერაციები. ბევრი ისეთიც მოუჩინია, სააქაო პირი რომ აღარ ჰქონდა, მაგრამ კეთილი ჯადოქარი არ ანებებდა სიკვდილს მათ თავს და ოქროს მარჯვენის წყალობით პირდაპირ სასწაულებს სჩადიოდა.

მის თანამშრომლებს, ალბათ, ემანსოვრებათ, თუ როგორ აიყვანა ბატონმა სერგომ საკუთარი ხელით II სართულზე გორთან ავარიში მოხვედრილი სამტრედიელი ჭაბუკი და როგორ ყველაფერი იღონა მის გადასარჩენად.

ღირსეულმა ქირურგმა მამობის ტვირთიც ღირსეულად ატარა, შვილიც ისეთი გაზარდა, როგორიც სერგო ჯაფიაშვილს ეკადრებოდა – თავისნაირი ალალი, პატიოსანი, სიკეთით სავსე. ერთი ახირებული ჩვევა ჰქონია პატარა მაიას ბავშვობაში: შინ დაბრუნებულ მამას კარებშივე ხვდებოდა, აიძულებდა ჩაეცვა თეთრი ხალათი და გაესინჯა მისი თოჯინები, რომლებიც „თავს ცუდად გრძნობდნენ“, მამაც ღიმილით უსრულებდა გოგონას სურვილს და ყოველდღე ათამდე თოჯინას ცოცხალი ადამიანივით გულდასმით სინჯავდა ისე, რომ ერთი საყვედურიც არ უთქვამს შვილისთვის, ერთხელ არ დაუჩივლია, დაღლილი ვარო.

ჯაფიაშვილების საოჯახო ალბომში ფოტოსურათებთან ერთად ინახება უამრავი მადლობის ბარათი და წრფელი გულით დაწერილი ლექსის სტრიქონები, რაც ნათლად მეტყველებს მკურნალის კაიკაცობაზე.

დათესილი სიკეთე არასოდეს იკარგება. ექიმის სიცოცხლე მადლიერი პაციენტების ღიმილში გრძელდება.

1994 წ.

მელოდიების დედოფალი



თბილისი... ხმაურიანი იტალიური ეზო... უკვე რამდენიმე წელია აქ დამკვიდრდა გორში დაბადებული და ნამოდგაწარი მუსიკოსი. მისი პატარა, მაგრამ მყუდრო ბინის კედლების სამკაული სხვადასხვა დროს მიღებული სხვადასხვა დიპლომი და საპატიო სიგელია. ოთახის კუთხეში ამაყად დგას მისი „უდიდებულესობა“ როიალი, პატრონისგან ნაფერები და დაფასებული. აქ მოსვლა ყველას უხარია, იმიტომ რომ სახლს უთბილესი და უსაყვარლესი შემოქმედი დიასახლისი ჰყავს, რომელიც თავისი კულინარიული ნახელავითაც (მათ შორის, უგემრიელესი „ტარტალეტკებით“) ანებივრებს სტუმრებს.

როგორც თავად ამბობს, მუსიკა მისთვის ყველაფერია: ჰაერი, სუნთქვა და ცხოვრების აზრი. სიმღერით იწყება სამყაროს შეგრძნება მასში. ჯადოსნური ბგერებით ქსოვს ნატიფი მელოდიების ბადეს, რომელშიც შემდეგ მონუსხული მსმენელი ეხვევა. ტყუილად არ უწოდა მას კოლეგა-კომპოზიტორმა მაცაცო სეფისკვერადემ „მელოდიების დედოფალი“.

მისი მშობლები ერთადერთი ქალიშვილის ექიმობაზე ოცნებობდნენ, ბელისწერამ კი სხვაგვარად ინება. ოთხი წლიდან აღიღინებული პატარა გოგონა ერთხელაც ინსტრუმენტს მიუჯდა. ფორტეპიანოს კლავიშებთან გათამაშება საბოლოოდ მათთან დამეგობრებით დამთავრდა. მერე და მერე სმენით დაიწყო სიმღერების აწყობა. გოგონას მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის მშობლებს და პატარა მაყვალა გორის პირველ სამუსიკო სასწავლებელში შეიყვანეს. მაშინ სასწავლებლის დირექტორი იყო საოცარი მუსიკოსი და პედაგოგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნიკოლოზ ბახტაძე, რომლის სახელსაც უკავშირდება გორის სამუსიკო კულტურის აღორძინებისა და განვითარების ისტორია. თავად ქალბატონი მაყვალა დაუსრულებლად საუბრობს უსაყვარლეს პედაგოგზე:

– ბატონი ნიკოლოზი იყო სიცოცხლით სავსე, საზოგადოებრივი საქმისთვის თავდადებული, სიკეთეს თესდა ჩუმად, უხმაუროდ, უან-

გაროდ გასცემდა ცოდნასა და სიყვარულს. მშობლიურ მიწაზე და ხელოვნებაზე უზომოდ იყო შეყვარებული. ბევრ ახალგაზრდაზე მოახდინა ემოციური გავლენა, მათში აღმოაჩინა მუსიკალური მონაცემები, დაუსახა სწორი გეზი, დააკვალიანა, შეაყვარა კლასიკური მუსიკა, დაეხმარა მიეღოთ პროფესიული მუსიკალური განათლება და შემდეგ მის გვერდით გაეგრძელებინათ მუშაობა. ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება მისი შემოქმედებითი გაკვეთილები და მისი დიდი ღვაწლი ჩემს მუსიკოსად ჩამოყალიბებაში: თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში რომ ვაბარებდი (გორში ჯერ არ იყო გახსნილი), ფორტეპიანოს უქონლობის გამო საგამოცდოდ თბილისში მის მყუდრო ბინაში ვმეცადინებოდი. ყოველი კვირის ბოლოს ჩამოდიოდა გორიდან დაღლილი ბატონი ნიკო, შემიმოწმებდა ნამუშევარს, მივყავდი თბილისის წამყვან პროფესორებთან და პედაგოგებთან კონსულტაციებზე. არ დამავიწყდება მისი ბედნიერი სახე, როცა ჩემი ჩარიცხვის ამბავი შეიტყო ჯერ სამუსიკო სასწავლებელში, შემდეგ კონსერვატორიაში.

მადლიერებაც ადამიანობის საეიზიტო ბარათია. ქალბატონი მაცვალა ყოველი წლის 2 მარტს ვაკის სასაფლაოზე ყვავილებითა და სანთლებით დაბადების დღეს ულოცავს საყვარელ პედაგოგს, იქიდან წამოსული კი ცდილობს ისევე შეაყვაროს თავის მოსწავლეებს მუსიკა, როგორც ბატონმა ნიკოლოზმა მას შეაყვარა თავის დროზე.

დაკუბრუნდეთ ბიოგრაფიის დეტალებს... თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის №1 სამუსიკო სასწავლებელი ფორტეპიანოს სპეციალობით დაამთავრა, თბილისის სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია – მუსიკის თეორიის სპეციალობით. მუშაობდა პედაგოგად და კონცერტმანისტერად გორის სამუსიკო სასწავლებელში და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. მოგვიანებით იყო თბილისის ბავშვთა ფილარმონიის და ხელოვნების აკადემიის კონცერტმანისტერი. ამჟამად მაცვალა ხორბალაძე გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო ათწლეულის კონცერტმანისტერი და გორის ეკონომიკური უნივერსიტეტის პედაგოგია.

ნიკოლოზ ბახტაძის ნამოწაფარი მის ტრადიციებს აგრძელებს. უანგარობა არც მისთვისაა უცხო ხილი. თუ მოსწავლეს განსაკუთრებული ნიჭი შეატყო, თავს აღარ ანებებს, მატერიალურადაც უდგას მხარში. ასე დაეხმარა ერთ-ერთ მოსწავლეს ზურიკო ხომასურიძეს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევიდან. ბიჭის ოჯახი სოციალურად დაუცველია. 2008 წლის აგვისტოს ომში ზურიკოს მამა მოუკლეს.

ნიჭიერი ობოლი ინსტრუმენტის უქონლობის გამო ვერ ახერხებდა სრულფასოვან მეცადინეობას. მაყვალა ხორბალადის დიდი მცდელობით და თამარ მურალოვას მხარდაჭერით ბიჭს პიანინო შეუძინეს. დაუფასდათ ამაგი. 2015 წელს ზურიკო მარმარიის IV საერთაშორისო კონკურს-ფესტივალიდან დიდი წარმატებით დაბრუნდა, საუკეთესო ქართული სიმღერის შესრულებისთვის იგი დაჯილდოვდა სიგელით, რომელსაც 10 ქვეყნის მუსიკოსი აწერდა ხელს. მოსწავლესთან ერთად საპატო სიგელი ქალბატონმა მაყვალამაც მიიღო, როგორც სიმღერის ავტორმა და პედაგოგმა.

პედაგოგობის პარალელურად ელოლიავება ბებრებს და ქართულ მუსიკალურ კულტურას დახვეწილი სიმღერებით ამდიდრებს. შრომისმოყვარე ხელოვანს შექმნილი აქვს 300-მდე საესტრადო სიმღერა, რომანსები და გუნდები. მის სიმღერებს ასრულებენ ცნობილი მომღერლები: თამრიკო ჭოხონელიძე, მარიამ როინიშვილი, თემურ წიკლაური, ინგა ბერაძე, ანანო მჟავია, დარეჯან გურასაშვილი, დიანა როსტომაშვილი, ეკა კვალიაშვილი, ირმა სოხაძე, პაატა თედიაშვილი, ძმები დარბაიძეები, ტრიო „ჰანგი“, გორის სამუსიკო სასწავლებლის სტუდენტური გუნდი, გორის ქალთა კამერული გუნდი შალვა მოსიძის დირიჟორობით, კონსერვატორიის კვარტეტი. შემსრულებელთა რიცხვს გამოაკლდნენ მედუა ძიძიგური და ეთერ კაკულია. ამ უკანასკნელის თხოვნით დაწერა პირველი ჰიმნი ნარდის ფედერაციისთვის. მეორე ჰიმნი მხატვრებისთვის შექმნა. სიმღერა დაწერა გადაცემა „რემონტისთვისაც“ და მაინც...

თავისი შემოქმედების საუკეთესო ნაწილად თვლის იმ საგუნდო სიმღერებს და საგალობლებს, რომლებიც მოწიწებით მიუძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და რომლებსაც პროფესიონალი მომღერლები ასრულებენ. აღნიშნული საგალობლები სახელწოდებით „სადიდებელი უფლისა“ 2015 წელს გამოიცა გორი-ატენის ეპარქიის მიტროპოლიტის ანდრეას (გვაზავა) ლოცვა-კურთხევით და საპატრიარქოსთან არსებულ მორწმუნე ქალთა საზოგადოების გორის განყოფილების მეოხებით.

გარდა საყვარელი საქმიანობისა, საკმაოდ აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ღირსების ორდენოსანი კომპოზიტორი არის გორის ხელოვანთა, საქართველოს პროფესიონალ ქალთა საზოგადოების აქტიური ქველმოქმედი წევრი, ქალთა საბჭოს წევრი, რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, დაჯილ-

დოებუღია უამრავი დიპლომით და საპატიო სიგელით. დღემდე აქტიურად მონაწილეობს გორისა და თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. თამამად შეიძლება ითქვას, ამ ორ ქალაქში მის გარეშე თითქმის არ ჩატარებულა და არ ტარდება არც ერთი კულტურული ღონისძიება.

ცალკე სასაუბრო თემაა იტალიელ ტენორთან პაოლო ლევანტინოსთან მისი მეგობრობა, რომელიც ყოველწლიურად უფრო მყარდება. აღსანიშნავია, რომ მეგობარი მუსიკოსები ერთად ატარებენ საქველმოქმედო კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ქალბატონ მაყვალას ქალიშვილი – ნინო ლაშქარაშვილი პიანისტია, ხარობს სამი შვილიშვილით: გიორგი, თორნიკე და ირინა კირკიტაძეებით. მისი მეუღლე ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის უნივერსიტეტის ისტორიის მეცნიერებათა პროფესორი გიორგი ლაშქარაშვილი უეცრად გარდაიცვალა.

დღისადმი პატივისცემა ადამიანის პირველი მორალური სიმაღლეა. ქალბატონი მაყვალაც უდიდეს პატივს სცემს დედას, მის დიდ დამსახურებად თვლის, რომ ბავშვობიდანვე ალღო აუღო და სწორი მიმართულება მისცა ქალიშვილის ნიჭს, რის შედეგადაც დღეს იგი შემდგარი მუსიკოსია.

კომპოზიტორი, კონცერტმაისტერი და პედაგოგი მაყვალა ხორბალაძე-ლაშქარაშვილისა მადლობს უფალს რთულად საგალი, მაგრამ საინტერესო გზისთვის, მას აბედნიერებს და აცოცხლებს ცნობილ შემოქმედებთან მეგობრობა:

– ძალიან ბევრ დიდ შემოქმედს ვიცნობდი და ვიცნობ. ჩამოთვლას არ მოვყვები, არ მინდა ვინმე გამომრჩეს. სანამ ცოცხალი ვარ, მინდა ვჭირდებოდე ადამიანებს. სიკეთე გადამდებია ვირუსით. ჩემი სიმღერებით მინდა გავაკეთო სიკეთე, ვჩუქნი მათ მომღერლებს, ისინიც სიკეთით მიბრუნებენ. ჩემი ოპონენტებიც ძალიან მაძლიერებენ, სულ მინდა დავუმტკიცო მათ, რომ რაღაც შემიძლია. ცხოვრების სტიმული არ უნდა დაკარგო, სიცოცხლის ბოლომდე უნდა იბრძოლო ადამიანმა. ჩემი სიმღერები წინ მიდის, მე უკან მივდევ მათ. როცა ოპერის წამყვანი სოლისტი მღერის შენს სიმღერას პატრიარქზე, როგორ არ გაძლიერდები? ჩემი სურვილია მეტი პროფესიონალი იყოს ჩვენს ქვეყანაში და მეტი ღირებული მუსიკა შეიქმნას.

2000 წელს ნუნუ გაბუნias თაოსნობით მოეწყო კომპოზიტორის პირველი შემოქმედებითი საღამო.

2017 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კვლავ შეიკრიბნენ მაცვალა ხორბალაძის კოლეგები, მეგობრები და მისი ნიჭის თაყვანისმცემლები. ამჯერად საქართველოს ქალთა საბჭომ გაუკეთა ორგანიზება კომპოზიტორის საიუბილეო თარიღს. 70 წლის ენერგიული შემოქმედი თბილად მიესალმა სტუმრებს. შეხვედრაზე კვლავ ააჟღერეს მისი გულში ჩამწვდომი სიმღერები ზაქარია ფალაიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის წამყვანმა სოლისტებმა და ესტრადის ცნობილმა მომღერლებმა: არმაზ დარაშვილმა, მზია დავითაშვილმა, თამარ ლობჯანიძემ, ნათია ქოროლღიშვილმა, გია დავითიანმა, ინგა ბერიძემ, ანანო მჟავიამ, პაატა თედიაშვილმა და სხვებმა.

შემოქმედებით საღამოს გორიდან ჩასული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ისინი სიამაყით ისმენდნენ ყოფილი თანაქალაქელის მისამართით ნათქვამ საქებარ სიტყვებს და მის მელოდიებს, რომლებიც, როგორც სიტყვით გამოძვლევებმა აღნიშნეს, ღირებულია და დროს გაუძლებს.

სწორედ ეს არის მთავარი – აბა, ქარი თუ წაიღებს, ის რა მუსიკაა...

2017 წ.

ინდივიდუალური ხელწერის ლექტორი



მაისი მისი თვეა... მაისში დაბადებული მაისივით სურნელოვანი და ფერადოვანი არსებობით ალამაზებდა ყველას ცხოვრებას, ვინც მას იცნობდა. ენერგიული და დაუღალავი, მუდამ მჩქეფარების ეპიცენტრში მყოფი სათაყვანო ლექტორი ახლო ურთიერთობაში იყო სტუდენტებთან. ბევრი მათგანის ზვაშიადის მცოდნე და კეთილი რჩევით დამკვლიანებელი მაქსიმალისტური ყოფილა

სწავლების დროს – უშელავათოდ ითხოვდა იმას, რასაც გასცემდა.

უძლიერესი პედაგოგი ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩეოდა. ყველა ინსტიტუტის მისაღებ გამოცდებზე ცნობდნენ ლიანა ბასტაძის გამოწვრთნილ აბიტურიენტებს. წლების მანძილზე ინგლისური

ენის მასწავლებელთა მთელი პლეადა გამოზარდა. ღვაწლმოსილმა ქალბატონმა ორი არაჩვეულებრივი შვილიც შემატა გორის საზოგადოებას. ქალიშვილი – ლელა ხუბულური წარმატებულად გააყვადედის კვალს. ვაჟმა ზვიად ხუბულურმა დაამთავრა ორი ფაკულტეტი: ისტორია-ქართული ენა და ლიტერატურა და ხელოვნებათმცოდნეობა. სწორედ მასთან საუბარში ჩამოიქნა პორტრეტი ლექტორ-მასწავლებლისა, რომლის სახელსაც დღემდე მოწიწებით და პატივისცემით ახსენებენ გორში.

...დაიბადა 1937 წელს. მამა – ვასილ ბახტაძე დიდ სამამულო ომში დაელუპა. დედა – საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი მარიამ ვარძელაშვილი-ბახტაძისა გორის თეატრში მოღვაწეობდა. პატარა ლიანა თეატრში გაიზარდა, კულისებში სწავლობდა გაკვეთილებს, მის თვალწინ მიმდინარეობდა რეპეტიციები, გარდა ამისა, მათ ოჯახში იმართებოდა ბანკეტები და პატარა გოგონა პირისპირ უყურებდა დიდ მსახიობებს: შალვა ღამბაშიძეს, გიორგი შავგულიძეს, აკაკი კვანტალიანს, სანდრო ჟორჟოლიანს და სხვებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უკვალოდ არ ჩაივლიდა. ასეც მოხდა, თეატრი მისი ცხოვრების ორგანული ნაწილი, თეატრმცოდნეობა კი – მეორე სპეციალობა გახდა არაოფიციალურად.

მისი ვაჟის თქმით, ქალბატონი ლიანა ბევრ ისეთ ცნობილ ადამიანს ემეგობრებოდა, ვინც ამინდს ქმნიდა და ქმნის ქართულ თეატრალურ კულტურაში.

1955 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა გორის ქალთა III საშუალო სკოლა. ყველა საგანს ერთნაირი სიძლიერით ფლობდა. მან კი ყველას გასაკვირად პროფესიად არასასკოლო საგანი – ინგლისური ენა ამოირჩია (თავად გერმანულს სწავლობდა). დამოუკიდებლად ჩააბარა და დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი და როგორც წარჩინებული, ინგლისური ენის კათედრაზე დატოვეს სამუშაოდ.

სტუდენტობისას აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო მუშაობაში და სტუდენტურ თვითშემოქმედებაში. იყო ამიერკავკასიის და რესპუბლიკურ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ასპირანტურის კურსის გავლის შემდეგ გორს მოაშურა. მუშაობას იწყებს ინგლისური ენის მასწავლე-

ბლად გორის III და VI საშუალო სკოლებში. 1964 წლიდან გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტშია უცხო ენათა კათედრაზე ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ ამავე კათედრის დოცენტად.

გორშიც აქტიურად ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას, ამზადებდა სტუდენტებს სამეცნიერო კონფერენციებისთვის. 12 წლის მანძილზე იყო საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანი, ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს წევრი, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის წევრი, ქალაქის ქალთა საბჭოს გამგეობის წევრი, გორის სახალხო განათლების საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი. ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის პროფკავშირის კულტმასობრივ სექტორს. მრავალი საინტერესო ღონისძიება აჩუქა გორელებს. მომზადებული აქვს მრავალი დრამატული, პოეტური, შემეცნებითი და თემატური საღამო ინგლისურ ენაზე. 1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მთელი შეგნებული ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდა-განათლების და მორალური ფორმირების კეთილშობილურ საქმეს შეაღია. ლიანა ბახტაძისგან მარტო ინგლისურს კი არა, ხელოვნების სიყვარულს და თავად ცხოვრებას სწავლობდნენ ახალგაზრდები, კოლექტიური დასწრებით დაჰყავდა ისინი გორის და თბილისის თეატრებში, შემდეგ განიხილავდნენ ნანახ სპექტაკლებს, იწვევდნენ რეჟისორებს, მსახიობებს, დრამატურგებს, იგი შესანიშნავად ათავსებდა ერთმანეთთან თეატრალური ხელოვნების და პროფესიული საგნის სიყვარულს. მარტო ინგლისური ენით არასოდეს იფარგლებოდა და უცხოურ, განსაკუთრებით ინგლისურ ლიტერატურაშიც არკვევდა სტუდენტებს, რაც მას პროფესიულად არ ევალებოდა, მაგრამ უნდოდა მათთვის კლასიკით ეჩვენებინა განსხვავება ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის, ან, რას ნიშნავს სლენგი და ჟარგონი ინგლისურ ენაში. გარდა ამისა, არაერთი ცნობილი ადამიანის შემოქმედებით საღამოზე მთავარი მომხსენებელი იყო წლების მანძილზე. ბოლოს სახლიდან რომ ვერ გადიოდა, პროექტორით მიულოცა დედის დღე გორელებს. ეს საზოგადოების სურვილი იყო და შვილებს ძალიან ეამაყებათ.

– როგორც დედა, ლიანა მეგობრულად ეკიდებოდა ჩემს ახალგაზრდულ ბიჭურ თავქარიანობას, მაგრამ უზომოდ მომთხოვნი იყო

შვილების სწავლა-განათლების მიმართ, – იხსენებს ზვიადი, – მისი დამსახურებით გვაქვს არაჩვეულებრივი კაბინეტ-ბიბლიოთეკა, სადაც ცალ-ცალკე ჰქონდა დახარისხებული ქართული, რუსული და ინგლისური წიგნები. თვითონაც ბევრს კითხულობდა და ჩვენგანაც იგივეს მოითხოვდა. თუ მთელი კლასი წავიდოდა შატალოზე, მიგებდა, მარტო კი ვერ ვბედავდი გაკვეთილების გაცდენას მშობლების ხათრით, მათ ავტორიტეტს ვუფრთხილდებოდი. დედა სულ დაკავებული იყო, კერძო პრაქტიკაც ჰქონდა სახლში, უდროობის გამო დიასახლისობისთვის სათანადოდ ვერ იცლიდა, თუმცა, შესანიშნავი კულინარი იყო. ერთადერთი ცომეული არ ეხერხებოდა, სადღესასწაულო და რიგითი კერძები კარგად გამოსდიოდა. ოჯახში ტრადიცია გვქონდა, ერთად ვვანშობდით, ხან კინოთეატრშიც მივდიოდით მთელი ოჯახი სადილამდე, ან სადილის შემდეგ. ლიანა ჩემი ლექტორიც იყო და ჩვენი კურსის კურატორიც. თავშიც აღვნიშნე, პროფესიულად არ ევალებოდა, მაგრამ თვითონ ჩადიოდა თბილისში და საუკეთესო ლექტორები ჰყავდა მოწვეული ჩვენთვის: ქეთევან აბაშიძე მხატვრობაში, ვახტანგ ანჯაფარიძე თეატრმცოდნეობაში, ალექსანდრე გვერცაძე კინომცოდნეობაში, ჩვენი ლექტორი იყო, აგრეთვე, მაშინდელი ხელისუფლებისგან შერისხული აკაკი ბაქრაძე. საინტერესო და სისხლსავსე მუშაობა ჰქონდა დედას სტუდენტებთან, განსაკუთრებით სტუდენტური დღეების დროს.

ძალიან მიჭირს დედის გარეშე ყოფნა. ხელოვნებაზე საუბარი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ახლაც, როცა ახალი თვალი „გამეხსნება“ ათასჯერ ნანახი ფილმის, სპექტაკლის ან ბევრჯერ წაკითხული წიგნის ახლიდან გადახედვისას, დავაპირებ ლიანას ვუთხრა, მერე მახსენდება, რომ დედა აღარ არის და კვლავ და კვლავ სამინლად მწყდება გული.

...ლიანა ბახტაძის სახელს დავიწყება არ ეგების. ვფიქრობ, ქალაქის მესვეურებმა უნდა მიიღონ სათანადო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც მემორიალური დაფაც გაუკეთდება აწ გარდაცვლილი დედასთვის დედაგოგის საცხოვრებელ სახლს და მისივე სახელობის ქუჩითაც გაგვანარებენ გორელებს.

„მინი-კლინიკა“ სუბიშვილის უნივერსიტეტში



ლაშაში, ნათელი შენობა... გემოვნებით მოწყობილი და კომფორტული გარემო... შიგ შესული გრძნობ, რომ უცხოდ არ ხარ, ყველაფერი ქართული და მშობლიურია, კედლებიც კი ქართული სულითაა გაჟღერებული – ეს შპს სუბიშვილის უნივერსიტეტია. ჩვენი მიზანი უნივერსიტეტთან არსებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრის – „სოფია მკურნალის“ მუშაობის გაშუქებაა, რომლის „ღიასახლისი“ პროფესიონალი მეან-გინეკოლო-

გი მარინე ეგნატაშვილია, მაგრამ აქ მოსული გვერდს ვერ აუვლი უნივერსიტეტის რექტორს და ღვაწლმოსილ პედაგოგს. ჯერ ბატონ ვალერი სუბიშვილს მოვუსმინოთ, 75 წლის ენერგიულ, საინტერესო ცხოვრებაგამოვლილ ადამიანს, თხემით ტერფამდე ინტელიგენტს და ჭეშმარიტ მამულიშვილს, რომლის ერთადერთი სატკივარი, მისივე სიტყვებით, ეროვნული სული და ეროვნული ღირებულებებია.

– მიმაჩნია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი უკვე ჩადგა წარმატებულ უნივერსიტეტთა რიგებში. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვენ უკვე გვიწვევენ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში, მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული ოქსფორდის, ბარსელონას, პოლტავის უნივერსიტეტებთან. ოქსფორდში სასწავლო პროგრამების კონკურსზე ლაურეატის მედალი გადმოგვცა. როგორც გამოირკვა, ჩვენი პროგრამები სავსებით შეესაბამებოდა ევროპულ სტანდარტებს. არჩეული ვარ ევროპის წამყვან უნივერსიტეტთა კლუბის წევრად, გადმოგვცეს ევროპის ხარისხის ნიშანი.

სამჯერ გავიარეთ აკრედიტაცია, ავტორიზაცია, 12 პროგრამას ვახორციელებთ. საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გვყავს, სულ 200-მდე თანამშრომელია, აქედან 120-მდე – ხარისხიანი პროფესორ-მასწავლებელი. საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ და სიამოვნებით მოდიან ჩვენთან სამუშაოდ.

უნივერსიტეტს ორი კორპუსი აქვს გორში და ერთი თბილისში. გვაქვს საზოგადოებრივი კოლეჯიც, ვამზადებთ სხვადასხვა სპეცია-

ლისტებს. დასაქმების პროცენტი ძალიან მაღალია. ამჟამად 1132 სტუდენტი გვყავს მთლიანად, კოლეჯში – 200-მდე. მომავალ წელს ეს კონტინგენტი, ალბათ, უფრო მოიმატებს. სტუდენტები ძალიან კმაყოფილები არიან. როგორც ხედავთ, შენობაც და ყველაფერი აკმაყოფილებს სტანდარტებს.

ერთ რამეს ვთხოვ პედაგოგებს, შეიძლება ბავშვს საგანი ვერ ასწავლო, ან არ ისწავლოს, მაგრამ ეროვნული ღირებულება, სამშობლოს სიყვარული, პატიოსნება და ღირსება ახლა თუ არ ასწავლე, მერე ვეღარ ისწავლის. ეს თვისებები აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბო და განავითარო ახალგაზრდებში. გაგიკვირდებათ და, ჩვენთან ბავშვები რომ მოდიან I კურსზე, ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ სულ სხვანი მიდიან აქედან. ამას მათი მშობლებიც აღნიშნავენ და აღიარებენ, რომ ისინი მართლა გაიზარდნენ, არა მარტო სპეციალობის თვალსაზრისით, არამედ ადამიანური ღირსებითაც.

ყველაზე მეტად ჩვენი ეროვნულობა მაწუხებს. სამწუხაროდ, დღესდღეობით ეროვნული ღირებულებების პატივისცემა არ იგრძნობა. სტალინის ძეგლს რომ თავი დავანებოთ, გოგებაშვილის ძეგლიც კი არა გვაქვს. 90-იან წლებში გოგებაშვილის მემორიალი დავდეთ კომბინატის ტერიტორიაზე. მაშინდელმა მთავრობამ უბოდიშოდ გადააგლო ეს ძეგლი და პოლიციის შენობა ჩადგა იქ. ვერც იმას მივალწიეთ, რომ გოგებაშვილის პროსპექტი დაგვერქმია შინდისის გზატკეცილისთვის. არა ვცემთ პატივს ერის შვილებს. რამდენი ღირსეული მამულიშვილი გავლანძღეთ და გავანადგურეთ. ილია თავის დროზე ჩიოდა ამას, მაგრამ ვინ უგდო ყური. ეს ტკივილი დღესაც გრძელდება. თბილისში რიყეზე იდგა სარაჯიშვილის ძეგლი, რომელიც მოსპეს და რეიგანის ძეგლით ჩაანაცვლეს. ჩვენ ყველას პატივს ვცემთ, რეიგანიც იყოს, მაგრამ ჩვენიც იყოს, ბატონო. გოგებაშვილის ძეგლი არ უნდა გექონდეს? რატომ, რისთვის, რა დაამავა? ის, რომ თაობები გაზარდა?

ჩვენი უნივერსიტეტი პატარა კუნძულივით ვართ. ძალიან ვცდილობთ, რაც შეგვიძლია ვწერგავთ სტუდენტებში ეროვნულ ღირებულებებსა და ღირსებას. ასე ვიცხოვრე და ასე ვაგრძელებ ახლაც. თავიდან რომ მიწვედეს ამ გზის გავლა, უყოყმანოდ გავივლიდი. ყოველთვის ვფრთხილობდი, რომ შეცდომა არ დამეშვა. გორში დაბადებულ-გაზრდილმა რიგითი მუშიდან დავიწყე ჩემი მოღვაწეობა. ახალგაზრდობასთან ვმუშაობდი ჩემი დღენი. სამეურნეო საქმიანობას

ვეწეოდი, ყველგან მქონდა დიდი წარმატებები. გავხდი პროფესორი, აკადემიის წევრი. ბევრი სამეცნიერო საზოგადოება შეიქმნა, ზოგან ვიცე-პრეზიდენტი ვარ, ზოგან – წევრი. პროფესიით აგრონომმა მბოსტნეობაში დავიცავი დისერტაცია. ჯერ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დავიცავი, მერე გავხდი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი. 20 წელი ვიმუშავე მეურნეობის დირექტორად, აქედან 15 წელი – ძვერაში. უძლიერესი მეურნეობა გვქონდა, რაიონის მოგების 50-52% მარტო ძვერის მეურნეობაზე მოდიოდა. თავიდან რომ ჩავიბარე მეურნეობა, 2500 ტონა ხილს იღებდნენ და ავედით 14 ათას ტონამდე. პარალელურად დანიშნული ვიყავი საკავშირო აგროპროდუქტების კოლეგიის წევრად მოსკოვში, დეპუტატის რანგში გვცემდნენ პატივს. თვითმფრინავიდან ჩამოსულებს უკვე ტრაპზე მანქანით გვხვდებოდნენ.

– რა ფაქტორები გაქვთ უნივერსიტეტში?

– თითქმის ყველა ფაქტორი, რომ სპეციალობა მიიღო და შენს ქვეყანას გამოადგე.

ქართველებს ქვაცა გვაქვს და კაკალიც. მარტო 304კმ ზღვა გვაკრავს, ბუნებრივი და ნიადაგობრივი პირობები, საბადოები, სიმდიდრეები – ყველაფერი აქვს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, მთავარია გამოვიყენოთ ჩვენი ნიჭი და შესაძლებლობა და გვქონდეს მოქალაქეობრივი შეგნება. ჩვენ თუ გონივრულად არ გამოვიყენეთ, ცარიელი მიწა გინდ ყოფილა და გინდ არა. ჩვენ რომ კლიმატი გვაქვს, სად არის სხვაგან? წაიღო მსოფლიო წყალდიდობებმა, ქარიშხალმა, ჩვენ ღვთის უბეში ვართ, მართლა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გვაქვს, მაგრამ ვერ ვიყენებთ ჩვენი ქვეყნის არაჩვეულებრივ პირობებს, ჩვენი მინდვრები დაუშუშავებელია, ხალხს გაუჭირვეს, მატერიალური შესაძლებლობა აღარ აქვთ და იმიტომ, თორემ ქართველი კაცი რომ მშრომელი, პატიოსანი და თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო, ვინ შეედრებოდა. აბა ვინ მოიტანა ეს ქვეყანა დღემდე? უზარმაზარი ქვეყნების გარემოცვაში როგორ შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა? ახლა სულ რაღაც ოც წელიწადში ტერიტორიის 25% დავკარგეთ, რაღა გვაქვს სალაპარაკო...

ხშირად ვუმეორებთ ჩვენს სტუდენტებს: „თქვენ ხართ ის თაობა, რომელმაც საქართველოს უნდა უშველოს, გამოასწოროს მისი მანკიერი მხარეები და ნორმალური ცხოვრება შეუქმნას მომავალ თაობასაც

და საკუთარ თავსაც“. მე ზომ არ ვიცი მათი სახით ვის ველაპარაკები, იქნებ მომავალ პრეზიდენტს, ან მომავალ დიდ ღვაწლმოსილ მეცნიერს, ან მინისტრს – ყველაფერია მოსალოდნელი. ასაკი ისეთი რამეა, თუ ისწავლიან და საკუთარ თავზე იმუშავენ, ყველაფერს მიაღწევენ. მიუღწეველი არაფერია...

* * *

– **ქალბატონო მარინე, ძალიან ეროვნული სულისკვეთებისაა თქვენი რექტორი...**

– ნამდვილად, თან ძალიან ჰუმანური ადამიანია. ჯერ მარტო 20-მდე სტუდენტი გვყავს, ვისაც უნივერსიტეტის დამფუძნებლები თვითონ ასწავლიან, ესენი არიან ობოლი, უღედამო, უსახლკარო, გაჭირვებული ბავშვები და ომში დაღუპულთა შვილები. მათ ისე უყვართ, ლამის „დედა“ და „მამა“ დაუძახონ დამფუძნებლებს. მათ შეძლეს გაეკეთებინათ უნივერსიტეტი-ოჯახი, სადაც ერთმანეთის ყველაფერი იციან და მხარში უდგანან ერთმანეთს. ჩვენმა რექტორმა ყველაფერი დაწვრილებით იცის უნივერსიტეტის ცხოვრების შესახებ და არც ერთი წვრილმანი არ გამოჩნება. იმდენად გულისხმიერი და ყურადღებიანია, ჩვენს ერთ-ერთ მედღას სახლიდან მოუტანა საკუთარი ხელით ნახარები მონსტერა, „თურმე ამ ყვავილს ეძებდითო“.

ავვისტოს ომის დროს დამფუძნებლებმა უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორპუსში შეასახლეს დევნილთა 50 ოჯახი, მთელი წელი ინახავდნენ, სინათლის, წყლის, გათბობის ხარჯები მათი საზრუნავი იყო. საკუთარი ხარჯებით უზიდავდნენ საჭმელს პირველი სამი დღის განმავლობაში, სანამ აღრიცხვაზე არ აიყვანეს ისინი. გვერდიდან არ მოშორებიან და იზიარებდნენ მათ ტკივილს.

– **თქვენს „მინი-კლინიკაში“ რა ზღება...**

– რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი – შპს „სოფია მკურნალი“ გახსნილია სუხიშვილის უნივერსიტეტის ბაზაზე. ჩვენი კლინიკის დამფუძნებელია ეკა სუხიშვილი, რომელიც სუხიშვილის უნივერსიტეტის თბილისის კორპუსის დეკანია. მე დირექტორის მოადგილე განლაგართ, თქვენი მონა-მორჩილი მარინე ეგნატაშვილი. ჩვენს კლინიკას მემორანდუმი აქვს გაფორმებული უნივერსიტეტთან, რომლის მიხედვითაც ამ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი მომსახურებას იღებს უფასოდ, ხოლო მისი ოჯახის წევრები – 50%-იანი ფასდაკლებით.

კლინიკაში მუშაობს სახელმწიფო პროგრამები, გაეროს ეგიდით ორსულობის მეთვალყურეობის პროგრამა, ჩვენი ძირითადი მიზანია ოჯახის დაგეგმარება, ორსულობა და ორსულობის მეთვალყურეობა.

მომართვიანობა ძალიან დიდია. „სოფია მკურნალში“ პრაქტიკას გადიან ჩვენი კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტები სამედიცინო მიმართულებით.

– **ანდობთ პრაქტიკანტებს თქვენს პაციენტებს?**

– ვინაიდან ჩვენთან ძირითადად ორსულები არიან, მათთან კი განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო, თავს ვიკავებთ. თითოეული წუთი ფსიქოლოგიური მომენტია ორსულისთვის, ამიტომ ზედმეტად ტრამვირება დაუშვებელია.

– **რამდენი თანამშრომელი გყავთ?**

– ათი: მეან-გინეკოლოგი ნატა კერესელიძე, რომელიც ულტრაბგერით გამოკვლევებსაც ატარებს, კოლპოსკოპიის ექიმი თამარ ლიჯაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თერაპევტი და კარდიოლოგი ლაშა ნინოშვილი, ენდოკრინოლოგი ევგენია მალიაშვილი, მეან-გინეკოლოგი ეკატერინე სუხიშვილი, ექიმი ნანი ამბროლაძე. გყავს, აგრეთვე, დიდი პრაქტიკისა და გამოცდილების მქონე საშუალო მედპერსონალი: უფროსი ექთანი მარიკა ტატულაშვილი, ექთანი მზია ფუხაშვილი, მედდა-ლაბორანტი ანა გიგაური.

წელიწადში ვატარებთ დაახლოებით 150 ორსულს როგორც სახელმწიფო, ისე შიდა პროგრამით. გარდა ამისა, მუშაობს კონტრაცეფციის უფასო პროგრამა, რომლის მიხედვით ჩვენი კლინიკა პირველ ადგილზეა საქართველოში.

– **„გარედან“ ბევრი მოდის თქვენთან?**

– საკმაოდ. თანამშობლების, სტუდენტებისა და მათი ოჯახის წევრების გარდა მოქალაქეებსაც ვემსახურებით. პროგრამას მთლიანად ვაკმაყოფილებთ, ყველა სახის იმუნური, ბიოქიმიური და კლინიკური ანალიზის წარმოება ხდება ჩვენს ლაბორატორიაში.

ჩვენი კლინიკის პროფილი უშვილო ქალებთან მუშაობაც არის. გყავს ქალბატონები, ვისაც 3-5-7 წელი შვილი არ ჰყოლიათ. შედეგი საკმაოდ წარმატებულია. ჩვენი ექიმები დავდივართ ტრენინგებზე, ვიღებთ კვალიფიკაციას, გვაქვს მუდმივი განვითარება. მცირერიცხოვანი, მაგრამ კვალიფიციური მედპერსონალი გყავს. იციან ეს, გვენდობიან, არავინ მიდის ჩვენგან უკმაყოფილო.

– აბორტისთვის თუ მოუმართავს ვინმეს?

– კი, მაგრამ ჩვენი კლინიკის დასახელებიდანაც გამომდინარე, ამას როგორ გავაკეთებთ? ჩვენ ხომ სიცოცხლის გაგრძელებისთვის ვმუშაობთ. USAID-ის დაფინანსებით მშობელთა სკოლაც მუშაობს ჩვენთან.

– რამდენადაც ვიცი, თქვენთან უცხოელებიც მობრძანდებიან...

– ძალიან ბევრი, იმიტომ, რომ ბატონი ვალერი ევროპის უნივერსიტეტთა რექტორთა საბჭოს წევრია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს უნივერსიტეტდამთავრებულს ჩვეულებრივად შეუძლია საერთაშორისო ბაზარზე გასვლა.

ძალიან შეკრული კოლექტივი გვაქვს, რაც ჩვენი უფროსის დამსახურებაა. თავისუფალ დროსაც ხშირად ვატარებთ ერთად, დიდ პატივს ვცემთ და ვეფერებით ერთმანეთს. ერთი სიტყვით, გვიხარია სამსახურში მოსვლა.

2014 წ.

ქალის ყველაზე დიდი ბედნიერება დედობაა



ჯუბერ გოგიაშვილი... ყველა ქალისთვის კარგად ნაცნობი სახელი და გვარი, ჩინებული მეანი, ნალდი დასტაქარი, ვინ მოთვლის რამდენი გადარჩენილი და ახლად დაბადებული სიცოცხლის „ავტორი“. დღეში მარტო ერთი მშობიარობა რომ ვიგულისხმობთ, 40 წლის მანძილზე რამდენ ჩვილს დაანახვა სამყარო, ამის დათვლა თქვენთვის მომინდვია. ადვილი არ ყოფილა თავის დამკვიდრება მედიცინის კორფეებით მოკაშკაშე სამედიცინო სივრცეში,

დღე და ღამეს ასწორებდა, უძილო ღამეების ფონზე იჭედებოდა პროფესიონალი მკურნალის პორტრეტი, რომელსაც თავისი გულწრფელობით ასხივოსნებდა. სიმართლის უზომოდ მოყვარული პირში მთქმელი იყო ყოველთვის. მავანნი ვერ იტანდნენ ამის გამო, მაგრამ მათ სიძულვილს ხალხის სიყვარული ფარავდა. დღემდე უყვართ და ეიმედებათ გაჭირვების ტალღკვესი თეთრხალათიანი, მის ერთ სიტყვასაც კი დიდი ფასი და წონა აქვს. 75 წლის დამსახურებული მეანი

კვლავ ძველებურად მხნედ გამოიყურება, ახლა უკვე მისივე სახელობის ახალ და თანამედროვედ მოწყობილ კლინიკაში ემსახურება პაციენტებს, ენაწყლიანად საუბრობს განვლილი გზის, კლინიკაში დანერგილი სიახლეებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

– ბატონო ჯუმბერ, როგორი იყო ცნობილი მეან-გინეკოლოგის განვლილი გზა?

– დავიბადე დაბა თერჯოლაში 1939 წელს. შვიდშვილიან ოჯახში ვიზრდებოდი, მე ყველაზე უმცროსი ვიყავი და „ნაბერტყალას“ მეძახდა ჩემი და. სკოლაც თერჯოლაში დავამთავრე. შემდეგ სტაჟისთვის ვმუშაობდი სოფლის ამბულატორიაში სანიტრის თანაშემწედ. ორი წელი ვიმუშავე. არაჩვეულებრივი ცხენი გვყავდა, ამბულატორიის გამგე ქალი იყო, ის ცხენზე ვერ ჯდებოდა, მე კიდევე უბელო ცხენით დავბრდი.

მისაღები გამოცდები წარჩინებით ჩავაბარე და ჩავირიცხე სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე. სამი წელი ვსწავლობდი, მაგრამ არ მასვენებდა წადილი ვყოფილიყავი ზოგადი პროფილის ექიმი, კერძოდ, ქირურგი. მეანობაზე მაშინ არც მიფიქრია. ბევრჯერ ვითხოვე სამკურნალო ფაკულტეტზე გადაყვანა, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

დავიწყე განცხადებების წერა ისეთ სამედიცინო ინსტიტუტებში, სადაც საერთოდ არ იყო სტომატოლოგიური ფაკულტეტი. გაავაზაუნე ეს განცხადებები რუსეთში, უკრაინაში, თურქმენეთში, უზბეკეთში. მაშინ რუსული კარგად არ ვიცოდი და ჩემი რუსულის მასწავლებელი მეხმარებოდა განცხადებების წერაში. ოღონდაც სხვაგან ჩავრიცხულიყავი და თანახმა ვიყავი ერთი კურსით უკან დამეხია. ასეთი ინსტიტუტი აღმოჩნდა თურქმენეთში, სადაც გადავედი 1962 წელს. მანამდე წარმატებით მქონდა დამთავრებული სამი კურსი თბილისში, მაგრამ ისევ მესამე კურსზე მიმიღეს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჯერი განაწილებაზე მიდგა. კომისიას ქირურგად გაშვება ვთხოვე. ადგილი არ აღმოჩნდა, მაშინ ვინეკოლოგად მაინც-მეთქი, რადგან ვინეკოლოგია იგივე ქირურგიაა. გამიშვეს მაშინდელი საბჭოთა კავშირის ყველაზე დამორებულ სამხრეთ რეგიონში – ეს იყო კუმკა. იქ საბოლოო სასჯელს იხდიდნენ ის ადამიანები, რომელთაც მხოლოდ ორი-სამი წელი ჰქონდათ დარჩენილი ციხეში გასატარებელი. მუშაობა დავიწყე გოგირდის კომბინატის საოლქო საავადმყოფოს მეან-გინეკოლოგად.

ორი წელი დავყავი კუშკაში. ცუდად არ ვიყავი, მაგრამ მიწის ყვილი თავისას შერებოდა, ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვიდოდი საქართველოში. სანამ ორი წელი სრულად არ ამომეწურა, დიპლომი არ მომცეს. ერთ ბედნიერ დღესაც საქართველოს მიწაზე დავდგი ფეხი. საოცარი შეგრძნებაა, როცა დიდი ხნის წასული ბრუნდები სამშობლოში უკვე პროფესიადაუფლებული და მზად ხარ მტლად დაელო შენს ხალხსა და ქვეყანას.

ცხადია, ჯერ მშობლიურ კუთხეს მივაშურე. თერჯოლა რომ მოვისიყვარულე, ჩამოვედი გორში, სადაც ჩემი და იყო გათხოვილი. ჩემი მუშაობის დაწყების ბრძანება 1967 წლის 20 დეკემბერს დაიწერა. გაიხარა გორის სამშობიარო სახლის თავკაცმა რეზო სიმონიამ, დიდი ზარ-ზეიმით მიმიღო ქალთა გარემოცვაში მყოფმა, შენი იმედი მექნება, ახალგაზრდა კაცი ხარ და ქალებზე უკეთესად დამეხმარებით.

მართლაც, თავი არ დამიზოგავს, ვმუშაობდი დღე და ღამე. მაშინ მეუღლე არ მყავდა, ვცხოვრობდი მდგმურად, დღის ორ მესამედს ვატარებდი სამშობიაროში. ეტაპობრივად გავიარე ყველა საფეხური: ვიყავი ორდინატორი – ჩვეულებრივი ექიმი, სამედიცინო განყოფილების გამგე, გინეკოლოგიური განყოფილების გამგე, მთავარი გინეკოლოგი და მთავარი ექიმი.

– რით განსხვავდება თქვენი კლინიკა სხვა თქვენი პროფილის კლინიკებისგან?

– რა თქმა უნდა, შედარებაც არ შეიძლება იმ სახელმწიფო სამშობიაროს, სადაც მე ვმუშაობდი და ამჟამინდელ კლინიკას შორის. ბევრი რამაა აქ ისეთი, რაც მაშინ არ იყო: გვაქვს ბოქსირებული პალატები და სამშობიარო ბლოკები, მელოგინეს და პაციენტს არ უხდება სხვაგან სიარული, პალატაშივეა ცივი და ცხელი წყალი, ზამთარში გათბობაა შესანიშნავი, გვაქვს ლიფტი და, რაც მთავარია, ძალიან ძვირად ღირებული კონდიციონერა ყველა პალატასა და ორივე საოპერაციო ბლოკში. ცალკე გვაქვს სამრეცხაო და საშრობი ეზოში, კვების ბლოკი, ის, რაც აუცილებელი ატრიბუტიკაა სამშობიარო სახლის ფუნქციონირებისთვის, ყველაფერია უმაღლეს დონეზე, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პირობებში.

სხვათა შორის, ლიცენზიის აღებადღე კლინიკაში ჩამოვიდა ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ქალბატონი, რომელმაც კვითხრა: „ეზო ძალიან მომეწონა, მაგრამ შეგნით კიდევ უკეთესად გქონიათ

ყველაფერიო“. კლინიკის გახსნაზე ყველა მოვიწვიე, ვისაც სიტყვა ეთქმის მედიცინაში. მათ დაათვალიერეს და ძალიან მოიწონეს ყველაფერი.

– რა სიახლეს სთავაზობთ თქვენთან მოსულ მშობიარეებს?

– ჩვენთან მოსულ ყველა მშობიარეს ან პაციენტს შესავსებად ვაძლევთ სპეციალურ ბლანკს, თუ რა მოეწონათ ჩვენს კლინიკაში, როგორი იყო სამედიცინო პერსონალის და კვების ბლოკის მომსახურება, რა წინადადებები შემოაქვთ და ა.შ. პაციენტის გაწერის შემდგომ ჩვენ ამას ყურადღებით ვაანალიზებთ.

ჩვენთან მშობიარობა ხდება გაუტკივარებით, თუ მშობიარეს ამის სურვილი ექნება. რა თქმა უნდა, საუბარია მათზე, ვინც ბუნებრივი სამშობიარო გზებით მშობიარობს და საკეისრო კვეთა არ სჭირდება. ამ ბოლო დროს პრიორიტეტად მივიღეთ სპინალური ანესთეზია ანუ ხერხედიდან გაკეთებული გაუტკივარება. ამის ძალიან ემინიათ, მაგრამ გამორიცხულია რაიმე სიავე, ისეთი წამლებით კეთდება, აბსოლუტურად ვერაფერს გრძნობენ. სამი წლის განმავლობაში არავინ მოსულა განსაკუთრებული ჩივილებით. ოპერაციის დროს ველაპარაკებით კიდევ მშობიარეს. მას ორი ზეწარი აქვს ჩამოფარებული, ჩვენ ვმუშაობთ მუცლის ღრუში და ხანდახან გადავხედავთ და ველაპარაკებით. ყველა მის სასიცოცხლო ფუნქციებს მართავს ანესთეზიოლოგი.

პრიორიტეტს ყოველთვის ბუნებრივ, ფიზიოლოგიურ მშობიარობას ვანიჭებ, თუ ეს შესაძლებელია. მეანის გამოცდილება, მისი ექიმური აზროვნება არის მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ გაიგო მოსალოდნელია ფორმალური გართულების გარეშე მშობიარობა, თუ პათოლოგიურია და საჭიროების შემთხვევაში თავის დროზე გაკეთდეს საკეისრო კვეთა ჩვენებით. ნორმალურად მოფუნქციონირე სამშობიარო სახლში მაქსიმუმ 25 %-ს არ უნდა აღემატებოდეს საკეისრო კვეთების რაოდენობა, მაგრამ ჩემთვის ამჟამად ეს შეუძლებელია. რატომ? ნაკეისრალი რომ მეორედ მოდის სამშობიაროდ, აუცილებლად ისევ უნდა გაიკვეთოს, რადგან ის ნაწიბური, რომელიც საშვილოსნოზეა, ვერ იტანს ამ შეკუმშვებს, შეიძლება გასკდეს და იქნება კატასტროფა – ბავშვიც კვდება და ქალსაც ან გადაარჩენ, ან არა, უნდა ამოკვეთო ყველაფერი. ამიტომ მეც აწეული მაქვს ახლა 40-45%-მდე ეს მაჩვენებელი და აქედან თითქმის ყველა განმეორებითი საკეისრო კვეთაა.

ქალისთვის ფიზიოლოგიური მშობიარობის პროგნოზი ყოველთვის უკეთესია. თუ ორსული დროულადაა აყვანილი აღრიცხვაზე ქალთა

კონსულტაციაში და ჩატარებული აქვს დროული კონსულტაციები და მკურნალობა, ის ჯანმრთელი შედის სტაციონარში სამშობიაროდ. მაგრამ თუ ვიწრო მენჯია, სანაყოფე წყლების ნაადრევი დაღვრა, სამშობიარე მოქმედების სისუსტე, ბავშვის ჟანგბადით უკმარისობა და ა.შ. ჩვენი ხელოვნება იმაშია და ცოდნა-გამოცდილება, თავის დროზე დაისვას დიაგნოზი და გაკეთდეს ჩარევა. დანარჩენი ბუნებას უნდა ვაცადოთ. ასე მშობიარობდნენ ქალების 70-80% წინათ.

– ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ბავშვისთვისაც უკეთესია, როცა სამშობიარო ტკივილებს გამოივლის...

– ნამდვილად. როდესაც ბავშვი გამოდის სამშობიარო გზებში, ჯერ მენჯის შესავალში შევა, მერე ნელ-ნელა, ღიდ სევმენტს ვეძახით, მენჯის ღრუში, მენჯის ვიწრო ნაწილში, ამას დრო სჭირდება და ამ პერიოდში სასუნთქი ცენტრი მწიფდება. ნაკეისრალ ბავშვებს თავი კვახივით მრგვალი აქვთ, ამათ – ზვინივით, ამაზე მთელი ნაშრომებია გაკეთებული. 1989 წელს მეც წარმატებით დავიცავი დისერტაცია თემაზე: „სამეანო ოპერაციებით მიღებულ ნაყოფთა და ახალშობილთა ცენტრალური ნერვიული სისტემის დაზიანების კლინიკურ-მორფოლოგიური კორელაცია“. პრიორიტეტი ყოველთვის ფიზიოლოგიურ მშობიარობას ენიჭება. რაც ბუნებამ და ღმერთმა დააწესა, იმას ვერ შეცვლი, თუ შეცვლი, ძალიან ცუდად.

– აბორტი თუ კეთდება თქვენთან?

– არა. თუ რამე ცუდი გამოიკეთებია ჩემს ცხოვრებაში ეგაა და ეგ მაღვეს ცოდვად. აბორტი ხომ იგივე მკვლელობაა. კლინიკის გასსნაზე მეუფე ანდრიას შევპირდი, რომ ახალ კლინიკაში აბორტი არასოდეს გაკეთდებოდა და პირობა აღარ დამირღვევია. თუ ქალს მუცელში მოუკვდა ბავშვი და დიდია მისი მოწამლის შანსი, ან სახლიდან მოიყვანეს ძლიერი სისხლდენით, ამ დროს აუცილებლობაა გამოფხიკო პაციენტი, შეუჩერო სისხლი, სხვა შემთხვევაში აქ აბორტი არ კეთდება, აქ ნაღდი სამშობიარო სახლია.

– წელს რამდენი ბავშვი დაიბადა თქვენს კლინიკაში?

– წელს 350-მდე ბავშვი დაიბადა.

– თქვენ ამშობიარეთ თქვენი მეუღლე?

– ჩემი ოჯახი ექიმების ოჯახია, მეუღლე, შვილები, რძალიც – ყველანი ექიმები ვართ. უფროსი ვაჟი დავითი – გორის ჰოსპიტალში ღირექტორის მოადგილეა სამკურნალო დარგში, მეორე ვაჟი –

ლევანი ექოსკობიის სპეციალისტია. რაც შეეხება მათ დაბადებას, ჩემი მეუღლე მე არ ვამშობიარე, მაგრამ მე გავუკეთე ოპერაცია. დავითი თბილისის მეოთხე სამშობიაროში დაიბადა, რომელიც სპეციალიზებულია რეზუს-უარყოფითი მშობიარეებისთვის. ბავშვი 4,5 კილოგრამი დაიბადა და ლამის გადაიყოლა დედამისი. იყო საშვილოსნოს ნაწილობრივი გახვევა, ძლივს გადავარჩინეთ. წინა მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მეორე შვილი საკეისრო კვეთით მოევლინა ქვეყანას. შემდეგში განვითარდა ფიბრომიომა. მეუღლეს ძალიან ეშინოდა და ჯიუტობდა, ამიტომ თავის დროზე ვერ გაკეთდა ეს ოპერაცია. ერთ საშინელ დილას აუტყდა საშინელი სისხლდენა, აღარ იყო ვინმეს ჩამოყვანის დრო, შევიყვანე საოპერაციოში, კოლეგები დავიხმარე, ჩემი ხელით გავუკეთე ოპერაცია და ამოვკვეთე მთელი საშვილოსნო. ძნელია საკუთარი ხელით ოჯახის წევრის გაკვეთა, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო ლაპარაკი და გამწარებულს ბევრი აღარ მიფიქრია.

– ბავშვის ნათლიობა არავის შემოუთავაზებია?

– მქონდა ორი ასეთი შემთხვევა, ერთი რუისელი ქალბატონი იყო, თბილისიდან ჩამოსულს მომაკვდავი დამახვედრეს. ვამშობიარე ცოცხალი ნაყოფით, გართულებებსაც კარგად გავართვი თავი, გულით მთხოვდა ბავშვის ნათლიობას, მაგრამ მაშინ მე თვითონ მოუნათლავი ვიყავი და უარი ეუთხარი. თავად ნკ წლის ასაკში მოვინათლე.


– თქვენი საყვარელი სადღეგრძელო, ალბათ, სიცოცხლის სადღეგრძელოა...

– დიას, ამას ასე ვამბობ: ვინც ახლა ჩემს სამშობიარო სახლში დაიბადა, იმის თამადობით ვადღეგრძელოთ ჩვენი მომავალი თაობა, ჩვენი ცხოვრების მიზნები.

– რას უსურვებდით ქალებს?

– პირველ რიგში მრავალშვილიანობას, როგორც პატრიაქი გვმოძღვრავს – ოჯახურ სიმტკიცეს, ჯანმრთელობას და დედურ ბედნიერებას. ქალისთვის არ არსებობს მეტი ბედნიერება, ვიდრე დელობაა. სამს მაინც არ უნდა სცილდებოდეს შვილების რიცხვი, რადგან ორი შვილი არ არის ნამატი. ორიდან ერთი რჩება დედის, მეორე – მამის სანაცვლოდ. ნამატად მესამე ითვლება. ხომ გაგივიათ: „ერთი შვილი არა შვილი, ორი შვილი ვითომ შვილი, სამი შვილი მართლა შვილი“.

მწარედ დაგვიმესიჯა



მოულოდნელად და უჩემრად დაგვტოვა... შოკში ჩაგვაგდო უცნაური სიკვდილით... გარდაცვალებიდან ხუთი დღის შემდეგ მოისაკლისეს, გვიანლა იყო პანიკა და ალიაქოთი...

გასვენების დღეს მის ეზოში მისულს გული ამომიჯდა: ბევრი ადამიანი შეკრებილიყო, ყველას უყვარდა, ყველა აფასებდა და პატივს სცემდა, სიკვდილის აგონიას კი მიანც მარტო შეებრძოლა... დიდი ადამიანების ხვედრი ყოფილა მარტოსულობა.

რეზო ოქრუაშვილი რედაქტორად იყო დაბადებული, „ხალხის გაზეთი“ ჭეშმარიტად ხალხის სამსახურში ჩააყენა. მართალი სიტყვის რაინდი მთელი ცხოვრების მანძილზე არ ღალატობდა თავის პრინციპებს, სიმართლისთვის წინა ხელისუფლების მსხვერპლიც გახდა, მაგრამ გამარჯვებული გამოვიდა გისოსებიდან და უშიშრად გააგრძელა საყვარელი საქმე. ძალიან სტკიოდა სამშობლო. გორიც ძალიან უყვარდა, საათობით გვისაუბრია ქვეყნის და ქალაქის საჭირობოტო საკითხებზე.

თითქმის ყველა გორელი ჟურნალისტი მის ფრთებქვეშ მოიჩინა და მისი რედაქციის ბუდიდან აფრინდა. ყველასთან პოულობდა საერთო ენას: დიდთანაც და პატარასთანაც. განსაკუთრებით უყვარდა მომავალი თაობა.

საუკეთესო მეგობარი და უკონფლიქტო პიროვნება იყო. 16 წელი აქტიურად ვთანამშრომლობდით და კარგის მეტი არაფერი მაგონდება. კეთილი რჩევებით თითქოს ცხოვრებისეულ გაკვეთილებს გვიტარებდა.

თავისი სიკვდილითაც ჩაგვიტარა ბოლო გაკვეთილი, მწარედ დაგვიმესიჯა: უფრო მეტად გიყვარდეთ და უფრო ხშირად მოიკითხეთო ერთმანეთი.

ამ დანაპირებს აუცილებლად შევასრულებთ, ბატონო რეზო!

ხიდი აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის



სიცოცხლე ზოგჯერ ლამაზ კვალს ტოვებს, სწორედ ამ კვალმა მიიყვანა 20 თებერვალს გორელები დავით ჩუბინიშვილის სახელობის გორის კულტურის და ტურიზმის ცენტრში იმ კარგი ადამიანის გასახსენებლად და დასაფასებლად, რომელიც წლების მანძილზე უძღვებოდა გორის სპორტკომიტეტს.

ხსოვნის საღამოზე იმყოფებოდნენ ქალაქ გორის და გორის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, მოჭიდავეთა დიდი ოჯახის საუკეთესო წარმომადგენლები, თბილისიდან ჩამობრძანდნენ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, მოადგილე ედიშერ მაღალაშვილი, ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში შენგელი ფიცხელაური, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონები თამაზ მაჭავარიანი, მურმან ჩიბურდანიძე, ვლადიმერ კანკავა, სახელოვანი მოჭიდავეები ზურაბ ჯორჯიკია, ვასილ სუხიშვილი, ნოდარ გელაშვილი, თემურ ქურციკიძე, დავით ბერძენიშვილი, პროფესორები ანზორ აბრალავა და ანზორ ბაბუნაძია, დამსახურებული მწვრთნელი შოთა ზუკაკიშვილი, პოეტი თემურ ჩალაბაშვილი.

ხსოვნის საღამო გორის რაიონის გამგეობამ და კულტურის და სპორტის სამმართველომ გამართა. სამმართველოს უფროსმა რობერტ მაღლაკელიძემ გაიხსენა, თუ როგორ ამშვენებდა ედუარდ (ედიკა) კოშკაძე ჩვენს ქალაქს. დღეს იგი 65 წლის იქნებოდა. მისი სახით დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ახლანაზ გარდაცვლილი, შესანიშნავი ექიმის ალექო ჩოჩიას და გორის ტერაქტში დაღუპულთა ნათელ ხსოვნას. შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ედიკას მეგობრები, იგონებდნენ კაცს, რომელიც თითქოს იმისთვის დაიბადა, წუთისოფლის გზასავალი სიკეთით და სიყვარულით გაეიოლებინა მეგობრებისთვის და არა მხოლოდ მათთვის.

გაიხსენეს შემთხვევა, თუ როგორ გაუწოდა დახმარების ხელი ზესტაფონის რაიონის მკვიდრებს, სრულიად უცხო ადამიანებს, რომლებიც დააპურა, ღამე გაათევინა, საკუთარი სახსრებით მწვობრიდან გამოსული ავტომანქანაც შეაკეთებინა და დილით გზა დაულოცა.

მოგვიანებით ისინი კეთილი კაცის დასაფლავებაზე ჩამოვიდნენ და პარაკლისიც გადაიხადეს მისი სულის მოსახსენებლად.

გურამ პაპიტაშვილი: „ელიკა მეღლის ორივე მხარეს – სამსახურებრივსაც და მეგობრულსაც აბრწყინებდა, იღებდა გულს და ღებდა შენთან“.

თამაზ მაჭავარიანი, ანზორ ქიბროწაშვილი: „საქართველოში ბევრი ჭიდაობს, მაგრამ ჭიდაობის ოჯახის წევრობა ცოტა რთულია. ელიკა ამ ოჯახის ღირსეული წევრი იყო“.

ელიშერ მაჩაიძე: „საბაჟოს ვეძახდით. იგი იყო ხიდი, რომელზეც ყველა სტუმარს უნდა გაეგლო, დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან მომავალს. ყოველთვის იმედი გვქონდა მისი უღალატობის“.

გურამ საღარაძე: „სიცოცხლის ელექსირი იყო, დაუნარელი, ყველას მიმართ ზრდილობიანი. ასეთი ხსოვნის საღამოები სწორად უნდა ჩატარდეს. უკვდავებაში გადასული ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ დიდ ყურადღებას და პატივისცემას“.

მეგობრის ხსოვნას მიუძღვნეს სიმღერები კვარტეტმა (კარლო გაგნიძის, ჯემალ გაგნიძის, ალიკა მანვილაძის და ლალი ტონიას შემადგენლობით), საქართველოს სახალხო არტისტმა მიხეილ მცურავიშვილმა, მომღერლებმა თამუნა ოქროპირიძემ და თათია ოდიშვილმა. დარბაზი მონიუსხა ნიჭიერი გიტარისტის ზვიჩა მაღლაკელიძის შემოქმედებით და ედუარდის ვაჟის – მიშკო კოშკაძის სიმღერებით. ეს უკანასკნელი ამჟამად ლენინგრადში მოღვაწეობს, მაგრამ გამოგვიტყდა, რომ სადაც არ უნდა იყოს, „მუხლმოყრილი ეფერება გორს“.

სალამოს დასასრულს შიდა ქართლის კულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილემ გია თენაძემ დააჯილდოვა ედუარდ კოშკაძის სახელობის ტურნირში გამარჯვებული ახალგაზრდა ფალავნები: ანრი ბიბილაშვილი, ბადრი თენაძე, იოსებ მესტუმრიშვილი, პაატა მერებაშვილი, გიორგი ხარშილაძე, ზვიად ბაზანდარაშვილი, დავით კარბელაშვილი, სანდრო მსხალაძე. გამარჯვებულებს პრიზები გადასცა მიშკო კოშკაძემ.

გურამ პაპიტაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება ედუარდ კოშკაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

ედუარდ კოშკაძე უკვდავებაში გადასახლდა.

ამქვეყნად დარჩენილი სიკეთე



წუთისოფელი... მართლაც წუთიერია ეს სოფელი და ამიტომ ვცდილობთ, რაღაც დავტოვოთ ამქვეყნად. ალექო ხუროშვილისთვის ეს „რაღაც“ სახელია. კარგად იცის, რომ მხოლოდ სიკეთეა მარადიული, ამიტომაც ჩამდგარა ხალხის სამსახურში და ყველგან მიაქვს იმედი, ღიმილი და ექიმის მზრუნველი ხელი.

30 წელია, რაც თეთრი ხალათი აცვია, პირველი საექიმო ნათლობა ღრომის საუბნო საავადმყოფოში მიიღო, შემდეგ გორის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში განაგრძო მოღვაწეობა ქირურგად. მრავლად ჰქონია მძიმე წუთები, ბევრჯერ მდგარა სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე, მაგრამ პროფესიონალიზმის წყალობით და უფლის ნებით ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა.

1991-95 წლებში ამავე საავადმყოფოს მთავარ ექიმად აირჩიეს. ავადმყოფების მიმართ გულგრილობას და უყურადღებობას არავის პატიობდა. პირად მაგალითს თავად იძლეოდა, თითოეულ ავადმყოფს ოჯახის წევრივით პატრონობდა.

არავინ იცოდა, რა დროს რომელი კარიდან შემოიპარებოდა მთავარი ექიმი კონტროლის მიზნით. ყოფილა შემთხვევა ღამის სამ საათზეც მისულა საავადმყოფოში მკურნალი. დღემდე სჯერა, რომ დისციპლინის გარეშე საქმე არ გაკეთდება.

ცხოვრება კიბეა და შემდეგი საფეხური გორის და გორის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსობა აღმოჩნდა. აქ 1995-98 წლებში იმუშავა, 1998 წლის აპრილიდან დღემდე კი შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის რეგიონული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეა, პარალელურად „ქირურგიას“ უკითხავს გორის სამედიცინო სასწავლებელში.

2001 წლის 17 ივნისს ჩააბარა სასერთიფიკაციო სახელმწიფო გამოცდა სპეციალობაში „ჯანდაცვის ორგანიზაცია“ და იცით როგორ? ორასი კითხვიდან არც ერთი არ დაუტოვებია უპასუხოდ.

მედიკოსი ღამაზი ოჯახის უფროსიც გახლავთ. მისი მეუღლე – ქეთევან დუდაური გორის სამშობიარო სახლის პედიატრია, ხოლო ქა-

ლიშვილი თამარი – სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი. ოჯახურ დინასტიას მხოლოდ ვაჟმა – ზაქარიამ უღალატა, მან არ ისურვა ექიმობა და ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტია.

ბატონ ალექოს ფიზიკური შრომაც უყვარს. თავისუფალ დროს გორის რაიონის სოფელ არაშენდაში მამაპაპისეულ სახლისკენ მიიქარის, სჯერა, რომ ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობით და გამჭრიახობით სანიშნო ქვეყანას ავაშენებთ.

ამ მშენებლობისთვის მოკრძალებით ეზიდება თავის წილ აგურს, უღალატოდ მიუყვება არჩეულ გზა-სავალს.

2002 წ.

სიურპრიზით დაწყებული შემოქმედებითი საღამო



ოლია ბრაგვაძე
მაგული გარდაფხაძე

შრომა გაისურვილა, ფიზიკურიც და გონებრივიც... ხან ძაფებს ელაციცება, ხანაც მგოსნის „ყალამს“ უღესავს წვერს და იქმნება ულამაზესი ნაქარგები და სხარტულა, იუმორით გაჯერებული მინიატურები და ნოველები, რომლებიც ძალდაუტანებლად მიიწევს მკითხველისკენ.

გორის საზოგადოება უკვე კარგად იცნობს მის შემოქმედებას, მაგრამ ახალი იერით კიდევ ერთხელ იხილა გორის სა-

მუსიკო კოლეჯში. ამჯერად ღონისძიების სულისჩამდგმელები იყვნენ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი გულიკო ბზიშვილი და ამავე ცენტრთან არსებული ლიტერატურული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მაგული გარდაფხაძე.

ულამაზესი საღამო გია ყანჩელის ულამაზესი მელოდიით დაიწყო კომპოზიტორმა მაყვალა ხორბალაძემ. საღამოს წამყვანმა მაგული გარდაფხაძემ მაყურებელს წარუდგინა ოლია ბრაგვაძე – ღვაწლმოსი-

ლი ჟურნალისტი, პედაგოგი, ქარგვის უბადლო ოსტატი, ცხრა წიგნის ავტორი, მწერალთა კავშირის წევრი, არაჩვეულებრივი მეგობარი, მეუღლე, დედა და ბებია.

პირველი სიტყვის წარმოთქმის პატივი წილად ერგო გულიკო ბზიშვილს, თუმცა, ქალბატონმა ოლიამ არ აცადა საუბარი და თავად მოუთხრო დარბაზში მყოფთ, თუ როგორ ლამაზად დაიწყო მისი შემოქმედებითი საღამო დილიდანვე. თურმე ნუ იტყვი, ცენტრის დირექტორმა და მისმა თანამშრომლებმა სიურპრიზი მოუწყვეს – მესამე სართულის აივნიდან გადმოახედეს ოლია ბრაგვაძე და ქვემოდან გააბრუეს მოსაფერებელი სიტყვებით, თან სხვადასხვა დროს დაწერილი მისდამი მიძღვნილი ლექსებიც წაუკითხეს. „ეს მეორე ორიგინალური მილოცვა იყო ჩემს ცხოვრებაში. პირველი მეუღლისგან მახსოვს, 40 წლის იუბილეზე კარი გავაღე და... ძლივს ვიპოვე უზარმაზარი თაიგულის ბუჩქში ჩაკარგული ოთარი“, – ხმაკამყოფილი საუბრობდა ქალბატონი ოლია.

შემოქმედ ქალბატონს მიესალმნენ გორის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი შალვა ტლაშაძე, „ბანოვანის“ წევრი ლეილა ქავთარაძე, დედასავით მიეფერა ოლია ბრაგვაძეს გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის პრეზიდენტი, პოეტი დავით ახლოური, აღნიშნული კავშირის წევრი მერი მარწყვიშვილი. რეჟისორი ანზორ გვამაბიაც მოეფერა „რძალს“, დიდი სიყვარულით მოიკითხა კოლეგა ოთარ ქუთათელაძე და გამოჯანმრთელება უსურვა მას.

სხვებსაც მიეცა საშუალება მისალმებოდა და აზრი გამოეთქვა მის შემოქმედებაზე.

ყველა ინჯია: „ყველა მწერალი 33 ასოთი წერს, ოლია ბრაგვაძე – 34-ით. მისაბადი და საამაყო მეგობარია, ირგვლივ სიკეთესა და სიყვარულს აფრქვევს. სასიამოვნო პროზაიკოსი ქალბატონია, ქართულ მწერლობაში შემოიტანა იაპონური ჟანრი, რომელსაც ყველა საჭირბოროტო საკითხი მოაყოლა კახური დიალექტით“.

რობერტ მაღლაკელიძე: „განსაკუთრებული ემოცია და სიამოვნება მომგვარა სათქმელით გაჯერებულმა ჰაიკუებმა“.

მაყვალა ხორბალაძე: „თვალეები მქონდა დახუჭული და ისე ვუსმენდი ზეინაბ მეტრეველის მიძღვნილ ლექსს. ამ ლექსით ყველაფერია ნათქვამი. არაერთმა ადამიანმა აღიარა, რომ არ იცნობდნენ ქალბატონ ოლიას წიგნებს და ახლა უკვე მათი წაკითხვის სურვილი გამოთქვენ“.

თამარ ლომსაძე: „დიდი მადლობა მაგული გარდაფხადეს და გულიკო ბზიშვილს, რომ სული შთაბერეს და ლამაზად წარმოაჩინეს ისედაც ლამაზი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონის შემოქმედება. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში არსებული პროექტის – „ჩვენ ვქმნით მომავალს“ – მრავალტომეულში ოლია ბრავგაძის შემოქმედება გამოსულია მე-ნ ტომში, ასე რომ, ქალბატონ ოლიას სიყვარულში ერთმანეთს ეჯიბრებიან ქალაქისა და რაიონის გამგეობები.“

ბესო კაიშაური: „მე ქალბატონ ოლიას ვუწოდებ ილიელი – ილიას გზაზე მაგალი თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით, ვისთვისაც „მაპული, ენა, სარწმუნოება“ უპირველესია. სამშობლოს სატკივართანაა გათავისებული მისი გულის ტკივილი. იგი სოციალურ ქსელშიც აქტიურია და ისეთ დროს უთქვამს სათქმელი, როცა საშიშიც კი იყო.“

ღონისძიება გააღამაზა გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებულმა ლიტერატურულმა თეატრმა (ხელმძღვანელი მაგული გარდაფხადე). სცენაზე იუმორისა და ოხუნჯობის დრო დადგა და საყვარელ გმირებად იქცნენ დასის წევრები: მაკა წკრილაშვილი, ეკა ილურიძე, სოფო ნარიაშვილი, ნინო კედელაძე, ელდარ ქურიძე, ზურა მძინარაშვილი, ლიკა მელანაშვილი, გვანცა აღიშბარაშვილი, მარიამ ტლაშაძე, თორნიკე კარიჭაშვილი, მონიკა ქოქაშვილი, ეთო გლურჯიძე, თორნიკე გლურჯიძე, ნინო კოჩუაშვილი, ქეთი გიორგაძე, რომლებმაც გაასცენიურეს პერსონაჟები ოლია ბრავგაძის ნოველებიდან: „გაყრილი ცოლ-ქმარი“, „როგორ მოვიქცეთ, ჰა?!“ „ზემოდანაც მოდიოდნენ“. მაყურებელმა ოვაცია არ დაიშურა და უმაღლესი შეფასება მისცა მათ შესრულებას. კმაყოფილი დარჩა თავად მინიატურების ავტორიც, რომელმაც სურვილი გამოთქვა, მომავალში პიესის სახით მიეწოდებინა ლიტერატურული თეატრისთვის თავისი ნოველები.

ქალბატონმა ოლიამ მადლობა გადაიხადა ლამაზი ღონისძიების მოწყობისთვის და ბოლოს ნაღველი გაერია ხმაში: „მაპატიე, რომ შენ სახლში ხარ და მე კი სცენაზე. და თუ შენ ამას შენნაირი გულმოწყალებით მაპატიებ, რა დამრჩენია, მეც გაპატიებ, რომ შენ სახლში ხარ და მე კი სცენაზე“. ამ სიტყვების ადრესატი დარბა-

ზში არმყოფი მისი მეუღლე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ოთარ ქუთათელაძეა, რომელიც ავადმყოფობის გამო დიდი ხანია ჩამოშორებულია თეატრს.

სალამოს დასასრულს ქალბატონმა ოლიამ თავისი ნასათუთარი ნაქარგები სამახსოვროდ გადასცა მაგული გარდაფხაძეს და გულიკო ბზიშვილს.

მაყურებელი კმაყოფილი ტოვებდა დარბაზს.

რატომ მოსწონთ მისი მინიატურები და ჰაიკუები? როგორც თამილა გოგოლაძემ აღნიშნა, სიყვარულით დაიწერა მისი წიგნები, ამიტომაც იპოვა გზა მკითხველის გულამდე.

2015 წ.

მინორშიც მაქორი



მერი მარწყვიშვილი



სოფიკი მექვაბიშვილი

მერი მარწყვიშვილი და სოფიკო მექვაბიშვილი... მუხასთან შეხმატკბილებული ორი განუყრელი მეგობარი, სალონ „ბანოვანის“ და ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის ღირსეული წევრები, არაერთი პოეტური კრებულის და აძღ-

რებული ლექსების ავტორები. მათ ლექსებზე სიმღერები შექმნეს მაყვალა ხორბალაძემ, ომარ გრიგალაშვილმა, ელიკო ალექსიძემ, ვახტანგ ცეცხლაძემ. პოეზიის ბილიკს ერთნაირი ნაბიჯებით, მაგრამ განსხვავებული ჟღერადობით მიუყვებიან, მათ ყველა შესვედრაზე თუ თავყრილობაზე ერთად ხედავენ, სიმბოლურია, რომ ამჟამად ერთად გამოვიდა მათი ლექსების კრებულიც „ოცნება და სიყვარული“.

საინტერესოა წიგნის რედაქტორის მანანა მგალობლიშვილის შეფასება მეგობარი ქალბატონების პოეტურ შემოქმედებაზე. წიგნის შესავალში ნათქვამია: „მერი მარწყვიშვილის პოეზია გვხიბლავს პოეტური მიგნებისა და აღმოჩენის საოცარი უნარით, სიღაღით,

უშუალობითა და სისადავით, განწყობილების ძალდაუტანებელი და შეუბორკავი ფორმის გამოხატვით. პოეტი ლექსად გვიღიძის, ლექსად გაუცია მას უსაზღვრო სიყვარული, საოცარი ტკბილზმოვანებით გვესაუბრება სევდითა და სიყვარულით სავსე სამყაროზე. დამაჯერებლად გადმოგვცემს გრძნობებს, მარტივად აგნებს სათქმელის შესაბამის ფორმას, შინაგანად წრფელია და უშუალო.

რაც შეეხება მის მეგობარს, სოფო მექვაბიშვილის შემოქმედება იდეური და სიტყვიერი სისადავით ხასიათდება, პოეტი ცხოვრების ყველა სფეროში პოეზიის საგანს ხედავს. სათქმელი როდი ელევა, რადგან სიცოცხლეს მრავალფეროვნებით შეიგრძნობს. იგი ყოველთვის სრულყოფილად გრძნობს სიტყვის ფერს, გემოს, სურნელს, სიღრმეს და სიწრფელს. მოხერხებულად და გააზრებულად იყენებს მშობლიური ენის ლექსიკურ სიმდიდრეს. მის ლექსებში ძარღვიანი ქართული ენა საოცარ სურნელებას აფრქვევს“.

15 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში გაიმართა აღნიშნული წიგნის პრეზენტაცია, რომელიც გახსნა ცენტრის დირექტორმა ლექსო ვალიაურმა. მან აღნიშნა, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში ორი წელია მოქმედებს პროექტი „ჩვენ ვქმნით მომავალს“, რომლის ფარგლებშიც გამოდის გორში მოღვაწე პოეტებისა და მწერლების კრებულები. ვალიაურმა დარბაზს მიულოცა კიდევ ერთი პოეტური კრებულის დაბადება და ლამაზად მოწყობილ სცენაზე მიიწვია კრებულის ავტორი ლამაზი ქალბატონები.

ლონისძიებაზე თეატრალიზებულად წარმოადგინეს მეგობარი პოეტების შემოქმედება. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მხატვრული კითხვის წრის (ხელმძღვანელი ზვიად ხუბულური) მოსწავლეები: ზურა ოქროპირიძე, ნანიკო სადღობელაშვილი, სალომე და ნუცა მარგველაშვილები, ნათია ბაინდურაშვილი. ცოცხლად შესრულებული სასიამოვნო მუსიკის ფონზე (კონცერტმაისტერი თამაზ აბრამიძე) მათ მონაცვლეობით წაიკითხეს მერი მარწყვიშვილისა და სოფიკო მექვაბიშვილის ლექსები.

ლონისძიების ბოლოს პოეტ ქალბატონებს ახალი პოეტური კრებულის გამოცემა მიულოცეს გულიკო ბზიშვილმა, რობერტ მაღლაკელიძემ, ალექსანდრა დიდბეღლაძემ, ნოდარ მდინარიძემ. ლეილა ქავთარაძემ გაიხსენა სალონ „ბანოვანის“ პირველი ხელმძღვანელი მარი გოცირიძე და წაიკითხა საკუთარი ლექსები, რომლებიც მერი მარწყვიშვილსა და სოფიკო მექვაბიშვილს მიუძღვნა. დათო ახლოურმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პოეტი ქალბატონები საზოგადო მოღვაწეებიც არიან და ყველა სასიკეთო წამოწყებაში მხარში უდგანან ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირს. „რაც არ უნდა მინორი იყოს მათი ლექსი, მინორშიც მაჟორია“, – ასეთი მოკლე ფორმულირება გაუკეთა მათ შემოქმედებას ანზორ გვაძაბიამ. სხვებსაც მიეცათ აზრის გამოთქმის საშუალება.

ნუნუ ოთარაშვილი: „მიყვარს მერის პატრიოტული და სოფოს ვნებიანი ლექსები“.

მანანა მგალობლიშვილი: „მუზებთან შერკინება რჩეულთა ხვედრია“.

თამრიკო უთნელიშვილი: „მერის და სოფოს ლექსები გვატკობენ და გვახალისებენ. აუარებელი პრობლემის მიუხედავად, ბოროტების კეთება და ღალატი ვერ ასწავლეს მათ“.

ზვიად ზუბულური: „მათ აქვთ საინტერესო პოეტური მიგნებები, რაც აუცილებლად მოეწონება მკითხველს“.

მარინე ჯალიაშვილი: „ქალი მაინც ქალია, ღამაზი და პოეტური სული რომ გაქვს, უკვე ბედნიერებაა“.

ოლია ბრაგვაძე: „ისეთი ლექსები გადმოაფრქვიეს სცენიდან, სიცოცხლის იმედი მოგვცეს, გარდა ამისა, ვიცი, რომ მათ ლექსებზე სიმღერებია დაწერილი. კომპოზიტორს რომ სურვილი გაუჩნდება შენს ლექსზე სიმღერა შექმნას, ეს უკვე გამარჯვებაა“.

სულ გამარჯვებულებს გველოთ შემოქმედებით გზებზე, ძვირფასო ქალბატონებო!

გულიანი გორელი



საოცარი ბიჭია, გორზე და გორელე-ბზე უზომოდ შეყვარებული... ბედმა პეტერბურგისკენ გაუფინა ფიანდაზი, მას კი ნევის პროსპექტს მშობლიური ქალაქის ქუჩებში ხეტიალი ურჩევნია, სადაც თითოეული გოჯი თავისი ნაფეხურებით აქვს ნაფერები, თითოეულ ხესთან კი უამრავი მოგონება აკავშირებს.

ლალი და უდარდელი ბავშვობა ჰქონდა. მამა კაცობის ნიშანსევეტი იყო მისთვის. კვიცი გვარზე ხტისო და მემკვიდრეობით მიიღო მშობლისგან სიალალე, მოყვასის მხარში დგომის უნარი, სიყვარულისა და ერთგულების ნიჭი. ეგ არის მხოლოდ, გიტარაზე ჯერ არ უკრავდა, არადა ედიკა კომპაძე დაკვრითა და სიმღერითაც იყო განთქმული. პატარა მიმიკოს ბურთი უფრო იზიდავდა, ფეხბურთს თამაშობდა და ბავშვთა ანსამბლ „სოსელოში“ მღეროდა, უფრო მოზრდილმა ანსამბლ „გორში“ გადაინაცვლა.

მამის სიკვდილმა ძირფესვიანად შეცვალა ყველაფერი. უსაშველოდ ენატრებოდა უდროოდ წასული მშობელი. უმამობის დაძლევა მისივე გიტარით სცადა, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა პატრონის ხელების სითბო. უკვე აუღერებულ ინსტრუმენტში მამის სულის ძახილიც იგრძნო. მას შემდეგ ცხოვრების მეზურად გაიხადა მადლიანი საკრავი.

ბევრი კონცერტი აქვს ჩატარებული, უმეტესობა საქველმოქმედო. ყველგან და ყოველთვის მოწონებას იმსახურებდა. ქუთაისში „ფესტივალის კოლორიტის“ წოდება მიენიჭა, მაგრამ იგი უპირველესად გორის კოლორიტია.

სამი წელია პეტერბურგში მოღვაწეობს. მის გამოჩენას ტაშით ხვდებიან პეტერბურგის კომპოზიტორთა სახლში და არა მარტო იქ, „თეთრი ღამეების“ ქალაქში გამოვიდა მიმიკო კომპაძის პირველი ალბომიც.

გორში კეთილმა სურვილმა ჩამოიყვანა. უნდა თავისი ნიჭისა და ცოდნის რეალიზაცია მოახდინოს მშობლიურ ქალაქში, სიახლე და სიცოცხლე შემოიტანოს მის კულტურულ ცხოვრებაში. თავად მუსიკოსი ასეთ განცხადებას აკეთებს: „ლამის ყოველდღე შევხვდე

პუტინს, მიშა ქარელმა კი ვერ მოიცალა ჩემთან შესახვედრად, რომ ჩემი ბიზნეს-გეგმები გავაცნო“.

15 ივნისს მიშიკო კოშკაძე გორის მეოთხე საშუალო სკოლაში (ღირექტორი ნინო ტატიაშვილი) მიიწვიეს. უარი არ უთქვამს, დიდი ადამიანისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით უყვამანოდ გამოეშურა ბავშვებისკენ და მათთვის საინტერესო შეკითხვებს სიმღერით უპასუხა.

22 ივნისს დ. ჩუბინიშვილის სახელობის გორის კულტურისა და ტექნიკის სასახლეში კიდევ ერთხელ ალაფრთოვანა მსმენელი თავისი შეუდარებელი შემოქმედებით. სცენაზე მას მხარი დაუმშვენეს: გორელმა შემსრულებლებმა, გიტარის ჯადოქრებმა ხვინა მალაკელიძემ და ოთარ რამიშვილმა. თავადაც ჯადოქარმა არაჩვეულებრივი საღამო აჩუქა დარბაზში შეკრებილებს. ეს იყო ქართული სიმღერის დღესასწაული.

გულიანად მღეროდა გულიანი გორელი ბიჭი...

2012 წ.

რედაქტორის წინასიგყვაობა წიგნიდან „მაზა“



ნადრევედ წავიდა, ცხოვრება არ დაცალეს და იმიტომ... წავიდა, მაგრამ ვერ ვივიწყებთ, დასავიწყებელი ბიჭი არ არის და იმიტომ... გონებიდან არ გამომდის ფიქრი: მაინც რისთვის იბადებიან ზაზასნაირები? ნუთუ იმისთვის, რომ დილის მაცოცხლებელი ნიავეით შემოიჭრან ჩვენს უღიმღამო ყოფაში, აგვაფორიაქონ, აგვამაღლონ, დანატრებულ სითბოსა და სიყვარულს გვაზიარონ, შემდეგ კი... შემდეგ მალევე მიგვატოვონ. ისინი ხომ დიდხანს ვერ სუნთქვენ

„აქაურ“ ჰაერს, „იქ“ ურჩევნიათ – წმინდანთა საუფლოში, სადაც არავინ არავის არ ატყუებს, სადაც ერთმანეთი უყვართ, სადაც არ ძარცვავენ და არ კლავენ.

გორში დაიბადა, ოსტროვსკის ქუჩაზე მდებარე პატარა ერთსართულიან სახლში. შენობა დაბალი იყო, სამაგიეროდ ჭერი ჰქონდა მაღა-

ლი, ისეთი ამაღლებული სულის ბიჭი იზრდებოდა იქ – ყველასგან გამორჩეული ჭკუა-გონებით, ერუდიციით, ინტელექტით. ხარობდა ოჯახში, მისით ამაყობდა უბანი, ნათესაობა, IV საშუალო სკოლის პედაგოგები. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა. იქაც აუარებელ სტუდენტს შორის ისე ბრწყინავდა, როგორც თვითნაბადი ოქრო.

„მსგავსი მსგავსს შეიმეცნებსო“, – გვასწავლის ბიბლია. უნივერსიტეტში გაიცნო და დაიმეგობრა დათო (დაჯო, როგორც სიყვარულით ეძახნდა) ჯორბენაძე – უნიჭიერესი, ალალი, სიკეთისა და სიყვარულის მოტრფიალე, სიცოცხლით გაუმაძღარი ლამაზი ჭაბუკი. თავისი პირადი „მე“ თითქოს დათოში იყო განსხეულებული, ამიტომაც შეიყვარა თავდავიწყებით.

ზაზას და დათოს მეგობრობა ცოტა ხანს გაგრძელდა ჩვენს ცოდვილ მიწაზე, შემდეგ მათ ზეცაში გადაინაცვლეს უკვე სულაქცეულებმა.

იმ ავადსახსენებელ 19 აპრილს დაჯოს არაკაცებმა ტყავის ქურთუკის გახდა მოსთხოვეს. ვაჟკაცი იყო, თავმოყვარეობა ჰქონდა და არ გაიხადა. აბა, „ურჩობას“ როგორ აპატიებდნენ? სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს გულში. სწორედ ამ დროს ზაზა უნივერსიტეტს უახლოვდებოდა თანაკურსელებთან ერთად. გამოეკიდა გაქცეულ მკვლელს. არც მას აპატიეს თავდადებული მეგობრობა, ორი მძიმე ჭრილობა მიაყენეს.

ფიზიკურად ძლიერი ბიჭი თავისი ფეხით მივიდა საავადმყოფოში. ერთი არ დაუჩივლია, არ დაუწუწუნია თავის ჭრილობებზე, პირიქით, მეგობრის გადარჩენაზე ლოცულობდა, ამიტომაც ეგონათ, რომ საშიში არაფერი სჭირდა. ყველა დათოს დასტრიალებდა თავს, ამასობაში ზაზა სისხლისგან დაიცალა...

გვიანდა დაფაცურდნენ... იხვეწებოდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი ნოდარ ტაბიძე, ეს ერთი ბიჭი მაინც გადამირჩინეთო, სისხლის გადასასხმელად სტუდენტების მთელი არმია იდგა. რა აღარ იღონეს პროფესორმა ალიოშა ბაკურაძემ და მისმა თანამემწემ მამუკა ზაზაძემ, არ დაუფასდათ ამაგი, სიკვდილის ფამსაც უღალატო გამოდგა ბიჭი – საყვარელი მეგობრის სულს ფეხდაფეხ აედევნა.

დედის გლოვა ყველაზე შემადრწუნებელია ამქვეყნად, მით უფრო, როცა კარგ შვილს უკლავენ... მით უფრო, როცა მკვლელი დაუს-

ჯელი რჩება... რკინის ქალამანი ჩაიცვეს ზაზას უბედურმა მშობლებმა, მაგრამ რკინისგულიან ჩინოვნიკებთან რას გახდებოდნენ? შეძრეს ქვეყნიერება, ამერ-იმერი, პასუხი ყველგან ერთი იყო: „საქმე აყვანილია განსაკუთრებულ კონტროლზე, შედეგებზე გაცნობებით დამატებით“.

ამოდ ბობოქრობდა საზოგადოებრივი აზრი. 230-მდე კაცმა მოაწერა ხელი მაშინდელი პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც მოითხოვდნენ დამალული მკვლელის პოვნას და სათანადოდ დასჯას. მერედა რა... დაპირებები დღემდე დაპირებებად დარჩა. „პატრონი“ გამოუჩნდა გარეწარს. სასწრაფოდ გადამაღეს, გადაჩქმალეს, გააუჩინარეს, დასაჭერად ვერ გაიძეტეს „დედიკოს“ ბიჭი. ნაძირალა არჩიეს ოქრო-ბიჭების სპეტაკ სულს.

რას იზამ! ეგეც ჩვენი სენია. ვერ ვაფასებთ ღირსეულებს ღირსეულად.

ზაზა როინიშვილმა ღრმა კვალი დატოვა ყველას გულში, ვინც კი მას იცნობდა. გვაჩვენა, როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ უნდა გვიყვარდეს. ამაზე მეტი რაღა უნდა მოსთხოვო 19 წლის ჭაბუკს...

ზაზას პირადად არ ვიცნობდი, თუმცა, ეს ბევრს არაფერს არ ცვლის... ბევრი კარგი მსმენია ამ მერცხალა ბიჭზე, ხოლო წიგნზე მუშაობის დროს მისი „საგანძურის“ (წერილები, დღიურები, ჩანაწერები) გაცნობის შემდეგ საოცრად მახლობელი გახდა იგი ჩემთვის. ზოგჯერ მგონია, რომ სულისთვის არ არსებობს არანაირი განზომილება, სულიერი ნათესაობა გვაკავშირებს „ამქვეყნელებს“ „იმქვეყნელებთან“, იმის მიუხედავად, ვიცნობდით მათ თუ არა.

ზაზას ხსოვნა არ იშლება ჩემი მეხსიერებიდან, მე მისი კაიბიჭობის ჭირისუფალი ვარ, ლამაზი სიცოცხლის დამტირებელი, სიცოცხლისა, რომელსაც ნადრევად დასცვივდა სურნელოვანი ფურცლები.

რჩეულთა ხვედრი უკვდავება



ამ ცოდვამდლიან წუთისოფლისთვის აზრის მისაცემად იბადებიან კარგი ვაჟკაცები. თუ ჩვეულებრივი მოკვდავი სიცოცხლეში საკუთარ თავზე ზრუნავენ, რჩეულნი ადამიანებზე არიან გადაგებულნი.

ალეკო ჩოჩია რჩეული იყო რჩეულთა შორის: გაწონასწორებული, განათლებული, სულით სორცამდე ინტელიგენტი, პროფესიონალი ქირურგი და უღალატო მეგობარი.

33 წელი ერთგულად ემსახურა გორისა და გორის რაიონის მოსახლეობას, მრავალი მოაბრუნა სააქაოდ, დღემდე ლოცავენ მისგან ნაფერები და სიცოცხლენაჩუქარი ადამიანები ექიმის მადლიან მარჯვენას.

ვალმოხდელი წავიდა ჩვენგან და თავისი განვლილი ცხოვრება დაგვიტოვა ნიშნად, თუ როგორ უნდა იცხოვროს ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, საქართველოს მოყვარულმა ქართველმა და ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულმა დასტაქარმა.

6 დეკემბერს 70 წელი შეუსრულდებოდა...

გარდაცვლილი იუბილარის ხსოვნის პატივსაცემად გორის რაიონული საავადმყოფოს ეზოში შეიკრიბნენ მისი კოლეგები, მეგობრები, ახლობლები. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ქალაქ გორის გამგეობა.

შეკრებილები ტკივილით იხსენებდნენ ადამიანს, რომელმაც დიდი ადამიანური ღირსებებით ღრმად გაიღვა ფესვები მათ გულებში. ბევრს ცრემლი უბრწყინავდა თვალში. ბევრი გულში იცრემლებოდა სხვების შეუმჩნეველად.

ზურა კაჭკაჭიშვილი: „უბრწყინვალესი პიროვნება იყო, ყველა გაჭირვებულის პირველი დამხმარე. ბევრი სიკეთე აქვს უანგაროდ გაკეთებული. დიდი წვლილი მიუძღვის გორის რაიონული საავადმყოფოს შენარჩუნებაში“.

ანზორ კობაძე: „ჩემი ბავშვობის მეგობარი ზედმიწევნით კეთილშობილი იყო, წყენასაც კი არავის აგრძობინებდა. ალეკოს ორი ქალიშვილი ღარჩა – თამრიკო და ქეთევანი. სიძეები ცნობილი პიროვნებები არიან თბილისში, ერთ-ერთი სიძე დიჭო მახათაძე წარმოშობით მეჯვრისხველია“.

ილიკო თაყაიშვილი: „მეტირება ალეკოს გახსენებაზე. დაუსრულებლად შემიძლია მასზე საუბარი. ჩვენი სამეგობროს სული და გული

იყო, ისეთი შინაარსიანი ცხოვრებით ცხოვრობდა, კი არ მეცოდება, მენანება მიწისთვის. ცოტანი დარჩნენ ალეკოსნაირები, გამორჩეულნი გულით, ადამიანობით, ოჯახშიშვილობით“.

ელდარ ესაკია (საბავშვო ბაღის მეგობარი): „ფრთამოტეხილნი დაგვტოვა მეგობრები, ბოლომდე კიდევ ვერ გავიცნობიერეთ, ვინ დაგვკარგეთ“.

გენო ბერძენიშვილი (თანაკურსელი): „ნიჭიერი ექიმი იყო, იმავდროულად კარგი მოქართულე, ავადმყოფთა ისტორიასაც კი გამორჩეულად წერდა, არატრაფარეტულად. თამალობაც არაჩვეულებრივად შეეძლო“.

ვანო ჩხიკვაძე: „ალეკო ძალიან კარგად მოერგო გორს, როგორც პიროვნება და როგორც ექიმი, დიდი ფესვები გაიღვა ჩვენს ქალაქში. იგი მარტო კარგი ექიმი არ ყოფილა, საოცარი ადამიანი იყო, ფხიზელი, გონიერი. ძალიან დამაკლდა, ამ ჩვენს ყოფაში ხომ გაიშვიათდნენ დიდი და ღირსეული კაცები“.

ჰამლეტ დავარაშვილი: „ბრწყინვალე ადამიანი იყო, ხალხზე მზრუნველი, მოწოდებით ექიმი, თავისი საქმის ერთგული სიკვდილამდე“.

ალეკო ხუროშვილი: „პატრიოტი იყო, უყვარდა პროფესია, ადამიანები, მთელი კოლექტივი განიცდის მის სიკვდილს“.

გამომსვლელთა ხმაში სვედიანი ნოტიც გაისმა, რაც გორის რაიონული საავადმყოფოს გაუქმების ცნობასთან არის დაკავშირებული.


ათანდილ ხითარაშვილი: „ალეკო რომ დღეს ცოცხალი იყოს, მეორედ მოკვდებოდა, მისი გული ვერ აიტანდა ჩვენი საავადმყოფოს გაუქმებას“.

დათო ღვინიაშვილი: „ალეკო ჩოჩიამ მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს საავადმყოფოში არა მარტო ქირურგიული სამსახურის, არამედ მეგობრობის, ერთად დგომის, სამართლისთვის ბრძოლის. დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი საავადმყოფოს გადარჩენაში, ახლა განსაკუთრებით გვიჭირს უმისობა, როცა ისევ დადგა საავადმყოფოს დაკარგვის საშიშროება. იმედია, მისი სული გვიხელმძღვანელებს იმ მართალი საქმისათვის ბრძოლაში, რომელსაც მთელი ცხოვრება ეწეოდა“.

ბოლო სიტყვა ქალაქ გორის გამგებელმა **კოტე თავზარაშვილმა** წარმოთქვა. მანვე ჩამოხსნა საბურველი ალეკო ჩოჩიას ბიუსტს, რომლის ავტორია თბილისელი სკულპტორი შოთა მელივა. სიმბოლურია, რომ ბიუსტი სწორედ იმ საავადმყოფოს ეზოში გაიხსნა, სადაც დღემდე შემონახულია მისი ნაფეხურების სითბო.

იმედია, ეს სითბო მავანთაც მოუღებობს გულს.

ჩიგმაც თავის ბუღე იცის...



გაჩინა სანკტ-პეტერბურგის ოლქის პატარა და მყუდრო ქალაქია დიდი პარკით და უშმეენიერესი ტბებით. ამ ქალაქში გაატარა ექვსი წელი ჩვენმა თანაქალაქელმა ზაალ გაბაშვილმა.

...ოქროს მედალზე დაამთავრა გორის VII საშუალო სკოლა. პროფესია ბავშვობიდანვე ჰქონდა ამორჩეული. ექიმის შვილმა ცხოვრების მიზნად დაისახა მედიკოსობა. სამედიცინო ინსტიტუტი 1993 წელს დაამთავრა. მუშაობდა გორის რაიონის საავადმყოფოში ქირურ-

გად, პარალელურად გორის სამედიცინო სასწავლებელში უკითხავდა ქირურგიის კურსს.

1995-96 წლებში სანკტ-პეტერბურგში გაიარა კლინიკური ორდინატურა და გაჩინას კლინიკურ საავადმყოფოს მიაშურა. უსაქმურობას არ უჩიოდა, საავადმყოფოს დერეფნები გადავსებული იყო პაციენტებით. თითოეულ მათგანს მზრუნველობით თავს ევლებოდა და აღიარებამაც არ დააყოვნა. ადგილობრივი გაზეთის საშუალებით არაერთხელ გადაუხადეს მადლობა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, ავადმყოფისადმი გამოჩენილი ყურადღების და სიკეთისთვის.

ურთულეს ოპერაციებს ღღინით აკეთებდა თურმე, ქართულ მელოდიას ანდობდა გონების გამჭრიახობას. არც ოპერაციის შემდეგ აღუნებდა ყურადღებას. ყოფილა შემთხვევა, სუთი დღე-ღამის განმავლობაში არ მოსცილებია ავადმყოფის სასთუმალს. ამიტომ იყვნენ იმედინად მის გვერდით, ყოვლისშემძლედ მიაჩნდათ ტკივილდაამებულ და სიცოცხლედარუნებულ პაციენტებს ქართველი ექიმი. მათ გამოგზავნილ ბარათებს დღემდე სათუთად ინახავს ზაალის დედა – ლია ბაინდურაშვილი. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ბატონი ზაალი დიდი, ჭკვიანი, კეთილი, მზიარული, საქმიანი ექიმი. მის ხასიათში მოჭარბებულად არის გამოკვეთილი სიკეთის ქმნის სურვილი“.

ხასიათში სრულყოფილებისკენ სწრაფვაც ჰქონდა. სიასლის არასოდეს შეშინებია, მუდამ ძიების პროცესში მყოფმა ახალი, ე.წ.

„უსისხლო ოპერაციის“ მეთოდი წარმატებით დანერგა და ლაპარასკოპიის პიონერი გახდა გაჩინაში, რამაც კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოუტანა.

თითქოს კარგად მოეწყო, თითქოს საწადელს მიაღწია, მაგრამ ბევრს ყოყმანობდა და რაღაც ძალა უკან ეწეოდა. გული იქით მიუწევდა, სადაც წინაპართა ცრემლნაკურები საფლავეები ეგულებოდა. ენატრებოდა დედის ნახელავი საცივი და ღომი სულგუნით, შორიდან ელაციცებოდა სამშობლოს ფერადოვნებას. ერთი ორჯერ დედამაც წაუწუწუნა. ვერც გაამტყუნებ, მშობელს ყოველთვის უნდა გვერდში ჰყავდეს ერთადერთი ძე.

საქართველოდან წასულს არასოდეს უღალატია ქართული ტრადიციებისთვის. თან ჰქონდა წაღებული ძველი ქართული ფილმები და სიმღერები. ვაჟა, შოთა, გალაკტიონი, ლადო ასათიანი და ნოდარ დუმბაძე ხომ მის სამაგიდო წიგნებად იქცა. ზაალის „ბრალი“ იყო, რომ მისი მეგობარი იგორ ლოზოვსკი ქართული ენის შესწავლის „სენით“ დაავადდა.

სხვა მეგობრებიც ჰყავდა გვერდით, აი ისეთი, თვალდახუჭული რომ ენდობი კაცი, თუმცა, ქართულ სიტბოს და სტუმარმასპინძლობას სულ სხვა ხიბლი აქვს. ზაალს სუფრაზეც შეჰქონდა ქართული წეს-ჩვეულებები, მჭევრმეტყველური სადღეგრძელოებით და ქართული სიმღერებით ხიბლავდა მსმენელს. იმდენს ეცადა, ბოლოს მასზე უკეთ მღეროდნენ რუსები „ჟუჟუნა წვიმას“, „სულიკოს“ და „ჭრელო პეპელას“.

ყველა ქართველს მაინც სამშობლოსკენ მოუწევს გული. ზაალიც ჩამოვიდა გორში და მწვანე შუქი აუნთო ლაპარასკოპიის მეთოდს ჩვენს რეგიონში. „უსისხლო ოპერაციის“ სიკეთე უკვე რამდენიმე ათეულმა პაციენტმა გამოცადა. ამ მეთოდით შეიძლება ისეთი დაავადებების მკურნალობა, როგორცაა ნაღვლის ბუშტის მწვავე ანთება, კუჭის წყლულის პერფორაცია (კუჭის გასკდომა), მწვავე აპენდიციტი, თიაქრები, საკვერცხის კისტა და სიმსივნეები, საშვილოსნოს გარე ორსულობა, ჩირქოვანი ანთებები.

გარდა ამისა, ხდება მუცლის ღრუს ორგანოების რთული შემთხვევების დიაგნოსტიკა, საშვილოსნოს მილების გადაკვანძვა დროებით და სამუდამოდ, საშვილოსნოს სუბსეროზული კვანძების მოცილება (ფიბრომა), უშვილობის ზოგიერთი მიზეზის დადგენა და მკურნალობა, მილების გათავისუფლება ანთებადი შეხორცებებისგან, საშვილოს-

ნოს მიღების გამტარიანობის აღდგენა, პოლიკისტოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

სიკეთე არასოდეს არ ყელყელობს, პირიქით, თითქოს ჩრდილში ყოფნას ცდილობს, მაგრამ იმდენად კაშკაშაა მისი მადლი, რომ ვერაფრით ვერ დაიმალება. ბუდეს დაბრუნებული პროფესიონალი ქირურგი უხმაუროდ აგრძელებს მოღვაწეობას ხალხის სასიკეთოდ.

სათქმელს საქმე იტყვის...

2004 წ.

ჩერმენ ღუდაითის ცხოვრების წესი



გორის ქუჩებს ამშვენებს თმდათოვლილი, ნათელი ღიმილისა და ალალი გამოხედვის ოსი ეროვნების მამაკაცი ჩერმენ ღუდაითი, რომელიც უზომოდაა შეყვარებული და გადაჯაჭვული ქართულ ხელოვნებასა და კულტურაზე. პროფესიით თერძია, მაგრამ ლიტერატურა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. საკმაოდ კარგად იცის ქართველი და ოსი მწერლების შემოქმედება, ბევრ მათგანს პირადად იცნობს, დროდადრო თავადაც უთამაშდება კალამს და, როგორც თავად უყვარს თქმა, „ჟურნალისტობს“ – 150-მდე წერილი აქვს დაწერილი ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობაზე, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობასაც. თემა? ისევ და ისევ ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობა. არც არის გასაკვირი, ბუნებით კეთილი და ტოლერანტია, თანაც, ამით გამოხატავს მადლიერებას იმ ქართველების მიმართ, ვინც ცხოვრების დასაწყისში მხარში ამოუდგა და უმამო ბიჭს უპატრონა. ამბობს, რომ ბევრი მათგანისგან არის დავალებული, ბევრისგან ახსოვს თანადგომა, რომ არა ეს ადამიანები, ძალიან გაუჭირდებოდა გზის გაკვალვა.

დაიბადა ახალგორის (მაშინდელი ლენინგორის) რაიონის ოსურ სოფელ ღდულეთში. ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ქართული სიტყვის ტკბილხმოვანება. რვა წლის იყო, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, იქიდან მამა აღარ დაბრუნებულა. ობოლი ჩერმენი კარგადაც

დაიბადა ახალგორის (მაშინდელი ლენინგორის) რაიონის ოსურ სოფელ ღდულეთში. ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ქართული სიტყვის ტკბილხმოვანება. რვა წლის იყო, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, იქიდან მამა აღარ დაბრუნებულა. ობოლი ჩერმენი კარგადაც

სწავლობდა, მაგრამ დრო იყო უმძიმესი. ომის შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა გაჭირვება. ბევრს იჯაფებოდა დედა-შვილი, მაგრამ გამოკვებასაც ძლივს ახერხებდნენ.

მეთექვსასეული ბიჭი მიხვდა, რომ „ობლის კვერი“ თავად უნდა „გამოეცხო“ და თბილისში წასვლის ნებართვა ითხოვა. დედას წინააღმდეგობა არ გაუწევია უფროსი ვაჟისთვის. გზის ფულად მოძიებული გროშები მარტო გორიდან თბილისამდე თუ ეყოფოდა, ამიტომ გორამდე ფეხით ჩამოვიდა.

უცხო ქალაქში დაღლილ-დაქანცული შეჩერდა გაზეთების ჯიხურთან, შეათვალიერა გამოფენილი პრესა და „ლიტერატურულ საქართველოს“ დაადგა ნატვრის თვალი. გულკეთილ გამყიდველს მხედველობიდან არ გამორჩენია ბიჭის ანთებული მზერა, უფულო მყიდველს გაუღიმა და გაზეთი აჩუქა. სიხარულით ცაში დაფრინავდა გაზეთჩახუტებული ბიჭი. თურმე, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო მისი სურვილების ახდენისა. იმ დღეს მერე ნატვრაც აიხდინა და სტალინის სახლ-მუზეუმიც უფასოდ დაათვალიერა კეთილი ქალბატონის წყალობით.

თბილისში ჩასული ნათესავთან დაბინავდა. თან სწავლობდა და თან ბორჯომის ხიდის მშენებლობაზე მუშაობდა. პირველი სეროიზული თანადგომა იქ გაუწიეს.

– მძიმე საქმე მევალებოდა. სამუშაოს მწარმოებელი ქართველი კაცი იყო. შევეცოდე ახალგაზრდა ბიჭი, მიმიყვანა ხელოსანთან და პარკეტის დაგება ვისწავლე, ამით ძალიან შემიმსუბუქდა შრომა, – კეთილად იხსენებს დამკვალიანებელს ბატონი ჩერმენი, – ჯარის მერე ორენბურგში დავამთავრე სამკერვალო ტექნიკუმი, მერე ბიძასთანაც გავიარე სამკერვალო პრაქტიკა. სხვათა შორის, ბიძაჩემს კერვა ქართველმა კაცმა ასწავლა, რომლის სურათი სიცოცხლის ბოლომდე ეკიდა სამუშაო ოთახში.

სამწელიწად-ნახევარი გაატარა რუსეთში, ფულიც ჰქონდა, სამსახურიც და პატივიც, მაგრამ უსაქართველობა ვერ აიტანა და თბილისში ჩამოვიდა. მისი ეროვნებისთვის არავის მიუქცევია ყურადღება, ერთ-ერთ ატელიეში პირველივე მისვლაზე მისცეს სამსახური. ისეთი პეწით და სიზუსტით გაართვა თავი დავალებას, დაუფასეს მონდომება. „საქმის კაცის“ იარლიყით წარმატებით მუშაობდა, სიყვარულისა და პატივისცემის მეტი არაფერი არ ახსოვს თბილისელი თანამშრომლებისგან, მაგრამ... ვერ იგუა თბილისის ჰავა, გული იმ ქალაქისკენ მიუწევდა,

სადაც პირველად მოხვდა სოფელგამოცილებული პატარა ბიჭი. არ უშვებდნენ სამსახურიდან, სამჯერ დაწერა გათავისუფლების განცხადება. წამოსვლისას უფროსმა უთხრა, თუ გაგიჭირდა, მომაკითხეო.

ჩვენს ქალაქში ერთ-ერთი ატელიეს უფროსი გიორგი რაზმაძე მოველინა მფარველად. მან მილიციის უფროსს დაურეკა, როცა ჩაწერას არ უკეთებდნენ გორში. აქაც წარმატებით მუშაობდა, ძმებივით ჰყავდა ქართველი თანამშრომლები და კლიენტები. თავადაც გასცემდა სითბოს და მათგანაც გრძნობდა თანადგომას.

კეთილად იხსენებს საყოფაცხოვრებო მომსახურების უფროსს ოთარ დალაქიშვილსაც. მან გამოუყო ცალკე ოთახი და მისცა საშუალება, რომ მოსწავლეები ჰყოლოდა, ხოლო, როცა ავად გახდა, რამდენჯერმე დაეხმარა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე დაესვენა. ამბობს, რომ სხვებთან შედარებით, ბინაც პირველმა მიიღო.

არეულობის ჟამს არც უფიქრია საქართველოდან გადახვეწა. არასოდეს უთქვამს უარი ოსობაზე, გვარსაც ნამდვილ ოსურს ატარებს, მაგრამ საქართველოში შობილსა და „ისარგასროლილს“ სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ქართველებს ძმებად თვლის და მათგან სად გაიქცევა?

სამეზობლოშიც სიყვარული აქვს დათესილი. ისიც უყვართ და აფასებენ. 2008 წლის აგვისტოში, გაგანია ომის დროს გორში იყო, კანტიკუნტად დარჩენილი მეზობლების მიტოვება არ უნდოდა, „ოსური ენის ცოდნით იქნება რამეში დავხმარებოდი“, – ამას ახლა ამბობს, თორემ, არ უყვარს საკუთარი კეთილი საქმეების აფიშირება.

ცალკე სალაპარაკო თემაა მისი ურთიერთობა ვლადიკავკაზის აკაკი წერეთლის სახელობის მე-19 საშუალო სკოლასთან. უწინ ხშირად ჩადიოდა. ერთხელ შესჩივლეს, ქართული წიგნების ნაკლებობა გვაქვსო. მაშინვე დაფაცურდა, ვინ არ შეაწუხა და გორელი ინტელიგენციის სახელით 440-მდე წიგნი ჩაიტანა ვლადიკავკაზში. არც ახალ-ახალ ჟურნალ-გაზეთებს აკლებდა დამეგობრებულ სკოლას, რისთვისაც სამადლობელი წერილიც დაიბეჭდა სკოლის დირექტორის – ეთერ ფიცხელაურის სახელით.

ცხოვრების გზა-შარას ქართველთა შორის აგრძელებს, ძმობა და თანადგომა ხომ მისი ცხოვრების წესია.

„იმედია, შეცდომით არ მოვევლინე ამქვეყანას“



ნინო საძაგლიშვილი... გორელებისთვის უკვე უცხო აღარ არის ეს სახელი და გვარი. 15 წლის ნინოს იცნობენ, უყვართ, აფასებენ მის ერთდროულად და ნიჭიერებას. იგი ერთდროულად სამ მუზას ემსახურება, იმავდროულად უაღრესად ბევრს კითხულობს, შეუძლია საათობით ისაუბროს ეტრუსკებზე, ხეთებზე, შუმერებზე. უხვსიტყვიანი და პროდუქტიულია, ბევრს ხატავს და წერს, უფრო მეტად ლექსებს.

პირველი ლექსი რომ წარმოთქვა, წერაც არ იცოდა. დედა იწერდა პაწაწინა ბაგეთაგან გადმოღვრილ რითიმებს. მეორე კლასს რომ ამთავრებდა, როგორც თავად ამბობს, პირველი კენჭი გააგორა მუხათა სავანის ბილიკზე და...

კენჭი რომ ეგონა, ძაფის გორგალი აღმოჩნდა; რაკილა წვერი უპოვა, გამოიშალა და გამოიშალა დალოცვილი; მას შემდეგ ამ ღვთიური ძაფით აქსოვს ლექსებში სათქმელ-საწუნარს, ტილოზე აგვირისტებს მითოლოგიურ თუ წიგნებიდან ამოკითხულ პერსონაჟებს. უკვე იმდენი ლექსი და ნახატი აქვს, ვიკვირს, რა ფურცელი, კალამი და საღებავი ჰყოფნის ღვარცოფად მოვარდნილ ნიჭიერებას.

– ნინოს ბავშვობიდან ვიცნობ, მასში განსაკუთრებული ნიჭია, რომელიც ღმერთის საჩუქარი მგონია. ნინო წერს, ხატავს, გალობს, უკრავს. ყველაფერი კარგად გამოსდის, მაგრამ მაინც წერით არის გამორჩეული. სასწაულად მგრძნობიარე, ფაქიზი ბუნების და მოკრძალებული გოგონაა, მაგრამ, როცა საქმე საკუთარ შემოქმედებას ეხება, აქ უკვე მოკრძალება განზე რჩება. ნინო იუმორითაც არის გამორჩეული. სასწაულად კეთილშობილია და აქვს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. კატასტროფულად მოკლე დროში, გატენილი ღამეების ფასად ასრულებს დავალებულს ან გასაკეთებელს, თანაც დიდი განცდებით. ძალიან შრომისმოყვარეა, მუდამ ძიების პროცესშია და უფროსების დაუხმარებლად აღწევს მიზანს. მეამაყება, რომ ნინოს დამრიგებელი ვარ, დარწმუნებული ვარ მისი სახელით გორი ყოველ-

თვის იამაყებს, – სიყვარულით აღნიშნა №3 საშუალო სკოლის პედაგოგმა ინესა მინდიაშვილმა.

10 დეკემბერს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავი მოიყარეს ნინოს ნიჭის დამფასებლებმა. შეხვედრას მასპინძლობდა ახალგაზრდა მწერალთა ასოციაცია „პარნასი“ (პრეზიდენტი დათო ახლოური, ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ხორბალაძე). კედლებს ამშვენებდა ნინოს ნახატები და მისი ნიჭის მღალადებელი სიგელები. გოგონამ თავი გააცნო საზოგადოებას ორიგინალურად დაწერილი ბიოგრაფიით. გამოირკვა, რომ მისი საყვარელი მხატვარია ლეონარდო და ვინჩი, ჟანრი – მონუმენტური მხატვრობა, კომპოზიტორები – ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი. გულგრილად ვერ უსმენს ნეაპოლიტანურ, ქართულ ხალხურ სიმღერებს და გალობას. ოცნებობს ისწავლოს ხატწერა, ჰქონდეს საკუთარი წიგნი, ღრმად შეისწავლოს ეტრუსკოლოგია, გახდეს ლინგვისტი ან ხელოვნებათმცოდნე. აქვს მიუღწეველი სურვილი – მარადჟამს დარჩეს ბავშვად.

ჯერი პოეზიაზე მიდგა. ჰაერში დატრიალდა მისი ლექსების სურნელი. ნინოს თვალით დანახული მზე „ზამთრისათვის სატყვევებელ ხუნდებსა ჩორკნის“, „ვარდი გვიყვება სიცოცხლის არაკს“, მთვარე კი – „მოცრცვინავს მთვარე გუშავი ქვეყნის“. მას ძალიან უყვარს თავისი ლექსების რვეული, რომელიც წერით არის „რღვეული“, ედარდება, რომ „მეტროსთან ბავშვთა ზიმზიმებს გროვა, ხელები კაცთკენ გამოწვდილია“. ეფიქრება სამშობლოს ბედ-იღბალი და მომავალი.

პატარა მოაზროვნე ანალიზს უკეთებს ყველაფერს და ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული ადამიანივით დაღად ამჩნევს ქალაქს ბრძნულ აზრებს და აზრიან მინიატურებს, რომლებმაც მსმენელთა მოწონება დაიმსახურა.

ყველა კმაყოფილი და აღფრთოვანებული იყო. სიხარული ნინოსაც ეტყობოდა. შეიძლება ითქვას, საღამოს მოწყობით „პარნასელებმა“ შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთეს გოგონას დაბადების დღისთვის (ამ დღეს იგი 15 წლის შესრულდა). მხოლოდ ერთ რამეზე სწყდებოდა გული, თუმცა, ამასაც გაგებით შეხვდა: „მინდოდა ჩემს საღამოზე ყოფილიყვნენ გორის შემოქმედებითი ელიტის წარმომადგენლები, საინტერესო იქნებოდა მათი აზრის მოსმენა ჩემი შემოქმედების ირგვლივ, მაგრამ ესეც კანონზომიერად ჩავთვალე. ზუსტად 10 დეკემბერს 2 საათზე ისინი დიდი გალაკტიონის ძმისშვილს – ნოდარ ტაბიძეს

ხვდებოდნენ განათლების მუშაკთა სახლში, ცხადია, იქ უფრო საჭირო და აუცილებელი იყო მათი ყოფნა“.

ბოლო სიტყვა ნინოს დედამ ნანი საძაგლიშვილმა ითხოვა.

– ყოველთვის ვგრძნობ გორელების დიდ დაინტერესებას და თანადგომას ჩემი შვილისადმი. შეიძლება ითქვას, ნინოს გაზრდაში და აღზრდაში მთელი გორი მეხმარება. დიდი მადლობა ყველას ამისთვის, – ცრემლმორეულმა აღნიშნა მან.

...ნინოს რვეულში არის ასეთი ჩანაწერი: „საოცარია დაბადება. იმედია, შეცდომით არ მოვევლინე ამქვეყანას“.

იმდენად გვახარებს და გვათბობს შენი ხალასი ნიჭიერება, შეცდომა შენი არდაბადება იქნებოდა, ჩვენო გოგონა!

2004 წ.

ცხოვრების გზაზე გასაყოლი საგმალი



მაია ჯულაყიძე, ვერიკო ბიწაძე

საოცარია ქართველი ქალის ფენომენი, ამოუწურავია მისი შესაძლებლობები – ყოფილიყო მუდამ გამორჩეული დედა, მეუღლე, ბებია, ოჯახის სინდის-ნამუსი, მტერ-მოკეთის პასუხისგამცემი, ძნელბედობის ჟამს რვალივით მტკიცე და უტეხი...

ბოლოდროინდელმა დუხჭირმა ცხოვრებამ ლიმონივით გამოწურა და ვერა დააკლო მის მოთმინებას, გაუძლო ყველანაირ უბედურებას, რაც კი ავჟამიანობამ თან მოიყოლა. გადაიქანცა, მაგრამ არ ჩაუმუხლავს, რწმენით იამებს დაჩხვლევტილ დღეებს, გულმოდგინედ ლამბავს იმედის იაღქმებს და სითბოგაუმქრალი თვალებით გაჰყურებს მიმქრალი მამულის ხვალინდელ დღეს.

სხვანაირად არც შეიძლება – ის ხომ ქართველი ქალია...

„იქნებ ასეთი ქალების გამოც ქართლს ფუტკარივით ესია მტერი?!“ – ასე ეწოდება ახალ წიგნს, რომლის პრეზენტაცია გორის ტურის-

ტულ კლუბ „ტონთიომი“ მოეწყო. ორენოვანი (ქართულ-რუსული) წიგნი OSCE/ODIHR-ის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა. მასში წარმოდგენილია შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა პროფესიის 60 ქალბატონი.

„ისინი აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შესანიშნავად უთავსებენ ერთმანეთს ოჯახსა და სამსახურს. თითოეულ მათგანში ლიდერია – აქტიური, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, დიდსულოვანი, ყოველივე კეთილი ღირსებით დაჯილდოებული ბუნებისაგან. მათ შეუძლიათ გაბედულად მიიღონ გადაწყვეტილება, მზად არიან სხვათა გამოცდილებაც გაიზიარონ და საკუთარიც უხვად გასცენ. ისინი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობენ საზოგადოებაში. ასეთი ქალებით ნებისმიერი ერი იამაყებდა ნებისმიერ დროს“, – ნათქვამია წიგნის წინასიტყვაობაში.

რას დავამატებდი? მათ ქვეყნისთვის და ხალხისთვის ნახევარი გულით არაფერი უკეთებათ, გაასკეცებული შრომით და სიყვარულით უპირისპირდებიან პრობლემურ ცხოვრებას, ყოფით წვრილმანებზე ამალღებულნი ღირსებადაუკარგავად დაიარებიან. კარგად იციან, რომ ადამიანი ადამიანისთვის მოდის ამქვეყნად – მოყვასის მოსაფერებლად, სხვათა სულის დასაპურებლად, წუთისოფლის ოკრობოკრო გზაზე სხვის მეყავარჯნედ...

პრეზენტაციაზე მოწვეულ ასეთ ქალბატონებს უმასპინძლეს წიგნის ავტორებმა, OSCE/ODIHR-ის ტრენერებმა ვერიკო ბიწაძემ და მაია ჯულაყიძემ.

– ჩვენ დავამსხვრიეთ მითი, რომ ქალის ადგილი მარტო სამზარეულოშია. პროექტის – „ქალი და არჩევნები“ – ფარგლებში არაერთ ქალს შევხვდით. ქალთა გააქტიურების მიზნით ჩატარებულ ერთ-ერთ სემინარზე მამრობითი სქესის ჩინოვნიკმა ბრძანა: „ჩვენ ჭკვიანი ქალები გვჭირდება“. ამის საპასუხოდ წიგნი მოვამზადეთ. გადამალონ მამაკაცებმა და ნახონ, როგორი ნიჭიერი, აქტიური და საამაყო ქალები გვყავს, – ნიშნის მოგებით იხუმრა ვერიკო ბიწაძემ.

– 2000 წლიდან ვმუშაობთ ქალთა პრობლემებზე, ეს დრო საკმარისია იმის დასტურად, რომ ჩვენი რეგიონის ქალბატონები არაფრით ჩამოუვარდებიან ე.წ. „ცენტრის“ ქალბატონებს, ამიტომაც გადავწყვიტეთ მათი საქმიანობის „გამომწეურება“. წიგნი გავავრცელეთ როგორც საქართველოში, ასევე პოლონეთსა და ესტონეთში.

დიდი მადლობა, რომ ასეთი კარგები ხართ და გვაძლევთ მუშაობის საშუალებას და სტიმულს, – მიმართა დარბაზს მათა ჯულაყიძემ.

ბოლო არ უჩანდა სამადლობელს წიგნის ავტორების მისამართით. მადლობას იხდიდნენ ყურადღებისთვის, გახსენებისთვის, დაფასებისთვის. გაყინული დარბაზი ვერაფერს აკლებდა ურთიერთმონატრებულ საზოგადოებას. ერთმანეთი აღარ ეთმობოდათ, ზოგს თვალის უპეები სისხარულის მარგალიტებითაც დაენამა.

ლიანა ბახტაძე: „ერთი ადამიანი არ ზის დარბაზში, რომ არ ვიცნობდე და არ მიყვარდე. განსაკუთრებით მიყვარს ჩემი აღმზრდელები, არანაკლებ – ჩემი აღზრდილები. ვემადლობები წიგნის ავტორებს. მათ მოძებნეს მიზეზი, დრო და ადგილი იმისთვის, რომ ცხოვრების ორომტრიალში ჩაკარგული ადამიანებისთვის თავი მოეყარათ“.

ოლია ბრავგაძე: „თავად ქალი ვარ, მაგრამ მიყვარს ბუნების ეს უმშვენიერესი ქმნილება, ამ სიყვარულით ვათბობ ჩემს ნაწერებსა თუ ნაქარგებს“.

ნინო ტატიაშვილი: „საოცარი საჩუქარი მოგვიძღვნეს წიგნის ავტორებმა მარტში. ეს არის საგზალი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება თითოეულ ჩვენგანს“.

თამილა გოგოლაძე: „ქალი საჩუქარია მამაკაცისთვის, მით უმეტეს ჭკვიანი, განათლებული და აქტიური. ვერიკომ და მაიამ ლამაზად და მისაღები ფორმით „გამოგვაჭენეს“ საქვეყნოდ“.

თამარ ედიშერაშვილი: „ბედნიერი ვარ, რომ ისეთ ქალთა კრებულში მოვხვდი, სადაც ბევრია ჩემი ეტალონი. ეს წიგნი ავანსია ჩემთვის, რომ მათნაირად ვიცხოვრო შემდგომი წლები. ქალის უპირველესი მოვალეობა მაინც დედობაა, მოდით, ვიყოთ სიყვარულის გენერატორები, რათა სიყვარული და ერთმანეთის ფასი უკეთ ვასწავლოთ ჩვენს შვილებს“.

ცირა ჯაჯანიძე: „მესიამოვნა, რომ ახალგაზრდები და „ძველგაზრდები“ ერთად ვართ წიგნში. ჩვენი დაწყებული საქმეები ხომ მათ უნდა გააგრძელონ“.

ლელა კაკაშვილი: „ჩემი თაობის სახელით მადლობას ვუხედი წიგნის ავტორებს. გვერწმუნეთ, ამის შემდეგ მეტად დავინარჯებით“.

მაია ელბაქიძე: „ადღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ცოცხლებს გარდაცვლილებზე არანაკლებ სჭირდებათ დაფასება. ეს უდიდესი სტიმულია ჩვენი შემდგომი საქმიანობისთვის“.


ნანა კახნიაშვილი: „ეს პატარა წიგნი ჭეშმარიტი ინტელიგენციის არსებობის დასტურია. ქვეყანას მხოლოდ ასეთი ძლიერი და განათლებული ქალები გადაარჩენენ“.

უამრავი ლამაზი და თბილი სიტყვა ითქვა. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ოთარ ქუთათელაძემ ლამაზი ლექსი მიუძღვნა რჩეულ ქალბატონებს.

ცხადია, წიგნი არ არის შევსებული გამოცემა, ჩვენს რეგიონში მრავლად არიან ენერგიული, საქმიანი, ერუდირებული ქალბატონები, რომელთა ცხოვრება მისაბადი და სამაგალითოა. ისინი ახალი წიგნის ფურცლებს დაამშვენებენ.

2007 წ.

ჩვენს პურმარილს მაჭარი, ნიგოზი და დედას პური შეადგენდა



– ბატონო გიგა, თქვენ ბევრი რამ გააკეთებთ გორთან, ყველაზე მნიშვნელოვანს ხომ არ გაიხსენებდით?

– მახსენდება პირველი ქართული სპექტაკლი, რომელიც მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ გორში დავდგი. მიუხედავად იმისა, რომ მიღწევები მქონდა თბილისშიც, ორი საინტერესო წელიწადი გავატარე თქვენს ქალაქში.

– ქართლის შემოდგომა პირმცინარე, მაგრამ

მიმქრალი მზით შეგეგებათ, მაინც რით გაგვახარებთ?

– გახარებით ვერაფრით გაგვახარებთ, მეტიც იმეტად აირია სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში.

– რას გვეტყვით პოლიტიკის მორევში ჩათრეულ ხელოვან ქართველებზე?

– პოლიტიკაში კი ვართ ჩათრეულები ხელოვნები. განა გვინდა, ან გვიხარია, მაგრამ ჩვენი ხმაც ხომ უნდა მივაწვდინოთ სადაც საჭიროა, მარტო ახალგაზრდებს როგორ ვანდოთ ქვეყნის მომავალი?

– ხელში მოგვიკვდა გორის თეატრი, ვის შეუძლია გააცოცხლოს?

– გორის თეატრი ერთ-ერთი საუკეთესო თეატრი იყო საქართველოში, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი რეჟისორები ვასო ყუშიტაშვილი, გოგი აბრამიშვილი, ლილი იოსელიანი და სხვები. გორის თეატრს დასიც საუკეთესო ჰყავდა. დღესდღეობით მართო გორში კი არა, ყველა რეგიონში ჩამკვდარია თეატრალური მოღვაწეობა, მიზეზი კატასტროფული მატერიალური მდგომარეობაა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კულტურა არ არის მეორეხარისხოვანი. ამოდ ჰგონია მავანს, რომ დღეს კინოს და თეატრის დრო არ არის, რადგან პენსიები და ხელფასებია გასაცემი. ხალხს მთლად სიბნელეში ვერ დავტოვებთ. კულტურა ჩვენთვის უდიდესი მოვლენა იყო, არის და იქნება. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, გორის თეატრი ისევ გორმა უნდა გააცოცხლოს.

– ჩვენი თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ზაზა წაქაძე, როგორც ცნობილი გახდა, თქვენი აღზრდილია. გულს ხომ არ გაგვიკეთებდით?

– ყველა მისი სპექტაკლი ნანახი მაქვს, რომლებმაც მაღალპროფესიული და კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე. ბოლო დროს მან უნივერსიტეტის თეატრში დადგა ბრწყინვალე სპექტაკლი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის მიხედვით. ზაზა წაქაძე ენერგიული, ჭკვიანი, დაფიქრებული ახალგაზრდაა, მაგრამ დახმარება და გვერდში დგომა უნდა, ურომლისოდაც მას გაუჭირდება მუშაობა.

– გორელი მეგობარი თუ შეგხვედრიათ ცხოვრების გზაზე, მაინც ვის ერგო თქვენი სიყვარული?

– როცა გორში ვმოღვაწეობდი, თეატრის მთელ დასთან ვმეგობრობდი. რომელი ერთი ჩამოვთვალო, მათგან შალვა ხერხეულიძესთან, გივი ციციქიშვილთან და ლადო ცხვარიაშვილთან ცხოვრების ბოლომდე დამრჩა მეგობრობა. შალვა ხერხეულიძე იყო პირველი კაცი, რომელმაც თეატრში მისულს დალოცვა მომიწყო. მანსოვს ბაზარში გავედით, ჩვენს პურმარილს მაჭარი, ნიგოზი და დედას პური შეადგენდა, მაგრამ დაუვიწყარი დრო გავატარეთ.

– რატომ არ შეიძლება გორის თეატრში გიგა ლორთქიფანიძემ დადგას სპექტაკლი. ეს მხარში დგომაც იქნებოდა...

– იმდენად დაკავებული ვარ, პრაქტიკულად შეუძლებელია გორში ჩემი სპექტაკლის დადგმა.

– თქვენი საუკეთესო დადგმის შესახებ გვიამბეთ რამე...

– 150-მდე სპექტაკლი მაქვს დადგმული და რომელი ერთი ამოვარჩიო მათგან. მეამაყება, რომ ნოდარ დუმბაძის ყველა ნაწარმოების პირველი დამდგმელი ვარ. დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის პოლიკარპე კაკაბაძესთან შეხვედრა. ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდად მიმაჩნია ჩემს ცხოვრებაში რუსთაველის თეატრში მოღვაწეობა.

– ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშნია თქვენ გააცოცხლეთ, რას გვეტყვით დიდ ქართველ მწერალზე?

– ჭაბუასთან შეხვედრა ჩემთვის კინოში უდიდესი ბედნიერებაა, მიმაჩნია, რომ „დათა თუთაშნია“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტილოა ჩემს შემოქმედებაში.

– რას იტყვით, გადავრჩებით?

– ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ამის იმედი არ გვქონდეს.

– დღეს გორი ზეიმობს, სასურველ სტუმრებს ეგებება. რას უსურვებდით გორელებს?

– გორი ყოველთვის არის ხოლმე სასურველი სტუმრების მიმღები და მიმფერებელი. მჯერა, რომ გორელები არ გაერევიან იმ ყოველგვარ სიბინძურეში, რაც ქვეყანაში ხდება.

– ჭაბუას სხვა ნაწარმოების ეკრანიზებაზე ხომ არ ფიქრობთ?

– ჭაბუამ დაწერა მეორე უბრწყინვალესი ნაწარმოები „გორა მბორგალი“, რომლის ეკრანიზებაზე წაკითხვისთანავე დავიწყე ფიქრი. ჯერჯერობით ფინანსური პრობლემები ამის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ იმედი კიაფობს და იქნებ ეს მეორე გენიალური ნაწარმოებიც გადავიღოთ კინოში.

– ეს მეცამეტე კითხვაა, ხომ არ გაშინებთ ეს ციფრი?

– მოლით, ეს მეცამეტე კითხვა მეთოთხმეტედ ჩავთვალოთ და აღარ იქნება მეცამეტე.

2001 წ.

ინტერვიუ მაქორიგარ დეპუტატთან



„უწესიერესი კაცია, უწყინარი, ქველმოქმედი, ბავშვობიდანვე შრომაში ჩართული, თავის ქლაქზე და ქვეყანაზე შეყვარებული, კარგი მეოჯახე და მეგობარი, მსგავსი პატიოსნების აღამიანი იშვიათად მინახავს“, – ასე დაახასიათა იოსებ მაკრახიძე ქ. გორის მუნიციპალიტეტის მაქორიგარ დეპუტატის ბიუროს წევრმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა.

– გზა დეპუტატობამდე...

– გორში დავიბადე და გავიზარდე. 1964 წელს დავაშთავრე გორის მეოთხე საშუალო სკოლა და მივაშურე თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს, რომლის დამთავრების შემდეგ მომენიჭა გზათა მიმოსვლის ინჟინრის კვალიფიკაცია. ჩემი ბიოგრაფია წლებით არის დახუნძილული, იმიტომ რომ ბევრ ადგილზე მომიწია მუშაობამ:

1965-73 წლებში ვმუშაობდი №3 ტრესტის მე-10 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში.

1974-75 წლებში ქარელში ვიყავი №32 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროს სამუშაოთა მწარმოებლად.

ორი წელი ვოლოგდაშიც მომიწია მუშაობამ: 1975-77 წლებში ვიყავი ქ. ვოლოგდის №3 ტრესტის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი. ხის დამამუშავებელ ქარხანას ვაშენებდით. სხვათა შორის, იქ დაიბადნენ ერთმანეთის მიყოლებით ჩემი შვილები.

საქართველოში დაბრუნებული დავინიშნე №3 ტრესტის მე-10 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მთავარ ინჟინრად, სადაც ორი წელი დავყავი.

1980 წელს გორში ჩამოყალიბდა კეთილმოწყობის სამსახური. 1980-81 წლებში ვიყავი 35-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი.

1981-85 წლებში ვმუშაობდი №23 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მე-13 ტრესტის უფროსად.

1985-99 წლებში ვიყავი საავტომობილო გზების სამინისტროს №28 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსი.

1999 წლიდან დღემდე შპს „იბოლიას“ დირექტორი ვარ.

– **ალბათ, დაგიფასდათ დაჯაფული წლები...**

– კი, ორჯერ ვიყავი „ღირსების ორდენის“ კავალერი 2001 და 2011 წლებში. ასევე ვიყავი წარჩინებული მეგზვეე, სხვადასხვა დროს ჩემი შრომა დააფასეს სიგელებით და დიპლომებით.

– **ყველაზე დიდი ობიექტები, სადაც გიმუშავიათ...**

– გამოვყოფდი რამდენიმეს, უფლისციხეში და ჯავაში ავაშენეთ საშუალო სკოლები, ვოლოვდაში – დიდი ხის დამამუშავებელი ქარხანა. აღვადგინეთ გზები ახალციხიდან ადიგენამდე, აბასთუმნიდან ობსერვატორიამდე. 2016 წელს გავაკეთეთ თერთმეტკილომეტრიანი გზა ადიგენის რაიონში.

– **ხალხის რჩეულის ერთი სამუშაო დღე...**

– ყოველ დილით ხუთ საათზე ვდგები და ხუთ კილომეტრს გავდივარ ჩემს ძაღლთან – ტოტოსთან ერთად. შემდეგ თავს ვიწესრიგებ, რვის ნახევრისთვის მივდივარ სამსახურში, 11 საათისთვის – ბიუროში. კვირაში სამი დღე ქუთაისში დავდივარ პარლამენტში, ყოველ მეორე კვირას – თბილისში, აგრარულ კომიტეტში. აი, ასეთი დაკავებული გრაფიკი მაქვს.

– **თქვენი ოჯახის შესახებ რას გვეტყვით?**

– ჩემი მეუღლე ციცო მაკრახიძე IX საჯარო სკოლაში რუსული ენის პედაგოგია. უფროსი ქალიშვილი ოფელია თავიდან დედის კვალს გაჰყვა – დაწყებითი კლასის პედაგოგი იყო, ახლა მონინდომა და მშენებელი გახდა, მე ვენმარები საქმიანობაში. პატარა ქალიშვილმა მარიანამ სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტი დაამთავრა, თბილისში მუშაობს. მყავს ორი შვილიშვილი: ელენე და სოსიკო. მეზუტებიან და ვენუტები, მათ გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია.

– **თქვენი მეორე ნახევარი სად გაიცანით?**

– მეგობრის დაბადების დღეზე და ორი წელი ვიყავი შეყვარებული.

– **სიურპრიზების გაკეთება თუ გიყვართ მეუღლისთვის?**

– იმდენად იშვიათად ვარ სახლში, ჩემი მეუღლისთვის სიურპრიზი ჩემი სახლში ყოფნაა.

– **თქვენი მოუცლელი სამუშაო გრაფიკის ფონზე მეგობრებისთვის თუ იცლათ?**

– ოო, მეგობრები ჩემი მამოძრავებელი ძალაა. როგორი მოუცლელიც არ უნდა ვიყო, საღამოობით მათ სანახავად ყოველთვის გამოვყოფ ხოლმე დროს.

– ყველა ცნობილი ადამიანის გარშემო აბურღულია ჭორ-მართლის გორგალი, მოარული ხმები თქვენი მილიონების შესახებაც დადიოდა...

– კი, დადიოდა, ფირმაში 500 თანამშრომელი მყავს დასაქმებული და ყველას ქონება მე მომაწერეს. დასამალი არაფერი მაქვს. მთელი ცხოვრება შრომაში მაქვს გატარებული, გარდა ამისა, დედაჩემი გორის რაიონის სოფელ მეღვრეკისიდან იყო, იქაც მაქვს მეურნეობა. იმას რატომ აღარ ამბობენ, 2008 წელს მილიონ-ნახევრის ტექნიკა რომ დამიწვეს კარაღეთის ბაზაზე?

– რაზე ოცნებობს „ქართული ოცნების“ დეპუტატი?

– მინდა ჩემი დეპუტატობის პერიოდში რაღაც განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი გავუკეთო ჩემს მშობლიურ ქალაქს.

2017 წ.


შოთა ჩოჩიშვილს

შ - ორს გაიტყორცნა სახელი თქვენი,
 ო - ცნებას არ ჰგავს, დარჩა დიდება,
 თ - ამამად მიჰქრის ცხოვრების ეტლი,
 ა - ღარ ღირს წლების გამოკიდება.
 ჩ - ანს რომ ტატამზე ვეღარ ვიხილავთ,
 ო - რმოცდაათმა ჩამოაზარა,
 ჩ - ვენმა ლამაზმა გორულმა ფანდმა
 ი - აპონიაც შეაზანზარა.
 შ - ოთივით ნოხზე ვერვინ დაგაკრა,
 ვ - ალი სპორტული გადახდილია,
 ი - წყებ შენებას ქალაქის თავო,
 ლ - ოცვა-კურთხევით გზა გახსნილია.
 ს - იბერე დიდხანს არ მოგეკაროს,
 ჰაპიტაშვილის ნაბოკვერალო!



2001 წ.

„შევარდენის“ აღსაზრდელებთან



დარბაზში სრული სიწყნარეა. თეთრ კიბონოებში გამოწყობილი ფეხშიშველი ბიჭები ანთებული თვალებით შეჰყურებენ მწვრთნელს. იწყება მორიგი მეცადინეობა გორის შოტო-კან კარატე-დოს კლუბ „შევარდენში“. ყველა ცდილობს არც ერთი ნიუნსი არ გამოჩენს და ზუსტად შეასრულოს ოსტატის ნაჩვენები თითოეული კატა („კატა“ ფორმალური ორთაბრძოლაა უხილავ მეტოქეებთან. შოტო-კან კარატე-დო სულ 26 კატას მოიცავს).

კლუბში ვარჯიშის მსურველი ბევრია, მაგრამ ყველას როდი ძალუძს ფეხი აუწყოს მის რიტმს. ზოგი დატვირთვას ვერ უძლებს, ზოგს ნებისყოფა დალბობს და მალევე მიდის. წასულებს ახლად მოსულები ცვლიან. ამ დღეების პროცესში უცვლელი რჩება კლუბის ძირითადი ბირთვი – 80 მოზარდი, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობენ და კარატეს გარეშე სიცოცხლე უკვე ვეღარ წარმოუდგენიათ.

ცხადია, თავდაუზოგავ ვარჯიშს სასურველი შედეგი ახლავს... 1990 წელს ჩატარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატი შოტო-კან კარატეში. ჩემპიონის საპატიო სახელი „შევარდენის“ აღსაზრდელმა შოთიკო დავითაშვილმა მოიპოვა.

1991 წელს ანკარაში ჩატარდა მსოფლიო პირველობა, საიდანაც ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა ხვიჩა ხაიკაშვილი.

1994 წელს ევროპის პირველობაზე სადალაშვილმა ვერცხლის მედალი აიღო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კარატეში წონითი კატეგორიები არ არსებობს და ჩემპიონი მხოლოდ და მხოლოდ ერთი კაცი ხდება, დამეთანხმებით, რომ არცთუ ურიგო შედეგები აქვთ „შევარდენის“ ბიჭებს, რაც უდავოდ მათი მწვრთნელის გელა ჰავლიაშვილის დიდ მონდომებასა და ოსტატობაზე მეტყველებს.

წინ კიდევ მრავალი შეჯიბრებაა. ახლა ქუთაისში უნდა ჩატარდეს საქართველოს ჩემპიონატი. მომავალი წლის ივლისში კი მილანში ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც 75 ქვეყანა იქნება წარმოდ-

გენილი. ჩვენმა ბიჭებმა უკვე მიიღეს მიწვევა და გულმოდგინედ განაგრძობენ ვარჯიშს.

როცა გელა პავლიაშვილი შოტო-კან კარატეზე მესაუბრებოდა, განმიმარტა, რომ „დო“ – ეს არის ცხოვრების, ქმედების, საკუთარი საქმის მიზანი, რომელიც იმავდროულად სხვასაც უნდა ჩაუნერგო. ამ პრინციპის ერთგულია „შევარდენის“ მწვრთნელი. როცა ოსტატი უღალატოა, არ შეიძლება შევირდებმა ორგულობით უპასუხონ. გელა პავლიაშვილმა და მისმა ბიჭებმა კარგად იციან, რა უნდათ და რა უნდა აკეთონ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე „ფუსფუსებენ“ და ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მტკიცედ და შეუპოვრად მიიღტვიან მიზნისკენ.

იენისში კლუბს სტუმარი ჰყავდა იაპონიიდან. საქართველოს შოტო-კან კარატეს ასოციაციის მოწვევით თბილისს ესტუმრა მსოფლიოს კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი ჰიროკაზუ კანაზავა. სტუმარმა ჩვენი ქალაქიც დაათვალიერა.

ჰიროკაზუ კანაზავამ ორდღიანი სემინარის შემდეგ გამოცდები ჩაატარა, რომელშიც 22-მა გორელმა მიიღო მონაწილეობა. მათგან ორი: ვეფხვია ხუციშვილი და დათო ჯაფარიძე III დანზე გავიდნენ, სამი: გიორგი ვოლკოვი, ლევან სადალაშვილი და დათო ჯაფარიძე – II დანზე, 17 ვაჟი I დანს დასჯერდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კანაზავამ VI დანი მიანიჭა საქართველოს შოტო-კან კარატე-დოს პრეზიდენტს ზურაბ ლეჟავას.

სტუმარი კმაყოფილი დარჩა შედეგებით. მანვე პერსპექტიულ იუნიორებს სამომავლოდ მისცა შანსი, რომ აიმაღლონ პროფესიონალიზმი იაპონიაში დიდი ოსტატების ხელმძღვანელობით. ასე რომ, ამ ბიჭებს ხელის შეწყობა და დახმარება სჭირდებათ. მარტო ის რად ღირს, რომ მათი სახით ღირსეული მომავალი გვეზრდება – მორალურად წმინდა და ფიზიკურად ძლიერი ბიჭები.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ახალგაზრდები!

ყაყაჩოსა სიწითლითა...

„ყაყაჩო“ – ყველასთვის საყვარელი და სათაყვანო საყმაწვილო გაზეთი, რომელიც თავისი შინაარსით და შემოქმედებითი დატვირთვით არა მარტო პატარებს, მათ მშობლებსაც ახარებს.

„ყაყაჩო“ – სარბიელი, სადაც ბავშვები სწავლობენ სიყვარულს, მეგობრობას, სიკეთეს, ეცნობიან ნიჭიერი თანატოლების შემოქმედებას, სამშობლოს ისტორიას და უამრავ საინტერესო ინფორმაციას.

თავდაპირველად იგი გაზეთ „შემოქმედების“ დანამატად დაიბეჭდა. პატარა მკითხველის გულისკენ ადვილად გაიგნო გზა. წლების განმავლობაში სოლიდური ტირაჟით გამოდიოდა, მაგრამ, ცოტამ თუ იცოდა, რამხელა ძალისხმევა და ჭიდილი სჭირდებოდა მის რედაქტორს, რომ უსახლკაროდ არ დარჩენილიყო რედაქცია, აღარ ვლავარაკობ რუტინულ შრომაზე, რომელიც გაზეთზე მუშაობას სჭირდება.

რატომ „ყაყაჩო“?

„ყველა ქართველმა იცის ლექსი „ყაყაჩოსა სიწითლითა“, ცნობილია ისიც, რომ დიდი იაკობი ყაყაჩოს შავი ლაქებისგან ამზადებდა მელანს და მისით წერდა „დედაენას“, ყაყაჩო მეტად გავრცელებული ყვავილია ქართლში, ბავშვის სულივით ნაზი და სათუთი. რა უნდა დამერქმია საყმაწვილო გაზეთისთვის, თუ არა „ყაყაჩო“, – ეს სიტყვები გაზეთის პირველ რედაქტორს, ცნობილ პოეტს ალექსანდრე ტაბატაძეს ეკუთვნის.

13 წელი ირედაქტორა ბატონმა ალექსანდრემ, სიყვარულით მეორე იაკობსაც უწოდებდნენ. მისი სიკვდილის შემდეგ „ყაყაჩოს“ ფურცლები ჩამოუჭკნა. მოიწყინეს პატარა მკითხველებმაც. საბედნიეროდ, ორწლიანი პაუზის შემდეგ ალექსანდრე ტაბატაძის დაწყებულ საქმეს ღირსეული გამგრძელებელი გამოუჩნდა – პოეტი დათო ახლოური. მისი ძალისხმევით და გორის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მაშინდელი ხელმძღვანელის გიორგი სოსიაშვილის მხარდაჭერით 2006 წლის ოქტომბერში „ყაყაჩომ“ ისევ დაიწყო სუნთქვა და ახლებურად აბრიალდა.

ახლა დათო ახლოური გახდა ბავშვების საყვარელი რედაქტორი, რომელიც დღემდე ერთგულად დგას ყაყაჩოელების სამსახურში. დღე-ნიადაგ მუშაობს მათთვის, მოსწავლეთა ნაზრევს და ნახატებს აგროვებს, კინძავს და ათასობით მკითხველს სთავაზობს. ამ ჭაპანწყევტაში „ყაყაჩოს“ 20 წელი შეუსრულდა. აბა, ბავშვების საყვარელი გაზეთის იუ-

ბილე უჩემრად როგორ ჩაივლიდა? ჰოდა, პატარა ყაყაჩოლებმა დიდი ბასტი-ბუბუ მოაწვეეს გორის სულხან ცინცადის სახელობის სამუსიკო კოლეჯში. უამრავი სტუმარი მოიწვიეს, საზეიმო ფორმებში გამოწვევნი და საქვეყნოდ გააძულავენს „ყაყაჩო“ სიყვარული.

საიუბილეო საღამო მიჰყავდა ასოციაცია „ქართლის დედას“ ვიცე-პრეზიდენტს ლეილა ქავთარაძეს. მასში მონაწილეობდნენ სობისის, ბერშუეთის, ყელქცეულის, კარალეთის, ზელდუღეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები. პატარა ყაყაჩოლები მიეფერნენ „ყაყაჩოს“, პატარა გულით მიულოცეს გაზეთის იუბილე მის რედაქტორს „დავით ბიძიას“. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ გაზეთის დახმარებით და დამსახურებით უფრო ლაღები და ხალისიანები არიან, მეტი შემართებით სწავლობენ, ბევრი ცოდნა შეიძინეს, გაიცნეს საინტერესო ადამიანები, შეიყვარეს ხელოვნება.

მოსწავლეებმა „ხარკი მოუხადეს“ საყვარელი გაზეთის რედაქტორის პოეზიას და წაიკითხეს ლექსები მისი შემოქმედებიდან. მაყურებელმა მოისმინა დათო ახლოურის ლექსებზე დაწერილი სიმღერებიც. ორი მათგანის ავტორი გახლდათ კომპოზიტორი ვახტანგ ცეცხლაძე. მსმენელი დაატკბო მსახიობ ომარ გრივალაშვილის შესრულებულმა არიამ (აკომპანიმენტი – ელიკო ალექსიძე).


„ყაყაჩოს“ იუბილე მიულოცეს უფროსმა მეგობრებმა ლერი პაპუაშვილმა, ალექსანდრა დიდებელმა, ნოდარ მდინარაძემ, გიორგი მახარობლიძემ, მერი მარწყვიშვილმა, თამარ ლომსაძემ.

ღონისძიებაზე გულანდილად ითქვა, რომ „ყაყაჩო“ ფინანსურად ძალიან შეჭირვებულია და მხარში დგომას და დახმარებას საჭიროებს. დარბაზის სათქმელი ხელთუბნის საჯარო სკოლის ერთ-ერთმა პედაგოგმა ბრძანა:

– ალბათ, ალექსანდრე ტაბატაძის სული ახლა თავზე დავგვტრიალებს და ლოცავს „ყაყაჩოს“ ყველა ქომავს და მოამაგეს. არ შეიძლება ამ გაზეთის სიკვდილი, ღმერთიც მის მხარეს ყოფილიყოს და ყველა სალოცავიც, ვინც სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს „ყაყაჩოს“.

საიუბილეო საღამოს ბოლოს „ყაყაჩოს“ რედაქტორმა მადლობა გადაუხადა ყველას გაზეთის ასეთი დიდი სიყვარულისთვის. დამამძებლებლად გაისმა მისი სიტყვები: „ყაყაჩო“ არ დატკნება, „ყაყაჩო“ კვლავაც იარსებებს“.

გლორია – 10



...ხუთი წლის ასაკში აცეკვდა. პირველი ნათლობა ნელი კახობერაშვილის კლასში გაიარა. ხუთი წელი ეუფლებოდა ქართულ ხალხურ ცეკვებს. შემდეგ გორში არსებულ საბალეტო სკოლაში შევიდა. იქ პატარა გოგონა მთლიანად დაიპყრო პედაგოგის – ლუდა პუგაჩოვას ოსტატობამ, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ია თავაძის მოცეკვავედ ჩამოყალიბებაში. ამას მოგვიანებით აღიარებს, მანამდე ცდილობდა, ყველაფერში მიებაძა სათაყვანებელი მასწავლებლისთვის და,

როგორც თავად ამბობს, მეორე ლუდა ყოფილიყო.

გამოუვიდა... ცეკვით გაუყვა ცხოვრების გზას. ანზორ გვაძაბიასთან მსოფლიო ხალხთა ცეკვებს დაეუფლა, თემურ მეტრეველთან და რომან არჩაიასთან – სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებს. თბილისში გაიარა პროფესიონალი მწვრთნელი პედაგოგის სრული კურსი. წარმატებით ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდა და მწვრთნელი პედაგოგის წოდება მიენიჭა ლათინის პროგრამით. პარალელურად, ხშირად გამოდიოდა ფესტივალებზე საქართველოს მასშტაბით და არაერთი დიპლომის და ლაურეატის წოდების მფლობელი გახდა ვასიკო ოსიპოვთან და შოთა სიღამონიძესთან ერთად.

წლების შემდეგ ჩამოაყალიბა საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნულ საბჭოსთან არსებული სპორტულ ცეკვათა სტუდია „რევერანსი“ და ჯგუფი „გლორია“.

ჯგუფის შექმნა რვა ბავშვით დაიწყო. საკუთარი სახლის სარდაფში დაუდიოდნენ პირველი მოსწავლეები: ეკა მახაჭაშვილი, ეთუნა თოფჩიშვილი, რეზო ტლაშაძე, ოთარ ბერაია, თეონა პავლიაშვილი, მეგი ქავთარაძე, დათო ქებაძე, მაკა ჯაფარიძე. ხუთ თვეში ბავშვთა რაოდენობა 80-მდე გაიზარდა. მათ პირველივე გამოსვლით თავი დაამასხვორეს მაყურებელს, თანდათან გაძლიერდნენ და მედლებითა და დიპლომებით დახუნძლეს „გლორიას“ ისტორია.

ჯგუფის ნათლია ოთარ ბერაიას დედა – ქალბატონი ვალია ბერაია. „გლორია“ იტალიური სიტყვაა და „ბრწყინვას“, „დიდებას“ ნიშნავს. მართლაც, შეუცვლელად ბრწყინავს ჯგუფი ათი წლის შემდეგაც. ამის დასტურია გორის კულტურისა და ტექნიკის სასახლეში გამართული კონცერტი, რომელშიც ია თავაძის 54-მა აღსაზრდელმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ექვსი წლის ანუკი ხვედელიძემ.

ათი წლის იუბილეს 35 ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ცეკვა მიუძღვნეს. მაყურებელმა მოიწონა მათი შესრულებული როკენ-როლი, ესპანური, რუმბა, ჯაივი, პასადობლი, მატრიოსკები, ჩა-ჩა-ჩა, არგენტინული ტანგო და ევროპული ცეკვების სრული პროგრამა. სცენაზე „ცეცხლი დაანთეს“ მარი მუჯარაძემ და ლაშა აბუაშვილმა, თაკო ვახტანგაშვილმა და გიორგი ლოლიჯაშვილმა, თაკო ცერცვაძემ და გიორგი ჯოჯიშვილმა, მარიანა ოდიკაძემ და მიშეკო ტატიშვილმა, ანა მაკასარაშვილმა და მამუკა სურამელმა.

დარბაზი მქუხარე ოვაციით შეეგება პატარა მოცეკვავეებს, რომლებმაც შეასრულეს მატრიოსკების ცეკვა, ლათინის პოპური და ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ზღაპრის სამყარო“.

„გლორიას“ იუბილე მიულოცეს ყოფილმა აღსაზრდელებმა: მეგი ქავთარაძემ, ეთიკო ბერაიამ, ეთუნა ბენიძემ, გიორგი მამისაშვილმა, გიორგი ვახტანგიშვილმა, ქეთი იმედაშვილმა, თენგი მუხაძემ, ნინო ინასარიძემ, გიორგი შოთნიაშვილმა, თაკო გელაშვილმა, მიშეკო იასამნიძემ.

ბოლოს სცენაზე ფეიერვერკებით გაბრწყინებული საიუბილეო სამსართულიანი ტორტი შემოიტანეს, რომლის „მაესტრო“ განლდათ ცნობილი კულინარი ნინო ტლაშაძე.

იუბილე დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა „გლორიას“ მოღვაწეობა. ნოემბერში ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ერთ ლამაზ საღამოს გორელ პედაგოგებს აჩუქებენ, ხოლო სპონსორის მოძიების შემთხვევაში ბაქოსა და ერევანს აჩვენებენ საკუთარ ხელოვნებას.

„შენი ხმა გადმოლიოდა“



ქართული ფოლკლორი დაუნჯებული კულტურის ის ნაწილია, რომლის მადლი საუკუნეების მანძილზე ლამპარივით გვინათებდა ძნელბედობის ჟამს. ამ მადლმა შეკრიბა 19 ნოემბერს გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საზოგადოება, რომელიც განუბივრებელი არ არის ფოლკლორის საღამოებით.

კონცერტის დაწყებამდე მოსაწვევს დავხედე, თვალი შოთა ნიშნიანძის სტრიქონისკენ გამექცა: „მე ნოეს ვაბარებ ეროვნულ საუნჯეს და რასაც

ვაბარებ, მტკივა და მიმძიმს, ავურჩევ სიმღერებს და ვაზებს ავურჩევ ლოცვა-სიმღონიებს ქართული მიწის“.

ვიცოდი, რომ კონცერტის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო სალოტბარო სკოლის ხელმძღვანელი, ფოლკლორის ექსპერტი და კონსულტანტი გორის და გორის რაიონში, ლოტბარი გიორგი სამაგლიშვილი, სცენარის ავტორი – ნიჭიერი ფილოლოგი და ფოლკლორისტი ელისო მარგველაშვილი, რეჟისორი კახა ბერიძე. ნამდვილად ველოდი ქართული მიწის რჩეულ სიმღერებს და ლოცვა-სიმღონიებს, მაგრამ ნანახმა და მოსმენილმა მოლოდინს გადააჭარბა. ეს იყო კონცერტი-ბაღადა ქართველი ხალხის ვაჟკაცობაზე, გონიერებაზე, სიყვარულზე, ქართველი ქალის კდემამოსილებაზე და სინატიფეზე.

საღამო უფლისადმი მიძღვნილი საგალობლით დაიწყო. შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქალთა თვითმოქმედი გუნდი (ლოტბარები: მარინა ბუზალაძე და გულნარა ახალკაცი, სოლისტები: ლალი ტონია, ნინელი ჭონიშვილი, დალი აბულაძე, ნინელი მუხაძე, ინგა ახალკაცი), ვაჟთა თვითმოქმედი გუნდი (ლოტბარები: ელგუჯა ტომარაძე და ნიკო ღვინიაშვილი, სოლისტები: ზურაბ ჩხეიძე, არსენ ახალაძე, ზაზა ცარულაშვილი), გორის ეკონომიკური უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდი (ხელმძღვანელი მიშა მცურავიშვილი, სოლისტები: დათო და თემურ მურაჩაშვილები, გივი გიუნაშვილი), ხალხურ საკრავთა ანსამბლი თემო ვანიშვილის, ვალერი ნადირაშვილის, ლაშა და ლევან აბუაშვილების, გიორგი მაჭარაძის და ვანო კოპაძის შემადგენლობით (ხელმძღვანელი ვანო ზუბიაშვილი).

სუნთქვაშემკრული მაყურებელი ისმენდა მონატრებულ და ჩვენივე დაუდევრობით დასავიწყებლად განწირულ ჰანგებს, რომლის სიღამაზე

და ჰაეროვნება სისხლს უჩქროლებდა მსმენელს.

მომღერლებს ტოლი არ დაუდეს ანსამბლ „შავლეგოს“ მოცეკვავეებმა: ზურა ბერიძემ, ნინო შერმაძინმა, გიორგი გურგენიძემ, ნინო ჯაფარიძემ, მათა კაკალაშვილმა, ნათია დავითაშვილმა, ოლიკო გეგელაშვილმა, მაგდა გურგენიძემ. თვალს იტაცებდა მათი მოქნილობა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ცერებზე შემდგარი, თითქოს გასაფრენად გამზადებული გია მაღალაშვილის შესრულებულმა ოსურმა ცეკვამ „სიმდი“.

საუკუნეების მიღმა ამოთქმული ხალხური ლექსები ჩვეული ოსტატობით მიიტანა მსმენელამდე მსახიობმა ოთარ ქუთათელაძემ.

იმ საღამოს ღირსების ორდენის მინიჭება მიულოცეს გორის კულტურის განყოფილების გამგეს შზია გურგენიძეს და ქართული ნაციონალური ბალეტის ყოფილ სოლისტს, ანსამბლ „შავლეგოს“ სამხატვრო ხელმძღვანელს ომარ ზუბაევს.

კონცერტის ბოლოს ვაჟებმა გაერთიანებული ძალებით „ჩაკრულო“ დააგუგუნეს. დამთავრდა წარმოდგენა და შვებით ამოვისუნთქე – გადარჩენილა ნოეს მიბარებული ეროვნული საუნჯე. რანი ვიყავით კარგად დაგვანახა კონცერტმა, რანი ვიქნებით, იმაზეც იქნება დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა ამ საუნჯის გაფრთხილებას და შენარჩუნებას.

2002 წ.

„სინათლე“ სულის შუქურაა

„სულის შუქურა“ – ასე შეიძლება ეწოდოს საერო სკოლა „სინათლეს“, რომელიც უკვე 15 წლის გამხდარა. ბუნებრივია, გზის დასაწყისში იყო სირთულეები, რომლითაც გაჯერებულია პატარა სკოლის ისტორია, მაგრამ „სინათლე“ არ ეპუებოდა სიბნელესა და გაუგებრობას, ყველა ღირე და ჭუჭრუტანა ლაღად გადალახა და ერთ დიდ, მყარ ოჯახად გააერთიანა პროფესიონალი პედაგოგები და სწავლამოწყურებული მოსწავლეები.

15 წლის შემდეგ იუბილეზე მოიწვიეს გორის საზოგადოება ქალაქის სამუსიკო კოლეჯის საკონცერტო დარბაზში. ღონისძიება მიჰყავდა სკოლის ღირექტორს თამარ უთნელიშვილს და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, მხატვრული კითხვის დიდოსტატს ზვიად ხუბულურს.

ქალბატონმა თამარმა ისაუბრა სკოლის პირველი ნაბიჯების შესახებ, შემდეგ მოწვეულ სტუმრებს აცნობა, რომ მათი სკოლის ყველა გამოშვების კურსდამთავრებულებმა დააფუძნეს ახალგაზრდული კლუბი „სინათლე“.

დარბაზში სასიამოვნო ჰანგები გაისმა. ნანა სამხარაძემ ორიოდ თვის მეცადინეობის შემდეგ მსმენელს გააცნო ახალი ვოკალური ჯგუფი „სინათლე“, რომლის შემადგენლობაში არიან: ნუკი შატაკიშვილი, ქეთი გიორგაძე, ანა და იზა დოლიაშვილები, ეთუნა თარაშვილი, ნინო ჩხიტიანი, თამუნა მაისურაძე და თათია ყველაშვილი.

სკოლა „სინათლეს“ იუბილე მიულოცა გორის კოლორიტმა და ჩვენი ქალაქის საპატოი მოქალაქემ, ქორეოგრაფმა ანზორ კუპრაძემ. „ბავშვმა, რომელმაც იცის მშობლიური ენა, აუცილებლად უნდა იცოდეს ქართული ცეკვა, ქართულ ცეკვაშია ჩვენი სიდიადე, ქალის სინატიფე, კაცის ვაჟკაცობა,“ – აღნიშნა ყველასათვის საყვარელმა ქორეოგრაფმა.

ბატონი ანზორი წლების მანძილზე თითქმის უფასოდ აზიარებდა „სინათლის“ აღსაზრდელებს ქართული ცეკვის ნიბლსა და მადლს. იგი უყვარდათ და თავიანთ სცემენ.

იმ საღამოს კიდევ ერთხელ გაისმა მისადმი მიძღვნილი ლექსი. მასვე მიეძღვნა სიმღერა, რომელიც შეასრულეს მაკო გიორგაძემ და ზატია კასრაძემ თეა ქიტიანიშვილის აკომპანიმენტით.

სცენაზე ცეცხლი დაანთო ქორეოგრაფმა, „სინათლის“ კურსდამთავრებულმა ქეთი ნარიაშვილმა, რომელმაც კოლეგა-მასწავლებელი გამოიცეკვა და ანზორ კუპრაძემაც დაამტკიცა, რომ კვლავ ჩვეულ ფორმაშია. მოცეკვავეები „მომღერალმა“ სტომატოლოგმა, რა თქმა უნდა, „სინათლის“ კურსდამთავრებულმა მიშიკო იასამნიძემ შეცვალა.

ღონისძიებაზე გაიხსენეს ყოფილი პედაგოგები მედეა სუხაშვილი, მერი მარგველაშვილი, ნუნუ ონიაშვილი, მედეა ჩადუნელი, მარინა მაზმიშვილი, ლედი ჟღენტი, ნუნუ ანთელავა, რობერტ მანაშეროვი და სხვები, რომელთა გაკვეთილები დღესაც ახსოვთ და ენატრებათ მათ ნამოწაფრებს.

საღამომ სევდის გარეშე ვერ ჩაიარა, მოულოდნელად გარდაცვლილი პედაგოგის ციალა გაფრინდაშვილის გახსენებამ ყველას ცრემლი მოჰკვარა. მის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა სიმღერა, რომელიც შეასრულეს ნონა თაბუკაშვილმა, თამარ უთნელიშვილმა, სოფო გოგატიშვილმა, ნანა სამხარაძემ და მათ მანაჭაშვილმა.

სიცოცხლე გრძელდება... ამის დასტური იყო ღონისძიების ბოლოს სცენაზე გამოჩენილი „შვილიშვილები“ – სკოლის კურსდამთავრებულის ხატია კასრაძის სამი შვილი: 8 წლის ანა, 6 წლის მარკოზი და 3 წლის ნინი. მაყურებელმა უდიდესი სიამოვნება მიიღო ქართული ხალხური სიმღერით, რომელიც პატარებმა შთამბეჭდავად შეასრულეს დედასთან ერთად ფანდურის თანხლებით.

ასეა, სულის შუქურა სამარადჟამოდ უნდა ენთოს...


2011 წ.

რედაქტორის წინასიგყვაობა წიგნიდან „ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან“



თინა ღვინიაშვილი გორის III საშუალო სკოლაში ასწავლიდა. ლამაზად, შინაარსიანად იცხოვრა, მრავალი თაობა დააფრთიანა და ვალმოხდილი წავიდა წუთისოფლიდან. სულთ ძლიერი, მოაზროვნე ქალბატონი ყველა ადამიანში ბაღებდა მორიდებისა და მოწიწების გრძნობას. მკაცრ პედაგოგად თვლიდნენ, თუმცა, ამ სიმკაცრეს თავისი გამართლება ჰქონდა, კარგად იცოდა, რომ ცხოვრებაში მთავარი საკუთარი თავის პოვნაა, ამიტომაც მოსწავლეებს „კენწეროში გატკბილებამდე“ სწავლების რთულ გზაზე აყენებდა და ღიდი ჯაფის შედეგად გამარჯვების სიხარულსაც ასწავლიდა.

შეუძლებელია ილაპარაკო თინა ღვინიაშვილზე და არ ახსენო გიორგი ხარაული, რომელიც 36 წლის განმავლობაში თავკაცობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს. „ეს უბერებელი ბერმუხა ნაცარწყარილი ნაკვერჩხლებივით ინახავდა პატიოსნებას, სინდისს, ღირსებას. არაკაცები უფრთხოდნენ, ერიდებოდნენ, ადამიანობაზე, პატიოსნებაზე თავგადაკლულნი სათუთად ინახავდნენ გულში მის ხატებას“, – ასეთი შეფასება მისცა მის მოღვაწეობას ცნობილმა მწერალმა და ჟურნალისტმა ზაურ წაქაძემ.



გიორგი სარაული

ქალბატონი თინა გიორგი სარაულის დის-შვილი იყო და გენეტიკური კოდით გადაეცა ბიძისგან საუკეთესო თვისებები. უკეთურმა წუთისოფელმა ვერც ის აცდუნა, ვერ შებლა-ლა მისი სიწმინდე და პატიოსნება, სული ვერ გააყიდინა, უდიდესი ნებისყოფის ადამიანი ბოლომდე თავისი მრწამსის ერთგული დარჩა.

პროფესიონალიზმი და საქმის სიყვარული ოჯახის წევრებსაც დაუტოვა მემკვიდრეობით. მისი და – ჟანა ღვინიაშვილიც პედაგოგი იყო,

მასთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა დისშვილების აღზრდაში. ერთი მათგანი – ელისო ღვინიაშვილი პედაგოგია, მეორე – ზაზა ღვინიაშვილი და მისი მეუღლე ნანა ხახაშვილი მკურნალები არიან. არც ერთს არ ეშლება ცხოვრების დაუწერელი კანონი, ნამუსიანად ეზიდებიან ჭეშმარიტი მამულიშვილობის ტვირთს.

...წუთით არ ჰქონდა მოცლა. ფიქრებთან მარტო დარჩენილიც პედაგოგად რჩებოდა. სამწუხაროა, რომ კრებულის სიმცირის გამო გამოუქვეყნებელი დარჩა მისი შედგენილი უამრავი შემეცნებითი ხასიათის ამოცანა, დავალება, ტესტი. მის არქივში ინახება, აგრეთვე, ამონარიდი ჟურნალ-გაზეთებიდან, პედანტური სიზუსტით შესრულებული ვრცელი და ამომწურავი მოხსენებები, მეთოდგაერთიანების შემოწმებების შედეგები, მოსმენილი ვაკვეთილების ანალიზები, მისი მოსაზრებები სახელმძღვანელოების აკადემიური ნაწილებზე, სწავლების მეთოდების გაუმჯობესებაზე და მოსწავლეების სიყვარულით გამთბარი უამრავი მისალოცი და მადლობის ბარათი.

რატომ უყვარდათ თინა მასწავლებელი?

საქართველოს ისტორიიდან გმირთა მაგალითებით წვრთნიდა ბავშვებს, საუკუნეთა სიღრმიდან ამზიურებდა სამშობლოს ტკივილიან თუ სიხარულიან დღეებს, ცხოვრების საძირკველში პატრიოტიზმი, შრომისმოყვარეობა, დისციპლინის ერთგულება, მოყვასის სიყვარული ჩაუღლავა ნამოწაფრებს და ასე ნაგებ „შენობას“ რომელი ქარტესილი მოერევა?

თინა ღვინიაშვილის გამოწრთობილი გოგო-ბიჭები დღეს ღირსეული ქართველები არიან. ამადაც გვმართებს ამაგდარი პედაგოგის არდავიწყება.

მეგობრის პორტრეტი



ადამიანის ყველაზე საუკეთესო შემფასებელი მეგობარია. მასზე წერა ადვილიც არის და რთულიც. ადვილია იმიტომ, რომ კარგად იცნობ, რთულია იმიტომ, რომ გეშინია არაფერი გამოგრჩეს მისი ღირსებებიდან და მანაც... ვიღებ კალამს და ვცდილობ გამოვსახო მისი პორტრეტის კონტურები, შემდეგ სული გავუშიშვლო და გამოვამზეურო იქ არსებული საუნჯე.

როგორც ეგზიუპერმა გვითხრა, „ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“ და მასაც ჰქონდა ვარდისფერი ხანა. გამორჩეული ბავშვი იყო: ულამაზესი, ზრდილი, გონიერი და საოცრად ჭიკჭიკა. ოჯახი ყველანაირად უწყობდა ხელს მის აქტიურობას, უიმისოდ არ ტარდებოდა არანაირი ღონისძიება არც კარაღეთის სკოლაში და არც გორში. დედა სადღეღოფლოდ ამზადებდა პატარა პრინცესას, მაგრამ... არ ადღეღოფლა წუთისოფელმა.

გათხოვდა... სიგიჟემდე უყვარდა მეუღლეს, თუმცა, ბედის ირონიით ვერ ეღირსა სრულფასოვან ბედნიერებას. ცხოვრებას მხოლოდ შვილი ულამაზებდა. შვიდი წლის ჰყავდა შალვა, ქმარი რომ დაეღუპა. ჩადრში გაეხვია ახალგაზრდა ქალი და შვიდი წელი თვალების მეტი არაფერი გამოიჩინა იმ ჩადრიდან. ისევ ბედის ირონიის „დამსასურებით“ შიშველი ხელებით შეება ცხოვრებას, არ შეეპუა ყოველ ფეხის ნაბიჯზე თანმდევ სიძნელეებს. ადვილი არ არის, უბინაო ახალგაზრდა, ლამაზი ქალისთვის მარტოღმარტო და პატიოსნად თავის გატანა, მაგრამ მან ეს შეძლო.

უამრავი ხელის მთხოვნელი ჰყავდა, შეეძლო ბედნიერი ყოფილიყო, მან კი სხვა არჩევანი გააკეთა – უარი თქვა პირად ცხოვრებაზე, შვილს მიუძღვნა თავი ბოლომდე და არ აგრძნობინა ობლობის სიმწარე. ხშირად ვხუმრობთ ხოლმე მისი მეგობრები, რომ იგი პროფესიით დედაა. გვერდიდან არ იშორებდა თავის ერთას, გახეთ „გამარჯვებაში“ მუშაობის პერიოდში რედაქტორის მუხლზე და თანამშრომელთა მზრუნველობით იზრდებოდა მისი ვაჟკაცი, რომელსაც ბავშვობიდანვე „შეჰყარეს“ ქართული პოეზიის სიყვარული. ჯერ კიდევ პატარამ

ზეპირად იცოდა ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი და, თითქმის ნახევარი „ვეფხისტყაოსანი“. ეტყობა დედის გენმა იმძლავრა ბიჭში, თავადაც უყვარს ლექსები, ზეპირად იცის ბევრი მათგანი და როგორი გრძნობით კითხულობს, ამის მოსმენა ერთი სიამოვნებაა.

საერთოდაც, პოეტური სულის ადამიანია... ის აღაფრთოვანებს, რასაც სხვა ვერც ხედავს. პროფესიონალ ჟურნალისტს გამორჩეული აქვს ხედვა და წერის სტილი, თუმცადა, საკუთარ ჩანაწერებში უფრო ლაღია და მათში მეტად იგრძნობა ქართული სიტყვის ზეიმი.

უზომოდ მგრძნობიარე და კეთილია, შეუძლია ბოლო ლუკმა გაუყოს გაჭირვებულს. მუდამ სხვაზე ფიქრობს და ზრუნავს. შრომისმოყვარეობით კარგ ვაჟკაცს არ ჩამოუვარდება, თავის დაზოგვა არ იცის არც გონებრივი და არც ფიზიკური მუშაობის დროს. ძალიან არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, განსაკუთრებით პრობლემებზე საუბარს გაურბის.

მოვალეობა და პასუხისმგებლობა უმაღლეს რანგში აქვს აყვანილი. არა მარტო თავისი შეილისთვისაა კარგი დედა, უზომოდ უყვარს და პატივს სცემს მშობელ დედას – ქალბატონ ზინას და ძმას როლანდის. არც მეგობრებს გვაკლებს ყურადღებას, ყველას გვინაწილებს სიტბოსა და სიყვარულს. საოცარი ის არის, რომ ვერ შეატყობ, როგორი მძიმე ცხოვრება გამოიარა. ყოველთვის მოწესრიგებული გადამდები ხალისით შემოგვიქროლებს და ყოველ შეხვედრაზე გაზაფხული მოაქვს ჩვენთან.

არაერთი საინტერესო პროექტის ავტორია და ხარობს იმით, რომ შეუძლია სხვას დახმარება გაუწიოს. მისი პროექტების დამსახურებით ბევრი ქალი დაეუფლა კულინარიას და სტილისტის პროფესიას.

2000 წლიდან მუშაობს ოჯახური ძალადობის პრობლემებზე. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის გორის კომიტეტის ხელმძღვანელი მანამდე ეხმარებოდა მსხვერპლ ქალებს, სანამ კანონი ამოქმედდებოდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად. სთავაზობდა მათ სხვადასხვა სერვისებს (ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები), სახელმწიფო თავშესაფრის გახსნამდე მას ჰქონდა კრიზისული ცენტრი, სადაც სამი დღით იფარებდა დაზარალებულ ქალბატონებს.

ამჟამად გორში არსებული სახელმწიფო თავშესაფრის ადმინისტრატორია. ჭიშკრიდანვე ეტყობა იქაურობას პატრონის ხელი. შენობა

კი გარემონტებული და კეთილმოწყობილი ჩაიბარა, მაგრამ ეზო და მიდამო ძალზე მოუწესრიგებელი იყო. მისვლის დღიდანვე ხელები დაიკაპიწა, ყველა ამოიყენა გვერდში: მძლოლი, დარაჯი, ბენეფიციარები და ერთობლივი ძალებით დაასუფთავეს ტერიტორია, დარგეს ნარგავები, დათესეს მწვანილეული და ახარეს ყვავილები. ამბობს, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ბენეფიციარების მიმართ ძალიან ყურადღებიანია. გულწრფელად უთანაგრძნობს და ყველანაირად ცდილობს ხვედრი შეუმსუბუქოს. განსაკუთრებით უყვარს ბავშვები და თვლის, რომ ისინი არ უნდა იჩაგრებოდნენ მშობლების მიზეზით. ხშირად საკუთარი სახსრებით უკეთებს საჩუქრებს და ხარობს მათი სიხარულით.

ოჯახის შემომატებულ წევრთანაც შესმატკბილებულია. უხარია, რომ მისი რძალი – თიკო ბარბაქაძე ტრადიციულ ქართულ ოჯახშია გაზრდილი და მასთან ადვილად პოულობს საერთო ენას. ზრდილი და განათლებული ახალგაზრდა გოგონაც ცდილობს სიყვარულზე სიყვარულით უპასუხოს და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეს დედამთილთან.

მასზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება. ჩარჩოში ასე მოვაქცევდი სათქმელს: უაღრესად ერუდირებული, პოეტური, დახვეწილი, ერთგული, შრომისმოყვარე და, რაც მთავარია, ქალური ლამარა შაყულაშვილი...

რატომ გადავწყვიტე მეგობრის პორტრეტის შექმნა?

1 ივლისს დაბადების დღე აქვს. ასაკის გაუმჟღავნებლად ვულოცავ იუბილეს ყველა მეგობრის სახელით. მისი ჯანმრთელად ყოფნა და დიდხანს სიცოცხლე იმიტომაც არის აუცილებელი, რომ გააგრძელოს კეთილ საქმეთა სერია, ადამიანებზე ზრუნვის გარეშე ხომ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია...

2012 წ.

მოდღვარი

შესავლის მაგიერ

გული გულს იცნობსო, ნათქვამია. ალბათ, ამიტომაც გავეუშინა ურდი იოლად, პირველივე შეხვედრაზე ნალდი გრძნობა დაედო ლიბოდ ჩვენს ურთიერთობას და ერთმანეთის სულში ნაგროვები მშვენიერი წამებისა და წუთების თანაზიარნი გავხდით. შემდეგ კი... შემდეგ იყო წუხილი და კურცხალი... ჩვენ საქართველოც ერთნაირად გვტკივბია და, რაც მთავარია, ერთნაირად გვაქვს იმედი, რომ სკოლის ზარი კვლავაც ომაზინად იგუგუნებს, როგორც სიმბოლო ცოდნისა და ზნეკეთილობისა.

კვერნაქის გადასახედიდან

ქალაქის განაპირას, პატარა გორაკზე მდებარეობს VIII საშუალო სკოლა. ნელ-ნელა აყვები აღმართზე ამავალ გრძელ კიბეს, 62 საფეხური ავათავე და გავივაკე.

გარეთ ისეთი ქარი ქროდა, სახელსა და გვარს რომ წაართმევს კაცს. იქნებ ამიტომაც სკოლის შენობაში შესულმა ორმაგი სიმყუდროვე ვიგრძენი. დირექტორის კაბინეტის მოძებნა არ გამჭირვებია, მაგრამ მისი პატრონი „შემოვლაზე“ იყო და მეც ხელი არ შევუშალე. მის მოსვლამდე მესამე სართულის ფანჯრიდან გაცვქეროდი ჩემი ქალაქის ნაცნობ ხედებს. ხელისგულზე მოჩანდა მწვანეში ჩაფლული ჭავჭავაძის პროსპექტი, ქონგურებჩაჟანგებული გორის ციხე და ყველა გორელისთვის სათაყვანო წმინდა ადგილები – გორიჯვარი და საკათედრო ტაძარი.

არ ვიცი, რას ფიქრობენ მერვესკოლელები. მე კი მგონია, რომ ამ სილამაზის ყოველდღე ხილვა ერთ სიცოცხლედ ღირს. აქედან მომზირალი გრძნობამხვილი კაცი საუკუნეებით დამძიმებული გორის მაჯისცემასაც გრძნობს და თვითონაც უტოკდება გული ამ მშვენიერი ქალაქის სიყვარულით.

დასანანია, რომ ასეთი ადგილმდებარეობის სკოლა მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ეს შენობა 300 მოსწავლისთვისაა აგებული. დღეისთვის 704 ბავშვი სწავლობს, ამიტომ იძულებულნი არიან ორ ცვლაში იმუშაონ. სკოლა ვერ აკმაყოფილებს ვერანაირ სანიტარულ

და ჰიგიენურ ნორმებს. არსებობს მისი გაფართოების პროექტი, მაგრამ არ ჩანს სპონსორი, რომელიც მომავალ თაობას დაეხმარება.

არადა, რა მადლია ამ საშვილიშვილო საქმის დროულად დაწყება-დაგვირგვინება.

ნინო: წარსული – აწმყო – მომავალი

სკოლის დირექტორი ქალბატონი ნინო ტატიაშვილია. საინტერესოა მისი ცხოვრების გზა: ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა და ლენინურ სტიპენდიასაც იღებდა (ასეთი სტიპენდია მხოლოდ ორ სტუდენტს ჰქონდა მაშინ), დაამთავრა თუ არა, ამავე ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. იყო კომკავშირის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, შემდეგ კომკავშირის II მდივანი. ამასთან დაკავშირებით მინდოდა მეთქვა: დღეს ბევრმა გააიგივა პარტიულ-კომკავშირული საქმიანობა სამშობლოს ღალატთან. ასეთებს ვერ დაუჯერებიათ, რომ ნამდვილ პატრიოტს ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის კეთება ნებისმიერი ფორმაციის დროს ხელეწიფებათ.

განვილიტა ვლებმა ჩამოუყალიბა ნინოს პასუხისმგებლობის გრძნობა. უკვე 13 წელიწადია, რაც VIII საშუალო სკოლის დირექტორია და ამ ხნის მანძილზე ერთი დღეც არ უცხოვრია სკოლის გარეშე. შინ მისულიც სამსახურზე ფიქრით ათენებს, ხშირად გვიან ღამემდე შემორჩენია სკოლის კედლებს, არიან დამნახავეები. თუმცა, მოწმეები რა საჭიროა, სკოლაში რომ სიცოცხლე „დულს და გადმოდულს“, ამაზე ბევრი რამ მეტყველებს.

იმ დღეს საკუთარი თვალთ ვნახე მოსწავლეთა ხელით გაკეთებული ჰერბარიუმები, ყოველწლიური ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალი „კვერნაქი“. სკოლაში ტრადიციად იქცა, რომ ინგლისური ენის წრემ წლის ბოლოს აჩვენოს ინგლისურენოვანი სპექტაკლი. გეოგრაფიის შემსწავლელი წრე (პედაგოგი გულქან ჩხაიძე) იკვლევს გორს და გორის რაიონს. რა აღარ აინტერესებთ თურმე ბავშვებს: ჰიდროლოგია, კლიმატი, რელიეფი, მცენარეული საფარი, ეკოლოგიური გარემო, ბუნების დაცვა. შეკრებილი მასალები მოათავსეს ხელნაწერ ჟურნალში, რომელიც ამჟამად თბილისის მოსწავლეთა სასახლეშია.

გაზაფხულზე ხატვის მასწავლებელს ნელი კაკაშვილს ჩაუტარებია ღონისძიება – „გაზაფხული და ჩვენ“.

არც გართობაში ჩამორჩებიან მერვესკოლელები: აწყობენ ლაშქრობებს, ექსკურსიებს. ყოველ პარასკევს 6-დან 10 საათამდე იმართება დისკოთეკა, რომელსაც სიამოვნებით ესწრება ხოლმე ნინოს ოთხი წლის ვაჟი – ბამბის ქულასავით თეთრი ლექსო.

სკოლა საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა. ჯვართამაღლების დღეს, როგორც შარშან, ასევე წელს რელიგიის კაბინეტის თაოსნობით (გამგე მანანა ყორანაშვილი) შეგროვდა პროდუქტი და ტანსაცმელი ახალქალაქის ინვალიდ და ავადმყოფ ბავშვთა სახლისთვის. ღირექტორმა ამ ჰუმანიტარულ ტვირთს განზრახ გააყოლა უფროსკლასელი ვაჟები, რათა მათ საკუთარი თვალით ენახათ, თუ რა მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს ალკოჰოლსა და ნარკომანიას.

ნინო ტატიაშვილის ბედი ისე მჭიდროდ დაუკავშირდა სკოლის ცხოვრებას, რომ მისი აწმყოც და მომავალიც ყველასთვის ნათელი და გასაგებია.

რწმენა, შრომა, სიყვარული

სიამაყით მიყვებოდა ღირექტორი ვირჯინიის შტატიდან ჩამოსული სტუმრების შესახებ, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლებს: ლია ტაბატაძეს და ნინო ტლაშაძეს. მათ სრულებითაც არ დასჭირვებიათ გიდის დახმარება. ჩამოსულებს შესანიშნავი მეგზურობა გაუწია ამავე სკოლის მოსწავლემ გიორგი ექვთიმიშვილმა, ხოლო ინგლისურ ენაზე წარმოდგენილმა სპექტაკლმა „რობინ ჰუდმა“ დაუეწიყარი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე.

გიორგი ექვთიმიშვილს უკითხავს ერთი მათგანისთვის (რა თქმა უნდა, ინგლისურად): რა გადაგვარჩენს ქართველებსო. სტუმარს ჩაუცინია და უთქვამს:

– სამი რამ: რწმენა, რომელიც ჯერ არ გაგაჩნიათ, შრომა, რომელიც ძალიან არ გეპიტნავენათ და ურთიერთსიყვარული, რომელსაც დღეს ნაკლებად ვხედავ საქართველოში, მაგრამ უსაშველო არაფერი გჭირთ. მარტო ის, რომ შენს სამშობლოს შენი სახით ეზრდება ისეთი შესანიშნავი ახალგაზრდა, რომელიც ქვეყნის გადარჩენაზე ფიქრობს, ცოტას არ ნიშნავსო.

სიახლის მოტრფიალე

ბევრი სიახლით გაამდიდრა ქალბატონმა ნინომ სკოლის ცხოვრება და ბევრის გაკეთებას აპირებს კიდევ. ფარად და ხმლად სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ეგულება, რომელსაც ძალიან აფასებს სამართლიანი დირექტორი.

შვიდი წლის წინ ქალაქში პირველად მის სკოლაში დაიწყო ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება. დღეს უკვე ოფიციალურად ისწავლება სკოლებში რელიგია და კულტურა, რაც VIII სკოლისთვის უცხო ხილად არ ითვლება. მათ დიდი ზანია გაუსწრეს მოვლენებს და საკმაო პრაქტიკაც გააჩნიათ. 1992 წელს გადაწყვიტა ნინომ, რომ სკოლაში მოეყვანა კეთილშობილებისა და ზნეობის განსახიერება – მამა გიორგი (ოქროპირიძე), რომელიც ორ კვირაში ერთხელ ლექციებს ჩაატარებდა ზნეობის საკითხებზე.

ხალხით გადავსებულ დარბაზში მოსწავლეებთან ერთად იყვნენ სხვა მსმენელებიც. ღვთის მსახური აანთებდა სანთელს, პირველად გადაიწერდა და თავისი სასიამოვნო დიქციით მოჯადოებულ მსმენელს ღმერთის ენით ესაუბრებოდა. (ცნობისთვის მამა გიორგი ახლა ხულოს რაიონში მოღვაწეობს და პირდაპირ სასწაულებს ახდენს. იმდენად დიდია მისი ზეგავლენა მოსახლეობაზე, რომ ბევრმა მაჰმადიანმა მოიხადა ჩაღმა და დაუბრუნდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას).

მამა გიორგის ლექციებზე დასწრების მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. ამ დიდმა ინტერესმა დაარწმუნა ქალბატონი ნინო I კლასიდანვე შემოეღო რელიგიის სწავლება. ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ. შედეგი? გაიზარდა სწავლებისადმი ინტერესი, იკლო უღისცობა, აღიზნოთა რიცხვმა. დირექტორმა ისიც მითხრა, ერთ-ერთი ზარმაცი მოსწავლე ღამით ამდგარა და წიგნის კითხვა დაუწყია, გაკვირვებული დედისთვის კი უთქვამს: „რატომ უნდა მაჯობოს სატანამ, რატომ უნდა დამრჩეს გაკვეთილი მოუმზადებელიო“.

კომენტარი მეონი ზედმეტია.

ეპილოგის მაგიერ

რატომ უყვართ მოწაფეებს ნინო დირექტორი, როგორც მასწავლებელი? მან მოახერხა და მოსწავლეებს გაუღვივა ბიოლოგიის სიყვარული. თუ ამას მივუმატებთ ბავშვების უსაზღვრო სიყვარულსაც,

ცოდვა-მადლის გარჩევისა და მოთმინების დიდ უნარს, აღარ გაგიკვირდებათ, რატომ არის ეს ვერცხლისწყალივით დაუდევარი ქალბატონი მოსწავლეებისთვის არა მხოლოდ ღირეპტორი, არამედ მათი მეგობარი და გულის მესაიდუმლეც.

ბავშვები უსიტყვოდაც გრძნობენ თანადგომას და ამაცობენ თავიანთი მოძღვრით, რომლის ძალა და მადლი აღწევს თითოეული მოზარდის სულში და იქ ჩაგდებული სიკეთის მარცვლის გაღვივებას ჩუმად და უპრეტენზიოდ ემსახურება.

1995 წ.

აქტიური ცხოვრებით მათი თანაგოლი



ბავშვობიდანვე ცელქი და ცნობისმოყვარე იყო. ანტერესებდა ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა. გამოსავალი ისევ დედამ იპოვა – ყველგან რომ არ ჩაეყო ცხვირი, საინტერესო წიგნებით აკავებდა. ისე შეუყვარდა კითხვა, წიგნი ხელიდან აღარ გაუშვია. დღემდე უყვარს ძველი წიგნის სუნი და წვიმიან დღეს წიგნთან ყოფნა. დაამთავრა გორის მესამე საშუალო სკოლა. ამაცობს, რომ თანაკლასელები

დღემდე გვერდში უდგანან. მისაღები გამოცდები გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ სტუდენტობის სიხარულს „რალაც“ უნელებდა. გულით სხვა რამ ეწადა, ამიტომ გორში რომ მორჩა სწავლას, თელავის ინსტიტუტს მიაშურა. ხელახლა ჩააბარა მისაღები გამოცდები ისტორია-სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. ისტორიაში ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, თითით უთითებდნენ მასზე. კურიოზია, მაგრამ ფაქტია – უკვე სტუდენტმა შეიტყო, რომ უგამოცდოდაც შეეძლო სწავლის გაგრძელება.

თელავის ინსტიტუტი 1995 წელს დაამთავრა და მას შემდეგ ლელა კაკაშვილი არ მოშორებია თავის მოსწავლეებს. ჯერ ხიდისთავის №106 საშუალო პროფესიულ სასწავლებელში მუშაობდა,

საიდანაც გორის VIII საშუალო სკოლაში გადაინაცვლა ისტორიისა და სამართალმცოდნეობის პედაგოგად.

სკოლა მისი მეორე ოჯახია. ვერ წარმოუდგენია ცხოვრება ბავშვების გარეშე. ათობით პროექტი განახორციელა მათთან ერთად და ხარობს მოსწავლეებთან ერთობლივი წარმატებით.

ერთ-ერთი წარმატებული პროექტი იყო მოსწავლეთა მონაწილეობა საკონსტიტუციო სასამართლოს ოლიმპიადაში „ადამიანი და კონსტიტუცია“, განათლების სამინისტროს პროექტით (გორის ეთნოგრაფიული მუზეუმი) მოგებული თანხა VIII საჯარო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს დაურიგდათ ყოველთვიური სტიპენდიის სახით.

ლელა სკოლის გარეთაც ასწრებს აქტიურ ცხოვრებას. 1996 წლიდან მრავალი საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზატორი და ინიციატორია, 1997 წლიდან – სამართლებრივი კლუბის „თემიდას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, 1999 წლიდან – ტრენერი ადამიანის უფლებათა სწავლების დარგში და სამოქალაქო განათლების სფეროში. გავლილი აქვს მრავალი ტრენინგი და მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას.

მუდამ მოუცლელს მაინც რჩება დრო მეგობრებისთვის და ახალი წიგნებისთვის, პოეზია მისთვის უარყოფითი ემოციებისგან განმუხტვის და ახალი ენერგიით დამუხტვის საშუალებაა, პროზა – სიამოვნების გახანგრძლივების.

ორი წელია ტაო-კლარჯეთს სტუმრობს მეგობრებთან ერთად. გაზაფხულზე და შემოდგომით მოილოცავენ ხოლმე ქართულ ტაძრებს, რომლებიც მარგალიტებივითაა გაბნეული მამულს მოგლევჯილ ტერიტორიაზე. დიდი სიყვარულით ჰყვება თითოეულ მათგანზე. ტბეთი, ხანძთა, ოპიზა, ოშკი, შატბერდი, დოლისყანა, იშხანი, ბანა, სუმელა, მეჩეთად ქცეული ხასული და პარხალი, თორთუმის ტბა და ჩანჩქერი, ოთხთა ეკლესია დღემდე ინახავენ ქართულ სულს, ამიტომაც სულ სხვა მადლი აქვთ ამ ტაძრებს.

„საოცარია, მაგრამ იქაურმა ქართველებმა დღემდე შემონახეს ენა და ტრადიციები. თურქეთში ბევრია ისეთი სოფელი, სადაც მარტო ქართველები ცხოვრობენ, მაგალითად, თურმანიძე, შერთული, ციხის ძირი, მარტო შავშეთის რაიონში ათი ქართული სოფელია, – ამაყად ამბობს ლელა, მაგრამ თხრობას აგრძელებს და განწყობა მაშინვე ეცვლება, – საშინელი განცდაა, როცა გადაკეთებულ ქართულ ტაძარში

მუსლიმანების წესისამებრ ფეხშიშველს გიშვებენ და გალობას, ლოცვას და სანთლის დანთებას გიკრძალავენ. თუმცა, იმდენად მაღლიანია ის მხარე ჩვენი ტაძრების წყალობით, ყველას ვურჩევდი ინახულოს ტაო-კლარჯეთი, რომელიც სხვადასხვანაირი მშვენიერებით ხიბლავს მნახველს გაზაფხულზეც და შემოდგომითაც“.

ტაო-კლარჯეთში ლელა თითოეული თავისი მოსწავლისთვის ლოცულობს, იქიდან ჩამოტანილ სანთლებსაც ურიგებს პატარა მეგობრებს. 29 დეკემბერს ისინი მიულოცავენ საყვარელ პედაგოგს დაბადების დღეს. ასაკს არც იკითხავენ, რადგან ბავშვური სუფთა გულით და აქტიური ცხოვრების რიტმით ლელა მასწავლებელი მათი თანატოლია.

2007 წ.

ცხოვრება მაინც გრძელდება



უკვე იშვიათობა გახდა სულის სითბო და ადამიანური ხიბლი. ამიტომ გვიკვირს და გვიხარია, როცა ამ თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანს აღმოაჩენ.

...ბაზარში, გურამიშვილის ქუჩაზე განთავსებულ ერთ-ერთ აფთიაქში მუშაობს დოღო მჭედლიძე – სათნო და სიკეთედ დაღვრილი ქალბატონი. აფთიაქში შესვლისთანავე მოყვასის სიყვარულით გაჯერებულ მზერას შემოგაგებებს, შემდეგ ყურადღებით მოგისმენს, შენს ჭირ-ვარამს გაითავისებს, სალბუნად დაედება სატკივარს და ყავარჯენივით შეგაშვებებს კეთილ რჩევას.

ძუნწად ლაპარაკობს საკუთარ თავზე, მარცვალ-მარცვალ აკვენკე მისი ამბები სამზეოზე გამოსაფენად: თბილისში დაიბადა და გაიზარდა, ხელისგულზე ატარებდნენ ნაბოლარას ოთხი და-ძმა. შვიდი წლისამ იწვინა ობლობის სიმწარე. დღემდე ეამაყება ზაქარია მჭედლიძის შვი-

ლობა, რომელსაც გვარის მშენებას უწოდებდნენ.

ანთებული თვალებით იხსენებს სტუდენტობას. შემდეგ ბედის ბორბალი ცხინვალისკენ გაუგორდა ახალგაზრდა ფარმაცევტს. იქ, ცენტრალურ აფთიაქში მუშაობისას მოჰკრა თვალი მომავალმა მეუღლემ. პირველივე დანახვაზე სიყვარულმა რეტი დაასხა ცხინვალელ ვაჟკაცს. აღრაფერი აკითხა გოგოს, დაიქანა „ჩემი იქნებიო“ და სასწრაფოდ მოიტაცა, რათა სხვისი მშენება არ გამხდარიყო ქალიშვილი.

რალას იზამდა, ერთგულებით ზიდა ოჯახის ჭაპანი მანამდე, სანამ...

ცხინვალიდან ქმრის სურათი გამოჰყვა მხოლოდ... არადა, 34 წელი რუდუნებით აძლიერებდა ოჯახს. თვალსა და ხელს შუა წამოეზარდა ორი ვაჟი. რომ ეგონა დავისვენეო, სწორედ მაშინ აიწეწა წუთისოფელი. ქმრის სიკვდილი არ აკმარა განგებამ, კერიაც აუფორიაქა, ცარიელ-ტარიელმა მიაშურა გორს იმ იმედით, რომ უკან მალე დაბრუნდებოდა.

იმედი ოცნებას დაემგვანა – უფრო და უფრო შორეული გახდა ხელისგაწვდენაზე გაშენებული ქალაქი, სახლ-კარზე მეტად უპატრონოდ დარჩენილი ქმრის საფლავი ედარდებოდა. მეორე საფლავი გორში გაუხდა მოსავლელი, გორის მიწამ მიიბარა მისი ვაჟი მერაბი.

შვილის სიკვდილს მტერსაც არ უსურვებს ქართველი კაცი, მაგრამ განადგურებულმა დედამ შეძლო ფეხზე დადგომა (უკვე მერამდენედ), ძალა მოიკრიბა და დღესდღეობით ისევ სხვების მიმფერებელია. ეგ არის მხოლოდ – ღიმილი აქვს ცხოვრებისგან სუსხდაკრული.

ერთნაირი გულისხმიერებით ემსახურება მილეთის ხალხს, 45 წლის ფარმაცევტული გამოცდილებით სწორად აკვალიანებს ხანდახან ურეცკებოდ მისულ მყიდველს (ხალხურ მედიცინაშიც კარგადაა გარკვეული, უამრავი სენის წამალი იცის ზეპირად), საღამოს სახლისკენ მიიჩქარის, სადაც, როგორც თავად ამბობს, საყვარელი შვილი თეზური, უსაყვარლესი რძალი დალი ნადირაძე და საფიცარი შვილიშვილები თეონა და თათია ელოდებიან.

ცხოვრება გრძელდება...

მზალო მასწავლებელი

ცოდნა სიბრძნის დედაა, სიბრძნე და განსწავლულობა კი ყველა დროში ძვირად ფასობს. „განათლება არს უმტკიცესი და უუსაიმედოისი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“, – გვასწავლიდა დიდი ქართველი მოაზროვნე სოლომონ დოდაშვილი და, ჭეშმარიტად, უწიგნურ ადამიანს არ ხელეწიფება ღირებულის შექმნა, წიგნიერება კი გონივრული აღზრდის პირდაპირპროპორციულია.

როგორია დღეისთვის სწავლა-აღზრდის საქმე, ამის გასარკვევად გორის III საშუალო სკოლას ვესტუმრე, სადაც სწავლება სოროსის პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. „სამიზნედ“ პირველი კლასი ავირჩიე, რომელსაც ნიჭიერი პედაგოგი მზალო ნასყიდაშვილი ხელმძღვანელობს. იგი ისეთი გატაცებით მიაბობდა თავისი კლასის შესახებ, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ აღზრდა სიყვარულის გარეშე შეუძლებელია. სიყვარული ჭარბად იფრქვეოდა მზალო მასწავლებლის თვალებიდან.

– რით განსხვავდება სოროსის პროგრამა ჩვეულებრივი პროგრამისგან?

– ამ პროგრამის მიხედვით წამყვანი ფუნქცია მოსწავლეს ეკისრება და არა მასწავლებელს. გაკვეთილი გრძელდება მანამ, სანამ თემა არ ამოიწურება და ბავშვი არ დაიღლება. ვასწავლით ყველაფერს. თემად ვირჩევთ ისეთ კითხვებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვის აზროვნების განვითარებას.

– იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ზურგის შექცევა დედა ენისა დიდად ენებს ერს. სოროსის პროგრამამ ხომ არ დაგამორათ „დედაენას“?

– სხვათა შორის, ბევრს ჰკონია, რომ ჩვენ „დედაენა“ უარყავით და ამერიკულ პროგრამას მივანიჭეთ უპირატესობა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. იგივე პროგრამას გავდივართ, რასაც სხვები, უბრალოდ ბავშვებთან მიდგომის ფორმა და სწავლების მეთოდი შევცვალეთ, ეს არის და ეს. ჩვენი მუშაობა წარმართულია იქით, რომ მოსწავლეები მივაჩვიოთ აზროვნებას. არასწორი პასუხის შემთხვევაში მოსწავლეს არ ვუბნებით, რომ ის ცდება. არც სხვა ბავშვს ვატიქევიანებთ სწორ პასუხს იმ შეკითხვაზე, როგორც ეს ხდება ხოლმე ჩვეულებრივ, კითხვების საშუალებით მიგვყავს ბავშვი სწორ პასუხამდე.

ჩვენ მოსწავლეს სრული თავისუფლება მივანიჭეთ. მას შეუძლია პრეზენტაცია გამიკეთოს და მათემატიკის რვეულში მიცემული დავალება შემოქმედებითად წარმომიდგინოს: შიგ ნახატი ჩამიხატოს, ან

ლექსი ჩამიწეროს, ერთი სიტყვით, გაფორმებული ნაშრომი წარმომიდგინოს. შეიძლება ბავშვმა მათემატიკის ამოცანა ვერ ამოხსნას, მაგრამ ფურცელი ისე გამოფორმოს, რომ მალალი ნიშანიც კი დაიმსახუროს.

ახლა ავიღოთ ქართულის გაკვეთილი. „დედაენის“ ლაღატი არც გვიფიქრია. პირიქით, ჩვენი ქართულის გაკვეთილი მეტად დატვირთული და შემოქმედებითია. ანბანი არ გვქონდა დამთავრებული, რომ ჩემმა მოსწავლეებმა კითხვა იცოდნენ. პროგრამული მასალის გარდა ბავშვებს ვაძლევთ თავისუფალ თემებს. მთელი კვირა ვმუშაობთ ერთი თემის გარშემო. კვირის ბოლოს ყველა მოსწავლე წარმომიდგენს თავის საპრეზენტაციო ფურცელს და ხდება მისი ნაშრომის პრეზენტაცია. შეიძლება ეს იყოს ნახატი, ან ჩანახატი და ლექსი, ვინც რას მოახერხებს. მაგალითად, ავიღოთ თემა „გაზაფხული“, მოსწავლე წერს ან ხატავს, თუ როგორია გაზაფხული. ვიყენებთ, ასევე, ასოციაციურ მეთოდს. მაგალითისთვის ავიღოთ იგივე გაზაფხულის თემა. გაგიკვირდებათ, ისეთი დაუსრულებელია ბავშვების ფანტაზია. ზოგმა გაზაფხული დედას შეადარა, „გაზაფხული რომ მოდის, ბუნება დედასავით თბება“, ზოგმა აღნიშნა, „გაზაფხულზე ლამაზი ყვავილები ამოდისო“ და ა.შ.

კლასში გვაქვს რამდენიმე ცენტრი: მათემატიკის, ქართულის, კითხვის, წერის, აღმოჩენების, ხელოვნების. მოსწავლეებს ვყოფთ ჯგუფებად და ისინი იწყებენ მეცადინეობას მათთვის სასურველ ცენტრში. განსაზღვრული დროის შემდეგ ჯგუფები ადგილს უნაცვლებენ ერთმანეთს. ასე გრძელდება მანამ, სანამ თითოეული ბავშვი ყველა ცენტრს არ მოივლის დღის განმავლობაში.

– რას საქმიანობთ ხელოვნების ცენტრში?

– მოსწავლეები ეცნობიან მხატვრებს, მწერლებს, ხდება საბავშვო წიგნების პრეზენტაცია. თვითონაც ხატავენ და ყველა ბავშვის საუკეთესო ნახატი გამოკრული გვაქვს.

– აღმოჩენების ცენტრში რაღა ხდება?

– ვაფიქსირებთ ერთი საგნის რამდენიმე მდგომარეობას, ან საგნის თვისებას. მაგალითისთვის ავიღოთ მაგნიტი. ბევრმა ბავშვმა არ იცის, რომ მაგნიტს შეუძლია მიზიდვა. მისთვის ეს აღმოჩენაა. ზამთარში კლასში შემოვიტანეთ თოვლი და ყინული და დავაფიქსირეთ წყლის სხვადასხვა მდგომარეობა. აღმოჩენების ცენტრში დათესილი გვაქვს ხორბალი, უკვე ჯეჯილმა ამოყო წვერი.

გარდა ამისა, გვაქვს რელიგიის კუთხე, მწვანე კუთხე, ვმუშაობთ გირჩებით, პლასტელინით, ვზრუნავთ ერთმანეთზე. დაბადების დღის

ცენტრში გამოკრულია ყველა ბავშვის დაბადების თარიღი, ვცდილობთ უყურადღებოდ არ დავტოვოთ არც ერთი იუბილარი. კლასში ტყუპიც გვყავს – ანა და დაიანა.

– **საკუთარი შვილი ხომ არ შეასუსტებს მოსწავლეთა სიყვარულს?** – ღიმილით ვეკითხები.

საქმე ის არის, რომ ერთი თვეა, რაც ახალგაზრდა პედაგოგი დაოჯახდა. მისი რჩეული გუჯა ქურდევანიძეა.

მზალმ პასუხი არ დამიგვიანა.

– პირიქით, გააძლიერებს, ყველა ბავშვს ჩემი შვილის თვალთ შვებდავ, – მითხრა და მჯერა, ასეც იქნება.

ვულოცავ გაბედნიერებას. შვილთა სიმრავლეს და ულევ სიყვარულს ვუსურვებთ ახალგაზრდა წყვილს!

2001 წ.

ხანუქა სამეახ! **რწმენად აკიაფებული წმინდა ბეთი**

მრავალი საუკუნის წინ, 25 ქისლევს ისრაელის მცირერიცხოვანმა ერმა დაამარცხა ბერძენთა უძლიერესი არმია და გაათავისუფლა იერუსალიმი. გამარჯვებული ებრაელები ტაძრის განახლებას შეუდგნენ. ტაძარი ყოველგვარი უწმინდურებისგან გაწმინდეს და გამარჯვების აღსანიშნავად მენორის დანთება მოინდომეს.

დიდი ხნის ძებნის შემდეგ ქოენ-გადოლის დიდმოდვრის დაბეჭდილი პატარა ქილა იპოვეს. მასში მხოლოდ ერთი დღის სამყოფი ზეთი იყო, მაგრამ... მოხდა სასწაული – ერთის ნაცვლად ზეთი რვა დღეს ენთო.

თალმუდი მხოლოდ ზეთის სასწაულზე მოგვითხრობს: „იპოვეს ერთი დღის სამყოფი პატარა ქილა და ენთო რვა დღეს“. მასში არ არის წინა პლანზე წამოწეული ცუდად შეიარაღებული პარტიზანული რაზმების – მაკაველების გამარჯვება უძლეველ ბერძნულ არმიაზე, ხანუქის სასწაულად მხოლოდ ერთი დიდმოდვრის დაბეჭდილი ზეთის პატარა სურათი მიჩნეული, რომელიც ხელშეუხებელი გადარჩა.

მას შემდეგ ებრაელი ხალხი ყოველ წელს აღნიშნავს ხანუქას – როგორც სინათლის გამარჯვებას უკუნით სიბნელებზე, რწმენის გამარ-

ჯვებას სისასტიკეზე.

29 დეკემბერს ხანუქის დღესასწაულის აღსანიშნავად თბილისიდან გორში ჩამობრძანდნენ მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი რავ ავიმელეხ როზენბლატი, ებრაულ ახალგაზრდული ფონდის „ჭილელი – თბილისის“ დირექტორი მორის კრინელი, საერთაშორისო ქალთა ორგანიზაცია პროექტ „კემერის“ რეგიონული ხელმძღვანელი საქართველოში ზიზი (ირმა) შაფთოშვილი, „კემერის“ განყოფილების „ბეთ ბნეის“ კოორდინატორი საქართველოში ეთერ თოფჩიშვილი-გიგინეიშვილი, რელიგიურ ებრაული სასწავლებლის „იემივას“ პედაგოგი იაკობ დავითაშვილი მეუღლითურთ, ღირსების ორდენის კავალერი ზაირა დავარაშვილი.

ღონისძიების წამყვანებმა ზიზი შაფთოშვილმა და მორის კრინელმა ყველას მიულოცეს ხანუქის დღესასწაული, ისაუბრეს მის მნიშვნელობაზე თითოეული ებრაელისთვის.

ხანუქის ისტორია, მართლაც, ბევრ საოცარ მაგალითს შეიცავს და თითოეული მათგანი თითქოს კიჟინაა, გვერდი არ აუარო იმ ჭეშმარიტებას, რასაც ხანუქა ასწავლის ებრაელ ხალხს.

– ჭეშმარიტი გამარჯვება ეს არის ჩვენი ცხოვრების სწორი არჩევანი. ვზა რწმენისა, უზენაესზე მინდობა ჩვენი ერის არსებობის საიდუმლოა, – მიმართა მსმენელს ზიზი შაფთოშვილმა, – ამ სანთლებს ჩვენ ვანთებთ იმ სასწაულისთვის, იმ ხსნისა და გმირობისთვის, იმ შველისა და საოცრებისთვის, იმ ნუგემისთვის, რომელიც უზენაესმა ჩვენს წინაპრებს აღუსრულა, რვა დღის განმავლობაში დანთებული სანთლები უფლებას არ გვაძლევს, რომ დავივიწყოთ ერთი ციდა ზეთის ქილის სასწაული. ებრაელი ერი არ მიიჩნევს სრულ სასწაულად იმ ფაქტს, რომ უკანასკნელმა ბერძენმა მეომარმა დაყარა იარაღი. ჭეშმარიტი თავისუფლების მომენტად აღიქმება, როდესაც დიდმოდვარმა მენორა დაანთო. დღეს, ისევე როგორც მაშინ, ყოველი ადამიანი საკუთარ სულში ეძებს იმ პატარა „სუფთა ზეთს“, რაც შემდგომ რწმენად აკიაფდება. დღითი დღე ძლიერდება ხანუქის სანთელთა ნათება, სწორედ ასევე იზრდება სიმართლისა და სინათლის გამარჯვების ღრმა რწმენა ჩვენში.

– ხანუქას განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ათასწლეულების წინ საბერძნეთის იმპერიაზე გამარჯვება დიდი თავგანწირვა იყო, რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს, – ბრძანა იაკობ დავითაშვილმა.

– გორი ჩემი დღეულეთია, ამიტომაც მიყვარს გამორჩეულად. ჩვენ აქ ხანუქას დღესასწაულზე ჩამოვედით. არ არსებობს მსოფლიოში ებრაელი, რომელიც ამ დღესასწაულს არ აღნიშნავს, იმიტომ რომ ხანუქა სანთლის და სიკეთის, ცივილიზაციისა და კულტურის, გამარჯვებისა და წარმატების სიმბოლოა, ეს არის სიმართლის გამარჯვება უსამართლობაზე, თითოეული ნორმალური ადამიანის სულისკვეთება. აღფრთოვანებული ვარ, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ გორი დაგვხვდა ისევ ლამაზად და გაუტეხლად. მერწმუნეთ, აქ დანთებული სანთლები დაიცავს ჩაგრულ ერებს უსამართლობისგან, – სიყვარულად იღვრებოდა ზაირა დავარაშვილი.

პირველი სანთელი რავ ავიმელეხ როზელბლატმა დაანთო, რომელმაც მიულოცა შეკრებილებს ხანუქის დღესასწაული და აღნიშნა, რომ ერთი პატარა სანთელი ადამიანის სულის სიმბოლოა, ბევრი ადამიანის მიერ დანთებული სულის სანთელი უკვე სიკეთეა. ხანუქა სინათლის გამარჯვებაა უკუნით სიბნელეზე.

მომდევნო სანთლების დანთების პატივი ერგოთ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გივი აბალაკს, იაკობ დავითაშვილს, გორის ებრაელთა თემის წინამძღოლს მოშე ბააზოვს, ზაირა დავარაშვილს, ებრაულ სააგენტო „სოხნუტის“ წარმომადგენელს შიდა ქართლში, გორის ებრაული თემის გამგეობის წევრს ბესო მანაშეროვს და შიდა ქართლის რეგიონული საავადმყოფოს ანესთეზია-რეანიმაციის განყოფილების გამგეს კაკო ჯანაშვილს, პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილსა და გორელ ებრაელთა კოლორიტს ილო შაფთოშვილს, გორის ებრაული თემის საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელს დავით შოშიაშვილს და სტალინის სახლ-მუზეუმის დირექტორს რობერტ მაღლაკელიძეს.

დღესასწაული გაალამაზეს ახალგაზრდა შემსრულებლებმა: თათია ხუხაშვილმა სიმღერით „შმა ისრაელ“, გორის ებრაულ ანსამბლ „ემუნას“ (ხელმძღვანელი თეონა მაღალაშვილი) წევრებმა: ლიკა ფუტყარაძემ, ლიკა მოშიაშვილმა, ნათია ჯანაშვილმა, ვიკა ორჯონიკიძემ. მოწონება დაიმსახურა ცეკვა „აჭარულმა“ ანსამბლ „იმედის“ (ხელმძღვანელი ვია ჭულუხაძე) წევრების ილონა კრიხელის, ნოდარ სოსიაშვილის და სოსო გვიმრაძის შესრულებით. კონცერტის შემდეგ გაიმართა სახალისო ვიქტორინა, გამარჯვებულებს გადაეცათ წიგნები და სამახსოვრო საჩუქრები.

აღსანიშნავია, რომ ხანუქის დღესასწაული პირველად ჩატარდა გორში. პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ საფუძველჩაყრილი დღესასწაული მომავალშიც არაერთხელ ჩატარდება და ყოველწლიურად იგი უფრო ხალხმრავალი და სანახაობრივად საინტერესო გახდება.

2008 წ.

სიყვარულით მობილნი



ეზოში თამაშობდა უმეკაშვილების დიდი ოჯახის ერთ-ერთი გოგონა. მან გამიწია მეგზურობა და მიმიყვანა სახლში, სადაც ახალგაზრდა, ხალისიანი დიასახლისი დამხვდა. სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი, მეგონა მობერებულ, თმაჭაღარა, საოჯახო საქმეებისგან დაღლილ ქალს

შეეხვებოდი (ხუმრობა ხომ არ არის 9 შვილის შობა და გარდა). პირიქით კი მოხდა – უზომოდ ბედნიერი ჩანდა სიცოცხლით სავსე ჩემი თანამოსაუბრე – მარინა კურდღელაშვილი, რომელმაც სიამოვნებით გამაცნო ოჯახის ისტორია.

მარინას მეუღლე – ბეგლარ უმეკაშვილი ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში მუშაობს მძღოლად. 22 წლის წინ დაოჯახდნენ. მარინა მაშინ 17 წლის იყო, ბეგლარი – 22-ის. წლის თავზე ქალიშვილი ნინო შეეძინათ. ნინოს ნანა მოჰყვა, შემდეგ ოჯახს შემოემატნენ ნონა, ნათია, ვახტანგი, ნატო, თეონა, გიორგი, ბეგლარი (რომელიც 5 თვის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა) და რუსუდანი.

ნინო და ნანა უკვე სტუდენტები არიან. ნინომ ოჯახის შექმნაც მოასწრო და ვაჟიშვილს ზრდის. დანარჩენი და-ძმანი VIII საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან, რუსუდანის გარდა, რომელიც ჯერ მხოლოდ 11 თვისაა. იგი თავისი 2 წლის დისშვილის ყველაზე პატარა დეიდაა.

რა ყოვლისშემძლეა სიყვარული! რომ არა ცოლ-ქმრის უსაზღვრო სიყვარული, ხომ არ დაიბადებოდა მათ ოჯახში ამდენი ბავშვი. არა, ასეთ მრავალშვილიან ოჯახებს სხვანაირი მიხედვა და დაფასება უნდა. ბევრი შვილის დედობა და მამობა ნამდვილად გმირობაა.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ 9 ბავშვი კოვზით ხელში მაგიდასთან სადილის მოლოდინში. ჯერ მარტო მათი დაპურება თქვით, თანაც ამ უკიდურესად გაჭირვებულ დროში. მერე ჩაცმაც ხომ უნდათ? მარინასიც მიკვირდა, როგორ ასდის-მეთქი ამდენ საქმეს. მთელი დღე სადილების მზადება, სახლის დალაგება, ახლა სარეცხი! სულ თუ არაფერი, თითო ბავშვი თითო წყვილ წინდას ხომ მანაც გამოიცვლის.

თითქოს ფიქრებს მიმიხვდა, ისე დასძინა დიასახლისმა:

– გოგონები ძალიან მეზმარებიან, ყველას თავისი საქმე აქვს და იციან, ვინ რა უნდა აკეთოს. ეგენი რომ არა, ალბათ, მართლა ძალიან გამიჭირდებოდა.

საუბარში პატარა რუსუდანმაც გამოიღვიძა, გაოცებული თვალებით შემათვალეურა. დედამ ისე თბილად მიუაღერსა, თითქოს იგი მეთექვსმეტი არა, ნანინანატრი სიყვარულის შვილი ყოფილიყოს. მივხვდი, რომ შვილების უსაზღვრო სიყვარულში იყო ჩაქსოვილი მარინას ახალგაზრდობის „საიდუმლო“, რომ ამ ქალის მასაზრდოებელი ჰაერი და ხალისის წყარო მხოლოდ და მხოლოდ შვილებია, მისი სიყვარულით ნაშობი შვილები.

„გორის მოამბე“: წერილი მზად იყო, როცა შევიტყვეთ, მრავალშვილიან ოჯახს პატარა გვანცაც შეეძინა.

ვულოცავთ!

1996 წ.

საშობაო გამოფენა



გორის განათლების და პროფესიული სწავლების ცენტრში გაიმართა გორელი ხელოვანი ქალბატონების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ აღნიშნული ცენტრის დირექტორი ნინა ჯვალაბაძე და თექის პედაგოგი მარინე ბეგლარიანი.

– გამოფენა-გაყიდვის მთავარი მიზანი გორელი ხელოვნების ერთად შეკრება, ერთმანეთის ნახელავით ტკობა და ახალი ნამუშევრების გაცნობა-შეფასებაა, – აღნიშნა ქალბატონმა მარინემ.

გამოფენაზე ერთმანეთზე უკეთესი ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. თვალს იტაცებდა ოლია ბრაგვადის და ცირა მგალობლიშვილის ნაქარგები, ცისანა ფოცხვერაშვილის ორიგინალური წიწვის ჩარჩოები და კალათები, ნატალია გიუნაშვილის ნაჩჩით ნაქარგი, თექისა და ბისერის ნამუშევრები, ნონა თარხნიშვილის თექის ნაწარმი, ხათუნა კურტანიძის თექის ნივთები და აქსესუარები, ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ გორის ოფისში დამზადებული ქვილთის სუფრები, თექის ჩანთები და სამკაულები, ლელა კურტანიძის თექის ნატურმოტები, ცისანა დათაშვილის თექის შარფები და სამკაულები.

ყველა ნამუშევარში იგრძნობოდა სილაღე, უსაზღვრო ფანტაზია და ავტორის ოსტატობა, მაგრამ გამორჩეულ ნამუშევრებშიც იყო გამორჩეულები.

მაია ბუხრაძე 5 წელია ოქრომკედით არის გატაცებული. დამთვალეირებლების დიდი მოწონება დაიმსახურა მისმა ნახელავმა, საოცარი სინატიფით შესრულებულმა ტრადიციულმა ქართულმა მოტივებმა. აღსანიშნავია, რომ ძველად ოქრომკედი ელიტარულ ხელსაქმედ ითვლებოდა საქართველოში, მისი დამკვეთებიც და შემსრულებლებიც ძირითადად დედოფლები და თავადის ქალები იყვნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ეს ხელსაქმე ოქროს ძაფს საჭიროებდა, რაც მხოლოდ მაღალი წრის ქალბატონებისთვის იყო



ხელმისაწვდომი. ყველაზე ძველი ოქრომკედის ნიმუში XII საუკუნით თარიღდება, თუმცაღა, ვარაუდობენ, რომ იგი უფრო ადრეული დროიდანაა გავრცელებული საქართველოში. XVII–XVIII საუკუნეები ოქრომკედის აღმავლობის ხანაა. XIX საუკუნიდან თანდათანობით დაიწყო დაღმასვლა. მოგეხსენებათ, ოქრომკედით ძირითადად საეკლესიო ნივთებს აფორმებენ, ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ კომუნისტების ხელში თითქმის დავიწყებას მიეცა ეს ხელსაქმე და მხოლოდ 1983 წლიდან დაიწყო მისი აქტიური აღდგენა და პოპულარიზაცია.

საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინა ცარო დოიჯაშვილმა. ცხინვალის სამხატვრო ტექნიკუმის კურსდამთავრებული ფერმწერი ჯერ ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში პედაგოგობდა, ამჟამად კი ცხინვალის სახლერისპირა სოფელ ერგნეთში ასწავლის ხატვა-ხაზვას, დაჯილდოებულია II ხარისხის დიპლომით მხატვარ-მასწავლებელთა რესპუბლიკურ გამოფენაში. მისი მოღვაწეობის სფერო მრავალმხრივია: ფერწერა, გრაფიკა, თიხა, გამოყენებითი ხელოვნება.

მეორე დევნილი ქალბატონი, მხატვარ-დიზაინერი ეკა ნიკოლიშვილი ულამაზესი ბისერის სამკაულებით და თექისგან დამზადებული ქოთნის ყვავილებით ხელდამშვენებული წარსდგა დამთვალიერებელთა წინაშე.

მომწესხავი სილამაზით და სიდიადით გამოირჩეოდა თამრიკო ბეთლემიშვილის ბისერის ხატები. როგორც ავტორმა აღნიშნა, ხატებზე მუშაობა 2008 წლის 6 აგვისტოს დაიწყო და მუშაობა არც ომის შემდეგ შეუწყვეტია. დიდი ზომის ულამაზესი ხატების შესაქმნელად კილობით წვრილი ბისერი და რუტინული შრომაა საჭირო, რასაც ქალბატონი თამარი სიყვარულით ასრულებს. თითო ხატის შექმნას საშუალოდ 9 თვეს ანდომებს. დღემდე 6 ხატი აქვს დასრულებული. სამომავლო გეგმები უფრო მასშტაბური აქვს: აპირებს სიუჟეტების გაკეთებას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“.

გამოფენაზე ნატალია ტრენინაც იღებდა მონაწილეობას. მან ფოთში დამთავრა სამხატვრო ტექნიკუმი, პროფესიით კერამისტი 12 წელი დაინტერესებული იყო ფერწერით, სკულპტურით, ბატიკით, თექის დამუშავებით, ორი წელია მინაქრის ულამაზეს სამკაულებს აკეთებს.

თავად გამოფენის სულის ჩამდგმელი მარინე ბეგლარიშვილი მრავალმხრივი შემოქმედია, ხელოვნების ყველა სფეროში მოსინჯა თავისი შესაძლებლობები: თვითნასწავლი მხატვარი ულამაზესი თექის პორტრეტების, ჰერბარიუმების და ბუმბულის სურათების ავტორია,

გარდა ამისა, არც გამოყენებითი ხელოვნებაა მისთვის უცხო.

გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ხელოვანი ქალბატონების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მსგავსი სახის შეხვედრა და გამოფენები მომავალშიც არაერთხელ მოეწყობა.

2012 წ.

ნუკრი დვალი



დამოკლებული გზასავალი არგუნა ბედის-წერამ... არადა, როგორ ეტრფოდა სიცოცხლეს – ყველა კეთილი საქმისა და სიახლის წამომწყები აქტიურად იყო ჩაბმული გორის კულტურული ცხოვრების ფერხულში. ყველას უყვარდა გამორჩეული სულის და გარეგნობის ჭაბუკი. ლიდერად დაბადებული ყველგან და ყოველთვის პირველობდა. მის გარეშე არ ჩატარდებოდა არც ერთი კულტურული ღონისძიება. მრავალმხრივ დაამასსოვრა თავი თანამოქალაქეებს – იყო სპორტსმენი, ქორეოგრაფი, ვოკალისტი, საზეიმო სხდომების წამყვანი, დეკლამატორი, რამდენიმე საბავშვო სიმღერის ავტორი, უკრავდა ყველანაირ საკრავზე, ითვლებოდა ქართული და ესპანური ცეკვების საუკეთესო შემსრულებლად.

მის დეიდას, სათნო და კეთილშობილ ქალბატონ მარო ყანჩაველს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შეუდგენია დისშვილის დიპლომების გრძელი ნუსხა. მარო დეიდამ დაფურცლული რვეულებიც მჩვენა. საგულდაგულოდ შენახული თითოეული ფურცელი 28 წლის ჭაბუკის სიცოცხლის ნამსხვრევია. ავტორის ნიჭიერებაზე ლაღადებენ ჟამისაგან სიყვითლეშეპარული ლექსები, სიმღერები, მეგობრული შარჟები.

ლამაზი სიცოცხლე ლამაზ კვალს ტოვებს. დღესაც ახსოვთ გორელებს მისი ზნეკეთილობა და თავაზიანობა, გრაციოზულობა და სულში ჩამწვდომი სიმღერები.

ხსოვნა ორთქლივით ადის ჰაერში და მონატრების წვიმად უბრუნდება დედამიწას. ენატრებათ ახლობლებსა და მეგობრებს ნუკრი დვალი, მღუღარე ცრემლებით უღბობენ საფლავს ნაადრევად წასულს და სანამ „წვიმს“, მის სახელს დავიწყება არ უწერია.

2011 წ.

გიორგი (გოგი) ბეგლარიშვილი



კიდევ ერთი კარგი გორელის სული ამადლდა ზეცად, უზომოდ დაგვეწყვიტა გული მის ახლობლებს და „იმქვეყნიური“ გორელების სიას შეემატა.

უნივერსალური ადამიანი იყო. რა არ გამოსდიოდა ხელიდან, ყველანაირი საქმე ემარჯვებოდა, თან ჯარისკაცით მულამ დასახმარებლად იყო შემართული. ამიტომაც, ყველას ეიმედებოდა მისი მარჯვენა და კეთილი გული. მეზობელი რომ რაღაცის შესაკითხად მიდიოდა, პასუხს არ აკმარებდა და თავად მიჰყვებოდა გასაკეთებლად. მარტო მეზობლებს? ვის აღარ დახმარებია, უარს პრაქტიკულად ვერავის ეუბნებოდა. სადაც მიდიოდა ყველგან ხალისი და სიცოცხლე შეჰქონდა, ღიმილიანი სახის და გამორჩეული იუმორის პატრონი ყველგან სასურველი სტუმარი იყო.

მუსიკის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული, კარგად მღეროდა და უკრავდა სხვადასხვა საკრავზე, მაგრამ ეს ნიჭი არ განუვითარებია, ცხოვრებამ სხვა გზა და საშუალება აძებნინა ოჯახის შესანახად.

უსიტყვოდ და უხმაუროდ შეეჭიდა მძიმე სენს. ცდილობდა არავინ შეეწუხებინა, ყოველთვის ომახიანი და ხმაურიანი ჩუმად იტანდა გაუსაძლის ტკივილებს. მაინც არ ისვენებდა, ისევ „აცხობდა“ სიკეთის „კვებებს“.

საავადმყოფოს ექთანმა მითხრა: ჩვენთან რომ იწვა, ტკივილები აწუხებდა, მაგრამ დაზიანებული სადენები მაინც შეგვიკეთა, მსგავსი არაფერი გვახსოვს. აქ მოსული პაციენტები უფრო აფუჭებენ, თორემ გაკეთებით ვინ რას გააკეთებსო.

ლამაზი ოჯახის პატრონს ისეთი ცოლ-შვილი ჰყავდა, გოგი ბეგლარიშვილს რომ ეკადრებოდა: უსათნოესი და მასავით ხელმარჯვე მუელლე – მარინა მულაძე, სამი ერთმანეთზე უკეთესი ქალიშვილი – ნინო, მაია, ვერიკო. მისი სიცოცხლის აზრს ორი უსაყვარლესი შვილიშვილი – გიორგი და ლუკა ხუბულურები წარმოადგენდნენ.


უკვე გარდაცვალებული ხმით დაიტირეს მეზობლებმა. ალალი

ცრემლით დამბალი მიწით გააპატიოსნეს. ყველას გულწრფელად დაენანა ცივი მიწაში ჩასვენებული ცხელი გულის პატრონი. თუმცა, სიკვდილი აგრერიგად ვერ ერევა კარგ ადამიანებს. გოგი ბეგლარი-შვილის კეთილი საქმეები შუქურად ანთია ჩვენს გულებში და შეებრძოლება მისი სახელის დავიწყებას.

ეს წერილიც ამის დადასტურებაა.

2015 წ.

ოთარ (ოგია) მაისურაძე



ყველა ადამიანს თავისი ცხოვრება აქვს, თავისი ისტორია. ბევრი ვერ ახერხებს სიკვდილსიცოცხლის გზაჯვარედინთან პირნათლად მისვლას. ოთარ მაისურაძე მათ რიცხვს არ ეკუთვნის. დაუზარელი, ყველას პატივისმცემელი და ჭირ-ვარამის გამზიარებელი, მოსიყვარულე მეუღლე და კარგი შვილების მამა — ასეთი სახელი დატოვა მშრომელმა კაცმა.

ბავშვობა რაჭის ულამაზეს სოფელ ფსორში გაატარა. ბიძამ და ბიცოლამ გაზარდეს წლინახევრის ობოლი. ყოველთვის კეთილად იგონებდა აღმზრდელებს, რაჭის მომაჯადოებელ სილამაზეს, ღვთისმშობლისა და ჯვრის სალოცავების მადლს. ფსორში ეზიარა შრომას, პატიოსნებას, სიყვარულს. მოხდენილმა ჭაბუკმა გულისწორიც შესაფერისი მონახა — ულამაზესი თანაკლასელი ცაცა კობერიძე.

1955 წლიდან გორში ჩამოვიდა. კულინარიის კურსების დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გორში, სახკვებაში. იყო პირველი კლასის მზარეული, მიღებული ჰქონდა მედალი სოციალისტურ შრომაში გამარჯვებისთვის და სხვადასხვა ჯილდო. საუკეთესო გურმანი იყო. მის გარეშე არც ერთი საპატიო სტუმარი არ მიუღიათ გორში. ვის არ იცნობდა, ვისთვის არ ჩამოურთმევია ხელი, მაგრამ ზოგიერთივით არ გაყოყნებულა, ჩრდილში არასოდეს მოუქცევია ბავშვობიდან შესისხლხორცებული უბრალოება.

მისაღმებაც კი განსაკუთრებული იცოდა, რაჭველებისთვის დამახასიათებელი სიღინჯით და სიღარბაისლით გულიანად მოგიკითხავდა, მერე ასევე გულიანად დაგლოცავდა და გრძობდი, ეს დალოცვა სულის საგზლად როგორ მიგვებოდა დღის ბოლომდე.

სვანური ქუდის ტარება უყვარდა. 60 წელი ჩამომარცვლა დროის კრიალოსანზე და... რომ არ ელოდნენ, ისე მოულოდნელად უმუხთლა ბედმა. მისი გვარისა და ჯილაგის გამგრძელებელი პატარა ოთიკო ახლა გადიდებულ სურათს მისჩერებია და პაპის ალერსი ენატრება.

მაისურაძეების ოჯახში ხსოვნის წელთაღრიცხვა დაიწყო...

1999 წ.

არონ კრიხელი



ცხინვალში დაიბადა და გაიზარდა. ცხინვალში გაატარა ყმაწვილკაცობაც და მოწიფულობაც. შემდეგ „მონასტერი“ აირია და სხვა დევნილებთან ერთად გორს შეეხიზნა ცოლ-შვილით. ძალიან განიცდიდა, ვერ ეგუებოდა დევნილის სვედრს, ენატრებოდა მშობლიური ქალაქი, ცხინვალში დაბრუნებაზე ოცნებობდა, მაგრამ მის ოცნებას ჯერ ასრულება არ ეწერა, ამიტომაც გორში აგრძელებდა ცხოვრებას.

გორი პატარა, სტუმართმოყვარე ქალაქია, გულში იხუტებს ყველას, ვინც იმსახურებს. არონ კრიხელი ის კაცი არ იყო, ვინმესთან რამე შეშლოდა, ამიტომაც ძმასავით მიიღეს გორელებმა, სიყვარულზე სიყვარულით პასუხობდნენ. ასე იყო იმ ავადსახსენებელ დღემდე, შემდეგ...

არონი დაიკარგაო — ხმა გავარდა შარშან გორში. ფერიცვალების დღეს იცვალა ფერი მისმა ოჯახმა. დასევდიანდა მანამდე მხიარული მისი მეუღლე. ათი დღე მასთან ერთად გავცქეროდით გზას მეზობლები იმ იმედით, რომ მავანი მის გამოსასყიდს მოითხოვდა და სანაცვლოდ ჯანმრთელი და უვნებელი დაუბრუნდებოდა ოჯახს. ვაი, რომ მწარედ მოგტყუვდით, იმაზე მეტი არაკაცები აღმოჩნდნენ გამტაცებლები, ვიდრე გვეგონა. მარტო ახლობლები კი არა, უბრალო ნაცნობებიც კი შეძრა მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა. ის ხომ უაღრესად პატიოსანი

და უწყინარი კაცი იყო, ყველას გაჭირვების ტალ-კვესი, რომელსაც ყველა ენდობოდა, კაცი რწმენით სავსე, გორელი ებრაელების სულიერი მოძღვარი.

შეძრული და განადგურებული ვიყავით ყველა. ერთადერთი კითხვა გვიტრიალებდა თავში – რისთვის? არონიც და მისი მეუღლეც მხოლოდ სიკეთეს თესდნენ ირგვლივ, სიკეთის მოციქულებად იყვნენ მოვლენილნი ამქვეყნად. არ ვიცი, ასე სასტიკად რად მოუბრუნდათ ბედისწერა. ვეღარ ვუყურებდი მის ცალად დარჩენილ მეუღლეს და დაობლებულ შვილებს. მერე როგორი მოსიყვარულე და მზრუნველი მამა იყო.

...არონ კრიხელის მგლოვიარე ცოლ-შვილი მოთქმა-გოდებით გავაცილეთ შარშან ისრაელში, ხოლო მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს იმ ცხინვალელების და გორელების გულებში, ვინც კი მას იცნობდა.

2000 წ.

სიკეთის საგალობელი

წუთისოფლის კი არა, „წამ-წუმეთის“ სტუმრები ვართ. წამში შეიძლება მოხდეს გაუთვალისწინებელი და უკან დაგრჩეს აწყობილი თუ ასაწყობი საქმე, განუხორციელებელი გეგმები. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც, გააზრებაც ვერ მოვასწარი, ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი. გამოძახებული სასწრაფო დახმარების მანქანა მართლაც სასწრაფოდ მოვიდა და ძლიერი ტკივილების გამო გორის სამხედრო ჰოსპიტალში აღმოვჩნდი.

მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ იმ დღესვე გამიკეთდა ოპერაცია. საოპერაციოში რომ გამაქანეს, წამით ვინანე, იქნებ ნარკოზიდან ვერც გამოვიდე, შვილებისთვის ანდერძი მაინც დამეტოვებინა-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ ოცდახუთწლიანი ჟურნალისტური მემკვიდრეობის გარდა დასატოვი არაფერი მქონდა და უფრო გულმშვიდად მივინებდი ექიმებს. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, სინამდვილეში თავიდანვე მჯეროდა მათი ხელმარჯვეობის.

ნარკოზიდან გამოსვლაც დიდი ბედნიერება ყოფილა... ახალდაბადებულებით შეხარი ყველას და ყველაფერს. შემოდგომის მოქუფრული

დღეც კი თვალისმომჭრელად გაბღვნილებული გეჩვენება. ახლობლებმა ორი დიდი კენჭი მაჩვენეს და ნაღველთან გამოძმვილობება „მომისამძიმრეს“. უნაღველოდ დარჩენილი რაღას ვინაღველებდი? თანაც დაავადებული ნაღველის სანაცვლოდ გავიცანი არაჩვეულებრივი მედიკები, რომელთა ყველაზე მთავარი ღირსება მინც ადამიანობაა.

ტყუილად ჰგონია მავანს, რომ ქართველები (მით უფრო ექიმები) გაცივდნენ და სადაც არის გადავშენდებით. მე საპირისპიროს ვიტყვი. არასოდეს დამავიწყდება უზადო პროფესიონალიზმთან შეზავებული მათი გულისხმიერება, ყურადღება პაციენტის მიმართ, ღიმილიანი და ნათელი სახეები. (ცალკე სასაუბრო თემაა, როგორი გმირობა გამოიჩინეს ჰოსპიტალის ექიმებმა და მედპერსონალმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს). აი ისინი, ჩემი მშველელები – ქირურგები: კონტა (კოკა) კელაპტრიშვილი და გიორგი მურაჩაშვილი, ანესთეზიოლოგი სოსო მეტრეველი, ანესთეზიოლოგის მედლა ნანა ინჯგია, საოპერაციო მედლა თათული კაპანაძე, პალატის მედლები: ხათუნა ფალელაშვილი და ანი მაღლაკელიძე, სანიტარი მარიკა მღებრიშვილი, თანაშემწე შორენა სარდლიშვილი. უდიდესი მაღლობა მათ, არა მხოლოდ ჩემი ფეხზე დადგომისთვის, იმისთვისაც, რომ ჰიპოკრატეს ფიცი გულის ფიცარზე აქვთ ამოკვეთილი.

და კიდევ... პალატაში ორი პაციენტი ვიწექით – მე და მაგდა სუნიტაშვილი, მას წუთით არ ტოვებდა ძმის ცოლი – ნანა საათაშვილი, რომელმაც არც მე დამაკლო ყურადღება: მეხმარებოდა წამოდგომაში, ღამით თითქმის არ ეძინა და ჩემს პატარა გაფაჩუნებაზეც კი თვალს ახელდა და ექთანს და სანიტარს უხმობდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ნანა საათაშვილსაც გადაუხადო დიდი მაღლობა რთული პერიოდის გადავილებისთვის.

სიკეთე არასოდეს იკარგება და არავინ იცის, „ქვაზე დადებული“ მაღლი ვის სად წაადგება ყავარჯნად სულის ცხონების გზაზე. ამ ოპერაციამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ყოველი დღე უფლისგან იმიტომ გვაქვს ნაჩუქარი, რაც შეიძლება მეტად მოვეფეროთ და მხარში დავუდგეთ ერთმანეთს. ჩემს ექიმებსა და ნანას ეს კარგად გამოუვიდათ.

სწორედ ეს არის ჩვენი ამქვეყნად ყოფნის მიზანიც.

ასოციაცია საფრთხეშია (სველიანი იუმორი)

ამ ბოლო დროს ძალიან შემოიყვარდა პურის მაღაზიაში სიარული. განა მარტო მე შემოიყვარდა, სხვებსაც შევამჩნიე ეს სენი. ხალხი უთენია მიიჩქარის მაღაზიისკენ პურის საყიდლად და ღვანან და ღვანან უსასრულოდ.

იტყვი, აბა რა ქნან, ოჯახის წევრებს შიმშილით ხომ არ დახოცავენო. ესეც მართალია, ბატონო, მაგრამ ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული. ასე რომ არა, მათ შესანიშნავად იციან, რომ პური ან მოვა და ან არა, უფრო არ მოვა, მაგრამ მაინც ღვანან. პურის გაძვირებასაც არ შეეპუა ხალხი, ვერ დაიშალა რიგები.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი პურის მაღაზიების ბაზაზე შეიქმნა „ცოდნის მოყვარულთა ასოციაცია“, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, პირდაპირ განათლების კერად გადაიქცა. ასოციაცია თავის რიგებში აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, სქესის და პროფესიის წარმომადგენლებს – ყველას, ვინც კი ცოდნის შეძენის ჟინით არის შეპყრობილი. თვით პურკომბინატის დირექტორის ალალი ბიძაც არაერთხელ უნახავთ რიგში, ცოდნის მოყვარული კაცია და იმიტომ, თორემ დირექტორი პურს დაუჭერდა ბიძას?

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ასოციაციას არავითარი პირობა არა აქვს შექმნილი ნორმალური ფუნქციონირებისთვის. რა დასამალია, დილიდან საღამომდე დგომა არ არის მთლად ადვილი და საზარბიელო, სამაგიეროდ... ოო, ისე დიდია შეძენილი ცოდნით მიღებული ბედნიერება, რომ აღარავის ავონდება სიცივისგან გაფიჩხული ხელ-ფეხი და დაღლილობისგან გაშეშებული წელი.

ასოციაციის წევრებს შორის ფრიად გულახდილი დიალოგები იმართება თავისუფალ თემებზე, ხდება მრავალი საჭირობო საკითხის გადაწყვეტა. ზოგი თავის ავტობიოგრაფიას ჰყვება, ზოგს ის აღარდება, კარტოფილი 15 მანეთი რომ გახდა, ზოგი რძალს ემდურის, ზოგიც – მთავრობას, იქით – სამაჩაბლოს იარა, აქეთ – თბილისის ტრაგედია, მოკლედ, სალაპარაკოს რა გამოუღვევს ქართველ კაცს.

პირადად მე პურის რიგში ვისწავლე ათასგვარი რეცეპტი დიეტური კერძების, მწნილების, ნამცხვრების მომზადებისა. უკვე ზეპირად

ვიცი, ვინ სად მუშაობს და ვის რამდენი აქვს ხელფასი, ვისი ქმარია ლოთი და ვისი – მექალთანე. გავთვითცნობიერდი საქართველოს ეკონომიკაში, გავიხსენე საქართველოს დიდებული წარსული, ვესაუბრე ჩვენი ასოციაციის წევრ ექიმს ჯანმრთელობის საკითხებზე, მორწმუნეებისგან დავიხეებრე საეკლესიო კალენდარი.

აქვე მასწავლეს, რომ სტუმარმა თავისი წილი პური უნდა მოგიტანოს, გავიარე მოკლევადიანი სამედიცინო კურსები (უფასოდ) და თავისუფლად შემიძლია რიგში ლოდინისგან გულშელონებულ ადამიანს პირველადი დახმარება გავუწიო.

მოკლედ, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე.

ასოციაცია ბაზარში წამსვლელთათვის აწარმოებს ბლოკნოტს, სადაც აღნუსხულია ყოველდღიური ფასების მატება სხვადასხვა სახის პროდუქტზე და მათთვისვე იძენს საგულე წამლებს.

ზოგჯერ საუბარი ფილოსოფიურ მიმართულებას იღებს. ლაპარაკია ყოფნა-არყოფნაზე, არყოფნის შემთხვევაში – მიცვალებულის გაპატიოსნებაზე. გამოითქვა მოსაზრება, რომ, თუ კაცს თავისი ოჯახი უყვარს, რამენაირად უნდა გამონახოს საერთო ენა მიქელგაბრიელთან და აღარ უნდა მოკვდეს.

ქელებს რომ თავი დავანებოთ, ხის მასალის უქონლობის გამო გაჭიდა საკაცის დამზადება. თუ დაამზადებენ და იმ ფასად, ბევრი ჭირისუფალი რომ ვერ შესწვდება. ასოციაციის წევრებმა ამის გამო ერთხმად გამოთქვეს შიში, მაგრამ იქვე გაჩნდა იმედი: მიცვალებული თეთრ ქსოვილში გადაიხვესო, თუმცა, აქაც დაიბადა საწინააღმდეგო აზრი – სარფის გზით ხომ ქსოვილის მთელი მარაგი თურქეთშია გაზიდული. ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება: დოლარებზე იყიდოს და უკან დაიბრუნოს თავის დროზე კაპიკებში გატანილი ქსოვილი, თუ არ გვინდა რომ მოგვიწიოს მიცვალებულის ცელოფანში გადახვევამ.

სხვა რამეც იწინასწარმეტყველეს ასოციაციის წევრებმა. ნაკარაუდევია, რომ უახლოეს ხანში დაგვაფიწყდება კარაქის, შაქრის, ხორცის გემო, ვეღარ გავიხსენებთ ყველის ფერს, პროტესტის ნიშნად ქათმები აღარ დაგვიღებენ კვერცხს, რადგან თავისუფალ ფასებს გამოდევნებული ადამიანები ქათმის დადებულ თითო კვერცხს უკვე ოთხ მანეთად ყიდიან (თვითონ რომ დაეღოთ, რას დააფასებდნენ?)

მომავალი პროგნოზით ძროხის რძე გაწითლდება სირცხილისგან, მაწონი კი უფრო შეიკვრება სახამებლისგან.

ხანდახან საინტერესო საუბრები უცბად წყდება. ეს მაშინ, როცა პურის მანქანა „უდროო დროს“ მოადგება ხოლმე მაღაზიას. საბედნიეროდ, ასეთი რამ არცთუ ხშირად ხდება.

ერთხელ ვიღაც გაუნათლებელი შემოეხეტა მაღაზიაში, ჯიქურშიადა გამყიდველს და კატეგორიული ტონით განუცხადა:

– ქალბატონო, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, უნდა მიიღოთ გადამწყვეტი ზომები!

– კერძოდ? – უხალისოდ შეეკითხა გამყიდველი, რომელიც ჩვენი ასოციაციის აქტიური წევრია.

– კერძოდ, სთხოვეთ პურკომბინატის ხელმძღვანელობას დაგინიშნოთ დრო, როცა ნამდვილად იქნება პური. იმაზეც თანახმა ვართ, დარეკონ და თქვან, დღეს პური არ იქნებაო, ოღონდ დარეკონ, ოღონდ ტყუილუბრალოდ ნუ გვალოდინებენ.

ამ სიტყვებმა ტანი ამბურძენა და ლაპარაკის ხალისი დამიკარგა. არც სხვებს ეპიტანავათ „არამკითხე მოამბის“ განცხადება. სევდიანმა ფიქრმა ჩამითრია თავის მორევში. დაუშვათ, მართლაც გაბრიყვედეს გამყიდველი, დაუშვათ, პურკომბინატის ხელმძღვანელობამაც, მოხდეს სასწაული და, ყურად იღოს მისი ღალადი, მერე? ჩვენ რა გვეშველება, ჩვენ, „ცოდნის მოყვარულთა ასოციაციის“ წევრებს?

ნუთუ ვიღაც „უწიგნურის“ ბნელ ზრახვებს უნდა შეეწიროს ჩვენი ასოციაციის ნათელი მიზნები და ამოცანები, მისი წევრების ინტერესები?

პარლამენტში ჰერი, ჰერი!

(ფელეტონი)

ოჯახური თათბირი გვაქვს. მაგიდასთან სამნი ვზივართ — მე, ილიკო და ილარიონი. ოღლა ბებია ოთახში ფუსფუსებს, თან ცალი ყური ჩვენსკენ აქვს. ხუმრობა ხომ არ არის, მისმა შვილიშვილმა ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა მუშაობის დაწყებას აპირებს. მე არც მეკითხებიან, ისე მსჯელობენ ილიკო და ილარიონი ჩემს მომავალზე. სურვილი აქვთ საქმიანობით ცხოვრებაც მოვიწყო და სინდისიც გასარეცხი არ გავიხადო.

— მაგ დიპლომი, ბიძიკო, ჯერჯერობით კარქა შეინახე, — მარიგებს ილიკო, — მაგით დღეს ფონს ვერ გახვალ, პაწა ბიზნესი თუ არ წამეწყე, ხელფასით ოჯახს ვერ შეინახავ და... ეგება ღეგეწყო ბენზინის ზიდვა, დაფიქრდი აბა?

— მე მგონი პროდუქტით ვაჭრობა სჯობია, მანქანა ყველას არ ჰყავს. სამაგიეროდ, კუჭი ყველას აქვს და სჭირიათ ჭამა, — სიტყვა ჩამოართვა ილარიონმა.

— რას ბუუტურობთ, თუ იცით? — გაწიწმატდა ბებია, — მაგისტრის დაამთავრა ბოვშემა ინსტიტუტი, რომ ვაჭარი გახდეს? ჩემი შვილიშვილი პარლამენტარი უნდა გამევიდეს!

ილიკომ და ილარიონმა ერთმანეთს გადახედეს.

— ნამეტანი ხომ არ შეინდომე, ოღლა ჩემო, — შეაპარა ილიკომ.

— ბოვში გინდა დაღუპო? — მხარი აუბა ილარიონმა.

— რატომ უნდა დაღუპო! ახლა პოლიტიკა მოდაშია, ჩემი ზურიკელა ვისზეა ნაკლები. თანაც ყველა პარლამენტისკენ მიიწევს და, რომ არ ვარგოდეს, იზამდნენ ვითომ?

— ისე, კარგი ხელფასი კი აქვთ, მანქანაც ეყოლება... იცხოვრებს მეფურად, — უცებ შეიცვალა ტაქტიკა ილიკომ.

— პარლამენტში შემსვლელმა კრივი უნდა იცოდეს კარქა, გიორგი კანდელაკისთვის ხომ არ მიგვებარებინა მოწაფედ ჩვენი ბიჭი, — ჩაიღიმილა ილარიონმა, მერე უცებ რაღაც გაახსენდა და მუქარაზე გადავიდა, — შვილივით გაზრდილ ბალანას ხელი რომ მოუღეროს ვინმემ, ან „ბორჯომი“ შეასხას, მე იმას...

— რას ცოფდები, შე დაგვაჯულო? — დააწყნარა ილიკომ, — რომ იცოდე, ღირს ოღლას სიტყვაზე დაფიქრება, ამისთანა სუფთა კაცი

მთავრობაში იჯდეს, ცუდი იქნება? მე მგონი საჭიროც კია. ჩვენი ზურიკელა არც არაფერს შეიპარავს, არც არაფერს გააფუჭებს, თუ არ ააშენებს, ქე მაინც არ დაანგრევს.

– შენ რას იტყვი, ბიჭო, – როგორც იქნა გავახსენდი ილარიონს.

– რა ვიცი, ქუეყანას თუ სჭირდება ჩემი თავი... – პატრიოტულმა გრძნობამ იყვილა ჩემში.

– დღეიდანვე უნდა დევიწყით მუშაობა, სანამ არჩევნები დეიწყება, ხალხს უნდა გავაცნოთ ჩვენი ბიჭი. ამისთვის ავითაცვია-პროპაგანდა საჭირო. კლიპიც არ იქნება ურიგო, – საქმიანი ტონით გვიხსნიდა ილიკო.

– შენ ისეთი სულძაღლიანი ხარ, მე და ზურიკოს მურადა რომ შემოგვაკვდა, იმ კლიპს გოუშვებ და ქვეშ წოუძღვარებ – ნადირობა გადაარჩენს საქართველოს!

ბევრი ვიცინეთ და ილიკომ ისევ გააგრძელა სჯა-ბაასი.

– კლიპი არა, მარა წინასაარჩევნო რეკლამა ურიგო არ იქნება, დიდი ფარა რომ არ ღირდეს.

– ფაქიზო ხომ არ გაგვეყიდა?

ამ წინადადებაზე ადგილზე გამაქვავა, გულმოდგინედ დავაშტერდი მის მთქმელს. მაგრამ ბებიანემი არ ხუმრობდა. იმდენად გულწრფელი იყო მისი გამოხედვა, მიეხვდი – გამეტებული ჰყავდა ოჯახის მარჩენალი.

ცრემლები მომერია, ცალკე ბებიის საქციელმა ამიჩუყა გული, ცალკე ფაქიზო შემეცოდა.

– მოდით, ურეკლამოდ ვიყრი კენჭს და ვისაც გული ერჩის, იმან მომცეს ხმა, – ავლაპარაკდი.

– ასე გერჩივნოს, ნენა, ნაძალადევი არაფერი გინდოდეს, – მხარი დამიჭირა ბებიაძე.

გამიხარდა, რომ ფაქიზო გადავარჩინე.

– სოფლის კლუბში მაინც გაირონიე და ხალხს შენი საარჩევნო პროგრამა წოუკითხე, – ვერ ისვენებს ილიკო.

– მაგი რომ არ დამიწერია?

– რა დაწერა უნდა დაპირებებს, შე აბდალა, უთხარი: შუქი გექნებათ-თქვა, პენსიებს თვეში სამჯერ მოგცემთ-თქვა.

– არ თქვა, ნენა, ნულა მოატყუებ ისედაც მოტყუებულ ხალხს.

– როგორც არ უნდა დამოდღვრო, პარლამენტში ტყუილს მაინც ასწავლიან ოღლა.

– ხო არ ისწავლი, ნენა, – შეშვევდრა ბებია, – ახლავე პირობას თუ არ მომცემ, მე თვითონ არ მოგცემ ხმას.

მე, რა თქმა უნდა, დავაიძევე, რომ ვერაფერი შემცვლიდა და ბე-ბიაც დაშოშმინდა.

– ეს ყოლიფერი კაი, მარა რომელ პარტიაში უნდა გავამწესოთ ბიჭი?

– ის პარტია არ გამავონოთ, თავით რომ ეშვებიან ცარიელ აუზში, – იკვილა ბებია, – ნურც იმ ვაგონში ჩაჯდები, ნენა, სადღაც რომ მიქრის, თორემ რა ეშველება შენს დასამიწებელ ბებიას, გადასაკარგში რომ გაგაქანონ.

– კი, ბებია, როგორც შენ იტყვი, – მორჩილად ვუქნევდი თავს.

– ნათელაშვილის პარტიაში ხო არ შესულიყო? ნამეტან ნათელ მომავალს გვიქადაგებს, – შეეკითხა ილიკო ილარიონს.

– ცუდი კაცი არაა, მარა... მასე ყველა ქადაგებს და რომელს დოუჯეროს კაცმა.

– მრწველობა გადაარჩენს საქართველოს?

– საქართველოს ჯერ სიყვარული გადაარჩენს, რომელიც ჩვენს ბიჭს ნამდვილად შეუძლია. ნაციონალურ მოძრაობაზე რას იტყვოდი, ილიკო?

– მაგენს სისხლი უყვართ. გარდაბანში სააკაშვილს ფეხებში დოუკლეს უდანაშაულო და აპოლიტიკური ცხვარი.

– ილიკო ბრუციანო, დაბერდი და ჭკუა მაინც თინეიჯერის გაქვს. კაცი სტუმრად იყო ჩასული და არ უნდა ეცათ პატივი?

– ვიხუმრე, შე კაცო, რავა ყველაფერი გწყინს.

– მე ის მწყინს, რომ ჭკუა-გონებას ურევ ბაღანას, – დაუცაცხანა ილარიონმა, შემდეგ მე მომიბრუნდა, – სულაც და სულაც სამთავრობო ბლოკს რომ მიაშურო? ჯერ ერთი – სიაში პირველები არიან და პირველობა ყოველთვის სჯობს ბოლოში ჩანჩალს, მეორეც – მუნჯის ენა დედამ იცის, ქვეყნის შენება მათ დაიწყეს და თვითონ უკეთ ეცოდინებათ, რა ჭირს და როგორ დააყენონ ფეხზე. შენც მხარში ამოუდექი, მიაშველე შენი ნიჭი, ერთგულება და ეგება ქე მართლა გვეშველოს.

კიდევ დიდხანს მელაპარაკა ილარიონი, დიდხანს მიხსნიდა ცხოვრებისეულ ფილოსოფიას და დამიყოლია.

– აბა, შენ იცი, ბიძიკო, თავი არ შეირცხვინო, იქანა ყოფნისას უზრდევლობას ნუ დაეჩვევი, სიტყვას თუ არ დაამთავრებენ, პირში

ნურავის შეუვარდები, სხდომებზე ნურც ხვრინვას იკადრებ და ნურც ძალების დემონსტრირებას მოყვები. გახსოვდეს, რომ ოჯახში გაზრდილი ხარ, – ჭკუის დარიგებით დამღალა ილიკომ.

გვიან ღამემდე ვერ დავიძინე სამშობლოს ბედზე დაფიქრებულმა.

მე აუცილებლად ვიყრი კენჭს და აუცილებლად გავზღვები პარლამენტარი. მე მიყვლება უამრავი კარგი მეგობარი, ჩვენი კეთილი საქმეები გამრავლდება უსასრულოდ, უსაშველოდ და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით, მერე ქვეყანას ფეხზე დავაყენებთ, გავიმართებით, გავძლიერდებით და აღარასოდეს აღარ დავეცემით.

2003 წ.

იები წვიმაში (ჩანახატი)

რატომღაც წვიმიანი გათენდა 14 თებერვალი... უიღბლო მიჯნურთა თვალებით იცრემლებოდა ზეცა სიყვარულის დღეს. იმიტომ ხომ არა, რომ სიყვარული სიტკბობასთან ერთად ცრემლი და ტკივილია და ახლა ერთ დიდ ცრემლად მოგროვილი სევდის ღრუბელი ნება-ნება იწვეთებოდა ცოდვილ მიწაზე.

...ქუჩაში 10-12 წლის გოგო-ბიჭები იდგნენ. იის კონები გამოეტანათ გასაყიდად. წვიმას ვერ შეეშინებინა პატარა გამყიდველები, ჯიუტად იდგნენ და ელოდნენ მათ, „ვისაც სიყვარული შეუძლია“. გვარ-სახელები და სადაურობა ვკითხე გაწუწულ ბავშვებს. ქარელის რაიონის სოფელ ტახტისძირიდან ჩამოსულიყვნენ თინიკო და თამარ კობერიძეები, თემურ და ნათია მედოიძეები.

- რატომ ჩამოიტანეთ იები გორში?
- გვეგონა სიყვარულის დღეს ყველას დასჭირდებოდა.
- აღებული ფულით რის გაკეთებას აპირებთ?
- სკოლაში ფონდის ფული უნდა ჩავაბაროთ.

მზერა გვერდზე მყოფი ბიჭებისკენ გამექცა. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ვკითხე:

- რატომ არ ყიდულობთ იებს, არავინ ვიყვართ?

ჯერ აღმაცერად გადმომხედეს „არამკითხეს“, შემდეგ ღიმილიც გამოიმეტეს, „აუცილებლად ვიყიდიო“, მითხრეს.

ვგრძნობ, ტყუილად მაიმედებენ, ხელი ისე მორცხვად მიცოცავს, ალბათ, ცარიელი ჯიბისკენ.

ეჰ, რა დრო მოვიდა, ყვავილსაც რომ ვერ უყიდი საყვარელ გოგონას!

ის კონას დავხედე. ერთმანეთს მჭიდროდ ეკვროდნენ ყვავილის სუსტი ღერები, ჯერ ისევ ყოჩაღად გამოიყურებოდნენ ფერდაუკარგავი ფურცლები, ისევ სუნთქავდნენ იმ ერთადერთი იმედით, რომ სიცოცხლეს შეყვარებულთა ხელში მაინც დაასრულებდნენ.

მყიდველი კი არ ჩანდა...

ფული რომ მქონოდა, ყველა კონას შევიძენდი და ბიჭებს გადაცემდი გოგონებისთვის მისართმევადა.

ისევ გადაუღებლად წვიმდა, ყველა უიღბლო მიჯნურის მაგივრად ტიროდა ცა.

ტიროდნენ იებიც...

2002 წ.

თოვლი უგრაფიკოდ (ჩანახატი)

ნადრევი გაზაფხული გვესტუმრა იანვარში. გალალდა, გახალისდა ბუნება, გულისპირი გაიხსნა... თვალისმომჭრელად გვეკეკლუცებოდა... დილაობით ოდნავ სუსხიანი თითებით გვეალერსებოდა, შუადღისას კი უკვე ეჭვი შეგეპარებოდა იანვრის იანვრობაში. უზამთრობით მოწყენილი და გაკვირვებული ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა: ზამთარიც ხომ არ გაგვიყიდესო. ვინ იცის, იქნებ გაეყიდათ კიდევ, ბუნება რომ უსინდისო დახლიდარი ყოფილიყო, მაგრამ, ნურას უკაცრავად!

ბუნება გონიერია... ბუნება მბრძანებელია... ბუნებას უყვარს უცნაურობანი, მაგრამ არც თავისი კანონზომიერება ავიწყდება. თებერვალი შეფიქრიანდა, ძალიან ხომ არ დავაჩქარეო გაზაფხული. შუბლი შეიჭმუნა, თავი მოიქექა და რამდენიმე ფანტელი გაუბედავად დაგვაფერ-

ფლა. თითქოს შეგვამზადაო, თითქოს გაგვაფრთხილაო, ყველაფერი ჯერ წინ არისო. მეორე დღეს უკვე საკმაოდ გვარიანად შემოგვიტია, გაგიჟდა, გადაირია, შეგვამცივნა. ზეცამაც მწუხარე დელაკაცივით გაიშალა თეთრი თმები, ნაფოტა ქერტლივით ისროდა ფანტელებს და გაჩერებას აღარ აპირებდა დალოცვილი.

თოვლი მოდისოლო... გადაირივნენ ჩემი ბიჭები. ნიბლია ჩიტებივით ასკდებოდნენ სარკმლის მიწებს. თვალთ ზომავენენ ჯერარდადებულ-ლი თოვლის სისქეს და მომდევნო დღისთვის ადგილებს ირჩევდნენ საცურაოდ.

პატარა ბიჭი ცოტა შეფიქრიანდა, ზვალ რომ თოვლი აღარ იყოსო. „რას ამბობო, – რიხიანად შეუტია უფროსმა, – ეგეც ხომ შუქი არ არის, გრაფიკით ჩართონ და გამორთონო“.

გულიანად გამეცინა...

მართლაც, მაღლობა ღმერთს, რომ თოვლის მოსვლა უგრაფიკოა, ვერავინ „ჩაგვრთავს“ ქსელში და ვერავინ „ამოგვრთავს“ თავისი სურვილისამებრ. ისიც დიდი ბედნიერებაა, რომ ჯერ მრიცხველები არ დაუყენებიათ იმის გასარკვევად, თუ ვის ეზოში რამდენი ფანტელი ვარდება. ყველას ერთნაირად შეუძლია ყოველგვარი გადასახადის გარეშე დატკბეს და ისიამოვნოს ბუნების ამ სიმშვენიერით: ერსაც, ბერსაც, ღიღსაც და პატარასაც, მდიდარსაც და ღატაკსაც, ჩინიანსაც და უჩინოსაც – ყველას, ვის ჩექმასაც ჯერ ძირი არ გავარდნია.

და თუ მაინცდამაინც ბუნებამ გადაწყვიტა, რომ „ქსელიდან ამორთავა“ საჭირო, გწამდეთ მისი ობიექტურობისა, მასთან „საქმის ჩაწყობას“ ნურც შეეცდებით, ნურც მის პატიოსნებაში შეგეპარებათ ეჭვი – ქსელიდან ყველანი ერთდროულად „ამოვირთვებით“, რაც იმას ნიშნავს, რომ თოვლიანობა, სინათლისგან განსხვავებით, ყველასთვის ერთდროულად დამთავრდება.

ასეც უნდა იყოს!

თოვლი ხომ თავისთავადაც სიწმინდის სიმბოლოა!

სარჩევი

ავტორისაგან	3
სითბოთი სავსე წიგნი (რედაქტორის წინასიტყვაობა)	5
ასეა, სიცოცხლე მოკლეა, ხელოვნება – მარადიული... ..	7
ლოცვასავით საკითხავი ლექსები	13
სიცოცხლის ფხიზელი დარაჯი	19
ვასთრჯი იყოს ჩვენი მეგზური	23
მაყურებელს ენატრება სცენის კორიფე	28
მარად ახალგაზრდა ხელოვანი	31
გვეამაყებით, ბატონო ჯემალ!	34
ვაჟა დადიანის ორი პორტრეტი	39
გვეზარით, გორელეფი!	44
მადლობა აღმაფრენისთვის	47
რეპორტაჟი შემოქმედის რთველიდან	50
ქვეყნად ერთია გალაკტიონი	54
ზაურ წაქაძე – 65	57
„ისიც საქმეა, ფშაველობა თუკი შევბელი“	58
„რა გზა გამომივლია, ვითხრან ჩემმა ლექსებმა...“	61
ბაირონის ნაკვალევზე	62
ელდარ მამისთვალიშვილი – 60	64
ორი ერის ერთობის სადარაჯოზე	67
მზიანი მარადისობისკენ	69
სასარგებლო საქმიანობა სასიამოვნო დასვენებასთან ერთად	71
კაცი დახუნძლული საჭადრაკო და შაშის ამოცანებით, ლექსებითა და კროსვორდებით	75

ზღვით მონაბერი ნოსტალგია	77
ქალაქის პირველი ქალბატონი	79
კეთილი ჯადოქარი	81
მელოდიების დედოფალი	83
ინდივიდუალური ხელწერის ლექტორი	87
„მინი-კლინიკა“ სუბიშვილის უნივერსიტეტში	91
ქალის ყველაზე დიდი ბედნიერება დედობა	96
მწარედ დაგვიმესიჯა	102
ხიდი აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის	103
ამქვეყნად დარჩენილი სიკეთე	105
სიურპრიზით დაწყებული შემოქმედებითი საღამო	106
მინორშიც მაჟორი	109
გულიანი გორელი	112
რედაქტორის წინასიტყვაობა წიგნიდან „ზაზა“	113
რჩეულთა ხვედრი უკვდავება	116
ჩიტმაც თავის ბუდე იცის... ..	118
ჩერმენ ღუდაითის ცხოვრების წესი	120
„იმედია, შეცდომით არ მოვევლინე ამქვეყანას“	123
ცხოვრების გზაზე გასაყოფი საგზალი	125
ჩვენს პურმარილს მაჭარი, ნიგოზი და დედას პური შეადგენდა	128
ინტერვიუ მაჟორიტარ დეპუტატთან	131
შოთა ჩოჩიშვილს	133
„შევარდენის“ აღსაზრდელებთან	134
ყაყაჩოსა სიწითლითა... ..	136
გლორია – 10	138
„შენი ხმა გადმოდიოდა“	140

„სინათლე“ სულის შუქურაა	141
რედაქტორის წინასიტყვაობა წიგნიდან	
„ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან“	143
მეგობრის პორტრეტი	145
მოდღვარი	148
აქტიური ცხოვრებით მათი თანატოლი	152
ცხოვრება მაინც გრძელდება	154
შხალო მასწავლებელი	156
ხანუკა სამეახს!	158
სიყვარულით შობილნი	161
საშობაო გამოფენა	163
ნუკრი დვალი	165
გიორგი (გოგი) ბეგლარიშვილი	166
ოთარ (ოტია) მანსურაძე	167
არონ კრიხელი	168
სიკეთის საგალობელი	169
ასოციაცია საფრთხეშია	171
პარლამენტში ჰერი, ჰერი!	174
იები წვიმაში	177
თოვლი უგრაფიკოდ	178